


+



ISSN 0192-509 X

საქართველოს  
ენციკლოპედია

# საქართველო



5

---

1987



# გნათობა

თბილისი  
2020 წლის  
ნოემბერი

ქოველთვიური ლიტერატურულ-მხატვრული და  
საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

წელიწადი 63-0

№ 5

მაისი, 1987 წ.

საქართველოს საზოგადოებრივი მხატვრობის კავშირის ორგანო

## შ ი ნ ა ა რ ს ი

### პროზა, პოეზია

მიხეილ გვამამია — ლექსები	3
ფრიდონ ხალვაში — ჩივი და ზენი. რომანი.	8
ხუტა გავა — ლექსები	43
ვიტორი წიკითელი — ლექსები	48
გურამ სხირტლაძე — ორმო. მოთხრობა	51
გოგი მამისკალაძე — ლექსები	66
ვახე ზორნაძე — ლექსები	68
მიხეილ სულაიაძე — ხეტიანი. ლექსი	70
ირაკლი ჯარკვიანი — ლექსები	73
ჯემალ ძირია — სამი მოთხრობა ერთი მკვლევარის შესახებ	75
პიპიტო ფონ დოდაკიანი — წამება ნატოს ქიხიში. გერმანულიდან თარგმნა ნანა გოგოლაშვილი	100

### კრიტიკა, პუბლიცისტიკა

ჯემალ თითქმისი — „მცირე პროზა“ მასშტაბები	108
კახა ჯამბურია — მიგრაცია წარსულსაკენ	114
ზაზა გომია — როცა სივილი მფხარების თანამგზავრია	125
სერგი ბილაია — ქართული ლექსის ოსტატი	135

### 150 — ილია ჭავჭავაძე — 150

ზოთა ზაღრიძე — ილია ჭავჭავაძე და მროვეული ისტორიის საკითხები	141
--	-----

(ბ. მეორე გვერდი)

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

სსრკ  
სახ. საბ. ცენტრი



**მეცნიერება**

მარინა ჩხარტიშვილი — „ნიმოს ცხოვრების“ ვრცელი კომპიუტერული აბრევიატურა	149
პაპა ქიანაძე — მონღოლთა უღლის დასასრული სპარტელოზი	155
თეიმურაზ ვიგნაანი — მინიმიანთა მთვინური ვინაობის საკითხისათვის	161

**უცხოეთის ლიტერატურა**

ფრანსის ოტო ვატსონი — როგორ უკავშირდება კობების აზრი მსხვილის წარმოსახვას. ინგლისურიდან თარგმნეს პაატა და როსტომ ჩხეიძეებმა	167
---	-----

**წიგნების მიმოხილვა**

პრიგორლ გიორგაძე — ქართული დოდაზომის შემოქმედების სიმბოლიკის პრობლემა	172
---	-----

---

მთავარი რედაქტორი არჩილ სულაბაური

სარედაქციო კოლეგია:

გრ. აბაშიძე, ი. აბაშიძე, რ. ამაშუაელი, მ. ბერძენიშვილი, ალ. გო-  
 შიაშვილი, ბ. დოჩანაშვილი, კ. კალაძე, მ. ლასური, მ. ლეზანიძე,  
 ე. მაღრაძე, ლ. მრეღაშვილი, ბ. ნატროშვილი, რ. პატარიაძე, ჯ. ჩა-  
 რკვიანი, ნ. წულეისკირი, თ. ვილაძე, ბ. ხარანაული (პ/მგ. მდივანი),  
 რ. ჯაფარიძე, ბ. ჯიბლაძე.

---

## საუბარი რობერტ გარნსთან

იმისმა გუთანმა მინდვრის თავეს სორო რომ დაუნგრია,  
იმის თაობაზე

ო, რა კარგი დრო იყო,  
თავის სორო როდესაც  
დაგენანა, რობერტ,  
და თვალი რომ შეასწარ  
იქვე ხნულში გაქცეულ  
სოროს ბედზე მფლობელს.

უკან არ მოგიხედა  
და დამფრთხალი გაგექცა,  
როგორც სულთამხუთავს,  
და შენ ისევ დაფიქრდი  
კაცის უგნურებაზე  
და გაპყევი გუთანს...

ხოცავს კაცი, მასავით  
ვინც ბუნების შვილია  
და არავის ინდობს,  
კაცი აუწმინდურებს  
წყალს და აუდაბურებს  
ჭალასა და მინდორს.

კაცი ისე ბრწყვია,  
ახლა ანგრევს საკუთარ  
თავშესაფარს, რობერტ,  
უნდა ბოლო მოუღოს  
თავის მასაზრდოებელს,  
პატრონსა და მშობელს.

ის დრო სანატრელია,  
როცა კაცი იბრძოდა  
მახვილით და შუბით,



როცა მტერი წინ იყო  
და მტერს ეჯახებოდა  
მკერდითა და შუბით.

აღარც სალამინია,  
აღარც აქციუმია,  
აღარც ვატერლოო,  
ველზე დროშის ფრიალი,  
სანატრელი სიკვდილი,  
სანატრელი დროო!...

ის დრო დადგეს იქნება,  
რომ ჩვენს შემდეგ ვერასდროს  
ვერ მოვიდნენ სხვანი.  
არა! წყალში მეორედ  
აღარ ატივტივდება  
ნოეს კიდობანი!...

თაგვმა სახლდაქცეულმა  
თავს უშველა, გაიქცა,  
ჩვენ ვერ წავალთ ვერსად,  
ერთი დასასრული აქვს  
კაცს და ბედშავ წრუწუნას,  
სოროსა და ვერსალს.

ნუთუ შეეღევიან,  
ბოლოს ნუთუ სიცოცხლეს  
მაინც ჩააქრობენ?..  
სამოთხიდან ნამდვილი  
ჩვენი გამოძევების  
დღე დადგება, რობერტი!..

ხვალ-ზეგ როგორ იქნება,  
ნეტავ რა გველოდება  
ან წელს ანდა მერმის?

ჩემზე უფრო ათასჯერ  
ბედნიერი ყოფილა  
თაგვი შენი ფერმის...

არა, სხვა არაფერი!  
მხოლოდ ბნელში შრიალი  
მოგონების მდინარის

და საწოლის კიდეზე  
ჯდომა დაფიქრებული  
სულის მარტოობაში,

მხოლოდ ფრთხილი კაკუნი -  
და სულშეგუბებული  
მოლოდინით: „ვინ არის?“

**გეორა ოთახში**



ახლა გარეშემოს სწვდება  
მათი ძრიაშელის ეჭო,  
სულ პატარა უნდათ, უცებ  
რომ სიცილი აიტეხონ.

თაობაა უზრუნველი  
და სიცილით სვამენ მანგოს,  
სიცილია გადამდები,  
უდარდელი და უმანკო.

დააბიჯებს ბიჭი შიშველ  
ფეხზე წამოცმული კედლით,  
ილიმება, როგორც ზევსით  
მოხიბლული ვანიმედი.

გოგო სარკის წინ ტრიალებს  
და მონახავს იმის საბაბს,  
აკისკისდეს, გაიკეთებს  
ხან საყურეს, ხან ყელსაბამს.

აღბათ ზოგჯერ, ყურს რომ უგდებ  
იმათ სიცილს, იმათ ხარხარს,  
საკუთარი ჩრდილის გვერდით  
დაყუდებულ საყდარს გავხარ.

შენ იმათთვის ვინ ხარ? მხოლოდ  
ხავსიანი კლერიკალი,

გაცვეთილი შეგონებით  
და ანდაზით შეიკალი.

ჩამოეხსენ, ეტყობა, რომ  
ბევრჯერ უთხარ: „კაცი ყრუა,  
გაჭირვება თუ არ იცის,  
მუდამ უზრუნველი თუა!..“

არა, იმათ არ იციან,  
რომ ფიქრობდი ბნელში წუხელ:  
„ნუთუ დილა აღარ მოვა,  
ნუთუ გზიდან გადაუხვევს?..“

მაგიდასთან ზიხარ, გვერდზე  
გადადებულ რვეულებით  
და გამხნევებს ის სიცილი  
გაწამებულს სნეულებით.

გადაივლი წიგნის ბორცვებს,  
ბოლოს გაგისკდება გული,  
რადგან მოვალეობაა  
მხოლოდ შენი სათაგური.

შენი სიტყვის სუსტი კვალი,  
შენი სულის ანარეკლი  
თუ დარჩება იმათ სულში,  
ეგ იქნება შენი ძეგლი...

**არა, სხვა არაფერი!**

არა, სხვა არაფერი!  
მხოლოდ იმის შეგნება,  
რომ სიცოცხლე ილევა,  
ქალის მკერდის სიზმარით  
მხოლოდ გაღვიძებული  
უცოდველი ცთუნება,  
არა, სხვა არაფერი!  
მხოლოდ დამარცხებული  
სასოწარკვეთილება,  
მხოლოდ აუმღვრეველი,  
მხოლოდ შეუბღალავი  
სულის შენარჩუნება!...

გამოდებულ კარებში  
 მთვარით გაშუქებული  
 თვალის ორი ტოპაზი.



არა! მხოლოდ სუნთქვადე,  
 მღეროდე და ტიროდე  
 და ბრმასავით საკუთარ  
 სულში იმზირებოდე,  
 ეგ არც ისე ცოტაა და არც ისე იოლი.  
 არა, სხვა არაფერი,  
 მხოლოდ სხივი დახრილი  
 სიტყვის მორჩილ მსახურთან,  
 მხოლოდ თრობა საუბრით,  
 აყვავებულ სხეულით  
 და კრისტიან დიორით...

არა, სხვა არაფერი!  
 მხოლოდ მოვალეობის  
 შეჩვეული ცალული,  
 მხოლოდ მხართან მფშვინავი  
 ბავშვის მონატრება და  
 გარდასულის ნაღველი,  
 ვნებით გადარეული  
 აღარ გეპოტინება  
 სურვილები წყალუხვი,  
 არც სახელის ძიება...  
 დაე, თუნდაც სახელის  
 ნაცვლად ნაცვალსახელი!...

არა, სხვა არაფერი!  
 შესვლა სადარბაზოში,  
 სადაც შევიცარებად  
 იდგებიან ლანდები  
 და სად შესვლას წმინდანად  
 აღბათ სულ სხვა ფასი აქვს,  
 სადაც ჩვენი სიკვდილი  
 არის ჩვენი სიცოცხლის  
 მხოლოდ ფერისცვალება



და იქ გადასახლება  
 ალბათ ჩვენი სიცოცხლის  
 მხოლოდ იპოსტასია...

არა, სხვა არაფერი  
 მხოლოდ იმის შეგნება,  
 რომ სიცოცხლე იღევა,  
 ქალის შვერდის სიზმართ

მხოლოდ გაღვიძებული  
 უცოდველი ცთუნება,

არა, სხვა არაფერი  
 მხოლოდ დამარცხებული  
 სასოწარკვეთილება,

მხოლოდ აუმღვრეველი,  
 მხოლოდ შეუბღალავი  
 სულის შენარჩუნება!..

### ქოლგა

დღეს აივანზე აყვავდა ქოლგა  
 ფერად-ფერადი, იაპონური,  
 მე გაზაფხულის ვიგრძენი ბორგვა  
 და შორჩილება გაქრა მონური.

დღეს აივანზე გაშლილი ქოლგით  
 მოტყუებული, უცებ გამთბარი  
 სული წელწელა იშორებს ბორკილს,  
 ნამარხულევი და ნაზამთრალი.

ვერ გაამტყუნებ, ბოლომდე ბორგვა  
 და განახლება თუკი სწყურია,  
 და აივანზე გაშლილი ქოლგა  
 თუკი პატარა გაზაფხულია!..



## ჩემი და უნეი

რომანი

„ზღვა ახმურდა ყრუ ხმურობით,  
ანმა გრიგალის მეთაურობით მოგზაურობდა“...  
ვალენტინო

კაცი ნელა მიდის ზღვისკენ.  
გუშინდელი წვიმის წვეთები ისე  
მსუბუქად და ფრთხილად ეცემა ფოთ-  
ლიდან ფოთოლს, გეგონება, ეკრძალებ-  
ბა, ახალ გამოდარებული, განაბული  
დილის მყუდროება არ დავაფრთხოო.

შემოდგომის აბეზარა წვიმებით და-  
ღლილ ქალაქს ესიამოვნა ეს მზიანი  
ამინდი, თბილი ღიმილით რომ ეფერება  
ყველაფერს.

რამდენი ასეთი დღე ყოფილა ეამ-  
თადინებაში, — ფიქრობს კაცი, — ეს  
დღე კი მაინც სხვაა, ერთადერთია. სხვა  
დროს არ ყოფილა ზუსტად ასეთი დღე,  
სწორედ დღევანდელი დღე, ამ წუთე-  
ბში მის გარშემო რომ ფართქალებს და  
ლურჯად იშმეუნება.

რამდენი წლისაა ახლა თვითონ?

ხუთი ათეული წელი გიაბრა?

რაღა დარჩა წინ? ვინ იცის, იქნებ —  
ერთი, ორი... ან იქნებ სამი ათეულიც კი  
იქნებ...

იგი იცნობს საუკუნეზე მეტი ხნის  
თანასოფლელებს, რომელთაც ხმელი,  
დაღარული, გამოქარული სახეები  
აქვთ, მზით დარუჭული, დაძარღვეული  
კისრები, ძვალზე დასული, ღონიერი  
მაჯა-იდაყვები, დანაკერებ-დაბუნებულ

ზუბუნებში ამოზვინული, შეთხელებუ-  
ლი, მაგრამ ოდესღაც ბრგე ბეჭეები,  
ჭერ სათვალემიუქარებელი, წყაროსა-  
ვით ანკარა თვალები, მიწისფერი, მი-  
წასავით ლამაზი და ნაჯაფი ხელები.

კაცი ზღვისკენ მიდის.

შორს, წყლისა და ცის უსაზღვრო-  
ბათა შერწყმაში, მოხუცის ჭაღარა წა-  
რბივით გამოკრთა კავკასიონის თოვ-  
ლიანი გრეხილი. შორი, მაგრამ რა ნა-  
ცნობი და ახლობელია მათათა ის თეთ-  
რი სიმღერა...

აქეთ კი, ღარდა-ღარდა, კლდე-კლდე,  
ხევ-ხევ, ჩაკარგული ჭოროხი, ამღვრე-  
ული და დაღლილი, კახაბრის ველზე  
ლაღად გაწოლილი, მდორედ, აუჩქა-  
რებლად მიედინება, თითქოს არც უნ-  
და უცებდად გაუჩინარდეს ზღვაში,  
თითქოს კოლხთა, ივერთა, მშობელ მი-  
წას ეხუტება, ეჩურჩულება. ალერსით  
ისუნთქავს მსუყე და სივსე მიწას და  
ჟინდაოკებულს, ერთგვარად თითქოს  
კმაყოფილი და რაღაც უფრო დაადი-  
სათვის თავგანწირულ : ამებტებით ეშ-  
ვება ზღვაში.

ის ერთი, არც იცე შორა წელიწადი,  
ჭერ ისევ მოგონებაში ბრუნავს.

კაცი მიდის ზღვისკენ. უცნაურია, რა-

ტომ უხარია, რომ დღეს ნაცნობი არავინ შეხვდა.

ქუჩის გაღმა ძველებურად შეღობილმა ეზომ შეაჩერა. სახლი ისევ ისეთია, ორმოცი წლის წინ რომ იყო.

რკინის კიბეზე დღეში რამდენჯერ ჩამოირბენდა მოკლეკაბიანი გოგონა, ცისფერთვალა, თმაგაჩეჩილი, ახტაჯანა. ეზოში, მაგნოლიასთან, ონკანს მოუშვებდა, ჩქერს შეუშვერდა ბაგეს და თან ეშმაკურად გამოხედავდა ქუჩის მეორე მხარეს, გაზონის ბალახებში საწყლად მდგომ ბიჭს. იმ ბიჭს ვაშლილი წიგნი ეჭირა ხელში და ვითომ კითხულობდა.

პირველი გულის თრთოლვა, პირველი სევდა, ტკივილი. გოგო უღიმოდა, თითქოს შორიდან რაღაცას კიდევ ეუბნებოდა, მაგრამ მოხიბლული, სუნთქვაშეკრული ყმაწვილი ახლოს მისვლას ვერ ბედავდა.

იგი ხედავდა, რა უბრალოდ, გაბედულად ახერხებდნენ ამას ქალაქელი ბიჭები. ჭავრით გულზე სკდებოდა, მაგრამ თავად ვერა და ვერ გაებედა მისულიყო იმ ცისფერთვალა, თმადაუვარცხნელ გოგოსთან. ისიც განგებ მიეყუდებოდა მაგნოლიის ხეს, ხანდახან ცალ ფეხსაც მიაბჯენდა და თეთრ მუხლისთავს გამოაჩენდა. ცალი ხელით თმას ზურგზე გადაიყრიდა. მაშინ გამოანათებდა მისი მალალი ყელი. მერე, თითქოს გაჯავრებული, ძზერას შეავლებდა გაღმა მდგარ ბიჭს და კიბეს აირბენდა.

ეს იყო ბედნიერებისა და უბედურების დღეები, თვეებიც...

ახლა კი...

კიბეზე ისევ ჩამორბის მოკლეკაბიანი, ყელმალალი, ცისფერთვალა, თმაგაჩეჩილი გოგონა. ზუსტად ისევე, როგორც მაშინ, ორმოცი წლის წინათ, მაგნოლიასთან უახლოვდება ონკანს, ონკანიდან პეშვით წყალს დაღვეს, მერე ხეს მიეყრდნობა... ცერებზე დგება, რომ ტოტი ჩამოიწიოს და თეთრი მუხლისთავეები გამოუჩინდება.

გული ამოფრენაზეა. ქუჩის მოპირ-

დაპირე მხარეს ვახედა... იქ ბიჭმა წიგნი დახურა, ადგილს მოწყდეს გულთან თვალწინ ჩაიჭროლა, შემავარცხნისთან გაბედულად მიირბინა, გოგოს მხარებზე ხელი მოჰხვია... გული ეტყინა გულოს. ორმოცი წლის წინანდელი თავისი გაუბედაობა შეარცხვინა.

არა, ეს დღე ერთადერთია. იგი არასოდეს ყოფილა, არც იქნება, არც განმეორდება...

2

გულო ხევაძეს ზღვისპირა პარკიდან თავის ქუჩაზე დაბრუნებულს წინ ვილაც შემოეფეთა.

— აბა, შეჩერდი, ყმაწვილო! სად იმალები ამდენხანს, სადა? ხომ დაგვპირდი, ზღვაში ნახულ-განცდილს წიგხად დაეწერო? ხომ ამბობდი, ბიჭებო, თქვენს ამბებს მთელ ქვეყანას მოვდებო. აბა, სადაა? რა ხანი გავიდა შენი ხმაკი ვერ გავიგონეთ. არა, ძიავე, მეზღვაურებთან ტყუილი არ გავივა.

ეს ხალით გიაძე იყო, მართლაც მეზღვაურულად რომ შეუტია გულოს. მხარზე ხელი მოარტყა, ლოყაზე ძმაბიჭურად აკოცა.

ხელგადახვეულნი მიდიოდნენ, თან იგონებდნენ ათასჯერ შეძლებულ და ათასჯერ კვლავ შეეყარებულ ზღვას, გემს, მრავალ გაჭირვებაში გამოვლილ ძმაცაცებს. ხალითი მაინც უფრო აქტიურობდა.

— ბოცმანი მართალია, როგორც ყოველთვის — ასკვნიდა თავისთვის გულო და მორჩილად მიყვებოდა მეგობარს. პო, იქ, ზღვაში, რა თქმა უნდა, უფრო ახლობელნი, უფრო გულმინდობილნი, უფრო გულახდილნი იყვნენ.

გულო პირველი თანაშემწე იყო კაპიტნისა, ახალბედა, ნაოსნობაში გამოუცდელი. ამიტომ ნამდვილ მეზღვაურებთან, ამ მართლაც „ზღვის მგლებთან“ შედარებით ერთგვარი უნებური მოკრძალება ბორკავდა. ახლა კი ისევ გვერდით მიმავალ ხალითზე ფიქრობს. მის მსუბუქ ნაბიჯს, ზვირთისებრ რხე-

ვას, მის ნაღვლიან სახეს აკვირდება ჩუმჩუმად.

გემზე ბოცმანი იყო იმ წელიწადს, მაგარი მეზღვაური და ნაღვი გულის კაცი. უყვარდა, ენდობოდა, უსმენდა, სჯეროდა ხალთისა.

ოცდაათი წელიწადი გემზე გაატარა. ნაპირზე, ეტყობა, მცირე ხნით ჩამოსულა, სული კი ისევ ზღვისკენ მიუწევს. რაღაცნაირი ახლობლური, შინაური, მშობლიური სუნიც იგრძნო თითქოს. ეს იმ შორეული ქარაშოტებისა და ოკეანეთა სუნია.

ის რვეულებიც გაახსენდა, ხალთით რომ თავის მონათხრობს წერდა და გულოს აძლევდა თითო-თითოდ.

ულვაშები უფრო ბარაქიანად მოუშვია, უფრო დაუხოშრებია. შოღლილ, სევდიან თვალეში ტროპიკების თაღი ჩადგომია თითქოს, დანაოკებულ პირისახეზე ყოველი განედის ქარაშოტს თავისი კვალი დაუტოვებია, მაგრამ ხალთით ისევ ცქვიტი, მშფოთვარე, მოუსვენარია.

— წამოი, ჩემთან შევიაროთ. ისეც ხომ კვირაა დღეს. წამოი, ჰო, წამოი. შინ მიინც არავინ მყავს... — უცხაური ოხვრა ამოაყოლა ნათქვამს ხალთმა.

— როგორ?! — გაიოცა გულმ.

— ამ სიბერეში ქალმა მიმატოვა. ასეა, ძამია, მეზღვაურობა. ქალს მობეზრდა მარტო ყოფნა და წავიდა...

ერთხანს თავი ჩაჰკიდა, მერე უცებ ხელი ულვაშზე გადაისვა, ძალად გახალისიანდა, ალბათ, მეგობრის ხათრით.

— კაი ახლა, ამაზე მერე. — სიტყვა სხვაზე გადაიტანა, — დაფიცული ვიყავ, აღარნა წაესულიყავ ზღვაში, მარა ახლა გადავიფიქრე, თხუთმეტ დღეში ჩემი გემი აქ იქნება და...

— ჰოდა, მერე? ისევ საცურაოდ?

— რას იზამ, არაა საშველი! იქ წავალ, მომბეზრდება, ხმელეთზე ამოვალ, აქ კიდევ უარესად ვფორიაქობ. რამდენი უკუღმართობაა აქა, იცი? ძმა-კაცობა აღარ გადის, თუ ყოვლისშემძლე ხარ, გიმამაყებენ, რათა რაღაცას გამოგჩენ. გამოჩენანხეა ყველა. არ

ვარ ამას მიჩვეული. კაცს ან უნდა აშინებდე შენი მდგომარეობით, ან დიდ ხეირს უნდა ელოდეს შენგან. რომ ერთა-ცა გაეკეთოს, სხვანაირად — ააფერი!

— კი, მარა, ეს ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლის კომისიები?

— მაგისი დიდი იმედი მაქვს... მარა, რა გითხრა, იცი? წესრიგს ქონება ამყარებსო, გამიგონია. ჩვენი მთავარი მტერი უქნარობა და უქონლობაა. ხომ ხედავ, ზოგჯერ გლებიც აღარ მუშაობს, მიწა შეიძულა. ადვილი ცხოვრება უხდა ყველას. აბა, ბელელში ვიღახ დაყრის ჭირნახულს?... ანდა, ჭირნახული რაღაფრად იქნება.

— მერე?

— ზოგი გპირდება, მაგრამ არ გისრულებს. ეურნალი მინდოდა გამომეწერა, აღარააო, ბაშბის მაისურები გათავდაო, ბორჯომის წყალიც თვალის ჩაკვრით შეიძლება? ჰოდა, ხმელეთზე რა ვაკეთო. დურგლობა რომ დავიწყო, სამუშაო იქნებ არც მოინახოს. დურგალმა, როგორ, ფარა ვაძლიო სამუშაოზე მოწყობაში? აბა რა ვაკეთო აქა? მითხრეს, კაი კაცია ახლა სათავეშიო, თავად ყვიამდე მართალი და სიძრათლიზა თავგადადებულაო. კი, ძიავ, ამისთანა კაცის სულის ჭირიმე, მარა ერთი მერცხალი გაზაფხულს მეიყვანს ვითომ, ა?

...ერთი ამ ჩემს ბუნავში დაბრუნება თუ მომინდებოდა ხანდახან, ეს იყო. ახლა ესეც შექცევა. რაღას ვუყურო აქა? ერთი სიტყვით, ისევ იქ მირჩევნია. ზღვა, როგორც მითქვამს, ჩემი საკარმიდამო, ჩემი ბაღჩა-ყახა და ხაფუძარია. რა გითხრა იცი, ძიყვარს მაი ოხერი! ბიჭო, — ულვაშებში ჩაეცინა ბოცმანს, — ისე მიყვარს მაი ოხერი ზღვა, მგონია ქალიც ექვიანობს. ოთახი პატარა ჩანდა, მთლიანად უცხოური ხალიჩა-გობელენებით მოფენილი. ბინაში მარტოობის და რაღაცნაირი უპატრონობის დამაღონებელი სუნი დაბუდებულყო. ნაღველმა შეიპყრო გულო. შეებრალა თავისი კეთილი ხა-

ლითი, მაგრამ გამხელა ვერ გაბედა. ხალითი ამის კაცი არ იყო. თანავრძნობა, შესაძლოა, კიდევ სწყენოდა. ცხოვრება მუდმივი თორმეტბალიანი შტორშიაო, უყვარდა თქმა ხალითს. რაღა კაცი ხარ, თუ შენი ბედისწერის გემი, თუნდაც ფერდებდაცხვებული, ანძებმოგლეჯილი, ამ გრივალეში ვერ გაატარე და მშობლიური ნაპირების ერთ მყუდრო ღობეში ვერ შეიყვანე? კი, გავიქცევი ზღვაში, როგორც ოჯახში, წავალ, ვივლი, დედას გულს გადავყოლებ, შრომითა და ხეტიალით დავიღლები, ყოველი ჩვენებურის მონატრებით შეწუხებული ისევ აქ დავბრუნდები. რას ვიზამ აბა. არა, ჩვენს შორის იყოს, დასტურ ეს ჩვენებური, კაცურკაცობა და ურთიერთ გულთა თბობა მაინც სხვაა. ისე სხვამან სხვისი უკეთ იცისო, ამასაც ამბობენ, არა?

კედელთა გასწვრივ წიგნის შუშაჩადგმული კარადები იყო მიჯრილი. კარადებში ლამაზად ეწყო წიგნები. ქვემოთ, ძირის ორ რივ კარადებში, ბოთლები, უცხოური იარაღებით.

ხალითმა ძველი კარადის ძირიდან ერთი, სიმიწის ქუნჩლით თავდაცობილი ბოთლი გამოიღო. კაი ჰქააო, თქვა და ჩაის ჰქააში ნახევრამდე ჩაუხსა გულოს. მერე თავდაც დაისხა. რა თქმა უნდა, სმა, ისიც ასე დილიდანვე, ვის უნდოდა. გულომ უარი თქვა. დაილოცა, მოსვა და დადგა ჰქაა, ხალითმა სულ დალია, მერე ადგა, მოპირდაპირე კუთხეში ტახტზე დაგებულ ლოგინს მიადგა, დაიხარა და ბალიშზე ჩაემხო. შენ არ იციო, ეუბნებოდა გულოს, რა ქალი იყო. ოცი წელიწადი ერთად, წარმოგიდგენია? ოცი წელიწადი! მაგრამ, რას იზამ, ძიავ, სიმართლე თუ ვინდა, გეტყვი: შვილი ვერ ვყოფე მაგ ოხერს. უშვილო-უძირო რაფრათ ვიყო-მეთქი, ვიფიქრე და ცოტა გულგრილი გავხდი მასთან. თვეში ერთხელ გადმოვდიოდი ნაპირზე და მაშინაც მისი ველარ ვიყავი. საცხა-საცხა ვიკარგებოდი, გესმის? ვიკარგებოდი!..

ბოლოს ქალმა კარი მიხურა, იმ ტახ-

ტზე დამსვა და სულის კანკალით ჩამჩურჩულა: ხალით ჩემო, ეხე ვერც ვარგებს, მოდი, ერთი ბავშვი გაგიყვანოთ, გაეზრდი. შენი და ჩემი იქნება.

სიფათი მომღრცია, მოვიწყინე, წავხდი. კაცი ვარ და ჯანი მერჩის, — ვიფიქრე, სხვისი ბლუშტი როგორ ვზარდო? მთელი სიცოცხლე სხვისას ჩემი რაფერ ვუძახო-მეთქი. არ დაგიძლავ, რაც მართალი მართალია, კურცხალი გადმოშვარდა.

თერთმეტი შვილი ვყავდით მამაჩემს. ზია რომ ომში დაიკარგა, ათნი დავრჩით. ზოგმა მთაში, ზოგმა ზღვასთან თავის კუნჩე-კარი მორთო-მოაკაპიწა. მე კი ერთი, უზეირო დავრჩი თავიდან. არ დავუჭყრე ბაბას და თავი მაინცდამაინც ზღვაში ვკარი.

ჰქაა აავსო, სტუმრის სასმურს გადახედა, ჩაფიქრდა.

— იცი, გულო, — ჯავრიანად დაიწყო, — ძმა მყავდა უფროსი, წიდან რომ ვახსენე, ის — ზია. ძმებში ყველაზე უკეთესი იყო, აღარ მყავს. ომში წავიდა... აღარ დაბრუნებულა. იმის ხსოვნისა ვთქვათ, ა?

ხალითს თვალეხი შეუსველდა, ჰქედა ტუჩი ჩამოეშვა. უფროსი, დაჯრგული ძმის გახსენებამ გული აუჩვილა და ისეთი სიჩუმე ჩამოდგა, გეგონებოდა ზღვის ფსკერზე იყვნენ.

მერე, უცებ გამოფხიზლებულმა ხალითმა ნაღვლიანად გაუღიმა მეგობარს. არა, არ იყო ახლა დარდის გამხელის დრო, მზიარული წუთის ჩამწარებისა. სკამზე გადაწვა, ხელისგული უღვაშებზე გადააქურა.

— ერთი სოფელია, ჯომი, ზეგანში. ზეგნის კაცი, ზომ იცი, შუა გულიდახ ამოგლეჯილს გეტყვის. ჰოდა, კოლექტივის კრებაზე უთქვამს იქაურს: სიმაართლე ზომ გინდანან? მაშინ მითხარით, თავმჯდომარემ რომ შუამთობაზე ფერმის დეკუული დაკლა და შექამა, ეს აქნა ითქვას თუ არა?

ჰოდა, მეც ვთქვა უნდა: გული მტკივა, დაკარგულ ზიას ბიჭი დარჩა, ძმის-შვილი ჩემი... ცოლშვილიანი კაცია. ამ

კაცს მამაჩემის სამყოფელში სახლის ჩასადგმელი, ერთი სიტყვით, საცხოვრებელი ალაგი არ მისცეს. ავკრძალეთო, ზღვისპირეთში სოფელ ადგილას ვერაფერ ახალ სახლს ველარ დადგამსო. მიწა აღარააო. რა ვქნათ, ერთი მითხარით, ამ დალოცვილ აჭარაში, ძიავ, კაცი ცხრაზე ნაკლებ ბაღანას არ აკეთებს და სად დაასახლოს მერე? — ბოცმანი ჩაფიქრდა, კვლავ რაღაც გაიხსენა.

ხალითს ისე აეშალა ლაპარაკის საღერღელი, ვერაფერი აჩერებდა. ძალიან გაახარა გულოს მოსვლამ. გულდაკოდილი კაცი იყო... თავს უიღბლოდ თვლიდა. გული გაიხსნა მეგობართან, თანაც, არ გამეჭვცესო, შიშით შესტყეროდა სტუმარს. გულოც გრძნობდა ამას, მაგრამ რაღა ექნა, ალერსით, მაღლობით, ახალი შეხვედრის სურვილებით დაემშვიდობა.

დაკარგა დღე, თუმცა როგორც იტყვიან, ზოგი ჭირი მარგებელია. გულო მთელი არსებით ისევ იმ ერთწლიან საზღვაო ცხოვრებას დაუბრუნდა.

შინ რომ მივიდა, ამოფუშა უჯრები. ხომალდზე გაკეთებული ჩანაწერები მონახა. მოდი, გადავხედავ, იქნება რამე სახეიროს მივაგნოო.

იქ, გემზე წაქითხულმა იქნებ ვერ დაამახსოვრა თავი. იქნებ მშინ საყუთარ სტრიქონში თუ ხალითის რვეულში ვერ პოულობდა ისეთ რამეს, რაც ახლაც საინტერესო იქნებოდა.

მოდი, ახლად, თავიდან გავსინჯავ, — მსჯელობდა თავისთვის.

ნაჩქარევ ნაწერებში, ერთხანს საყურადღებო ბევრი ვერაფერი იპოვა, მაგრამ ფურცლებს მაინც დაბეჯითებით ათვალიერებდა. თავს იქცევდა.

მალე ხალითის რვეულებს შიადგა. გაშალა და ძველი, ნახშიარი, დაზეთილი ბაგირივით გაჭიმულ სტრიქონებს, ამდენი ხნის მერე, კვლავ სიამოვნებით გააყოლა თვალი. აქ ზღვა და მიწა თითქოს ერთმანეთში ვადაზულილიყო.

იფიქრა, ახლის წერას აზრი აღარა

აქვსო, წიგნი თითქმის დაწერილიაო. ერთ-ორ დღეში თავის დღიურებიდან ამოხაზა შედარებით უეტენის მონაქვეთები, ასევე ხალითის რვეულებიც თანმიმდევრულად დაალაგა და კითხვას შეუდგა.

**დღიურიდან: 198... დეკემბერი.**

გემის სარკმელიდან, როგორც რენდგენში, ვხედავ ბათუმს, ცის ფონზე — მთების ჩონჩხებს. ამალამ ჭორეულ რეისში გავდივართ. ვღელავ.

კაპიტანი რუპორით მოკლე განკარგულებებს იძლევა. ბრამშპილისკენ მიზნის ხალითი ორიოდ მეზღვეართან ერთად, რათა ღუზები ამოსწიოს და გემი პორტიდან ღია ზღვაში გასასვლელად გაამწესოს. თითო ტონიანი ღუზები დასვენებულ და დატვირთულ ხომალდს მაღალ მკერდზე აახორზიალა და დაჰკიდა. გემი წელა, მძიმედ, დინჯად მიბრუნდა დასავლეთისაკენ.

ლივლივა ზვირთების ჭეჭილი თანდათან დაღმართდება და ბათუმი, დაღმართის ძირას, მთების უბეში, თანდათან პატარავდება. როცა გულს დიდი ხნით განშორების წინასწარი სიმწვავე იღუმალად კუმშავს, მხიარული და ბედხიერი ბოცმანი ჩემს მიულაგებულ კაიუტაში, ჩემი აწეწილი სულის დასალაგებლად შემოხვიხვიანდება ხოლმე.

**დღიურიდან: 198... დეკემბერი.**

განთიადის ცაზე — გაცრეცილი ნახევარმთვარე. წინ ვიშხირები, მგონია საცაა ბოსფორს დავინახავ, მაგრამ ჯერ მხოლოდ ზღვის რუხი სივრცე და დაბლა ჩამობლანდელი შემოდგომის ცივი ნისლეები მოჩანს.

ალიონის ნათება რალაცნაირ გამოუთქმელ ფერებით ასველიანებს ყველაფერს.

იქით, მარცხნივ, ახლადდათოვლილი მთებია. მათა ძირებში, ზედ ზღვასთან, ორ-სამ ალაგას, პატარა ქალაქუნები მიყუყულან და ისევ წუხანდელი ღამის ლამპიონებს აციმციმებენ.

ეს უკვე ანატოლიის ნაპირებია.

ხალხითი პირველი კავშირი.  
საბატონო პავლეშვილი

ესპანეთში მოვხვდი ერთხელ. შინ მომავალ გემზე ავად შევიქენი და გიბრალტარში დამტოვეს. არსებობს ასეთი წესი. მერე მადრიდის ჰოსპიტალში გადამიყვანეს. ბოლოს — ბარსელონაში, ზღვასთან მისაახლოებლად. იქ, მადრიდში, კათოლიკე მოწყალეების დები თავს დამტრიალებდნენ გამუდმებით და წამლებზე უკეთესად თავიანთი ლოცვითა და აღერსით მკურნავდნენ. ერთი გოგო ბასკი აღმოჩნდა. იცით როგორ იტირა, როცა გაიგო, რომ საქართველოდან, კოლხეთიდან ვიყავი? მითხრა, ჩვენ ნათესავეები ვართო.

სალამობით ხშირად მეჭდა თავთან. თეთრი, მაღალი, ქათქათა თავსაბურთი შუბლზე, გრძელღერძიანი ჭვარი რომ ჰქონდა გამოსახული. თვალს მილულავდა, ხელებს აღაპყრობდა და რალაც ლოცვებს მიკითხავდა.

ბოლოს იმ ნაზი, გრძელი თითებით პირჭვარს ვადამწერდა, „ამინ“ ჩაიჩურჩულებდა. არა, მართლა ანგელოზს ვავდა. მორჩებოდა ლოცვას და, მერე, სიმღერას წაილიღინებდა. ბასკურიად, მიმხვედრებდა. ამ სიმღერაში სიტყვა „ნანაც“ გავიგონე მრავალჯერ.

წასვლას რომ მოიწადინებდა, კვლავ ვადამწერდა პირჭვარს. მეგონა, შიგნიდან ვნათღებოდი ვითომ, იმნაირი იყო ის გულმადლიანი ბასკის გოგო. ტკივილი სულ დამავიწყა.

ისეთი სუფთა, ღრმა, უებარი იყო მისი ციური აღერსი, მეგონა ოდესღაც წართმეულ ქრისტეს რწმენაში აღმადგინა, ჩემს უძველეს ტაო-კლარჯეთში დანგრეული ტაძრები კვლავ აღმოშენა, ყველა დაქარგული ერისშვილი დამიბრუნა და, არა მარტო ჩემი თავი, მორჩენილ-გამთვლებული, ერთიანი შაქულიც სამარადისო მოსავლელად ჩამაბარა-მეთქი.

ცოტა ხანში, დილით, ცხრაზე, მატარებლით ბარსელონაში გამამგზავრეს.

გზაში იმ ბასკ ქალზე ვიოცნებე. იქნებ ბასკები და ჩვენ მართლაც ერთი ფესვიდან ვიყოთ ამოზრდილნი? მართლაც, იქნებ ატლანტიდის ლეგენდიდან მოვდივართ, ა?

დიდი წარღვნის მერე, შესაძლოა, ნაწილი პირინეის ზეგნებს შევეფარეთ, ნაწილიც ხმელთაშუა ზღვით პონტოს მოვასკდით, და, ვიდრე არ გათავდა ზღვა და ვიდრე არ მივადექით უკიდურესი აღმოსავლეთის კიდეს, არ შევდექით არსად. ეს აღმოსავლეთი კი ჩვენი ახალი და სამარადისო სამყოფი — კოლხეთი იყო. ამნაირი რალაცეებიც მიფიქრია ხანდახან. რა ვქნა, ძიავ, ოცდაათი წელიწადია ბოკმანი ვარ და ჩემი თავისა ჭერ მე თუ არ ვირწმუნე, სხვა რალს დაიჭერებს.

ერთხელ, მარსელის რეიდზე ყოფნისას, ილუმინატორში გავიხედე და იქვე მდგომი შავ-თეთრად შეღებილი ძველი ნაცნობი ჩვენი ტანკერი დავინახე.

— შეხედე, შეხედე! — ვუთხარი ჩემს თავს, — იმისი კაპიტანი, შორეული ნაოსნობის კაპიტანი, ნიაზი, ჩემს გემზე დამლაგებლად იყო. მაშინ რვა ათას ტონიან მომცრო ტანკერზე ვმუშაობდი. მოკლე რეისები გვქონდა.

კაი ბიჭი იყო, მარა კარგადაც მაწვალებდა, არც მე ვხატობდი. გავხდები კაპიტანი და ნახავო, მემუქრებოდა. პო, ეგ მინდა მეცა-მეთქი.

სულ ხელის გულებით ვახეხინებდი შიდა ტრაპებს, გემბანებს, კარებს, ილუმინატორებს.

მართლაც ვახდა კაპიტანი. შემხვდა ერთხელ, გვერდზე გამიყვანა და შემეხეწა, წამოდი; ხალხით, ჩემს გემზე იმუშავეო.

თავიდან ერთ ბეხრეკ, ბრტყელფსკერა ბარჯაზე ვცურავდი ცეცხლფარეშად, მერე ისევ ბრტყელფსკერა მომცრო ტანკერზე გადაამადეს. ეს ტანკერი კასპიიდან ვოლგა-დონით ჩამოვართიეთ აზოვში. იმაზე კი მატროსად ვიყავი.

ვახტზე დგომისას დაჭმუჭნილ, ჭუჭყიან ალამს თუ გავკიდებდი ხანდახან მალლა, გამურული საკვამლე მილის

თავზე. გაცვეთილი კანაფის ძაფი, ზეთში დამბალი და გაშავებული, ჩემი ხელისგულების ოფლით უფრო ისანთლებოდა. იმ ძაფს ენაგთან ფალზე მივაკოტბდი და ვახტიორ შტურმანს ამაყად მოვახსენებდი, განკარგულება შესრულებულია-მეთქი.

ამით ვამაყობდი. ზეთში გათხუპნული ალამი, — მაუდის გაჭეკილი ხაჭერი, ზოგჯერ ბაწარს და ფალს შუა შექუქული აღარ ვაიშლებოდა. აი, მაშინ, რაც მართალია, ჩემს მეტრ ვერავენ ახოხდებოდა ქარაშოტში სველ, ტიტველ ანძაზე. ხეზე გასვლას ხომ შეჩვეული ვიყავი ბაღნობიდან, სოფლიდან...

მაგას დასწყევლის ღმერთი, რაც მე მაგ ვაი-ტანკერზე ვიწვალე და ყოფნის დღე მოვიწამლე. დიზელის საწვავს ვეზიდებოდით ბათუმიდან ოდესაში. ოთხსაწოლიან ციკქან კაიუტაში მალა გამოკიდული, სიმყრალეში, სიციხეში, სიბნელეში ვკონწილობდი დილა-საღამო.

თავბედს ვიწყევლიდი, მარა შინ დასაბრუნებელი პირიც აღარ მქონდა — რაც ოჯახისაგან მეკუთვნოდა, ჩემი წილი ნელინელ გავზიდე და სულ შევყვალავე.

ჩემი მარო...

ქობულეთში გადავეყარე მაგ უბედურს. შინ მიმიყვანა, გამბანა, გამრეცხა, გამათბო, დამაპურა.

მივეჩვიე, მივენდე.

შემიყვარდა.

ოდესიდან ან ნოვოროსიისკიდან ჩამოსვლისას, თუ ლუზას ჩავუშვებდით, შევივლიდი მათსას. იქ მყუდრო და თბილი იყო ოდა. მისი მშობლები ხომ გადაყოლილნი იყვნენ ჩემზე! მოვკიდებ ხელი და წამოვიყვანე ეგ ჩემი მარიამი.

ჰოდა, არ მოვითქვი სული? ერთი ოთახი ვიქირავე ბარცხანაში, მერე იგი თლათ შევისყიდეთ.

ოთახი ბერძნის ნაქონი იყო. ბერძენი რატომღაც ომის მიწურულს შუა აზიაში წაიყვანეს.

მარო უშვილოა. ვფიქრობ: ოჯახს

ნუთუ სინილა არ ეყოლება? დარდი დამაწვა, დავსაწყალდი, დავიშვებდი.

მარო მშრომელი და ხათრიანი ქალია. ჩემზე მეტად განიცდის ჩვენს უბედურებას. უფრო ჩემი წუწუნი ტანჯავს, რაც მართალია, მე ვებრალები.

ვიცი, კარგად ვიცი, რომ მე შევიღო მეყოლება, მაროს კი გამჩენმა რატომღაც წაართვა დედობის მადლი. „რატომ, რატომ მაინცდამაინც ჩემი მარო ამოირჩიე, ღმერთო?!“ — დამ-ლამობით ჩავიფლიკვინებდი მწარედ ჩემთვის.

იქვე, გვერდით მაროც ქვითინებდა.


ვითომ ისიც მიმაღავდა ცრემლს, მაგრამ ორივე კარგად ვგრძნობდით ერთმანეთის ტყვივლს.

**დღიურიდან: 198... დეკემბერი.**

დილით, ვიწრო ტრაპზე რომ ჩამოვრბივარ, ვხედავ, ლოყებლაქდაჟა იური მაქსიმოვი, მეოთხე თანაშემწე, რალაც ფურცლებს მოაფრიალებს. ერთ ფურცელს ხელში მაჩვენებს. ეს გემის „როლიაო“ მეუბნება. კი, უკვე ვიცი, რომ ეს ეკიპაჟის შემადგენლობის სიაა.

ოდნავ ვკავრდები. თუ ერთ უფროსად მეც მთვლის, კაიუტაში შემოვტანა, მაგრამ ასეთ წვრილმანებს მაინც არაფრად ვაგდებ. ქალაქს ოთხად ვკეცავ და გულის ჭიბეში ვიღებ, თან გემის ყოფას უკვე ოდნავ შეჩვეულს და ერთგვარად გაშინაურებულს, დაწვრილებით, თანმიყოლებით მაგონდება ნავსადგურიდან გამოსვლის თუ რეიდზე დგომის საათები. გასაცილებლად მეშვიდედ რომ მოვიდნენ, შინიდან პალტოც მომიტანეს. დეკემბერი უკვე ზამთარია, დაგვირდებოა. თუმცა ვარწმუნებდი, აქ ზამთარია, იქ ზაფხული იქნება-მეთქი, მაგრამ ვერაფრით ვერ იჭერებდა აქოშინებული, შეშინებული, დანადგლიანებული და გულ-აჩვილებული ნაილე, ჩემი ცოლი, რომ გემი რამდენიმე დღეში უფრო თბილს სარტყელში შევიდოდა, ხოლო უფრო გვიან, საახალწლოდ, კაი შუა ზაფხულის პაპანაქებაში მოვხვდებოდი.

ნაილე კინალამ თვეზე მეტხანს გაბუტული მყავდა. ჩემზე იყო გაკავრე-



ბული. მიზეზი? ღმერთმა იცის. არა, ვიცი, მაგრამ ახლა თავსაც ვერ გავუმხელ იმდენად სულელური რამაა. ვთქვათ, მე რაღაცის გამო ცოტათი გაეჭაფარდი, იგი მთელი თვის გაჭაფურებით მიხდის სამაგიეროს? მგონია საწყობში არ წვიაყვანე. იმპორტულ საქონელზე შეჩიჩინა, მახსოვს. არა-მეთქი. ახლა კი, დღეს მორჩულდა. რადგან შორს მივდივარ, შემირიგდა.

შემდეგ ბუნებრივი გვერდიდან მიადგა გემს და მთელი დღე დაცარიელებულ ტანკერებში, რეზინის გრძელი შლახგებით საწყვავი ისხმებოდა.

ამასობაში მეზღვაურები კამბუზისაკენ კარტოფილიან ტომრებს ეზიდებოდნენ. ზოგიერთს ზურგზე ძროხის გაყინული ბარკალი თუ ნახევარი ფერდი მოედო და მიათრევდა. პატარა ყუთებში სახაშე მასალაც ჩაეწყოთ და ალაგ-ალაგ ყანგისფრად ამოშვერილიყო გატრუსული ჩლიქები. ვიცი, ჩემი ხათრით იყო, რომ ხორცის კომბინატიდან სახაშე გამოიწერეს. ვინ არ ჩაერია ამ საქმეში. კომბინატის დირექტორს უთქვამს, მარტო ფეხებს თუ ყაბულს გაზდებთან, მიცემთ. ფაშვი, თურმე, გადარჩეული, გახეხილი, მსუქანი ფაშვი, ცალკე ჰქონიათ ვადანახული სხვებისათვის. მერე პორტის კაპიტანი ჩარეულა საქმეში. განუმარტავს იმ დირექტორისათვის, გემი მთელი წლით მიდის, გრძელი, მომქანცველი მგზავრობა ეტყნებათ, ბიჭები ცოდვანი არიან, მოუხერხეთ როგორმე სახაშეო.

ერთი კვირის დაგროვილი მთელი სახაშე მასალა კომბინატმა სანაოსნოს მიჰყიდა ჩვენი გემისათვის. მერე, ოდნავ ჩემზე გულმოსულ კომბინატის დირექტორს უთქვამს, მათხოვრები არიან ეს ყურნალისტები, აიტეხავენ რაღაცას და... რა ჯანდაბად სჭიროდა მავას ზღვაში წასვლა და თუ მიდიოდა, რაღა ხაშისათვის აწუხებს ხალხსო. ხაში და ფხალ-ლობით თუ უნდოდა, შინ დატეულიყო.

ჰო, ყელაფერი მოზიდეს.

ნიორი სანაოსნოს საკუქნაოშიც შოი-

ნახა. ჰაჰა ცოტ-ცოტა ყველას მოჰქონდა ალბათ.

ბოლოს ცოცხალი ნადვალს ჩვენი მთხოვრები, თავისი მიწიანი ყუთით. ესეც ჩემი ხათრით, საახალწლოდ ხმელეთისაგან შორს რომ არ მეგზავნო თავი. ნადვის ტოტები დრასენის ფოთლებით შეეკონათ. ნაძვი ბიჭებმა კობტად, ფრთხილად და პატივით აიტანეს გემბანზე.

გემბანი დიდი იყო, პროსპექტივით ფართო, ამიტომ ბევრი რამე ჭერჭერობით იქ რჩებოდა.

ბედაური ამინდი იდგა.

მე ბოცმანს დავეძებდი. საწყალი კაცია, - - ჩემთვის გულში ვიძეორობდი - ალბათ იმის გამო, რომ ყველაფერს ველახდილად ამბობდა და ალალი კაცი ჩანდა. ადამიანმა თუ თავისი ცხოვრების ამბები წრფელად თქვა, თუ არაფერი დამალა, უსათუოდ საწყალი გონიათ იგი. ასეთნი ვართ ყველანი. ცუდს, ესე იგი, ჩვეულებრივს, ვმალავთ ხშირად, რათა კარგები გამოვჩნდეთ.

**ხალთის მეთაი ჩვენი  
გაქცევა**

მინდა იმაზე დავწერო, პატარაობაში ბაბას როგორ გავეჭეცი შინიდან. ეს არ იყო უბრალოდ, სოფელ ბიჭებთან სათამაშოდ გაპარვა. ეს დიდი გაქცევა იყო, მთელი სიცოცხლისხელა, მარა, იცით რას გავეჭეცი? გგონიათ ყანა-ბაღას? არა — საცოლეს. ჰო, ჰო, იმას, აყენიდან ვისზეც დამნიშნეს. ის გოგო, როცა გაიზარდა, მართლაც შეუყვარდა ერთს. ჰო, შეუყვარდა. მეგობარი ბიჭი შემეცოდა. ავღეჭი და მოვუსვი. მაშინ სხვანაირი დრო იყო, ხომ იცი, ეს ჩვენი აჭარა...

საცა მოვხვდებოდი, გემზე, ხშირად მეკითხებოდნენ, რა ჰქვანაა მაინც ეს აჭარა. ვინა ხართ თქვენ, იჭაურებიო.

ზოგმა, შორეთში, არც კი იცოდა, რომ ჩვენი ენა და ჭილაგი ქართულია. მე კი მუდამ მჭერა, კაცის სამშობლო

თვით ენა სწორედ. ეს მთავარია — ენა! კაცისათვის ენა რელიგიაა. ჰო, რაც მართალია, მართალია.

სამი ასეული წელიწადი ოსმალეთისა და ისლამის ხელში „გურჯ მუსლიმანდ“ ვიქვეით. რამდენი ჩვენისთანა კიდეე იქ, ვადალმა? მილიონი? მილიონ-ნახევარი? შეიძლება მეტიც...

აბა, ასეთი ამბავია, ძიავ!

კი გვათამაშა ისტორიამ. მარტო ჩვენი მხარე კი არა, საქართველოს მთელი სამხრეთი ისტორიამ ბურთივით ათამაშა. ხან ერთ კარში შეავლო, ხან — მეორეში და ვის რამდენიც შეეძლო გვირტყა ფეხები. ბოლოს დაფხრეწილი, დაჩუტული, საღდაც კუთხეში მიგვაგდო.

გამოგვიცვალეს რწმენაც, სახელიც და თვით წართმეული ჩვენი სახელითვე დაგვაშინეს: ქართველი ვიანურს, ურწმუნოს ნიშნავს, თქვენ ქართველები კი არა, ამიერიდან მუსლიმანები ხართო.

ბოლოს ახალმა დრომ ხელი წაგვატანა და ფეხზე წამოგვაფორჩინა, თორემ ისევ იქ, ძველი ნანგრევების ძირას, ტალახში ვეგდებოდით დღესაც. ეს უნდა ითქვას, ეს ხმამაღლა უნდა ითქვას.

თვალზე ცრემლმომდგარი მოძმე ლუკმას იკლებდა, რომ იგი ჩვენთვის დაეთმო. საქართველოს თავად უჭირდა, მარა ჩვენისთანა, მისი ახალშემოერთებული ძმებისთანა საცოდავი და ფუხარა მაინც არ იყო... ასეა, რაც მართალია, მართალია.

#### დღიურიდან: 198... დეკემბერი.

საშტურმანო ჩხიურის კარი შევალე. კაპიტანი შალვა დიდიძე იატაკზე გაშლილ რუკას დამხოზია და ფახკრით რალაცას ხაზავს. თავი არ აუღია, არც რამე უთქვამს. მე კვლავ სამართავ პულტთან ვაგლივარ. იქ შტურმანები არიან. ფოსფორული ციმციმით შოკაქაქაშე სკალები გაუგებარ ენაზე გესაუბრებიან.

ვიღაცა კარს შემოაღებს. გამქოლი ქარი ფარდებსა და ფურცლებს აშარი-

შურებს. კარი ისევ სწრაფად იხურება და მე ვხედავ, ბნელი საპფლტე ზედფერიდან განათებულ საშტურმანო ჩხიურში როგორ შედის ყვითელი, სუსტი, ჰორფლიანი რადისტი ვალერი სნეგოვი.

ხელში ბლანკზე გადაბეჭდილი დეპეშა უჭირავს. მოკრძალებით იხრება და ძირს, იატაკზე ჩამხოზილი კაპიტანის წინ, რუკაზე ფურცელს დებს. კაპიტანი სტრიქონებზე თვალს ირიზად ჩაატარებს და წკიპარტის კვრით ფურცელს გვერდზე გააცურებს.

ეს პირველი რადიოგრამაა, რომელიც ჩვენმა გემმა მიიღო ახალი რეისის დაწყებიდან. მე კი ყველაფერი მაინტერესებს.

ჯერ კარგად არც კი ვიცი, რომ კაპიტანთან ერთად მეც ვალდებული ვარ ვიცოდე და პასუხი გავეცე ყოველ მოულოდნელ კითხვას, ზღვა რომ ჩვენს წინაშე დასვამს.

ლოკატორში მთებისა და ხეობების მთვარისფერი გამოსახულება ნელნელა პატარავდება. იღვება. ცვლაში მყოფი შტურმანი, სტანისლავ ლოტოვი, ცდილობს ჩემთან საუბარი გააბას, თავშეუყავებლად ხარხარებს. ჩემი ჭავრი და მოწყენილობა რომ გაფანტოს, რალაცეებს მიხსნის და ლოკატორში ზომავს იმ მანძილს, ნაპირთან რომ გვაშორებს.

სტანისლავ ლოტოვი საქართველოში ომმა ჩამოაგდო, როგორც უპატრონო ბავშვი. ჩაქველი გორგაძის დედაბერი საკუთარ შვილებშიც არ არჩევდა, სტანისლავიც იმ ქალს დედად თვლიდა, ნენეს ეძახდა, ნამდვილი ჩვენებური გლეხური ქართულით ლაპარაკობდა.

კაპიტანისა ძალიან ერიდება სტანისლავს. ახალგაზრდაა, მაგრამ ბევრისმცოდნეო, — ამბობს შალვაზე. ჰოდა, სწორედ იმ ცოდნას უწევს ანგარიშს. მეც უფროსად მთვლის. მაფასებს, მისმენს, მეკითხება. ვერ ვიტყვი, ეს არ მსიამოვნებს-მეთქი.

ჰო, მისი ქართული მომწონს, ისე მარცვლავს სიტყვებს, ისე უცნაურად უსვამს მახვილებს, მშობლიური ენა სხვა ფერისა და მელოდისა მეჩვენება.



სადილობა რომ მოახლოვდება, საუბარს საკმელებზე გადაიტანს. თვალმანთებული და ნერწყვიმომდგარი ჩამოთვლის ხოლმე ქართულ კერძებს.

— ახლა კი ხარჩო, ან საცივი, კი ბატონო, თუნდა ჰადი და ლობიო იყოს, ა? — ჩამიკრავს თვალს. კაპიტანი ხშირად თავის ჯიხურში რომ შეიმალება, საჭესა და მართვის ავტომატს ვახტიორს შეატოვებს. აი, მაშინ სტანისლავე ახალმოკრეფილ ანეგდოტებს მოყვება. ჩემს ზღვაოსნურ ახალბედობას უსუსურობად როდი თვლის.

სინათლის ყვითელი ხაზი წრიულად ევლება ეკრანს. სტანისლავე პატარა ჩარხს მოატრიალებს, წრეხაზი გაფართოვდება. როცა მისი ცალი გვერდი სასურველი საგნის თუ მიწის მთვარისფერ წერტილებს ეხება, სკალაზე ცისფერად ისახება ციფრი, რაც გემსა და ობიექტს შორის მანძილის აღმნიშვნელია.

სამტურმანო ჯიხურში შეედევარ, კაპიტანი მალალ მაგიდაზე იდაყვებდაბჯენილი წინ იმზირება. რადიოდებეშას მიჩოჩებს. დავცქერი: „ხმელთაშუა ზღვაში, ჩრდილოეთის განედის 38°-სა და დასავლეთის გრძედის 10°-თან დაკურავს ხის შოდრეიფე მორი, ათი მეტრი სიგრძისა და ნოლ რვა მეათედი დიამეტრისა. გემებისათვის საშიშია“.

გაორცების ღიმილით შევყურებ კაპიტანს.

რამდენი ქვეყანა, რამდენი სანაოსნო თავის რამდენ გემს აფრთხილებს ალბათ ასეთი რადიოდებეშით, ამა და ამ განედის ამდენ გრადუსზე ხის მორი დაკურავს, არ დაეჭახოთო. ვინ შენიშნა პირველად, ვინ გაავრცელა, ანდა ნუთუ მართლაც ასე საშიშია ეს ხის მორი ამოდენა ხომალდებისათვის? ანდა, ამისთანა წვრილმანებისათვის სცალიათ გემებს, ეკობაეებს, სახელმწიფოებს?! ისე, კი მსიამოვნებს, რალაცხაირ შინაგან კმაყოფილებას ვერ ვმაღავ, მსიამოვნებს, — ძვევ ვიჭერებ, რომ ქვეყნიერებას და თვით სამყაროსაც ფხიზელ პატრონად ადამიანი ჰყოლია.

გემბანზე რომ გავედითე გე, მჭაჭირს მიყრდნობილი გოგო-ბიჭები მუსიკაზე და მეუცხოვა უცებ ეს სურათი.

ბოცმანი მეუბნება: — ეს საზღვაო სასწავლებლის ახალკურსდამთავრებულა, თენგო ხაბაზი, გოგო კი ჩვენი ოფიციატი, ერთადერთი ქალი მთელ გემზე. ზინა ჰქვია სახელად. მართლა თვალს ვერ მოსწყვეტ, ისეთი ქალიშვილია. წამით გავიფიქრე: როგორ გაიმეტა გემისთვის შშობელმა-მეთქი. კიდევ დავძინე:

— კი, მარა როგორ გამოუშვეს? — და ხალითს გადაეხედე. იგი ცდილობს კარგად გამარკვოს:

— მამა მეთევზე ჰყავს. მახსოვს, სულ ახოვზე დადიოდა სეინერიო. დღელამე ზღვაზე იყო. მაინც შინ, ლოგინში მოკვდა საწყალი.

მე პირდაპირ მივედი, ორივეს ხელი ჩამოვართვი და რაზე მუსაიფობთ ახალგაზრდებო-მეთქი, ზერელედ ვკითხე. თენგოს ფერი ეცვალა, ეტყობა, შერცხვა, ეუხერხულა ჩემს წინაშე უცხოეთში მიმავალ გემზე, ქალთან ღლაბუცი. ახალგაზრდა მეზღვეურმა, ალბათ, ისიც კარგად იცის, რომ საფრთხილოდ მიჩნეულია შორეული ნაოსნობის საბჭოთა ხომალდებზე მომუშავე ქალებთან ნამეტანი სახალოვის ძიება. გემზე ხომ ყველანი ახალგაზრდა მამაკაცები არიან, ზოგჯერ თვეობით და შეიძლება წლითაც, შინდაუბრუნებელნი, წარმოიდგინე, რა დღეში იქნებიან. ახლა, ამ თითო-ოროლა ქალთან თითო-ოროლამ თუ დაიკავა საქმე, დანარჩენი რას იტყვის? შეიძლება ამის გამო გემზე, უსიამოვნების გარდა, გამოუსწორებელი რამეც მოხდეს.

მაგრამ, აჰ, ამ წუთას, თენგო და ზინა, ერთად რომ ვხედავთ, ორივეს, მეცა და ბოცმანსაც, მოგვწონს. ერთმანეთს შევნიან. ტანმალალი, ოდნავ მოხოშრო, პირგრძელი, ღონიანი თენგო და წელწერილი, ყელმალალი, შავთმიანი და მოცისფრო თვალებიანი ზინა.

— შეყვარებულნი ხართ. დღელამე

Handwritten notes and signatures at the bottom right of the page, including the name 'ბილოლი' and other illegible text.

ერთად არიან. ბიჭი ბიჭია, რას იზამ...

— კისკისებს ხალითი.

ვგრძნობ, თვალეში წამიერმა სევდამ დაიღო ბინა. მგონი ოღნავ ვიბნევი, მაგრამ უმაღვე მახსენდება, რომ გვერდით ხალითი დგას.

— კაი გოგოა, სხვათა შორის, — ვამბობ დამბულობის გასაფანტავად და ვატყობ, ხალითი მიხვდა, ზინას რომ თვალი გავაყოლე.

— გეშე მძიღებუღია, — იცინის ხალითი, — რომ კაი ქალი თუა, კაპიტნის ან პამპოლიტისა!

— კარგი ახლა, ხალით, მაგისი ხამი ვარ მე?! — გვეჭავრდი თითქმის.

— გეხუმრები...

— კარგი ბიჭი ჩანს. ხაბაზებს ბევრს ვიცნობ... ვისი ბიჭია, ნეტა? — დავინტერესდი რატომღაც.

— სხვათაშორის, მაგ ბიჭს არ უშვებდნენ საზღვარგარეთის რეისში. რატომ არ ვიცი, მაგრამ არ უშვებდნენ. — ამბობს ბოცმანი.

— მერე?

— მერე, ხომ იცი, რალაცნაირად ისე ჩაეწყო. ამბობენ, მამამისი კაი შშოვნელიაო.

— „შშოვნელი?“ რისი, კაცო? — გავიკვირვე.

— ფარის. ჰო, ჰო, ფულის.

— სად მუშაობს, იცი?

— ამბობენ, არსად არ მუშაობსო. ჩვენში ახლა, სამწუხაროდ, ბევრია ასეთი, არსად არ მუშაობს და ფული კი აქვს, — თანდათან გულახდილობს ხალითი.

თენგოს მოვეკარი თვალი ისევ და ხელით ვანიშნე, აქ მოდი-მეთქი. ახლა უკვე მარტოა, მაგრამ ჩემს წინაშე რომ ჩერდება, სახე მაინც ოღნავ უწითლდება.

— ვისი ხარ, ბიჭო, შენ? — უმაღვე ვეკითხები.

— ბაგრატიანა... მე თქვენ გიცნობთ, გულო ბიძია, ჩვენთან ბრძანდებოდით ერთხელ და გიცნობთ.

ჩაფიქრდი, რალაც მახსენდება. კი კი, მართლაც გამახსენდა ყველაფერი.

თენგო რომ წავიდა, ბოცმანს მივუბრუნდი:

— არაა ცუდი კაცო შენო! გაბეთის რედაქციიდან გამგზავნეს ერთხელ ხაბაზთან, ბარცხანაში. კარგი, ლამაზი და მოზრდილი სახლი აქვთ. უჩივლეს, საიდან ააშენა ასეთი სახლიო და გამგზავნეს დავალებით, რათა მამხილებელი სტატია დამეწერა. ვნახე, შევისწავლე და აღარ დავწერე... ჰო, აღარ დავწერე. იმის მერე რედაქტორი გადამეკიდა. ზმა დამიყარეს, ქრთამი აიღო და ამიტომ აღარ დავწერა ის დაგეგმილი წერილი გაბეთისათვისო. კაი ხანია გასული და გულახდილად გეტყვი: უბრალოდ, შევიბრალებ და არ დავწერე. დიახ, არ დავწერე. შენ არ იცნობ, ხალით, ბაგრატი უბრალო „შორი ნაოსნობის“ შოფერია, მეტი არაფერი. ზის ორვაგონიან „კოლხიდაზე“ და დადის რუსეთში. ცხოვრება გზაში გაუტარებია კაცს. მთელი სიკაბუჯე კი — ფრონტზე. რაც მე მაგისგან მოვისმინე იმ დღეს.. ბუდაპეშტში ერთი პირველთაგანი შეიკრა თურმე. მაშინ ქალაქი ჯერ ისევ ფაშისტებს ეკავათ. მხარში დაჭრეს, მალე მორჩა და ისევ წინა ხაზზე წავიდა. ბალატონის ტბის მიდამოებში, სადღაც, სოფელში მეორედ დაიჭრა. მეორე მხარში. ისევ მორჩა, მაგრამ ორივე მხარი ახლაც, დღესაც სტკივა ხნიერობაში, ხომ იცი, ნაჭრილობევიც გაგახსენებს თურმე თავს. შოფრობა კი მერე ისწავლა, შინდაბრუნებულმა.

ჰოდა, დაერჩი იმ ღამეს მასთან, ქედური ჩხავერი ჰქონდა, ისეთი, რომ მისი გემო ახლაც პირში მაქვს. ერთი სიტყვით, კაცური კაცია, მომეწონა და დასაწერი აღარ დავწერე. ვუთხარი, შეგარგოს ღმერთმა, იცხოვრე, გაიხარე-მეთქი. არ გიმაღავ, ხალით ჩემო, ასე იყო. აი, იმის ბიჭია ეს შენი თენგო ხაბაზი. ამიტომ ჩაფიქრდი ცოტა. კაი კაცის შვილია, არავის გადაეკიდოს ისეთს, რომ...

სალამოვდება, ქარი უფრო ცივდება. შინ შესვლა ჯობს.

დღეობა: 198... დეკემბერი.

გემის ფერდებზე შეხლილი ტალღების გაბმული თქრიალი ილუმინატორებიდან ისმის. მარცხნივ, მწუხრის ბინდუნდში, თვალებს აფახებრებს შორეული ლაზისტანის ფაცებიდან გამოშვებული კერის შუქი. გემის ჭიმზე რომ ზვირთები ეთქაშუნება, ის ხმა ძრავების გაბმულ ზუზუნს უერთდება, რაც ხომალდის მცირე რხევა-კორწილს ერწყმის და თავისი ხიბლით თანდათან გაიყრობს ეს მელოდია. იღვმალად მიხარია, რომ ზღვის ცხოვრებას ასე თუ ისე უკვე ვეთვისები. ვუშინაურდები.

მაგრამ იმ ღამეს ხალითის ნაამბობმა, მგონი, გუნება ცოტათი წამიხდინა. ეკიპაჟის ცხოვრებაში, იქიდან, ხმელეთის ცხოვრებიდან შემოპარულ და ფესვმოკიდებულ სიკვებზე მითხრა რაღაც.

რაც მართალია, მართალია, ადამიანი ყველგან ადამიანიაო. თავისი ცოდვამადლი ყველგან ახლავს. მაგრამ, გემი და ზღვა მგონი მაინც უფრო მეტად ვერ იტანს სიყალბეს, პირფერობას, ჭიშპობასა და ბოროტებას, ვიდრე ხმელეთიო.

მერე მიყვება:

— გლეხის გაპირვებული ოჯახიდან წამომყვა ეს ოხერი მომჭირნეობა და სიძუნწე. ბევრმა ამის გამო შემოიძულა კიდეც. ყველამ როდი იცის, ომის დროს პირდაპირ იმ ჩვენს აყვავებულ მთაგორიან თუ მანდარინებიან მიწაზე რომ გადიოდა ფრონტის ხაზი. ჰადი გათავდა, ლავაში აღარ ცხვებოდა, დედაჩემი მოხარულ ხაყერაში გამოფხეკილ ფაფას დაფქულ წიფლის ქერქს შეურედა და ამნაირად გამოგვიცხოვდა კერს. ერთ ტომარა კარტოფილში მამაჩემმა ბაბუსა მთერ ოდესღაც არტაანიდან მოტანილი ნოხი მისცა.

ზღვაში თევზი და ხამსაც გამოილია და ადამიანები საწყალ დელფინებს შეესივნენ. ბათუმის სასადილოებში, მახსოვს, დელფინის ხარჩოს შეხვდებოდი იმ დროს. რაფერი კაცი ვიქნებოდი დღეს მე, ხალითაი? ბოცმანი კი ვარ,

მარა გემის ქონება ჩემია, ჩემი დასაცველია, თუ არ მოვერეფე ვეფხურტახე, შეიძლება შუა ზღვაში დაგვრჩეთ. ქურდს ვერ შეიწყალებ. ბაგირის ნაწყვეტია თუ ტროსის ნაგლეჯი, ხისა და რკინის ხელსაწყოები, ფანრები, ლამპები, შუბები, სათადარიგო ფიცრები, საღებავები, ყველაფერი ჩაეკტილში მაქვს. ზოგ სათავსოს შინიდან წამოღებული ბოქლომი დავადე.

ბოცმანი ველარ ჩერდება, სულმოუთქმელად აგრძელებს:

— გემის სპორტდარბაზისათვის გადამალული ორი წყვილი ჩინური კეტები დაამრო ვილაცამ ფოთის პორტში დგომისას და ლიტრა ჰაჭაზე გაყიდა.

— მატროსმა ოლიფიანი მთელი კასრი ჩააგორა ტრაპზე, დღისით, მზისით. კარგი ლინოლეუმის ფიანდაბთა ნაჭრები, რაც კაიუტებში და შუა ტრაპებზე დასაგებადაა შენახული, უფროსმა თანაშემწემ სტუმრად მოსულ ახლომახლო კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებში გაასაჩქრა. კაიუტის კარებში რომ ჩატანებულია მონიკელებული საკეტები, ერთი ცალი შენც მომთხოვე, ხომ გახსოვს? კაპიტანმაც დამიძახა და მითხრა, მიეცი კაცო, ერთი საკეტი, რა მოხდაო, მაგრამ ვერ მოგვეცი. რაც გინდა მიყავი და თქვი ჩემზე.

აქ რაღაც სხვა რამე ახსენდება, თავს ჩაღუნავს და ახლა უკვე გამოდარებულსი სახით, მაგრამ მაინც უქმყოფილოდ აგრძელებს: — ფოთში ისე თხელია წყალი, რომ გემს კარგად ვერც დავტვირთავ, მეჩეჩზე დაქდება.

ასეც მოხდა, ამის დატვირთვის რომ შევედემქით, მაშინ, — გულო, თქვენ ჩერ არც იყავით მოსული!

ნავსაყუდელს როგორც კი მივყავნეთ ეს ჩვენი დალოცვილი გემი და თვრამეტმეტრიან ტრიუმფში მარჯანეცი დავძარიოთ, ესკავატორები დღე და ღამ არ გაჩერებულან. მესამე ღამეს კაპიტანი, ჩვენი საწყალი შალვა, გაღვიძეს და მოახსენეს, გემი რიყეზე დაქდა და გვერდზე გადაიხარაო. კაცი გადარეული წამოვარდა, დატვირთვა შეაჩერე-

ბინა, გემბანზე გაიჭრა, თვალთ შეატყო, — საქმე წამხდარიყო.

გამოითხოვა პორტის უფროსი, დაუქვავიშრდა სანაოსნოს და ნახევარი მადანი უქანვე გადმოაყრევინა. გემი წამოიწია, გასწორდა წელში, სული მოითქვა თითქოს და ჩვენც დავმშვიდდით.

რეიდზე გაგვიყვანეს. იქ მთელი ათი დღე ბარტებით ეზიდებოდნენ და ისე გეტვირთავდნენ. არა, ძიავ, არა, არ გვივარგა ნავსადგურები. ოცდაათ წელზე მეტია დავეხეტები ამ შავ ზღვაზე, გემმისადგომები როგორიც იყო, ისეთივე დარჩა.

ერთხანს იყუჩებს ხალითი და სარკმლიდან შორს იტყობება, იქ ნისლებია, ცა, უსასრულობა. უფრო ქვემოთ — დედამიწის ნაპირები. ყოველი ნაპირი კი ქვეყანას, ადამიანს, შენიანს, განვლილსა და გასავლელს გაგახსენებს.

ფიჭრებიდან გამორკვეული ბოცმანი აგრძელებს:

— უცნაური სევდა შემოპყრობს ხოლმე, ბოსფორსა და დარდანელს რომ გავდივარ. მე ერთი დაყანგული ბოცმანი ვარ, მაინც ბევრი რამ გამეგება.

ასე მგონია, ორი კონტინენტი ბაგეებით ერთმანეთს მიახლოვებია და ისე გაშეშებულია. მათი ამბორი მუდამ ყოველის გადამბუგველი და დამანგრეველი იყო.

ბოსფორი, ვიწროდ რომ გაჩრილა ევროპასა და აზიას შუა, ჩვენი ძველი ნაცნობია. მას, ალბათ, ჩვენც, საქართველოდან მოსულნი, კარგად ვახსოვართ. ე, მაშინ, ამ სრუტეში პირველად რომ შევდიოდი, მეგონა, ცისკრის ჩამოღვრილი წითელი შუქი ჩვენი წინაპრის სისხლია-მეთქი.

ისევ და ისევ გამახსენდებოდა ასჯერ გადატანილი ჩვენი უბედურება და გული სხვანაირად ამიძივძივდებოდა.

კი, — წარსული საშინელი გვაქვს, საცოდავები ვიყავით ჩვენ, სამხრეთ-დასავლეთის ქართველნი. უცხო რელიგიაც მიგვალბინეს, დედა-საქართველოსაც მოგვეწყვიტეს, დამპყრობიე კერაზე დაგვიჭდა.

კოროხიდან რიონზე მისვლამდე და იქითაც, ყველაფერი გარკვეულმან და გაჩანაგდა. კაი შესახედევ გოგო-ბიჭებს, ერთიმეორეზე თოკით გადამბულებს, ტყე-ტყე, ბილიკ-ბილიკ, ზღვის ბოლახთა ღიმანებში მოლოდინე ოსმალოვაჭართა ფელუკებისაკენ მიერეკებოდნენ.

იმ ტყეს და იმ გზაბაწრებს გადამთიელი ვერც გაიგნებდა. ალბათ, ჩვენებურებივე მიერეკებოდნენ ჩვენებურ გოგო-ბიჭებს გასაყიდად. ჩვენი უბედურებაც სწორედ ამაშია.

შემდეგ ამ სრუტეში გაატარებდნენ ტყვეებს.

ოცხალ საქონელს სტამბულის ბაზარზე გაასალებდნენ, მერე ეგვიპტელი ვაჭრები ქაიროში გაყიდდნენ.

გადამთიელებთან ნათრევ-ნამსახურნი, უკვე დავაყვაცებულნი, სულგამწვარებული მეომარ-მამელუკები, მერე ხმლებით მიაპობდნენ სივრცეებს, დაბერებულ, დაშინებულ, დაპყრობილ ეგვიპტეს ახალ პატრონად ევლინებოდნენ და მეზობლებს შიშის ზარსა სცემდნენ.

ახლანდელი ეგვიპტელები? სულ სხვანი არიან, ველარ იცნობ.

ალექსანდრიის პორტში ვიდევით ერთხელ და ღამით გემის მისაბმელი ასი მეტრის სიგრძის ბაგირი მოგვაჭრეს. კაპრონისა იყო თოკი და, ალბათ, საქსოვ ძაფად უნდოდათ. ქარი რომ ამოჭრილიყო, გემს წაიღებდა. შორიახლო მდგარ ბერძნის ტანკერს მიაჭყლედდა. ასი მეტრი მკლავის სიმსხო თოკი მოჭრეს ჭიბის დანით, დაახვიეს და ნავით გაათრიეს.

ღილით განგაში ავტრებთ.

მოვიდა პოლიციელი, ხელები ვაშალა, რა ექნათო. მოიბოდიშა. სამი ქილა ქლიავის მურაბაც მოგვთხოვა, აგვცანცლა და წავიდა. იმას პორტის აგენტი ახლდა, მაღალი, შავცხვირიანი, თავმოპარსული. სახელად მგონი მუჰამედი ერქვა.

იმანაც მოურიდებლად მოგვთხოვა მურაბა. მიეუბღდეთ.

მერე რომ ვინივლეთ თოკის გამო, იცით, რა გვითხრა?

— მამელუქმა რუსტამმა, იგი წარმოშობით გურჯისტანელი იყო, ეგვიპტეს უღალატა და დამპყრობელ ნაპოლეონს გაჰყვა. სიკვდილამდე უერთგულა იმას, ვინაც ეგვიპტე წააქცია. რუსტამი ხომ ქართველი იყო? — ისე მსჯელობდა, ვითომდა ბაგირი ბონაპარტესთან მამელუქ რუსტამის გადახვეწის გამო მოგვეპარეს.

— მაგრამ, მე, — თვალერემლიანი ყვება ხალითი, — მუჰაჯირთა ჯაგრი და სევედა უფრო მიიჯგინდა გულს. ეს უფრო მწვავე და ახლობელი იყო ჩემთვის. ეს ფიზიკურად უფრო ახლო შეხებია ჩემს სიცოცხლეს.

ასე შუაზე როგორ გაგლიჯა და დაფანტა ჩვენი ხალხი მტრობამ, პურობამ, ლალატმა, თვით მაჰმადმა?!

დღევანდელი კაცი ძნელად წარმოიდგენს ამას.

მაგრამ ყველაფერი ეს ჩემი და შენი სიცოცხლეა, იმათი, ჩვენთა წინაპართა სიცოცხლეა ეს ყველაფერი. ჰო, ჩვენი სიკვდილიც სიცოცხლე იყო.

ჩემი და შენი...

#### დღიურიდან. 198... დეკემბერი.

ლაბადანწამოსხმული თურქი ლოცმანი, ახალგაზრდა, ოდნავ ქერა ბიჭი, ფიცხლად ამოიჭრება გემბანზე და პირდაპირ კაპიტნის ხიდურისაკენ მიემართება. გვესალმება, საჭესთან დგება, რუსულად მოკლე განკარგულებებს იძლევა. ცდილობს ცოდნა და საქმისკაცობა გვაჩვენოს, სისწრაფე, სერიოზულობა, ქვევის სიზუსტე... მგონი, ოდნავ ამერიკულ მანერებსაა აყოლილი.

ბოსფორზე ახალგადადებულ ხიდქვეშ გავდივართ. ვალმა-გამოლმა სტამბოლის ყვითელ-წითელი ლამპიონები ნელა მიცურავენ უკან.

ბოცმანი გემის ცხვირზე, ბრამშპილთან დგას. ქარი ლაბადის კალთებს უფრიალებს.

ამ ქალაქში ყოფნა მახსენდება. მაშინ, პირველად...

პოტელის ჰოლში კედელზე ჩამოკი-

დებულ ტელეფონს ვუახლოვდები, ერთი იქაური ჩვენებურისააფერის უნდა დამერეკა.

გინგლინიშენს

ფოთოლაძე იყო იგი, აბდი ფოთოლაძე, შარშან ეწვია „დედო“-საქართველოს. მოიარა ნათესავთა სოფლები, მოინახულა პაპისპაათა ძველი ალაგები. ყოველი დღე-ღურდანის სახელი ზეპირად იცოდა აკვნიდანვე. თუმცა არასოდეს არ ენახა.

მეც ვნახე ბათუმში და მისამართი გადმომცა, — ვინ იცისო, მთა მთას ვერ შეხვდება, თვარა კაცი კაცს მუდამ შეიძლება შეხვდესო.

ტელეფონის ნომერი ერთგვარი შიშით და ყოყმანით ავკრიფე. როგორ მივმართო, რა ვკითხო? ჩვენებურად ველაპარაკო თუ? მაგრამ ამასობაში იქ, მეორე ბოლოში, უკვე აიღეს ყურმილი.

— პალოო?! — იფეთქა ხმამ.

— გამარჯობათ, გამარჯობათ! — ვჩქარობდი.

— გაგიმარჯოს! ვინ ხარ?... — ალერსიანი უცხო ხმა გაისმა. როცა გაიგო ვინ ელაპარაკებოდა, დაინტერესდა, სად გაჩერდით, შეიძლება თუ არა გნახოთო.

კი-მეთქი, ვუთხარი მეც.

გაზშირებული სუნთქვა მემსოდა; სუნთქვა მათბობდა, ნაცნობი სუნთქვა. ყურმილი დადუმდა.

მერე კი აბდი ჩვენთან მოვიდა სასტუმროში.

მაღალი, მოღიმარი, მოუსვენარი თვალებით, ეტყობოდა საქმიანი კაცი იყო. წუთის ტყუილა დაკარგვაც კი დაუშვებლად მიაჩნდა. შფოთავდა, ჩქარობდა, ერთ ალაგას ვერ ჩერდებოდა, იღიმებოდა წარა-მარა, უფრო ჩვენს გამო დელავდა ალბათ.

რამდენიმე ბოთლი „კოკა-კოლა“ ჩამოდგა. იოხუნჯა, ლენის სამშობლოდან მოსულებს ამ „ამერიკული ღრეწყლით“ გიმასპინძლებიო. მერე უცებ რაღაც გაიხსენა, ადგილიდან წამოიჭრა და კატეგორიულად განაცხადა: უნდა წამობრძანდეთ, ვახშამზე გაატყებო. უარის თქმა შეუფერებელი იქნებო-

და. თავი შინაურად ჩავთვალე, ჯგუფი გავიყოლიე.

გზად, სანაპიროზე, ათათურქის პროსპექტი რომ გავლიეთ, აბდიმ მომადლო ბორცვზე შემდგარი სასახლე დაგვანახა.

— ეს რუსის იმპერატორი ქალი რომ იყო, ეკატერინა, იმის აშენებულა.

ჯერ სულთანი რუსეთს არ ამღვედა თურმე საელჩოს შენობის დასადგმელ მიწას. მაგათ ოსმალეთის მიწაზე სახლს არ დავადგმევინებო. მაშინ იმპერატრიცას უბრძანებია, დატვირთეთ ხომალდები რუსული მიწით, ჩაიტანეთ კონსტანტინოპოლში, სანაპიროზე დაყარეთ და ამ მიწაზე დადგით საელჩოს შენობაო.

ასეც მოქცეულან...

ახლა ამ სახლში საბჭოთა საკონსულაო, — დაასრულა ამბავი აბდიმ.

ბოსფორთან, თევზის რესტორნის წინ შეეჩერდით, მხარბეჭიანი შეპატრონე, ხელგაშლილი შეეგება აბდის და შიგ შეგვიპატიყა.

— იაშარ ბეი, საქართველოდან მყავს სტუმრები და აბა თქვენ იცით, — მიმართა აბდიმ.

ვიდრე აბდი დანარჩენებთან საუბრობდა, რესტორნის პატრონი სამზარეულოდან მანიშნებდა, აქ შემოდით. შემიყვანა და იქ, მაცივარში მაჩვენა სხვადასხვა ჯიშის თევზი, რომელი უფრო მოეწონებოდა თქვენებსო. მე ბარაბული და კამბალა ავირჩიე. კარგით, თქვა იაშარმა.

მსხვილბეჭიანი, კისერდაძარღველი, მელოტი კაცი იყო იაშარი. თევზს რომ ვარჩევდი, თვალი გამექცა მაცივრის ზემოთ, კედელზე დაკიდებულ ფოტოსურათისაკენ და გავშტერდი. ფოტოზე პიტლერი იყო.

ფიურერი, ტრიბუნიდან ნახევრად გადმოწვდილი, ეტყობოდა, რომელიღაც სპორტსმენს მკერდზე მედალს უმაგრებდა.

— ეს მე ვარ... — მორიდებით თქვა იაშარმა. — ათას ცხრაას ოცდაათექვსმეტი წლის მსოფლიო ოლიმპიადის ჩემპიონი

ვარ კლასიკურ ჭიდაობაში ასე, იყო მაშინ, ის იყო მაშინ, — რეჟისორები რომ იყვნენ და მრავალმხარეობა ილიმა.

რა უნდა მეპასუხა: გამოვედი და მაგიდას მივუჭექე. აბდი მიხვდა, შეწუხდა, ყველაფერი ადრე მოათავა და სტუმრები თავის სახლში მიიწვია, ყავა დავლიოთო.

ქუჩას ქუჩა შეენაცვლა... მერე, ცის მუქ ფონზე შევნიშნეთ ლურჯი ნეონის წარწერა „ქოროზი“. ეს პაწა კინოთეატრიო, ახსნა აბდიმ, — ჩემი შშობლიური მდინარის სახელი დავარქვე. პირველი ფირი ქართული ფილმისა აქ დავატრიალეთ. „სალდათის ბაბაი“ იყო. რა ბარაქიანად აბიჯებდა ის დალოცვილი მახარაშვილი. ვუყურებდით ჩვენ, ბაბაი, ნენეი, თლათ შინავრები და სულ ვუტაშუნებდით და ვუტაშუნებდით. გვიან წამოვედით.

ეზოში უცებ ქალის შეკვივება და ტირილის ხმა ჩამესმა. აბდის შევატყვე, მუხლები მოეკვეთა, მანქანებამდე ველარ მიგვაცილა. გოგონამ მოიბრინა ამასობაში. ბაბაი ძალიან გონჯად შეიქნაო, მიახალა და უკანვე გაბრუნდა. მოხუცი მუჰაჯირი მემღეკეთიდან მოსულთა ნახვამ და უცაბედმა სიხარულმა გაათავა.

\* \* \*

მეორე დღეს ბურსაში ჩავიყვანეს. ბურსა, ბურსა...

სასტუმროსთან იქაური ქართველები შეკრებილიყვნენ და თავისიანებით დასახლებულ ერთ სოფელში გვეპატიყებოდნენ. უცნობ მაშიდას ჯერ კიდევ სტამბოლიდან მივწერე, მაგრამ როგორ ვიფიქრებდი თუ ყველაფერი ამიხდებოდა. თურმე ბარათი ადრესატს მისვლია. რალაცნაირ შიშს ავტანე. თითქმის ვკანკალებდი, ნუთუ ჩვენებურთა სოფლის ნახვა მალეულებს? მანქანაში, მძღოლის გვერდით რომ ვიჯექი, წინ, მოშორებით, ქუჩაზე გადამსვლელებს ვაკვირდებოდი. უცებ, იმდენ ხალხში გამოვარჩიე ლეჩაქიანი, მაღალი, წელ-

ში მოხრილი ქალი, დიდი ყავარჯნით ხელში. რატომღაც შხერა მასზე შემოჩერდა, ქალის მიხრა-მოხრა, ნაბიჯი, მთელი მოძრაობა მეცნაურა და ცხელმა ერთნატიელმა დამიარა. მანქანის კარი გავალე. ძირს ჩავედი, გაბრუნებული და ენაჩავარდნილი, იმ ქალის შესახვედრად გავემართე.

— მგონი მამიდაა, — ძლივს ვთქვი ვილაყის გასაგონად.

წელში მოხრილი, ფართხუნა კებით, მხრებზე ლეჩაქგადადებული, დაღლილი დედაბერი, ყავარჯნის რაკუნით მომახლოვდა.

გამოხედვა, სევდიანი, ბინდებში ჩაძირული, შორეული, დაკარგული და თან ასე ნაცნობი, სხივიანი, ახლობელი, მშობლიური! ეს მოძრაობა, ნაბიჯის გადადგმა, ყველაფერი მეცნო, ყველაფერი გვარს, სისხლს, გენს თავის ძაფეში არ დაწყვეტია. პაპისეული, მამისეული, ბიძისეული ხმა, ღიმილი მეცნო, კი, მეცნო!

მოხუცი ქალი მძიმედ სუნთქავდა. ლელავდა, ყავარჯნზე ხელი მალა ჩაველო. წელში გაჭირვებით გამართულიყო. ახლოდან შემომცქეროდა გაოგნებული.

— შენ ხარ, ჭოვ? — კანკალით მკითხა.

— ჰო, მე ვარ... — ჩავეხვიეთ ერთმანეთს და ავქვიითინდით.

ეს არ იყო მონატრებული ადამიანების შეხვედრა. ეს ორი დროის შეხვედრა იყო. წარსულისა და დღევანდელის, დაკარგულის და ნახულის, იმედისა და უიმედობის, მორჩენილი და მოურჩენელი ტკივილების შეხვედრა!

მალაფარდოვნებაა?!

ეს არაა სიტყვის ბრჭყვიალი.

ეს ცრემლის ცქრიალია!

იმ წუთს წარმოუდგენლად შეზიზღებოდა ყოველგვარი მალაფარდოვნება.

„დრო“ და „ადამიანი“ ჩემთვის ორი დამწუხრებული გულის თუ ორი გახარებული გულის ერთად ძვერად ისახებოდა.

ხომ ჩემიანების სიარულის მანერას

მივამსგავსე იმწუთშივე მამიდას სიარული? ჩახტებებისა სუნეცე...  
 შინაგონი

კისრიდან, თმებიდან, რალაც ბავშვობისდროინდელი სითბოსა და ალერსის მომტანი მხურვალე ჰაერი ვიყნოსე.

ეს მამის, ყანიდან მოსული დაღლილი მამის, ალერსის სუნი იყო.

აი ეს ქალი — ასე, ჩემი მამიდა!

— ჭოვ, — მითხრა ხმის კანკალით ასე მამიდამ, — რაცხაფერ წემიყვიით და იქ, მემლექეთში, ნენე-ბაბაის გვერდით ჩამფალით მიწაში.

ჩვენს მიწაში ჩამფალით, აღარ შემიძლია. ხედავ? აღარ შემიძლია გამიშრა სისხლი.

ამომძვრეს უნდა სული.

მიშველეთ! გეხვეწები!

იგი ტიროდა, მაგრამ თვალთავანცრემლი არ ჩამოდიოდა. ცრემლი გაშრობოდა. თავადაც გამშრალი, ხმელი, უფერული, უსიცოცხლო იყო თითქოს.

იგი ქვითინებდა. თან თუთუნს ახვევდა ქალაღღში. ცეცხლს უკიდებდა ლაფერფლს პირდაპირ ხელისგულზე იბერტყავდა. ხელისგული ცეცხლს არ გრძნობდა. დანაოკებული, გაუხეშებული, გაშავებული იყო.

იგი ქვითინებდა, მხრები უთრთოდა, ძირს, საღაც, დედამიწის თუ ბედისწერის სიღრმეებში იცქირებოდა.

არაფერს აღარ ამბობდა. ისე, უხიოდ ქვითინებდა.

მერე მე მომიბრუნდა:

— მინდა მარტოს გითხრა... — თქული მოავლო ირგვლივ მყოფთ და, როცა დარწმუნდა არავინ მისმენსო, თითქმის ჩურჩულით განაგრძო.

— სიმართლის თქმა შეგიძლია, ჭოვ? აქ ამბობენ, იქ სიმართლის თქმა არავის შეუძლიაო. რა დაგემართენ, რა გკირან, ერთი მითხარი. რაფრათ ხდება. გაჭირვებული ხარ და კარგათ ვარო ამბობთ: რა ვიცი, აქ ასე მითხრეს თქვენზე.

— არაა ასე! — დავამშვიდე მე.

— ვიცი, ვიცი! არც აქ შეგიძლია მ-

რთალი თქვა. მარა ჩემთვის ყველაზე დიდი ზარალი ისაა, რუმ შენ დაგინაზე, ჰოვ. აქ, ჩვენ, თქვენებურები, ძალვან ბევრი კარქათ ვართ, იცი? თურქი შორიდებით და პატივით უყურებს ჩვენებურს, თლათ გულგონჯი არ არის, თურქი გულლია, გულსეფდინა, გულნაკლულია. მარა... ჩემი და მისი გულნაკლულობა ერთნაირია? ჩვენ ცოტაი ვიყავით და თლათ დაეცოტავდით. ამ ცალცალკეობით თლათ გავგარეულდით და დავეკარქეთ ერთმანეთს. ერთიმეორის ველარ ვხედავთ, ველარ ვგრძნობთ. ბაშ-მემლექეთის მიღეთი მაინც თქვენ ხართ.

თქვენ ხართ ბაში-ქართველები, თქვეხს ვიხეტალე, ვეთრიე, ვეძებე და აქ მუჰაჯარ ქმიშვილებს მივაცვლიე. ჰო, მთელი სიცოცხლე იმათ ვეძებდი, ხეობებით დახერგილ უჩრუმებში გაუჟაფავთ ტყე და გაუშენებიათ სოფელი... სულ ზეგნის აჭარა გეგონება.

წაბლის, მუხის, იფნის, რცხილის, ცაცხვის, თელის, წიფლის, ფიჭვის ხეები. ტყეში მარქვალი სოკოები, მარწყვი, ზღმარტლი, დათვასხალა, მოცვი. სწორედ ის, რაც თქვენთანაა. ხის ყავრიანი სახლები. ტურაბელელა, წისქვილები ღურნეებით, ღარებით, სიმინდით, ჭადით.

ბოსტანში — ლობიო, კეჭერა, ხაბი, ქინძი, მაკილო, რეჰანი, პიტნა.

— ბუხარზე — აპოხტები, კერჩხი, ქვაბები, კარდლები, კაპუნები, კეცები, საცრები, ტაფები, ტაბლები, გობები, ჯამები, ციხეები, კოდები, ნაოთხალები, კაბიწები, ცხრილები, ქოთნები, დოკები, რძის სარეკელები, ჩილდა, კეჭრი, უღელი და...

იცი სოფელს რა ჰქვია? დიდაჭარა! გამახსენდა რატომღაც: „ქართლის ცხოვრებიდან“... და აღაშენეს ეკლესია ქუეყანასა დიდაჭარასა“... პირველი ეკლესია, პირველმა ქრისტიანებმა სწორედ აჭარაში ააგეს, მეოთხე საუკუნე იყო ეს. ათას ორასი წლის მანძილზე იყვნენ პირველი ქრისტიანები, მერე — ისლამი.

ახლა კი, აი, ნახეთ. ისლამმა დედულ-მამული გამოუცვალა ხალხს, წამოშალა ციხეები, კი?

მაშილას ბაგეები ლოცვასავით რაღაცას ჩურჩულებდნენ.

და ერთხელ კიდევ დადგა ჩვენი განშორების ქამი. ის გვიცქეროდა, ის შემყურებდა მე. მე ვიყავი მისთვის სამშობლო. ის დარჩა, დაშორავდა, დაპატარავდა, დაილია.

მისთვის რა უნდა მეთქვა იმედად, ხელსა ვუწველი მარტოღ დარჩენილს... ბურსას გადაღმა, ველზე ხე იღმა, მოხრილი, როგორც მამიდაჩემი.

უძველესი ზეთისხილის ტყეები, ბორცვები, ხეები, გზები, სადაც გადაუვლია მაკედონელს, რომის იმპერატორებს, ბიზანტიას. ზეითუნის ხეები კი ისევ ისხამენ, ისევ დგანან, ისევ არხევენ მრეშ რტოებს ნიავის შეხებისას.

არ მიტაცებს ეს სივრცეები, ეს სიძველენი. მე ჩემიანების დარდი ძკლავს, იმათი სისხლი, ამ მიწაში რომ ჩაიქცა ჩაითესა.

არც იმ ხეებს ვითვლი, არც იმათი ნაყოფი მინდა.

მაგრამ მოგონებაში ისევ ცოცხლდებიან სახეები მკედრეთით აღმდგარი ნათესავეებისა.

ისინი დამდევენ, არ მასვენებენ, სულ მგეითხებიან ერთსა და იმავეს. მგეითხებიან თვალში ცრემლმოწოლილი:

— ერთი მითხარი, როგორაა ახლა ჩემი მემლექეთი?

მითხარ, როგორაა მემლექეთი,

ჩემი სანატრელი საქართველო,

რამე იმნაირი გამოგონე —

გული დაყოილი გავამრთელო.

ვჩურჩულებდი მეც ამ სიტყვებს ლოცვასავით და იმ შორეულ, დაკარგულ თვალებს ვხედავდი.

შენ კი, მემლექეთო, შეიძლება კარგად არცკი იცი, რამდენი ტკივილიანი და ფიქრიანი მამულიშვილი გნატრობს შენ.

ვინ ხარ ასეთი, საქართველოვ?

რა ენა გაქვს ასეთი, რომ ხუთასი წლის მანძილზე შენს ჭეჭეს მოწყვე-

ტილიც ვერ იფიწყებს და დარდისა და სიხარულის ეამს ისევ შენი სიტყვის მზით გაისინათლებს სულს, გულს, თვალებს, სახეს.

იქნებ მაშიდა, შინ თუ მეჩეთში, იმიტომ ემუდარება ალაპს, დამიფარეო, რომ სხვა პატრონი ქვეყნად არ ეგულდება. ისევ ალაპს ეხვეწება, მამყოფე, გამჩენო, ჩემ ხალხთან ერთადო. მაღირსე შემღვქეთის მიწაში განსვენებაო.

ახლა ერთმანეთს დავეძებთ და ვითვლით რამდენი ვართ და შენს პატრონობაში ერთმანეთს ვეცილებით.

ამინ! ოღონდ შენ იყავი და ჩვენ, შენი მიმოფანტული შვილნი, როგორმე ისევ ერთად შევიყრებით და შოგივლით, დედა-სამშობლოვ!

ქვეყნებიც აღამიანებს გვანან. ზოგჯერ დიდი წყენა-ტკივილი, მეზობელმა რომ მოგაყენა, არ გავიწყდება.

თაობიდან თაობაში გადადის.

**დღიურიდან: 198... დეკემბერი.**

ცოფიანი ხმელთაშუა ზღვა ბორგავს. თავთეთრა ზვირთებით ეხეთქება გემის კედლებს. გემბანზე ვარ. მარჯვნივ, ბნელ სივრცეში, სინათლეები ჰინჭკვალობენ.

იქ კუნძული სიცილიაა. მარცხნივ, უფრო შორს, უფრო მეჩხერი სინათლეებით რომ კიაფობს, აფრიკის ნაპირია.

ვფიქრობ: იქ, სადაც, ოდესღაც კართაგენი იყო, აქეთ კი — რომი! რატომღაც სხვანაირად მიყვარს კართაგენი. მგონი მებრალემა კიდევ. დაღუპული, განადგურებული, პირისაგან მიწისა აღკვილი, მაგრამ ადამის მოდგმათა მესხიერებაში ისევ ისე მბუუტავი. ჩემი დედა-სამშობლოს ბედიც მისას არა ჰგავს? მაგრამ, როგორ გადარჩი შენ, ჩემო მშობელო მიწავ და ხალხო? ბედს ვუშალოდე თუ შენს უკვდავ ძალას? შენ ჩემი იმედის ძლივსგადარჩენილი კართაგენი ხარ. აი, მინდა დაგიჩოქო და გემთხვიო მწვანე ბალახიან კალთაზე და შენი ხის დიდი, დამარღული ფოთოლი შეუბლზე დავიფინო.

**დღიურიდან: 198... დეკემბერი.**  
გემი ჰიბრალტარს უახლოვდება. არის რალაც უცნაურად ამაშავლებელი და იშვიათი იმ განწყობილებაში, რომელსაც დედამიწის ყველაზე ცნობილი ადგილის ნახვა იწვევს.

ბოცმანის კაიუტაში შეედივარ და კედელში ჩატანებული კამოდის ქვეშა უჯრიდან, სადაც გამოცილებიას მართოს მიერ ფაქიზად ჩალაგებული თეთრეული ეწყო, ხალითი რამდენიმე რვეულს იღებს. და გაუბედავად მაწვდის.

ტელევიზორს ვრთავ. ჩვენი აპარატები უცხოურად გადაცემების გამოსახულებებს იჭერს, ხმას კი ვერა.

ესპანური ტელევიზია ფეხბურთის რეპორტაჟს გადასცემს. ხასხასა ბალახს ეხედავ და ვგრძნობ, მინდა, ძალიან მინდა ხელი შევახო, ფოთოლი ბალახისა თითებში გავსრისო და დავყნოსო. ხმელეთის ჰაერიც მომეფინა ვითომ.

ხალითი გვერდით მომიჯდა. მეუბნება: ოთხი წლის წინათ აქ დავიჭირე ტელეგადაცემა. მადრიდის ერთი დიდი კათოლიკური ტაძარი. ესპანეთის მოკლული პრემიერ-მინისტრის ნეშტი ასვენია. სამგლოვიარო ცერემონიას გადასცემენ, ცხედრის წინაშე დგას ფრანკო. თავდახრილი დგას, შავ კოსტიუმში გამოწყობილი. თვალებს აფახურებს. რას ფიქრობს ბებერი კაუდილიო ამ წუთში? ვინ იცის.

მკვლევობა თურმე ბასკებს დააბრალებს.

ბასკებზე დიდი ხანია ვაჯავრებულია „ცისფერი გენერალი“. აჰ, ბოდიში, — გენერალისიშუსი!

საკუთარ ხალხს მოუგო ომი და ამისათვის უმაღლესი სამხედრო წოდება მიიღო. საკუთარ ხალხთან ომების მოგებით ბევრმა „უკვდავყო“ სახელი ჩვენს მაღალგანათლებულ დროში. ამის მაგალითები, იცოცხლეთ, ბლომად გვაქვს, — ასკენის ხალითი.

\*\*\*

კაპიტანი შალვა შემოდის, უმაღვე სავარძელში ეშვება.

უკმაყოფილოა და დაღლილი.

არ მომწონს მის სახეზე ნაღველი. თავადაც შემატუო, რომ არ მომწონს. კაპიტნის დანახვაზე ვერცეი შევნიშნე ისე წავიდა ხალითი.

— კაი ამბებია. — მამშვიდებს კაპიტანი, — ლას-პალმასში შევალთ. აი, სანაოსნოდან რადიოდებეშა მოვიდა. როგორც იქნა, გაიმეტეს ჩვენთვის ლას-პალმასი. საწვავი და სურსათი სინგაპურამდე არ გვეყოფა, ამიტომ ორი დღეა პირდაპირ დებეშებით დავბომბე სანაოსნო, ნება დავგვრთეთ, ლას-პალმასში მივიღოთ საჭირო პროდუქტები და საწვავი-მეთქი, თანაც ლას-პალმასი, ხომ იცი. რაა? ბიჭები ცოტა რამეებს შეიძენენ. ჯინსებით შეიმოსებიაან. იაპონური მაგნიტოფონებიც ბლომდაა, თანაც შედარებით იაფი.

თავიდანვე, სუეცის გადაკეტვის გამო, ეგვიპტე-ისრაელის ომმა რომ გამოიწვია, იძულებული ვიყავით ჰობრალტარით აფრიკის მთელი კოხტიხეხტი შემოგვევლო. ეს ამბავი, ნაწილობრივ, ახლაც ვრძელდება. იქ, კეიპტაუნში, ეტრ შევალთ, არა გვაქვს არავითარი ურთიერთობა სამხრეთ აფრიკის კავშირთან. ამიტომ კანარის კუნძულებზე უნდა ჩავუშვათ ლუზა. აქ ერთი ესპანური სავაჭრო ფირმა წლის ყოველ დროში ახალი მწვანლით ვაჭრობს. ბოსტნეული და ხილიც ბლომდაა, მაგრამ შენ გგონია ეს ყველაფერი აქ, ამ სამხრეთულ კუნძულებზე მოდის? არა.

ახალი ბოსტნეული ისლანდიიდან ჩამოაქვთ. დიახ-დიახ, ისლანდიაში, ცხელი გეიზერების ქვეყანაში, მთელი წლის მანძილზე მოყავთ კიტრი, პამიდორი, სხვა ბოსტნეული, რაც ძალიან იაფი ჯდება. ამიტომ ესპანელი ვაჭარი თვითმფრინავებით გადმოზიდულ ბოსტნეულს აქ, კანარებზე, ორმაგად ყიდის. თუმცა ეს ფასი, საშუალო ევროპულ ფასებთან შედარებით, მაინც ხელსაყრელია ჩვენი სანაოსნოსათვის.

შალვამ, ჰობრალტარიდან რომ გავიდა, რადიოდებეშით ლას-პალმასელ ვაჭრებს ძალიან ბევრი მწვანლილი შეუქ-

ვეთა. სინგაპურამდე მიწაზე ვერ გავალთ, სიმწვანე მოგვენატრება.

დღიურიდან: 198... დეკემბერი.

ლას-პალმასის რეიდზე პროდუქტებით დატვირთული კატერი გვიახლოვდება. ბიჭებმა ტრაპი ჩაუშვეს. ბანზე ახალგაზრდა შიშანდლერი ამორობს. ნეტავი რად იცინის? თანმზღლებთ ეძახის, ამოზიდეთო ყუთები. პირველი, რასაც კითხულობს, სადაურები ხართო. ქართველებიო, ჩასძახებს შალვა. ამაზე შიშანდლერი, რატომღაც უფრო ხმა-მალა ხარხარებს.

მიკერს, რა ხდება. რას დაგვეცინის, რას ხეიხინებს, ხომ არავინ იცნო? მერე, წამით, სადაც მხსიერებაში გაივლევებს ხალითის რვეულში წაკითხული ამბავი ბასკებზე. ესეც ბასკი ხომ არაა?

უცნაური რალაციები ხდება. რა იცი, იქნება თავისიანებად ან, უბრალოდ შეჩვეულებათ გვთვლის, ან აქ მუშაობისას, სხვა გემებზე, გაიცნო ჩვენებური კაცის ხასიათი და გაგვიშინაურდა. არა, კაი ბიჭია ეს ოხერი. ისე იქცევა, გეგონება ბავშვობიდან ერთად ვიზრდებოდით.

— მივხვდი, ქართველები იქნებოდით. აბა ამდენ მწვანლის სხვა ვინ ჰამს. ჩვენც გვიყვარს მწვანლი. დავყრით ხოლმე სუფრაზე და ვბალახობთ, მე ბასკი ვარ... — და კვლავ კისკისებს. დიდრონი თეთრი კბილები შერცხლის ფრთასავით გადაქნეული შავი უღვაშის ქვეშიდან გამოანათებს ხოლმე, ხო-შორი შავი წარბები გიზგიზა თვალებს გადავლებია. ბიჭი ღონიერი და ხალი-სიანი. ყუთებს გემბანზე თავად აწყობს. კაპიტანს მალულად რალაცის ეკითხება.

კითხულობს, რანაირი საჩუქრები მოგართვით, რა უფრო გირჩევნიათო, საქონელი თუ ფული.

შალვა გვერდზე მიხმობს.

— ჰო, ფირმა კარგ მუშტარს, პროდუქტი თუ ბლომად შეისყიდა, დამატებით ასაჩუქრებს სუვენიერებით და რალაციებით, ხანდახან ფულითაც. ჩვენ წესით, ეს საჩუქრად მიღებული რამე-

ები სანაოსნოს უნდა ჩაებაროთ, — ასკენის კაპიტანი.

— რატომ? — ვკითხე მე. — ეს ხომ შეძენილი საქონლის ღირებულებაში არ შედის? ეს ხომ ეკიბაფის კუთვნილებაა? მე, როგორც პირველი თანაშემწე, მოვითხოვ საჩუქრები მებრუნებებს გაუენაწილოთ. ხანგრძლივ რეისში მივიღივართ, გვეკუთვნის.

მალე საღეჭი რეზინები, ფანქრები, რალაც კრელ-კრულები, სიგარეტები და მომავალი წლის მშვენიერი კალენდრები, ლამაზი, ნახევრადმშველი ქალების სურათები, დალაგდა კაიუტებში. მერე, მთის ძირას გასროლილ ქათქათა ქუჩებს ავედევნეთ. მყუდრო, სუფთა, ეშხიანი ქალაქია.

პატარ-პატარა სავაჭრო დუქნებში სამხრეთ აფრიკიდან გამოქცეული ინდოელი ჩალიჩობენ.

აგერ ერთი მალაზია რატომღაც შავი შუშებითაა გაწყობილი. გარეთ სიცხე, შიგნით სიგრილე. პატრონი დახლზე ზის. ჩიჩვირჩაშავებული სამხრეთაფრიკელი ინდოელი. ჩვენს ქართულს მოკრა ყური, უცებ წამოხტა, მოგვიბრუნდა.

— რა კინდა? მოკიტან. ფული არა; ნისია, ნისია.

— ნისია სხვისია, — ვუთხარი მე.

— ა? ა? — ველარ გაიგო.

— სუეცი თუ გაიხსნა, ესენი წითელი ზღვის სანაპიროზე გადაბარგდებიან, — მეუბნება შალვა კაპიტანი, გეშე რომ ავდივართ.

აქედან ისევ გავცქერი თეთრი ქალაქის ირგვლივ შემომსხდარ ტიტველ მთა-გორებს. ერთ გორაკზე „სანტა-მარია“ ამოვიკითხე. სახლისოდენა ასოები დაუყენებიათ კლდის წვეროებზე. ქვემოთ, ფერდობებზე სხვა სარეკლამო წარწერები ელვარებენ, საღაჯ გვიწვევენ, რალაცებს გვთავაზობენ, გვიკეკლუცებიათ, გვაცდუნებენ, მაგრამ ჩვენი გემი სუნთქვას უმატებს.

ლიმანს ადუღებს ვებერთელა ხრახხნი.

შე გადახრილა დასავლეთისკენ. გე-

მი ზანზარებს, ბორგავს, — ოკეანეში გასვლა ეჩქარება თითქოს. ასეთ წუთებში ბოცმანი ყველაზე მეტად დაკავებული. ხალითი ყველაფერს თავის დროზე, მშვიდად, ლაღად ახერხებს. თავისას მოითავებს, ჩემთან შემოივლის.

— ახალ წელს ალბათ ევატორზე შევხვდებით. გინახავს ნებტუნის ზემი? ერთად მოვაწყობთ, ერთად. შენ, როგორც ახალბედს, მეტი წვალბა მოგიწევს, — უღვაშებიდან ზღვის წვეთებს ხელით იბერტყავს, — აღარ ჯდება, რადგან ხედავს, საწერ მაგიდას ვუზივარ. ხალითი რომ მიდის, საბოძოდო ჟურნალს ვიღებ და კაიუტკამპანისაკენ მივდივარ. საქაროა გავსინჯო, ხომ ყველა დაბარუნდა ქალაქიდან?

კაპიტანი ხილურზეა, ძიჯძივებს სამანქანო განყოფილება. მირიან გლასი, უფროსი მექანიკოსი, ჩვეული გულგრილობით და რალაცნაირი, დუნე, ვამალიზიანებელი სიდინჯით შედის სამანქანოში. სამანქანოს კარი ღიაა, ამიტომ ხმაური უფრო მძაფრად მოისმის.

გლასი ოდესელია, გამოცდილი მექანიკოსია. თითქოს უწყინარი კაცია მაგრამ კაპიტანს ხშირად ეკამათება, ედავება, თავისას იჩემებს ყველაფერში. მანქანაზე პასუხს მე ვაგებო, მაკალეთ ვიმუშაო ჩემებურადო... კაპიტანს უნდა გემის სიჩქარე ოდნავ გაზარდოს, უფროსი მექანიკოსი კი წინააღმდეგია. „მხატვარი“ ახალია, მანქანების გადატვირთვა ამსიგრძე გზაზე საშიშია. მერე, შუა ოკეანეში, საღაჯ რომ გავგიფუჭდეს? უნდა გავაჩეროთ. თავიდანვე სიფრთხილე ჯობიაო. ვერ გამტყუნებ, თუმცა პოლონელი გარანტიის ინჟინერი სხვანაირად მსჯელობს. იგი ფიქრობს, გემი ყველა ვითარებაში უნდა გამოიყადოს, რომ მისი მანევრირების შესაძლებლობანი დავადგინოთო.

გარე ტრაპი ჭერ არ ამოუწყევიათ, დაგვიანებული ბიჭებიც, აი, ბრუნდებიან. ზოგს რალაც შეხვეული ილღიაში ამოუჩრია, ზოგს კრელი ცელოფ-

ნის ჩანთები უჭირავთ ხელში და ამორბიან, ამორბიან.

დღეს ჩემი პირველი გამოცდა იყო, საზღვარგარეთის სანავსადგურო ქალაქში ჩვენი მეზღვაურების გაშვებისა. ამ პროცედურის სწორად ჩატარება მე მაკისრია.

ქალაქში გასვლის წინ მესამე თანაშემწე, რომელსაც ფინანსური საქმეც აქვს მინდობილი, ხელფასებს ურიგებს ბიჭებს.

და, აი, ბიჭები პატარ-პატარა ნავაჭრი რამე-რუმეებით ბრუნდებიან.

თითქმის ყველა პასპორტი ხელთა მაქვს. აი, გემმაც ხარვეით დაიზმუვლა. გემბანზე გავდივარ, ვხედავ, დიდი ტრაპიკ თავისით, ნელა მალდა ამოდის. ესპანელთა კატერი, რომელმაც ჩვენი ბიჭები მოიყვანა, ჭერ კიდევ არ წასულა, დაბლა ტორტმანობს.

ნავსადგურის მომსახურენი კეთილი ღიმილით, ხელისქნევით გვემშვიდობებიან. კატერმა ააფუხფუხა თავისი პატარა ძრავა, წელი მოიქნია და ნაპირისაკენ გასრიალდა ზვირთებში.

„მხატვარიც“ დაიძრა, პირი სამხრეთისაკენ იბრუნა და, შებინდებულზე, კანარის კუნძულები რომ თავის სანათურებს უკვე შორს ყვითლად აკაშკაშებენ, ჩვენი კურსით, მთელი ძალით ატლანტიკას მივარღვევთ.

არ ვიცი, ვთქვი თუ არა, გემზე კაპიტნის დუბლიორი გვყავს, ესაა არკადი ფერაძე. იგი წინათ ტანკერზე კაპიტნობდა. დაცურავდა აფრიკისა და ხმელთაშუა ზღვის აუზის ნავსადგურებში. ბათუმიდან ნავთობპროდუქტებს ეზიდებოდა.

ამ გასულ ზაფხულს, შვებულებაში მყოფი რატომღაც გადააყენეს და, სანაოსნოში რომ დაბრუნდა, დამოუკიდებელი სამუშაო აღარ მისცეს. აქ, „მხატვარზე“ გამეწიეს. რობროხა, ხმაურიანი და მოუსვენარი კაცია. დუბლიორი უსაქმურობამ სულ გააღალა და მასხარად აქცია. არკადი ოდნავ ჩავვისუქდა. უცნაური რამაა, — პირველად რომ ვნახე, ქოჩრიანი დავიხსოვე, ახლა თი-

თქმის გამელოტებულია. წვერს აღარ იპარსავს, — ვისთვის, რისთვის... ეს ერთი საქმეც მოიშორა. კაპიტნის საქმეში როყო ჩარევა იცის, შალვა ჭავრობს, ნერვილობს.

საბუთებს თავთავის ალაგას ვაწყობ და. ჩემდა საუბედუროდ, ვამჩნევ, — ერთი პასპორტი არ ჩანს.

შევწუხდი, და შევშინდი, მაგრამ გულს ვიმშვიდებ: ყოვლად წარმოუდგენელია გაუგებრობა მოხდეს, ალბათ ვილაცას უბრალოდ დაავიწყდა პასპორტის დაბრუნება. ახლავე მოიტანს, ახლავე. მოიცა, ჭერ ვნახოთ, ვინაა ასეთი ბიჭი. ჩაცეკერი ქურნალში და ვეძებ, ვამოწმებ ხელმოწერებს. აჰა, აგერ, მართლაც ხელმოწერელია ერთი ადგილი მარჯვნივ, კუთხეში. საჩქაროდ ხაზს თვალი მარცხნივ ვავაყოლე, ვკითხულობ გვარს: ხაბაზი თენგიზ ბაგრატიძე:

ელდანაცემი ვეძებ, ვინ იყო ამ ჭგუფის ხელმძღვანელი. არკადი ფერაძე?! მწარე წინათგრძნობა ცეცხლივით მედბა. გავრბივარ არკადის კაიუტისაკენ. არა, არა! ყოვლად შეუძლებელია, ბაგრატიის ბიჭი... აჰ, ღმერთმა ნუ ქნას! არა მგონია ასეთი სისულელე ჩაიდინოს თენგიზ ხაბაზმა.

არკადის კაიუტის კარს ისე ვაღებ, არც ვაკაუნებ. ოკეანის საღამურ შტილში გემი ისე ირყევა, თავს ველარ ვიკავენ, კედელში ჩატანებულ თაროს მსუბუქად ვეჭახები. არკადი ჭერ შინ არც კი შესულა. სწრაფად ისევ უკან გამოვრბივარ და ლიფტით ბოლო საოთელისკენ მივისწრაფი. აქ კაპიტნის ხილურია. ორივე კაპიტანი და მორიგე შტურმანი, აგრეთვე, მევახტე მეზღვაური, აქ არიან.

ჩემი მოსვლა არავის გაუგია. უკან არც კი მოუხედავთ. მევახტე ბიჭი საქესთან დგას. უფრო ფორმალურად დგას, რადგანაც მართვა მგონი ავტომატურზეა გადაყვანილი.

კაპიტანი ჩემსკენ არც შემობრუნებულა, ისე, თავისთვის კითხულობს:

— ეს გულოა? აბა, პირველო თანა-

შემწევ, მოგვახსენეთ, პირველი საზღვარგარეთული ნავსადგურიდან რა განწყობილებით გავდივართ.

— ვაი და უი ასეთ განწყობილებას! — ვამბობ გულში.

თანაც ცუდად მენიშნა კაპიტნის ასეთი შეკითხვა. ალბათ იცის ყველაფერი.

— რავე გაჩუმებულხართ, რა დაგეშართათ კაცო? — მობრუნებულს კეთილი, უწყინარი ღიმილი შევნიშნე. გულზე მომეშვა. კაპიტანი კაი ხასიათზეა!

— რა მოხდა მართლა, ა? — მაინც ჩამეძია.

— არა, არაფერი... — წამომცდა პირველი ტყუილი „მხატვარზე“.

არკადი ამ დროს მევახტესთახ შიღის და რალაც მითითებებს აძლევს, ამას ქვეშ-ქვეშ უპერეტს შალვა და, ვგრძნობ, არ მოსწონს. აქ კაპიტანი თავადაა, ვერაინ ჩაერევა. ვახტიორიც გრძნობს შალვას მრისხანე მზერას და ხელის აქნევით იცილებს დუბლიორს.

ბოლოს, არკადი რომ აქეთ შემოტრიალდა, თვალთ ვანიშნე ქვემოთ ჩავიღეთ-მეთქი. ვიცი, იფიქრებს ჭადრაკის სათამაშოდ შეძახისო. ეს რამდენიმე დღეა ასეა, გემს კურსზე დააყენებენ, მევახტეებს გააშწესებენ, მართვას ავტომატზე ჩართავენ და ყველაზე ერთგვარად მოეშვებიან. იწყება სეირნობა, კაიუტებში ურთიერთსტუმრობა, კაიუტკამპანიაში თავმოყრა.

შიგა ტრაპზე ვეშვები. ამასობაში არკადი დამეწია.

— კაცო, არკადი, სადაა ხაბაზის პასპორტი? იგი შენს ჭგუფში იყო... მგონი თავადაც არ ჩანს, თუ კაცი ხარ, გავარკვიოთ რაშია საქმე. რალაცა არ მომწონს მე ეს ამბავი. ძალიან არ მომწონს.

არკადისკენ არ ვიყურები, ისე კი ვგრძნობ დუბლიორის შანთივით მზურვალე სახე როგორ მომეცხუნა და ეს მუდამ გაუყურარი, ენად გაკრეფილი „ზღვის მგელი“ ერთობ როგორ დამაბულ-ხმაგაგმედილი მისმენს.

არკადისთანა კაცისაგან რაიმე კითხვაზე პასუხის დაყოვნება ყოვლად წა-

რმოუდგენელია. ახლა კი პასუხი გვიანდება. არეული დაბლა ჩავრბივართ. ჩემი და მისი კაიუტები ერთსადაცნადაა შეა. პატარა დერეფანში ვჩერდები.

— როგორ თუ არ მოსულა, არ დაამრიო, კაცო. — შემომშტერებია არკადი, თანაც მამშვიდებს: — არა, კაცო, სად წაეა, აქაა ალბათ, გემზეა. აი, ვნახოთ.

თენგო ხაბაზი არც თავის კაიუტაშია. ბოცმანი? აი, ვის ეცოდინება. ვიძახებ ხალითს და ვეკითხები. არც იმან იცის არაფერი. სამანქანოში თენგო არ არის. გემბანზეც არ უნახავთ.

— რა გვჭირს, არკადი?! კაცო, ნუთუ გაიპარა ეს ოხერი, ა? — შეწუხებული და დაბნეული ვეკითხები ფერაძეს. ვხედავ, რომ არკადიმ არც თავად არაფერი იცის იმისა, სინამდვილეში რა მოხდა. კი, წუხს, მაგრამ მისი წუხილი რას მიზამს?!

მახსენდება ზინა. იქნებ თენგო ზინასთანაა, ა? გავრბივარ სასადილოსკენ, ვიცი საეაზშმო სამზადისია და ყველანი ალბათ იქ არიან. ზინა ჭურჭელს ამშრალებს, — გრძელი სახოცი მხარზე გადაუგდია და ისე ტრიალებს, კობტად, მსუბუქად, ეშხიანად ტრიალებს. მუშაობა ისე უხდება, ვერ ავიწყრ. ამ მუშაობაში იგი უფრო ლამაზია და სხვაინარი, თვალს იტაცებს, მოსვენებას გიკარგავს.

— მაცდურია, ძიავე, ქალი, მაცდური, ასე ჩაიხვიხვინებდა არკადი, კაი ხასიათზე რომ იყოს. ახლა კი...

ცერემონიების თავი აღარაა. პირდაპირ, მგონი, საკმაოდ უხეშადაც, ვეკითხები ზინას:

— სადაა შენი ხაბაზი, თუ იცი? ნაპირიდან დაბრუნებული თუ ნახე?

— არა, არ მინახავს... — და უცებ ხმა ეყინება, თავს ჰკიდებს. ვხედავ, შიშით, მხრები უთრთის. — ვაი! — ამოიკვნესებს და სკამზე ეშვება უღონოდ.

არკადი იქვე, მეზღვაურთა კაიუტების გასწვრივ, წინ-უკან ნერვიულად დააბიჯებს.

უცებ ჩერდება ერთ ალაგას, ძირს

აშტერდება, ფიქრობს. სწრაფად ჩემ-  
კენ მობრუნებული მეძახის:

— იცი რა გითხრა, ამხანაგო გულო?  
— რას ვიხეჟავთ გულებს, კაცო, ვი-  
ნაა ეგ შმიტიანი ბლუშტი. ჯანდაბაში  
წათრეულა. აბა, ბიჭო, მაგ ვილაცა თე-  
ნგოს ვამო სამშობლო დაინგრევა, თუ  
რაი? წავიდეს მერე? მე რა, წელზე გა-  
მოვიბამდი ძალღვივით თუ რაი.

მეც გულს მეშვება, წელში ვიმარ-  
თები.

— ავიდეთ და მდგომარეობა კაპი-  
ტანს მოვახსენოთ. — მხნედ ვაცხადებ.

— რად გინდა, ჭერ მოიცა. ბიჭი აქ  
იქნება სადღაც! სად უნდა დარჩენილი-  
ყო ეგ ბითური ბაღანა, ნუთუ არ იცის,  
რომ... — შეწუხებული მსჯელობს არ-  
კადი და კეფას იჩიჩქნის.

— მერე, კაპიტანმა არ უნდა იცო-  
დეს?! —

— ატებს ახლა მაგი განგაშს სანაოს-  
ნოში. თუ მართალია, რა გამოვა მერე  
ამ ხმაურით?

— არა, ძმაო, უთქმელობა ხომ და-  
ნაშაულია. — ვამბობ და შიდა ტრაპით  
კაპიტანს ჭიხურს ვუახლოვდები. შალვა  
იქ აღარაა, ალბათ თავის კაიუტაში ის-  
ვენებს და მეც იქით მივიმართები. აღა-  
რაფერს ვუშალავ. ვატყობ, შალვა ერ-  
თობ როგორ იცვლება და იძაბება. მა-  
გრამ მალე თითქოს ძალას იკრებს და  
ტელეფონით ვილაცას იძახებს.

წამოვდექი, უნდა წავიდე. თითქოს  
ამით შალვას ვუშველი რამეს.

— მოიცათ, — მუდარაშერეული  
ხმით მიბრძანებს კაპიტანი. ლას-პალ-  
მასში საზღვაო ნავსადგურის ადმინის-  
ტრაციას, აგრეთვე ჩვენს სანაოსნოს  
სათანადო რადიოდებეშები გაუგზავნეთ.

უსიტყვოდ ვშორდებით ერთმანეთს.

— დასწყევლოს გამჩენმა, — ვიძახი  
გულში, რას ვშფოთავ ნეტა. მართალია  
არკადი, — ჯანდაბაშიც წასულა ეგ  
ბრძივი. ტკივილი მოვიჩინე თითქოს.  
წუთისოფლის უფორიაქო სისადა-  
ვის დაეუბრუნდი წუთით და სული და-  
მიშვიდდა. კაიუტაში ფართო საქოლზე  
გულაღმა ვავდივარ და მოზუზუნე ვენ-

ტილატორს შევეცქერი ჭერში. რყევა  
თანდათან მატულობს, მაგრამ იმითი  
თქოს მეტი სიმყუდროვე... მკვოდრდება.  
მომწონს.

გემი კი, ასე იგუდგულებს და ივლის  
მთელი ორი თვე, ვიდრე კეთილი იმე-  
ლის კონცხს შემოუვლის, ინდოეთის  
ოკეანეს გადაჭრის და სინგაპურს ში-  
აღებება.

**დღიურიდან: 198... დეკემბერი.**

ილუმინატორში აფრიკის გავარვარე-  
ბული ზეცა წითლად ღვივის, მეჩვენე-  
ბა, თითქოს ერთი ვეება ნაკვერცხალი  
გვეცხუნება იქიდან.

ახლა რომ მოჩანს, სპარის ცაა,  
ღვივის, იღვრება, სიკრევეს ადნობს,  
ო, დედამიწა, ვიქნები საცა,  
სიციცხლისათვის, მზისათვის —  
გამადლობ!

სადღაც, ოკეანეში, ერთი ნამცეცა კუ-  
ნძული გამოიკვეთა და მალე ჩაგვეზა-  
რდა თვალში. ქოჩორა ტყით დაფარუ-  
ლი, უცნობი, უსახელო კუნძული! სევ-  
დისმომგვრელია ასეთი მიწის ხილვა  
ოკეანეში. ერთხანს გგონია წყლის უსა-  
ზღვრო უდაბნოში მარტო ვარო. გემი,  
ეს ზომ მთელი პლანეტაა თავისი მზით,  
თავისი დღე-ღამით, მოძრაობით, თავი-  
სი შინაგანი და გარეგანი ამინდებით.  
თითქოს ეს უზარმაზარი სხეული თავი-  
სით მიდის, ადამიანები, უბრალოდ,  
ცხოვრობენ მასზე, როგორც დედამი-  
წაზე. შესეკერი და არ გჯერა, რომ ეს  
შენი ქალაქელი, შენი სოფლელი ბიჭე-  
ბი, ზოგი მართვის პულტთან, ზოგი სა-  
მანქანოში სხვადასხვა ავტომატებს რომ  
უდგანან თუ უსხედან, სულმთლად, ყო-  
ველ წერტილამდე ფლობენ ამ ვეება  
ხომალდს, მის გულისძვერას და მართ-  
ლაც უზუსტესი გაანგარიშებით მართა-  
ვენ მას.

და მაინც, გეგონება მარტო ვარო  
ოკეანეში. ასე მაშინ გეგონება, როცა  
კაიუტიდან ილუმინატორში სადღაც,  
შორს, ეულ კუნძულს ზედავ, ხოლო  
ირგვლივ ზვირთაქიჩირილი მძვინვარე  
ოკეანეა.

## ხალხის მასაჲ რაჲული.

## ზ ი ა

ზღვა იმიტომაცაა კარგი, რომ ძველ, მივიწყებულ ამბებს, ბავშვობის მოგონებებს, შერმინდელ ტყუილ-მართალს, სიყვარულსა და სიძულვილს, ცრემლსა თუ სიხარულს, ერთი სიტყვით, მთელ შინაურობას, ხმელეთზე არსებობის ყოველ კუთხე-კუნძულს ერთად მოგიტანს და აგერ, ცხვირწინ დაგიხვავებს.

პატარა ფაცხა გვედგა სოფლის განაპირას. ფიჭვის ტყესთან. ერთ საღამოს ზეგანში წასულმა უფროსმა ძმამ დაიგვიანა. არ იქნა, აღარ ჩამოვიდა.

მამაჩემიც არ ჩანდა, მაგრამ იგი, ვიცოდით, წისქვილში იყო და ხეივანის მთლიანად ჩამოფეკვამდე არ წამოვიდოდა.

დედაჩემი, ხმელი, ჩია ქალი, შავი სატინის დაკერებული კაბით და თეთრი ლეჩაქით თავპირახვეული, ეზოში აჩქარებულად დააბიჯებდა. ნერვიულობდა, შვილი სად დამეკარგაო.

ზია კი არა და არ ჩანდა.

პატარა ვიყავი ძალიან. გული ჩამწყდა ავტირდი. დედის საცოდაობამ ამტირა. თან ზიაც მეცოდებოდა, ვიფიქრე, მგელმა შეჭამა, ან დათვმა, ან გადავარდა კლდეზე, ან ვინმემ მოკლამეთქი.

ცხადად წარმომიდგა თვალწინ გასისხლიანებული, დაფლეთილი ჩემი უფროსი ძმა.

წარმოვიდგინე, ჩემი ზია გღია სადღაც ტყეში, ნადირი თავს ადგას და ხორცს აგლეჯს. შემაზრუნენი იყო ჩემთვის ამის გაფიქრებაც კი.

„შვილო, შვილო“. გაიძახოდა დატანული დედაჩემი და ხელიდან ერთი წამითაც აღარ მიშვებდა, თითქოს ჩემი დაკარგვისა ეშინოდა. მე თავი შევრგე დედის ილიისქვეშ და ავფლიკვინდი. ერთხანს ვმალავდი, მერე კი ტირილი ვედარ შევიკავე, ხმა უფრო და უფრო ავიმალღე. დედამ ითმინა, ითმინა და თავადაც შემომიერთდა. ახლა ორივე ხმამალღა ვტიროდით.

საწყალმა ქალმა შიშველი ფეხებზე დაძველებულ ჩლარტებში <sup>ქაჩუტუნდა</sup> <sup>წალღი</sup> <sup>მძაქ</sup> ლის ბოძზე მიყუდებულბ ლო, მკლავში ხელი ჩამავლო და ჩაკუბრებულ გზას ქვეითინით ვავეუდეკით. არც არაფერი ვიცოდი საით მივდიოდით.

ლამე ბნელი იყო.

გზა ხევი-ხევი და ბექობ-ბექობ პირდაპირ სოფლის ზემოთ, მთისაკენ მიძვრებოდა. დედა ტირილით მიიკვლევდა ბნელში სავალს და შვილს ეძახდა. მეც ვეძახდი, მაგრამ ჩემ ძახილს ას ნაბიჯზეც ვერ გაიგონებდა კაცი.

დროდადრო დედა შემაჩერებდა და მთებს ყურს მიუგდებდა, იქნებ ზიამ პასუხი გაგვეცესო, მაგრამ ჩამიჩუმი არსაიდან ვაგვიგონია.

— ნენი, კაი ახლა, ნუ ტირი. ზიას აუცილებლად მოვნახავ. მე აგერ ვარ, შენი ბიჭი, ნუ გეშინია, ნეე! — ახლა უკვე მომაგრებული ვეხვეწებოდი და ვამშვიდებდი მშობელს.

სოფლის სინათლეები თანდათან დაშორიშორდნენ. ქვემოთ, სადღაც, ღამის სიმავეში ჩაიძირნენ. შიში შემეპარა, შიში მომერია, ძალიან გამიჭირდა. ჰოდა, ახლა შიშით უხმოღ ვტიროდი. შიშით და არა ზიას დაკარგვის სიმწარით. მაგრამ ჩემ საყვარელ ნენეს არ ვუხმელდი. ცრემლს ბნელში ვერ ხედავდა. ვფიქრობდი — მე ხომ მამაკაცი ვარ, როგორ შეიძლება შემეშინდეს ტყეში, მით უმეტეს, როცა გვერდით ქალი მახლავს, ისიც — დედა.

დედებს კი, ვიცი, არაფრის ეშინიათ. ამას პოეტები კარგად ამბობენ ლექსებში. მე კი მიჭირს, ძალიან მიჭირს, რომ ის ლამე, ჩემი შიში და გამწარებული დედაჩემის თავგანწირულობა აგიწეროთ.

სოფელი რომ სულ ღამის ბინდში ჩაეფლო, ბუნების ჩქამი ვითომ უფრო გარკვეული და მეტყველი გახდა. ცისა და ნისლეების ფონზე მახლობელი გორაკი წამოიშართა, ჭირკვები, ბუჩქები, და საყარი ჭუჭა-ხეებიც ცალ-ცალკე გავარჩიე.

თანაც ათასი ფიჭვი წამესია. ვთქვი, რა უბედურება იქნებოდა, სულ რომ ასე ღამე ყოფილიყო, ან სულ რომ დღე ყოფილიყო-მეთქი. გინდა ზაფხული აიღე, მაგალითად, სულ ზაფხული რომ იყოს, მოსაწყენი არ იქნება? ზამთარი მითუმეტეს. ერთი სიტყვით, ზაფხული ზაფხულად დავტოვე, ზამთარი — ზამთრად, დღე — დღედ, და ღამე — ღამედ.

ქარმა იმატა. მგონი სიბნელემაც იმატა. უცებ საშინელი სურათი ვიხილე: ვორაკზე, ბუჩქებში ჩამდგარი ვიღაც ბერიკაცი წაიხრებოდა, წამოდგებოდა, მგონი ლოცულობდა, ზურგზე გოდორი ეკიდა, თავზე ყაბალაბი წაეკრა, ხელე-ბი მკერდზე დაეწყო და ნამახს ლოცულობდა.

კი, აშკარად ვხედავდი, ზურგზე გოდორი ეკიდა.

წაიხრებოდა, ადგებოდა, ხელებს მალა აღმართავდა, ისევ წაიხრებოდა. უბედური რაღაც იყო. ალბათ გაოცებული და რეტდასხმული ერთ ალაგას გაეშეშდი.

ნენეი მეგულეობდა, თორემ...

კარგად მახსოვს, დედამ ერთი-ორჯერ მაგრად მომქაჩა, იარეო. მე კი, მგონი, ენა სულ ჩამივარდა.

უბედურება ის იყო, რომ ველარც ეტიროდი. ყელში სული დაგუბდა. ჩემი სხეული მე აღარ შეკუთვნოდა.

დედამ შემატყო, რაღაცა რომ ძოძგივინა. სუსტად შეკივლა და მომქაჩა. იგრძნო, ალბათ, ბალანა შეშინდა და არ გადამერიოსო. ბუჩქებისაკენ არ იუჯრებოდა, ეტყობა, თვითონაც დაღანდა იქ გოდრიანი ბებერი, მაგრამ ჩემი ხათრით ძალა მოიკრბა, გაბედა:

— ნუ იუჯრები იქით, წამოდი! ვერ გვიგონე? — ზია გვეძახის.

ვიუჯრე და საიდანღაც თითქოს მართლაც მომესმა ხმა.

მალე, არ ვიცი რანაირად, უკვე ბუჩქებიან ბუჩქებზე ავსულიყავით, აქედან ბილიკი ირბად განზე მიდიოდა. ტყიან ბუჩქებს გადავუარეთ და დღეში წითლად მოკამკამე წერტილი შევნიშნეთ.

ეს ქობის სარკმლიდან გამოდგარი ცეცხლის შუქი იყო. მომეჩვენებოდა ვითომ კურბუქუნეთშის (წიწკტი) სხეულზე ვით ჩვენსკენ გამოწვდილიყო და თავისკენ გვეწოდა.

ჩემი საწყალი დედილო ბარბაცით, გულის ბაგა-ბუგით შეჩერდა, ისევ ღამის მიუგლო ყური. მართლაც შორი, გაურკვეველი ხმები მოდიოდა ჩვენამდე. ვინ უნდა იყოს ამ შუალამეს ამ ზეგნის ყიშლაში?

დედამ იცოდა, იქ, საზაფხულო საძოვრებზე, დურგალ აბდულას ქობია, მაგრამ მას ახლა, ამ გვიან შემოდგომაზე, ვინ გააღებდა, ვინ დაანთებდა ცეცხლს?

დედას მხარში ხელჩავლებული მიეყავდი, ვგრძნობდი, ქალი ერთიანად კანკალეობდა, უხმოდ ქვითინებდა. მისი შფოთიანი სულისთქმა მესმოდა. მესმოდა, რაღაც გაურკვეველ სიტყვებსაც რომ ჩურჩულებდა:


— დიღო გამჩენო ღმერთო, შენი სახელის ჭირიმე, შენი ჭუჭული ვარ, გეხვეწები, გადამირჩინე ჩემი ზიაი. შენი მაღლის ჭირიმე, მომეხმარე, ღმერთო ერთო, დამიბრუნე შვილი ცოცხალი...

წითლად გამოწვდილ სხივს მიჰყავთ თითქოს. ბნელში, მიწაზე ვერაფერს ვარჩევდით. რამდენჯერ ბილიკს აეცდით და ხრამში გადავიჭერით. დედამ ზეპირად იცოდა ეს ალაგები და ამიტომ ხელის ცეცებით მაინც ჩიუტად და გაბედულად მიიკვლევდა გზას.

უკუნში თანდათან გამოიკვეთა ქობის სარკმელი, საიდანაც გვიკამკამებდა ცეცხლის წითელი ანარეკლი. სიტყვებს ვერ ვარჩევდით, მაგრამ გულს გვიხალისებდა ის, რომ შიგადაშიგ სიცილიც ისმოდა.

ქობი, რასაც ჩვენი მწყემსები ყიშლას ეძახიან, ორ სართულად აეგოთ. ქვეშ ახორი, ე. ი. ბოსელი, იყო. ზემოზე შესასვლელად კიბის მაგიერ დიდი, გათლილი შორი გაედოთ, ზედ დაშვებული ფეხის დასადგმელი მოკლე ლარტყვებით.

შევატყვე, დედამ ესეც ზეპირად



იცოდა. მონახა მიწაზე კიბის ძირი, მოიქნია წალდი და პირდაპირ შეუტდომლად მოკაუჭებული ღინკით ჩაასო. დაინოქა, ამიკუჩა, მეც კისერზე მოვხვიე ხელები და აღმა ავუყუვეით კიბეს.

— ნენი, — ვებვეწებოდი, — ნუ მიხვალ. რა იცი, ვინ არის იქა.

— ნუ გეშინია, ჭო. შენ ვაჟაკი ხარ. ნუ გეშინია, ვინ იქნება? კაცის ხმა ხომაა? ჰოდა, კაცები იქნებიან, — დამამშვიდა.

კიბეზე რომ ავდიოდით, მთელი ყიშლა ოდნავ ირხეოდა, შიგ მსხდომნი მიხედნენ, ვილაც ამოდისო, და ფეხზე წამოცვივდნენ.

სიცილი და ღიღინი შეწყდა. სარკმელში ვილაცის თავი და სახეც შევნიშნე, მაგრამ ვერაფრით ზიას ვერ მივამგვანე.

კიბე რომ აათავა, დედამ ზურგიდან ძირს ჩამომსვია. ამ დროს ფარღალაღებინი კარიც გაიღო და ფიჩხის კვალი პირდაპირ ცხვირ-პირში მომხვდა.

— შეილი, შეილი სადაა, მითხარით მალე! — ზღუქუნებდა ჩემი ნენეი და ლეჩაქს პირისახეზე დაბლა იწევდა. უცხო მამაკაცებთან, მაშინ, ჯერ კიდევ, ჩვენებურ ქალს არ შეეძლო ღია სახით გამოჩენილიყო.

წარმოვდგენია, იმ ყიამეთში ქალს ასეთი წვრილმანი გაახსენდეს? რა დროს სახეზე ჩამოფარება იყო მთაში, ყიშლაში, დაკარგული შეილის მამებარ დედისათვის?

ნენეს ხმა რომ გაიგონა, თვითონ ზია გამოვარდა გარეთ. შეილის დანახვაზე დედაჩემი ჩაჭდა, ატირდა. შეილი რომ ნახა, უფრო გულამოძვდარი ატირდა, ვიდრე ქვემოთ, სოფელში, როცა არც კი იცოდა, შეხედებოდა თუ არა ცოცხალ ზიას.

— ადექი, ნევ, რა გატირებს, ნენი, მე აგერ ვარ, რა ვქნა, ცოტა დამავვიანდა შინ ჩამოსვლა. შემოი შინ, ვინ განახვო, — მოეფერა ცრემლიანი ზია და კვამლით გამოტენილ ოთახისაკენ წავგიძღვა.

ოთახში ისეთი მწარე ფუტი ოდგა, თვალები ამეწვა.

— ნენი, არ გეწვიოდა, მაქვს აქა, ნენი, — ეუბნებოდა ზია დედას.

გადაირია ნენეი, რისი ქორწილი, რა ქორწილი, ვერაფერს მიხვდა.

შუაღმრთულთან სამი ლანდი გავარჩიერთი ქალი და ორი კაცი. წინ დაედოთ, როგორც მახსოვს, ყაფრით მოქედილი ჭიშკარი, რაც ტაბლის მაგივრობას ეწეოდა, ზედ ლადარში შემწვარი კარტოფილი და ხაზერას ნატეხები დაეწყოთ. იქვე, გვერდით მოდგმული დოქიცი დავინახე. მაგრამ, ვინ იცოდა, შიგ წყალი ესხა თუ დვინო.

ვილაცამ ჩანაცრებულ ჯირკვს სული შეუბერა და კვამლიანი, გამომჭვარტლული ოთახი წითლად აღაპლაპდა. მაშინ კარგად გავარჩიე, პირზე ხელებფარებული გოგო, შუაღმრთულზე ჩამოშვებული დიდი, შავი ჯაჭვის პირდაპირ რომ იდგა, ხელი სახეზე აფარებინა და, მომეჩვენა, მხრების თრთოლვით, თითებშორის უჭვრეტდა დედაჩემს.

ნენეი ოდნავ დაიხარა და ახლა ქვემოდან შეავლო თვალი, ჩემი რძალი ვინაო აინტერესებდა. მე კი ამასობაში უკვე ვიცანი. ჩვენი სოფლის მასწავლებელი იყო. პირველი კლასის მასწავლებლად მოიყვანეს საიდანღაც ზაფხულში: რამიზ ბიძიასთან მიუჩინეს ბინა. ისე კი, ვატყობდი, შერე ზიამ რამიზ ბიძიასთან სიარულს რომ მოუხშირა, მაგრამ რა ვიცოდი მაშინ, ამფერი საქმე თუ დატრიალდებოდა, თორემ ბაბას ვეტყოდი დროზე.

თუმცა ჩემი თქმა რალას უშველიდა, თვითონ რამიზ ბიძია, რომელიც ქალთა მოდგმაზე მეტი გულგამეტებით და გულახდილობით ლაპარაკობდა ხოლმე, იტყოდა, სიყვარული იმნაირი რამეა, კაცი თუ შიგ გაბნული აღმოჩნდა, მკვიდი უღელი ხარისას ვაიტიანსო.

კაი, ვთქვათ, შეიდი უღელი ნამეტანია, ერთი იყოს, მაინც მაგარია, არა?

ჰოდა, რალა მოაბრუნებდა უკან ზიას,

თუ დასტურ უყვარდა ეს ნაწნავებდა-  
კორწილებული ფაცია?!

ზია ნენეს შეეშველა. ჩვენი ნენეი კი  
რატომლაც კენსოდა. როგორც იქნა,  
დედაჩემი თბის ტყავგადაფარებულ  
ძელზე ჩამოაჯინეს, მოასულიერეს, წყა-  
ლი დააღვეინეს.

— სუ, ნენი, რა მოხდა, ნენი, — ეზ-  
ვეწებოდა ზია.

ის ორი ბიჭიც ვიცანი. ზემოუბნელე-  
ბი იყვნენ, შეშის მოსაჭრელად ხშირად  
ზიასთან ერთად ამოდინდნენ აქა, ზეგ-  
ნის ტყეში.

— შვილო, ზია, — ამოთქვა ნენემ,  
— ეს რა დამართე ჩემ თავს. ასე რათ  
მინდოდა, შვილო. ეს გიაური რათ მინ-  
დოდა, შვილო. ახლა მამაშენი შინ შე-  
გიშვებს? ეს რა არი დოქში, ღვინოა  
ხომ? ჰო, კაი, შვილო, თლათ ამოგვაგ-  
დე ქოქით ხომ? სულ წახოცე ჯენთი-  
სამოთხე ხომ? ვაი, რა ექნა ახლა?!  
ღმერთო ერთო, შენი მადლის ჰირიმი,  
შენი სახელისა, მოგვხედე. ამ ბიჭს  
პაწაი ჰქვა ჩაპეჟე თავში და ჩვენკენ  
გამოახედე. ამას გიხვეწები, გამჩენო!  
— ხელაპყრობილი ემუდარებოდა ზე-  
ცას დედაჩემი.

— კაი ახლა, ნენი... უძახე გიაური,  
ჩვენი კია და, უძახე გიაური. მე ის  
მიყვარს, ნენი, მე რომ მიყვარს, იმასაც  
რომ ვუყვარვარ, ორივეს რომ გვეყ-  
ვარს, ამაზე კაი რაღა იქნება, ნენი?  
ჰო, ჰო, ჩვენებური ყოლიფერი გვეყვა-  
რება, ამაზე კაი რაა, ნენი, ა?

ამოთქვა და ამოთქვა ზიამ. მერე  
იყუჩა, ჩაფიქრდა, ალბათ, ნენეს საყ-  
ვედურებში ჩაიძირა და იმათი ახსნა  
დაიწყო.

მასწავლებელი გოგო, ნინიკო, იმე-  
რეთიდან ჩამოსულიყო. გასულ ზამ-  
თარს ზიამ გარეული ტახი მოკლა, ხო-  
რცი სოფელში, რაღა თქმა უნდა, არა-  
ვინ მიიყარა პირზე. ტახი სკოლასთან  
მიათრია ზიამ და გაატყავა, ხორცი ნი-  
ნიკოს აჩუქა. მე ვიცოდი, ხანდახან ზიაც  
მიიპარებოდა რამის ბიძიასთან და ნი-  
ნიკოს მიერ შემწვარ ტახის მწვადს მი-

ირომეგდა. ვიცოდი, მარა არავის ვეუბ-  
ნებოდი. ნინიკო, ნინიკო, <sup>მეცნული</sup>

სწორედ ამიტომ ალბათ ვერ ვახეზედა  
ზიას ქალის შინ მოყვანა, ამიტომ გა-  
მოუნახავს აქა ცარიელი ქოხი. წამო-  
უყვანია საცოლე და ორი კაციც მაყ-  
რად. დოქი ღვინო კი არ ვიცი, სად  
იპოვნეს.

შინ ღვინოს ვინ შეატანინებდა.

ჯერ კიდევ ხოჯის კანონები მართავდა  
სოფელს. იმ ოცდაათიან წლებში ჯერ  
ისევე მდღერსეებში დავდიოდით ბავშ-  
ვები. ღვინოს სადაც დაღვედნენ, იმ  
ოჯახს ხოჯა ჭილაგიანად ამოწყველიდა,  
ხოლო ღვინისმსმელ კაცს მთელი სო-  
ფელი გაეციხავდა და თვალიდან ამო-  
იგდებდა. გიაურს დაუძახებდა.

დღეს?

გადაირევი კაცი, თუ დაუკვირდი.

ცოცხალი შვილის ნახვით სახეახთე-  
ბული დედაჩემი, ნამტირალევი და მო-  
ქანცული, უცებ ზე წამოიჭრა, ნინიკოს  
მივარდა და შუბლზე აკოცა.

— შვილი ხარ შენაც, შვილი! ჰაით,  
შინ წვევდი! ზია, შვილო, გამაგდოს  
თუნდა მამაშენმა. ეგ დოქიც წამეი-  
ლეთ... არა, ალაპ, არ მეშინია! აჰა, უნ-  
დებთან ამათ ერთმეორე, გავგლიჯოთ  
შუაში? ხომ ცოდვა იქნება? აბა, მაკა-  
ლე ახლა, დედა ვარ მე ხომ? ჰოდა,  
მაკალე! ზოგი რაცხა მეც დამიჭერე,  
შენ ღმერთი ხარ თუ ალაპ! — დედა  
ვარ, ჰო, მე დედა ვარ, მე ადამიანი  
დავბადე, გავზარდე, მეც ღმერთი ვარ,  
ჰაით!

ამ წირეხივით წვრილმა ქალმა მოხ-  
ვია ზიას და ნინიკოს ხელი და წინ მი-  
ბიძგა.

იმ გორას რომ მივეუახლოვდით, სა-  
დაც ლოცვად მდგარი გოდრიანი ბე-  
რიკაცი მომეჩვენა, დედამ ის ჩემი ში-  
შიც გაამხილა. ერთი ზემოუბნელი  
ბიჭი ბუჩქებს გადაეგლო და იმ, ვითომ  
გოდრიან მოხუცს, თავზე წაადგა. სი-  
ცილით შემოგვიძახა, ქაცვის ბუჩქია,  
მეტე არაფერიო. ხელით ერთი მაგარად

შეაჯანჯლარა კუზიანი ხე და უკანვე გადმოხტა.

პირველ ეზოში რომ ჩავედით, რატქაუნდა, სინათლე არსად კიაფობდა. თვალთან თითსაც ვერ მიიტანდი, ისე ბნელოდა, მაგრამ რალაცა ისე გამიხარდა, ისე ამენთო თვალები უცნაური, მოულოდნელი მნათობებით, რომ ირგვლივ სუყველაფერი ცხადად გავარჩიე. აქ ნენეი შედგა, ირგვლივ თვალი მოავლო და თქვა:

— აღდი მაინც საჭიროა, შვილო, უაღდო რძალი არ შეიყვანება შინ. (ქორწილის წინ ხოჯას ან მოლას, დანიშნული გოგო-ბიჭის ორივე მხარის წარმომადგენელთა და მოწმეთა თანდასწრებით, უნდა ჩაეტარებინა ისლამური ლოცვა-კურთხევა მომავალი ცოლ-ქმრისა. ამ ორში თუ რომელიმე ოდესმე აქ შეკრულ ფიცსა და ერთობას დაარღვევდა, ალაჰი იქნებოდა მისი მსაჯული და განმკიცხველი. ასეთი იყო აღდი).

ხოჯას სახლი სწორედ სოფლისთავს იდგა.

მთელი ჩვენი მაყრით შევედით ეზოში.

— ეფენდი, ეფენდი! — შეუძახა დედაჩემმა. უცოლო და უშვილო შაბან-ხოჯა კარის ღრქილაში გამოხუნელდა აივანზე. ხელში ჭრაქი ეჭირა და დაბლა იყურებოდა.

ნენემ ხელი მკლავში ჩაავლო ნინიკოს და კიბეზე ამაღლდა, პირზე ლეჩაჭაფარებული.

— აღდია საჭირო, ეფენდი. რაც გერგება მიიღებ... აღდი უნდა ქნა ახლავე, რძალი შინ მიმყავს. ამფრათაა საქმე... — დინჯად და საქმის ცოდნით აუხსნა დედაჩემმა.

ხოჯა წამოიწია, ჭრაქი მიანათა მოსულთ, მეორე ხელი აბურძგვილ წვერებზე ჩამოისვა და უსიტყვოდ პირი იბრუნა.

მერე გავიგონე — გიაურის აღდებს მე არ ვირჯებო, რომ თქვა, და შიხ შევიდა.

ცოტა კი დაიბნა დედაჩემი. ვერ მიმ-

ხედარიყო, რალა ექნა, რალა ელონა, მაგრამ იმ ღამეს რალაც იმნაირი ცეცხლი დატრიალდა მის ძარღვებში, რომ არაფრის წინაშე თავს აღარ იხრიადა.

რამიზ ბიძიას სახლთან მიგვიყვანა და შუა ეზოში ჯოხი ჩაასო, საიდანაც ქალი მიყავთ, იქ უნდა ეწყობოდეს აღდიო, თქვა და კიბეზე აღმა აგვიძღვა.

შეშინებული რამიზ ბიძია სიხარულით ადგილზევე აცეკვდა, როცა სალსალამათი ზია და ნინიკო შინ მოსულები დაინახა.

— რამიზ, ბატონო, — უთხრა ნენემ, — ეს ფაციოი ჩემი რძალია. აღდი შენ უნდა ქნა, აჰა, ახლავე!

შეყვანების დრო აღარ იყო.

რამიზ ბიძია კახანს ტრიალებდა ფერწასული და დაბნეული. ვატყობდი, ამ კაი საქმეს აღარ დაანგრევიანებდა არავის.

ბიცოლაჩემი გააღვიძა, ბუხარში ცეცხლი გააჩალა, ჯორკოებზე დაგვსვა. მოგვეფერა, მოგვეალერსა და, მგონი, კაი სიტყვით დედაჩემს ცრემლი შეუმშრალა.

მერე, რამიზ ბიძიამ ძველი ყამა-ხანჯალი შემოიტანა, ამოაძრო ვერცხლის ქარქაშიდან და ხანჯალი პირდაპირ იატაკის შუაგულზე დაასო წვერით. კაი, მატყლიანი თხის ტყავები ძირს ჩაავო. გარდა ქალებისა ყველახი დასვა ძირს, მერე ცას შეხედა, ტუჩები აასავსავა, რომელიღაც ლოცვითავე მიჩაიჩურჩულა, ზიასა და ნინიკოს გადახედა და სული გადაუბერა. მოწმეებად ის ორი ზემოუბნელი ბიჭი დაუსახელა ალაჰს. დალოცა. კვლავ სული გადაუბერა.

ძელში წვერჩასობილ ხანჯალს ტარზე ზიას მიერ მიწოდებული ხელმანდილი გადააფარა, რალაც წაიზღუნუნა არაბულად და ყველასთან ერთად წამოძახებულმა „ამინშა“ თითქოს ჭერი შეარხია. მერე რამიზ ბიძიამ ყამა ამოგლიჯა ძელიდან, მანდილი ნენეს ხელით ნინიკოს გადასცა და თავისუფალი, ვალმობილი ხანჯალი ხალიჩაზე დადებულ ქარქაშის გვერდით, ფაქიზად დააწვინა.

წაკითხული წიგნების მიბაძვით არ ვამბობ ამას.

რალაქ წარმტაცი და გოროზი იღუ-მალემა მეცხენებოდა იმ ჰაიპარად გა-მართულ საკულტო თუ საწესო აქტი-დან. თუმცა უცხოოდ ნათქვამი ლოცე-ბი არავის გაეგებოდა, მაინც ლოცვად რჩებოდა, რადგან ბიძაჩემი ჩვენებუ-რად უმატებდა: „ახარე, ღმერთო ერ-თო, ეს ბაღნები, ახარე, აყოლე ბევრი ზვილები, უმაგრე ოჯახი, უმართე ხე-ლი...“ „ამინ“ — აღმოხდებოდა ყველას.

შართალი ვითხრა, ბავშვებისა და ქა-ლების თანყოლა ასეთ ღროს არაა მი-ღებული, მაგრამ იმ ფაციფუცში და აღდის მხოლოდ ფორმალურად მოწყო-ბის ცდაში, ამეებზე აღარავინ დაფიქ-რებულა.

მაგრამ მთავარი ამბავი შინ გველო-და.

მამა წესქევილიდან რომ მოსულიყო, მაშინვე გაეგო ზიას დაკარგვისა და ტყეში ჩვენი წასვლის ამბავი. თავადაც თურმე ყაბალახმოგლეჯილი ჩვენ სა-ძებრად გაჭრილიყო, ბავშვები კი მარტო მიეტოვებინა კერიასთან.

მამაჩემი გამთენიას ძლივს ჩამოსუ-ლა ტყიდან. ძიგვას ჩაქურა სულ დაფ-ხრეწოდა. მშობლის ყვირილმა მეც გა-მომავლიდა.

უცნობი ქალი რომ დაინახა, მერე ზია და ნენეიც რომ შეამჩნია, ერთი ხანი იყუჩა. მაგრამ მალე გაიგო, რაც მოხდა და ბინძურად მიაგინა ზიას. გაც-ვეთილიყავი სადმე, მერჩიო, თქვა და კერიასთან მუგუზაღს დაუწყო მამით ჩიჯგნა.

ეს იყო და ეს. ზია და ნინეიკო იმ წე-ლიწადს წავიდნენ სოფლიდან, რო-გორც მაშინ ეძახოდნენ, ხაშშიახ ბარში, და ზღვასთან დასახლდნენ.

მერე, გვიან, ბაბასაც მოუბრუნდა გული. შეურიგდა უფროს შვილს. გა-დაწყვიტა, ახლო მომავალში თავადაც ზღვისპირის სოფელში ეპოვნა სამუდამო საცხოვრებელი ალაგი. მაგრამ სა-მუდამოდ უფროს შვილთან მაინც ვე-ლარ იცხოვრა. ზია ომში დაიკარგა.

**დღიურიდან: 198... დეკემბერი**

ეს რა ხდება, მზე მარჯვნიდან ამო-დის? როგორ? ჩემი გემი ხომ სამხრე-თისაკენ მიდიოდა გუშინ? ჰოდა, მზე მარცხნიდან, ესე იგი, აღმოსავლეთი-დან ხომ უნდა გამოჩენილიყო?

არადა, მოჯადოებულებით გაცქერიო სარკმელს. ცაზე ღრუბლის ორ დიდ ტოტს, როგორც ვებერთელა მაშას, მზე ნაკვერცხალივით მალდა ააქვს. ახლა, გემბანზე რომ გავდივარ და შევცქერი, მზე ლითონის გავარვარებულ ნაჭერს ემგვანება და მგონია, საცაა მჭედელი ქურაზე დაადებს, რათა ვეება ურო დას-ცხოს და მისგან ცული ან თოხი გამოკ-ვეროს.

მაინც რა ხდება? მხარი ხომ არ მეც-ვალა, შიგა კიბეზე მესამე თანაშემწე, ლოტოვი, ჩამორბის.

— რაშია საქმე, საით მივდივართ? — ვეკითხები. იგი მეუბნება, პოლონელი საგარანტიო მექანიკოსი, ანტონ ხორო-მანსკი ავადაა, სასწრაფოდ შეელა ჭირ-დებოა. უახლოესი პორტი კი დაკარია, სენეგალის დედაქალაქი. კურსი ვიცვა-ლეთ, მალე დაკარის რეიდზე ჩაეუშ-ვებთ ლუხასო. წელან რადიოთი ვეძე-ბეთ ჩვენებური გემები, იქნებ ოკეანის ამ რაიონში ვინმე არის ახლომახლო, ექიმი ეყოლებათ და...

კი, აღმოჩნდა ერთი მეთევზე ტრაუ-ლერი, მაგრამ ზედ მხოლოდ გინეკო-ლოგი ჰყავდათ, რადგან იმ მცურავ ქარ-ხანაში მომუშავეთა უმრავლესობა თურ-მე ქალები არიან.

სათანადო კოლოფებში მატროსები გაფაციცებით ეძებენ სენეგალის ალაშს, რათა, წესის თანახმად, გემზე აღმარ-თონ. მაგრამ ასეთი არ აღმოჩნდა. არ ვაპირებდით სენეგალის ნავსადგურში შესვლასო, იმართლებდნენ თავს „მტრო-მანები, კაპიტანი კი ბრძანებს, მონახონ „სასწრაფო დახმარების“ აღძვების განჯინაში. ალაში აღმოჩენილი და აღ-მართულია. წესითა და რიგით დავდ-გებით დაკარის რეიდზე.

აფრიკა, აფრიკა, ოდნავი შენელება სვლისა და გემის ლითონი საშინლად

ხერდება. ხელს ვერაფერზე ვკიდებთ, გვწვავს.

მოცლილი ვინცაა, ანკესებით კიჩოსაკენ მირბის. რამდენიმე წუთში ბანზე ლაწა-ლუწი გააქვს უცნაურად ლივლივა მსუქან თევზებს.

ნავსადგურის სანიტარულ-სამსახურს ჩვენი გემიდან რადიო-ტელეფონით ადრევე აცნობეს, ავადმყოფი მოგვეყავსო. სთხოვეს დახმარება და მალე კიდევ მივიღეთ დაპირება. როგორც კი ლუზები ჩავუშვივით, სანიტარული კატერი მოგვადგა. ტრაპი ხრიალით ეშვებოდა. ორი ახალგაზრდა ზანგი სწრაფად ამოარბის გემბანზე, იქიდან ლიფტით პირდაპირ კაპიტნის ხიდურზე ამოჰყავთ.

მხარბუქიანი, ტანადი, დაკვართული სხეულები, საოცრად მაღალი ბიჭები! აქაურნი რალაც გამორჩეულად მოხდენილნი არიან.

ზანგთა მოდგმაში ამნაირი თვალის-მომჭრელი, უნაკლო სრულყოფა სხეულისა, დიდრონი, კოცონივით მოგონებზე თვალეები, გრძელი წამწამები, მაღალი კისერი, არა, არ ვიცი!

ანტონ ხორომანსკი, ეტყობა, შეშიხებულია. მისი ბარგი ჩვენს ბიჭებს ადრევე შეუთონავთ, ჩაულაგებიან.

ავადმყოფი წამოაყენეს. ფეხი უკანკალბეს, მუცელი ხელით უჭირავს, საცოდავად კენესის, რალაც საეჭვო, ღრმა, გაუნღლებელი ტკივილები აწუხებს კუჭისა და ნაწლავების არეში. ვჩურჩულებთ, რალაცეებს ვუძედავებთ ერთმანეთს. ალბათ რალაც ავი სიმსივნეა... ანტონიც ატყობს, რომ საქმე კარგად ვერაა. გული ეწვის, რომ ამ შეჩვეულ ოჯახს ტოვებს და სადღაც, დაკარში რჩება. უცებ უშწურო თვალეებით კაპიტანს მონახავს და სუსტად გადასძახებს, კეიბტაუნში დაგეწევით, ალბათ, თვითმფრინავითო.

მალე კატერი, კაპიტნისა და ჩემი თანხლებით, ნაპირს მიადგება. ავადმყოფს სასწრაფო დახმარების მანქანაში ჩააწვენენ და მხურვალე, ქათქათა კედლებშუა გატყორცნილი ქუჩით ჩემთვის უცნობი ხეების მწვანე სამყაროში ვიჭრებით. მაგრამ მოსახვევში, ერთ-

გან, საბურავი სკდება. ირგვლივ სიმწვანე კია, მაგრამ მზე პირდაპირ კეფაზე გვაწვეთებს გამდნარ ლავას.

სამწველი არ ჩანს. ბოლოს, საიდანბლაც გამოვარდნილი წითელი სახანძრო მანქანა ჩერდება გვერდით. ლითონის ლაპლაპა ჩაჩქნებიათ და რეზინისჩექმებიათი მეხანძრეები ჩამოდიან. ავადმყოფი თავის მანქანაზე გადაჰყავთ, ჩვენ კი „სასწრაფოს“ შოფერს ფეხით მივყავართ ჰოსპიტლისაკენ. მანქანას ადგილზე ტოვებს. ისეთი მბუგავი სიციხეა, მაინც ვერაფერს გააყეთებთ დღამებამდე, გვიხსნის.

ჰოსპიტლის ეზოში უამრავი მუსლიმანი შუადღის ნამაზს ლოცულობს. მაღალ-მაღალი კაცები და ქალები, თეთრი გრძელი კაბებით! კაცებს თავზე კანთვის ქსოვილის თეთრი ჩაბალახები მოუფერავთ.

ძირს, მწვანე ბალახზე, ჭრელი, სალოცავი ფარდაგები დაუვიათ. იმუხლებიან, შუბლს მიწაზე დებენ, სწრაფად დგებიან, ხელებს ალაყრობენ და ხმამაღლა წარმოთქვამენ ლოცვებს.

ლოცულობენ პირით აღმოსავლეთისაკენ. მექა ხომ აღმოსავლეთისაკენაა. მე რაც სიციოცხლეში ნამაზის მლოცველნი მინახავს, მხოლოდ სამხრეთისაკენ დგებოდნენ პირით. ესენი კი?...

ზრდილი, ელეგანტური, სანდომიანი, თავაზიანი ახალგაზრდა ექიმი გეოწვევს პალატაში, სადაც ჩვენი პოლონელი მოათავსეს. ფერწასული ანტონი წყლიანი, უმწურო თვალეებით გვიცქერის საწოლიდან. ვანუგეშებთ, ვპირდებით, რომ მუღმევი რადიო-კავშირი გვექნება დაკარის ნავსადგურთან, მის სანიტარულ სამსახურთან. ახლა კი საბჭოთა და პოლონეთის საელჩოებს ვინახულებთ. გადავცემთ ყოველივეს, რათა განკურნებისთანავე გამოგამგზავრონო — ვეუბნებით. თავს მორჩილად გვიქნევს, გვემადლიერება, მაგრამ ეტყობა, ჩვენი ნახვის და, საერთოდ, მგონი, არავის ნახვის იმედი აღარა აქვს.

„საწყალი ანტონი, საწყალი ანტონი“ — იმეორებს უნებურად ჩემი გუ-

ლი, როცა რკინის მალალ კარიბჭეში გამოვდივართ.

კვირა დღეა, საელჩოში მორიგე ბიჭები ვეებერთელა, ვრილ ვესტიბიულში ბილიარდს თამაშობენ. ზოგნი კილევ კალათებით ბოთლებს ეზიდებიან. ალბათ, ახალწლის შესახვედრად ემზადებიან.

ერთი მათგანი საბჭოთა საკონსულოსაკენ წაგვყვება, მეორე კი პოლონეთის საელჩოს ურეკავს.

ორიოდე ფრაზის გაცვლის შემდეგ, მგზურს უკვე შევეჩვიე — მოსკოველი ბიჭია.

ჭურჩის გადაღმა სახლზე ამერიკის ალამს ვხედავ. გამყოლს სხვათაშორის ვეკითხები:

— სენეგალელები ჩვენთან უკეთესად არიან თუ იმათთან? — და ვუთითებ ამერიკის საელჩოს შენობაზე.

— იმათთან, — მეუბნება.

— რატომ?

— ისინი ამათ ატყუებენ, ესენი — იმათ, — მპასუხობს მოკლედ.

კონსულს დიდფრთებიანი ვენტილატორი ჩაურთავს, ტრუსითა და მაისურით გაშხლართულა დივანზე. წამომგდარი, ისე, ჩაუცმელი, ქაღალდზე ხელს გვიწერს და ისევ წვება.

საელჩოს „ვოლგას“ ნავსადგურში მივყავართ. მანქანაში მოსკოვის გაზეთებია, ამ სიცხეში, ფოტოებზე რუსეთის თოვლიანი ნაძვების დანახვამ ოდნავ თითქოს სიგრილე მოგვინიავა.

გემზე სულშემხუთველად ცხელა. იგი ნელა იწყებს მობრუნებას. ოდნავ შერხეული შედედებული ჰაერი ღია სარკმლებს ეფინება და სუნთქვა ადვილდება. თეთრი დაკარი ბოლნაში მოტივტივე ნაგებიდან მეთევზეთა გაშავებულ ხელებს ვეიქნევს.

მაგრამ დაკარი თითქოს თან მოგვეყვება. ღამით კაპიტანი შალვა ჭინისი შარვალს იზომებს. მოეწონა, უხარია. მაგონდება, წამოსვლისას, დაკარში, როგორი თვალებით უცქერდა მალალკანშეუბიან სენეგალელ გოგონებს.

გემზე დგები და, როგორც მაგრო, აფრიათ იწვი და ილიმები, როგორც მიგვება ჩვეთულები სენეგალელი ქალიშვილების.

უფრო ბევრი სხვა ჯაგრიც აწუხებს კაპიტანს, მაგრამ გემზე ერთპირად შევწყვიტეთ ცუდ რამებზე ლაპარაკი. სტიქიას მინდობილი მეზღვაური, გინდა თუ არა, ოდნავ მაინც ცრუმორწმუნედ იქცევი. ცუდი რამის თქმა ისევე, როგორც ზღვის ფრინველის დაჭერა ან მოკვლა; ცუდ რამედ აგინდება გემზეო, ამბობენ ზღვასშერდილები.

ყველაზე მეტად მაინც ეტყობა, კაპიტანს შეეცვალა ხასიათი. ერთიანად მოილუშა, მოიწყინა, რატომღაც უღიმილო და სიტყვაძუნწი გახდა. ეს, მერე, ნელ-ნელა ყველას გადაგვედო. თვით არკადიც კი, რომელიც იმდენ ანგედოტს ყვებოდა, იმდენს ხმაურობდა და იციროდა, გემი აღებული ჰქონდა, ახლა ნირწამხდარი, გაჩუმებული დააბიჯებს.

ხვალ კი წლის უკანასკნელი დღეა. ხვალ ახალწლის საღამო იქნება. ხვალ ახალწლის შეხვედრაა საჭირო. ერთადერთი ხალითია მთელ გემზე, ვინაც გეგმავს რაღაცეებს და ზრუნავს, რომ საახალწლოდ პატარა თავშეყრა მაინც მოხერხდეს.

„მხატვარი“ კურსს ისევ სამხრეთისაკენ იღებს. გემბანიდან ვხედავ, ზღვის ზედაპირზე ბელურების გუნდი წამოფრინდა ფრთების შხუილით, ცოტა ხანში გუნდი თითქოს ზღვამ შთანთქა, თვალთაგან გაიქრა.

თურმე მფრინავი თევზები არიან. ამოფრინდნენ ზღვიდან, გადაიქროლეს ერთი გაყოლა მანძილი და კვლავ წყალში ჩაეშვნენ.

ცხელი, დახუთული ახალწლის დამეა, მაგრამ დიდხანს ვრჩებით სუფრასთან, ჩვენებური, აჭარული ხაჭაპურები, საცივი, ლობიო შეემზადებინა მახინჯაურელ მზარეულს როსტომ ბერიძეს.

ვალერი სნეგოვს, ჩვენს რადისტს, ყოველ ათ წუთში შემოაქვს ახალმიღე-

ბული რადიოდებეშები, შინაურთა სა-  
ახალწლო მილოცვებით.

ამიტომ ვალერის ყოველ გამოჩენას  
ოვაციით ვხვდებით და წარმოვთქვამთ  
იმ ოჯახის სადღეგრძელოს, ვინც ტრო-  
პიკების მდღლარებაში მოქცეულეები ახ-  
ლა გაგვიხსენა.

თამადაობს კაპიტანი. სუფრა ჩვენე-  
ბური, გემრიელი, ლალი, უშუალო გა-  
მოდის. თამადას გვერდით მე ვუზივარ,  
იქიდან — მაქსიმოვი, მეორე თანაშემ-  
წე.

სნეგოვის ორი-სამი ბოლო შემოსე-  
ლა აღარ მომწონს. რადისტი რალაც  
დაღონებული მეჩვენება, მგონი ყვე-  
ლამ მიიღო თითო მისალაცი დებეშა.  
მაქსიმოვს არ მიუღია. გადავაპარე მის-  
კენ თვალი, ვერც მაქსიმოვია კაი ხა-  
სიათზე.

ამასობაში საათი თორმეტს რეკავს.  
ადგილობრივი, ესე იგი გემის დროით,  
თორმეტია, თორემ ჩვენს დედაქალაქში  
უკვე დიდი ხანია დადგა ახალი წელი.

ახლა კი მალა ვწვეთ ნამდვილ სა-  
ახალწლო სადღეგრძელოს.

სათქმელი ითქვა, დასაცლელიც დაი-  
ცალა, სამღერი ნამღერია.

ცოტა ხანში სიჩუმე დგება, სნეგოვი  
აცხადებს: ძმებო, ახლა დებეშას გა-  
დავცემ მაქსიმოვს. მეტი გაჩერების  
უფლება აღარა მაქვს. იური ალექსე-  
ვიჩ, მონაწილე ვარ თქვენი მწუხარე-  
ბისა, — თქვენი ძმა გარდაიცვალა.

რადისტმა თურმე მთელი ორი დღე  
მალა ეს დებეშა, რომ ადამიანს, მეგო-  
ბარს ახალ წელთან შეხვედრა შერგე-  
ბოდა.

• • •

გეგონება შექცამორთული კაიუტა  
მარტოდმარტოა მთელ ამ უსაზღვრო  
წყალთა სამყაროში. წევხარ ფართო სა-  
წოლზე, სანახევროდ ღია სარკმელ-  
ილუმინატორში იხედება აჩურჩხლილ-  
ვარსკვლავიანი ტროპიკული ცა. უცნო-  
ბი ვარსკვლავები გესაუბრებიან, თითო  
ღერი კამკამა სხივით ქსოვენ ოქროს  
ბადეებს, გესმის წყლის შხუილი, ზვირ-  
თა ჩურჩული. იქ, ალბათ, მილიარ-

დობით მოციმციმე ფოსფორული შიკ-  
რობები აღმასის ნაცარივით ეფინება  
აქეთ-იქით და იღვმალევი ცივი ნათე-  
ბით აესებს შუალამის მარილიან სიფ-  
რცეს.

ღია ილუმინატორის სამზეროდან ვხედავ,  
ცის იისფერ კამარზე ვარსკვლავები  
სხედან,  
სხედან, როგორც ბედურები,  
ნეკერჩხალის რტოზე,  
გვიტყვიან და ფიქრობენ მანძილზე და  
ღროზე,  
ზოგიერთი ჩაქრა, ალბათ,  
მილიონ წლის წინათ,  
მაგრამ შექა სიშორეში ისევ ცოცხლად  
ბრწყინავს,  
ასე უნდა იყო შენაც, კაცის ყოფნის ბედო,  
ერთი ღერი სხივით მაინც ჩვენს  
შემდგავც ენთო.

**დღიურიდან: 198... იანვარი**

დღეს ოთხ საათზე ეკვატორს გადავ-  
ცვეთ.

ეკვატორის მრავალჯერ გადაშვეთე-  
ლი ბოცმანი ხალითი ერთი კვირის წინ  
ერთხმად დაინიშნა „ნებტუნის“ მოსამ-  
ზადებელი საორგანიზაციო კომისიის  
თავმჯდომარედ. ახლა უკვე, რაც კარგი  
ჰქონდა, ყველაფერი გამოჩნრიკა, გა-  
მოფხიკა სათავსოებიდან.

რა არ გამოიგონეს, რა არ მოამზა-  
დეს ამ დღისათვის. ვილაცამ სცენარიც  
დაწერა, მაგრამ ჩვენთვის როლები  
ჯერ არ გაუცვნიათ. მალე გაგვაცნობენ.

ამ ფაციფუცში ხალითი შივა ტრაპ-  
ზე მხვდება, წამით ჩერდება, მესალმე-  
ბა და მიდის.

ვეუბნები: — ხალით, რვეულს ვე-  
ლოლები.

პირზე ბედნიერი ღიმილი გადაედვა-  
რა, ვიხიარა. კი, კიო, მომძახის და ბი-  
ჭივით ცქვიტად არბის საფეხურებზე.  
კაპიტნის კაიუტასთან რადისტი და-  
მეწია, წინ აღარ მისწრებს, ეხათრება,  
არადა ვატყობ, კაპიტანთან შესვლა ეჩ-  
ქარება.

— რაშია, ვალერი, საქმე? — ვეკით-  
ხები.

— სასწრაფო დებეშაა დაკარიდან.

მგონი სერიოზულია...

კაპიტანთან ვიკეტებით და ვიწყებთ დეპეშა-შიფრის ამოხსნას. „პოლონელ ხორომანსკის ხუთი დღის ყაბზობა აწყუხებდა... წრტ. დეკარის პოსპიტალმა ოყნით უშველა... წრტ, ხვალ ვარშავაში გაფრინდება... წრტ, დაგზვდებათ ვლადივოსტოკში“...

შალვა გამტერდა. ეხარხარებთ.

დღის ოთხს ხუთი წუთი აკლია, გეში წყვილ სიგნალს იძლევა. ესე იგი, ზედ ეკვატორზე ვართ.

ოკეანე დღეს მაწონივით სქელია თითქოს და ამსოლუტურად წყნარი. გეში მიდის და უკან, წყლის ზედაპირზე პორიზონტამდე დიდხანს რჩება ქაფ-მორეული თეთრი გრძელი ზოლი.

ნეპტუნელთა მთელი რაზმი გემის ცხვირზეა.

აქ არის ზღვის ღმერთი და მისი ამალა: კუდიანი ეშმაკები, ვარსკვლავ-მრიცხველი, მელვინეთუხუცესი, მკურნალი, მეწვერულვაშე, ალქაჯი და ყაჩაღთა ბანდა, ხუთი-ექვსი მუშტოსნით.

ნახევრად შიშველი ზღვის ბინადარი, პრელპრულებითა და ათასნაირი ტყვეულის ნაგლეჯებით შემოსილი, ქვივილითა და დოლისკვრით ზომალდის გრძელ ბანზე ჩამწყრივებულნი, კაპიტნის ხიდურისაკენ დაიძრნენ.

სრულ ფორმაში გამოწყობილი კაპიტანი ზღვათა პატრონს პატივით ეგებება და გემზე იწვევს.

ცერემონია საბანაო აუზთან ეწყობა. საღებავ-სათხუბნავეებით სავსე კასრი, ჩვარდახვეული ჭოხები, მუსიკალური საჭრავეები, პურ-მარილი, ღვინოც იქვეა.

ნეპტუნს გადაეცა ეკვატორზე პირველად მოსულთა, ესე იგი, ნეპტუნის მიერ მოუნათლავეთა სია. ასეთებს ზღვის მეფის წინაშე გვაჩქებენ. გამოდის მათი მკურნალი და თვითელს გულდასმით გვსინჯავს, ხმელეთის რამე სენი ხომ არ მოუტანიაო. იქვე ჭოხის ფუნჯით სხეულზე საღებავებს გვისვამენ. თავად ნეპტუნი შიშველ საჭდომებზე თავის ვეებერთელა ბეჭედს გვარტყამს, მერე ფსკერგავარდ-

ნილ კასრში, რომელსაც მუცელზე „ნეპტუნის განსაწმენდელი“ ვწერო, გვაძვრენენ და, ბოლოს მკვდარეული ზღვის ყაჩაღი მორევეში გვისვრის.

დასერილ-დასველებულს, ჩამოხეულსა და გამოსავათებულს, მეორე ნაპირზე მელვინეთუხუცესი გვხვდება. სავსე ყანწს გვაჩრის ხელში, როგორც ცოდვისაგან განბანილთ და ნეპტუნის მონათლულთ.

გამოცდა ჩაბარებულია, ნათლობა — მიღებული, მაგრამ საამისო დიპლომებს ვერ ვიძლევი, რადგან შესაფერისი ბლანკები არ აღმოგვაჩნდა. ასეთი ბლანკები სპეციალურად იხატება და მზადდება. გადაწყდა, ინდოეთის ოკეანეში დავთქვით შეხვედრის კოორდინატი, გადავსვით ვინმე აქეთ მომავალ ტანკერში „კრემენჩუგზე“, ბლანკები დავესესხოთ და დიპლომებიც მაშინ დავარიგოთ.

არსად ჩანს ოფიციალტი ზინა. ისიც ხომ პირველადაა ეკვატორზე?! მაგრამ არ გამოდის. რაშია საქმე? ნუთუ ასე წუხს თენგოს გამო? ვაგზავნი ხალითს, ნახე, მოიყვანე-მეთქი. ბრუნდება, მეუბნება — კაიუტაშია, წევს. ნაპტირალევი იყო. თავად წავედი, შევიხედე, ჩამოვჭექი. შემომხედა ზინამ და ახლა უკვე ხმამალა ტირის.

— მე აქ რა მინდოდა, მე აქ მაგისტვის წამოვედი. ახლა რაღა ექნა, რა მეშველება?

— ნუ გეშინია, ზინა, ჩვენ აქა ვართ. — მაგრამ ვერაფრით ვამშვიდებ. გამოვდივარ.

ქალიშვილი წუხს. უნდა შეწუხდეს, აბა რა. ეტყობა, მიენდო ბიჭს და ბევრი რაღაც ნაადრევად ჩაიდინა. ჩემთვის კარგად გასაგებია მისი მდგომარეობა.

ღამით კინოფილმ „რეკეთილის“ ნახვის შემდეგ, კლუბში. ექვთაც საუბარს რადიოგაზეთით იძლეხული ცნობების მიხედვით.

შინ ვბრუნდები. ჩემი კაიუტის კა-

რებში გარკობილი რვეული მხედება. ეს ხალითისაა.

ვკლები. შინიდან წამოღებულ ჩემოდანზე ჩერდება თვალი.

ჩემოდნიდან ნახევრად გადმოჩოჩებულ ქაღალდის ყდას ვხედავ. წამოსვლის დღეს მიღებული ფოსტაა შიგ.

ვშლი, გაზეთები და ორიც გუხსნული კონვერტი გამოვარდა, არც ვუყურებ საიდანაა, ვისგანაა. პირველს ვხსნი, ვკითხულობ, მერე მეორეს ვხსნი და იმასაც ვკითხულობ.

წაკითხვისთანავე მართლაც ავღშფოთდი, გონჯად შევიქენი.

მაგენს ჰგონიათ ადგილზევე ვარ, არსად წაესულეარ. ჰგონიათ შემოთავაზებულ თანამდებობაზე დავთანხმდი და, ეტყობა, ამის გამო, ერთი მაინც განსაკუთრებით, ახლავე მლიქვნელობას იწყებს ჩემთან. ერთგულებას, ძმობას მეფიცება. ჯანაბაშიც დაიკარგე, შეუსინდისო! როცა დახმარება მჭირდებოდა, როცა შეგეძლო დამხმარებოდი, დაიმალე, დამცინე, დამივიწყე, არაფრად ჩამაგდე. უბადრუკს, ქალამნიან ზეგნელს შეძახოდი. ცოტა რომ ფეხზე დავდექი და ორი-სამი ნაცნობ-მეგობარი მეც გამიჩინდა, როცა გამოქვეყნებული პირველი ნარკვევის გამო შემეპქეს, ქურაში წუთით შეჩერება და ხელის ჩამორთმევა იკადრე, ხოლო როცა დედაქალაქის — ქურნალმა ადგილი დამითმო, ხოლო ერთმა სახელგანთქმულმა, მაგრამ უნიჭო კრიტიკოსმა ის ნაწერი ცაში აიყვანა, მას შენ გვერდით აეტუხე და უმტყიცებდი, რომ პირველი რჩევა-დარიგება შენგან მივიღე, პირველმა შენ შეამჩნიე ჩემი „ტალანტი“ და დროზეც „დააფასე“.

ახლა მწერ: „პირველ მდივანს მე ვუთხარი იმ დღეს, აღმასკომის თავმჯდომარედ შენ გამოდგებოდი მხოლოდ. შენ ცხოვრების გამოცდილებაც გაქვს, უნარიც, თავმდაბლობაც... მერე შენ ამხეობელი ხარ. გერგება, გერგება.“

მე ყველაზე მეტად გავიხარებ. ვიცი ზოგიერთები... არ მინდა ახლა ამეებზე. იქ რომ დაჯდები, მაშინ გნახავ და გე-

ტყვი. მე შენ ბევრ რამეს გეტყვი. ამ ამბების ცოდნის გარეშე ვაგვიტყუებდე მე დამიძახე, დამიძახე რვეულიც შენ მეზე. მე შენ მდივანად კაცს შეგიჩრევ (მერე დაგისახელებ) ერთს, განათლებულს, სანდოს, შენი ნიჭისა და უნარის ღირ თაყვანისმცემელს“.

დამიძახე? კი, ბატონო, დაგიძახებ. აქ, ოკეანეში...

ჯანაბას იქით შენი თავი!

მაგას ეგონა მისი ხელსახოცი ვიქნებოდი, მის თოკზე გასული ჯამბაზი.

რა დროს გავუსხლტი ხელიდან სუყველას?

შემიძებრებოდა, შემომიჩოჩებდა თხოვნებს. ვილატას საღაღაც მომაწყობინებდა და თავად ფულებს ჩაიხხრიალებდა ჯიბეში.

ფული!

ამბობენ, ხელმძღვანელ ორგანიზაციაშიც ფულით შეიძლება შესვლაო. არა, ნუ გააქნევ თავს. ხდება. ხდება. მერე? კარგი ადგილი გექნება და ისევ ფულს მოხვეტავ. არსად არაფრის ცოდნა არაა საჭირო. მთავარია იყო უფროსი და იცოდე ვისგან რამდენი აიღო, ვის რამდენი ახვედრო. საქმისმცოდნეს ხელი არ შეუშალო. თუ სწორად გაანაწილე, არავინ გაანაწყენე — წინ წახვალ, არა და, ვერ გაამართლო, იტყვიას და წუთში მოგინახვენ ცოდნის, რათა იქით, გვერდზე გადაგაჩორონ.

მთლად არ ვაგაბითურებენ, რადგან რალაცეები იცოდნი. გახრულ ძვალს მაინც ვადმოგივადებენ.

მეორე წერილი ქალის ხელითაა ნაწერი. ვიცანი, პო, ვინაა? აა, — გაიანე!

„შენ სიმართლე გიყვარდა მუდამ (ზომ გახსოვარ?)“. რაა ახლა ეს, რად გამახსენა თავი? ვიცი. ჰგონია აღმასკომში მუშაობაზე დავთანხმდი.

„ისევ იქა ვცხოვრობ, იმ ოთახში... ჩემი გული ყოველთვის ქრუანტელითაა სავსე, როგორც კი მომავლონდები. ჩემთან აღარავინ დადის. ოთახი, კი იცი, რავარია. თუ იქნება ახალი, შენი

იქნება. ყველაფერი დაფასდება, იცოდე. სანდო ვარ. კი იცი შენ“.

აჰა, ბინას მთხოვს. ჭვეყნის კუროები დაძვრებიან მასთან. გაფართოება სჭირდება, შუამავლობას მპირდება, „სანდო ვარ“, ფულებს მოგიტანო. ვინ გაანებიერა? იმან — ატეკას მმართველმა გიგიმ, თითო თვითმცლელის მძლოსაგან ას მანეთს რომ იღებს თვეში, სამუშაოზე მოწყობაში კი — სამასს.

გაიანე მომწონდა ოდესდაც. მინდოდა ოჯახი შემეჭმნა.

ხოლო როცა ყველაფერი კარგად გავიგე, განვდექი მისგან, შორს, შორს. კი, კი, დროზე ვუშველდ დაფხიჩხულა კერალაც გაუგია და ხელად წერილი, ხელად — გულის მოჭადოება. ვერა, ვერ მოგართვი, ლამაზო!

ცოდვიან ბარათებს, როგორც ნაგავს, ოკეანეში ვყრი.

ამას მირჩევნია, ხალითის რვეულები ვიკითხო, იქ უფრო იქნება ალბათ რალაც ხალასი სინამდვილის ხიბლი.

□ ბაბრამღმა იმნება □

## ერთი გორისანი

ფანჯრიდან ვხედავ — ო, სისხლო  
ჩემო! —  
კაცი რომ მოდის, მე ვარ, ერიპა!  
მზით გათანგული და რომელიღაც  
ფრინველის დარად მზირალი ზემოთ.

მე ვარ — ქედანი და არა ქორი,  
ფანჯრით მზირალი — ვხედავ ქუჩიდან...  
მტლად დავედები, თუ გაუპირდა,  
მტლად დამედება — ჩემივე გორის.

## მიხსლოვა ორიათას წელთან

აღუვსებელი კათხავ,  
დასტები! შამრი და მდედრი  
მივექანებით სადღაც  
ატრუვებული ეტლით.

მადლი არ გვწყალობს უფლის  
და ვეხეთქებით მკაცრი  
დროის მაღალი ტაძრის  
კედლებს მხურვალე შუბლით.

მერე, გადავრჩით თუკი,  
ვწერთ სიავეზე სოფლის  
თვალში ჩამქრალი შუქით,  
პირზე მომდგარი დორბლით.

ვწერთ შეგონებით, ჰკუთით,  
შხამგარეული ზიზლით —  
შუბლზე მიმხმარი სისხლის  
ფასად — მართალს და ტყუილს.

მანც გვიზიდავს მისნის  
ხელით ნაგები ტაძრის  
გუმბათი, ანუ აზრი  
საკაცობრიო მიზნის.

თითქოს ესაა, რასაც  
ბედის ჭაყუჭაყა ეტლით  
უნდა ელტვოდეს რასა  
შავი, ყვითელი, თეთრი.

არადა — ღმერთმა იცის,  
მჭექარე ჰაი-ჰაით,  
მძვეალნი ცის და მიწის  
მივექანებით საით.

არადა — ისევ დილის  
ცას უნუგეშოდ ერწყმის,  
სული — მუსიკა ლერწმის,  
ოდენა ღრუბლის ფთილის.

არადა — სადღაც თეთრი  
და იისფერი კვამლით  
გონწართმეული მამრის  
სუნთქვას შენატრის მდედრი.

არადა — ღმერთი, რაჯული —  
სხვაა, გაჩენის დღიდან  
რასაც ესწრაფვის სული  
შეუმცდარ გზად და ხიდად...

რა დაშავდება, ნეტა,  
ყველგან, თენდება სადაც,  
ლურჯად ჰყვაროდეს ცა და  
ემღერებოდეს დედას;

ხვალის იმედით სავსე  
მზის მოციმციმე ზოდი

გვირგვინად ადგეს თავზე,  
ამ დედამიწის ცოდვილს  
გინებდნენ

მზეო, არც ისე შორი  
შენ გაგვიტენე — ველით! —  
მშვიდობიანი ორი-  
ათასმეერთე წელი.

## სალალოზო

საშუქაშუკო დარია და  
ყვავს არ შერჩა ნატამალი რიდი —  
გაიტყუა დარიალთან  
ჩემი გვრიტი, გულუბრყვილო გვრიტი.

ღმერთო, მომკალ, მადლი არი!  
ნაჩუქარი ეგვიპტელი ელჩის,  
ავერ, თორმეტ ადლიანი  
შემრჩა ატლას-ფარჩეული ხელში.

სადაც ლოდი გდია ცივი —  
სჯობდა გული გამპობოდა ცხელი —  
ავჭვითინდი დიაცივით,  
ავჭვითინდი... ჩავიჭნიე ხელი.

ერთი სამად, სამი ათად  
მელანდება ორობზე თუ შუკა.  
სალალოზო უამია და  
მივიმღერი, რალა დამრჩა უკან.

აქ იმდენი კოკობია —  
სანეტარო ბალი ისე ჰყვავის,  
გაიხედავ — ხოხობია!  
კაკაბია! არ ჭაჭანებს ყვავი.

ხოხობია, კაკაბია.  
აპა-მეთქი — ნაკლები ხართ რითი! —  
ჩინებული საკაბეა...  
გვეედრებით, არ მიხსენოთ გვრიტი.

საკაბეა არჩეული,  
მოგინდებათ, ნუ მაკადრებთ უარს.  
მსგავსი ატლას-ფარჩეული  
კაიროში ფარშავანგებს თუ აჭვით...

ხოხობიო? კაკაბიო?! —  
გოგნი-გოგნი მოგოგმანდა გვრიტი.  
დღეც დასრულდა საკაფიო —  
მწყერმა სადაც ჭვითჭვითიო, ჭვითი.

## მოგონება: ტანგო

სიზმარია, ზღაპარია,  
იქნებ გაწყრა განმგებელი ყოვლის! —  
მზე სამყაროს გაბარვია,  
უსაშველოდ ცვივა, ცვივა თოვლი.

ცვივა თოვლი. სიზმარია, ზღაპარია.  
ჩემი სულიც, შენი სულიც იქნებ  
უნუგეშოდ აბარია  
პეპლებივით მოფარფატე ფიფქებს.

ხმა ღვთიური ბაღს ედება  
და მე ისევ, უხილველო ჰანგო,  
ხელთან ხელის დაწყვილება  
მახსენდება,  
გულთან გულის დაწყვილება — ტანგო.

მშვენიერო მოჩვენება,  
რა ვიცოდი, თუკი სამუდამოდ  
დავკარგავდი მოსვენებას  
გაფრენილი გაზაფხულის გამო.

ხეებს ხელი ცამ დარია,  
საცოდავად იგრძელებენ კისერს.  
ზამთარია, ზამთარია,  
გაზაფხული მენატრება ისევ...

ბოლო გზაზეც — ისე ძლიერ  
მენატრება —  
დამეწევა, კატარინა ჩემო,  
ხმა, რომლითაც სმენა თვრება  
და მეწევა ზემოთ, ზემოთ, ზემოთ.



**ტუია პატარაია**

გამოელვება ანაზღად  
სკამზე ჩათვლემილს ბუხართან,  
კარში გავარდა — განაზღა:  
დედას იეზი უყვარდა...

ღმერთის წინაშე შერცხვენისს,  
ამიხსენითო, ტუიამ,  
ჩემი მცირედი ეს ძღვენი  
ენძელაო, თუ ია.

ამ, ია ალბათო,  
განცვიფრებული მიხაყი

იას უმტკიცებს, ქალბატონს,  
ზამბახიო — მიხაყი!

რისი ზამბახი, რა ია,  
კვდება სიცილით სოფელი,  
ტუია პატარაიავ,  
ვარდია ღუჭნობელი.

გულში ნაღველი ჩაფლა და —  
მადლობელიო, ტუიამ.  
მხოლოდ იქ, დედის საფლავთან  
ამოიგმინა: სტყუიან!..

**გასართობი ბალადა**

ღმერთს მადლობა, ზენას,  
უხილველად მალალს!  
ბავშვობიდან სმენა-  
დაკარგულო მახავ,  
მოველ-მეთქი, წლების  
ფეთიანი სვლებით...  
დღეს, ყელამდე მდიდარს,  
მე, შენს ეზო-კართან,  
არაფერი მინდა,  
ამ ჭონების გარდა:

მხრებზე მაზის შვიდი  
მაფშალია ჩიტი —  
ოქროდ მიღირს, ზოდად  
იშვიათი გორის  
ხუთი კარუზო და  
ორი გეგეჭკორი.  
სად გაგირბის თვალი,  
მახარია, მახა,  
დიდუ, ჩემი ბრალი,  
ყრუ მეგონე, ბრმა ხარ!

გესმის? ზეცას ერთვის  
უმალღესი დონის,  
შვიდი — როგორც ერთი —  
ტენორ-ბარიტონი.  
ყველა ისე გალობს —  
ნეტარ-სანუკველი —  
სწორედ სალასკალო  
მზე ამოსდით ყელით.

ახავაი, მახა,  
კვლავაც ყრუ ხარ? ბრმა ხარ?

არ დაკარგო რწმენა,  
ამოიღე ზმა და  
დაგიბრუნებს სმენას  
„სი სოულუ, ბატა“.  
გაეკოტრდები სულაც —  
მე ისედაც მძულან,  
ვინც ცომივით ფუის,  
ვინც ყალბია, ყბელი...  
მუნჯიცა ხარ?! ფუი,  
მე და ჩემი ბედი.

და — ანაზღად, უცები —  
ფეხთ მეცლება ფუძე;  
რა გზით, ზენამ იცის —  
მახარია, მუნჯი,  
ძლივს იკავებს სიცილს,  
დახატული ფუნჯით.  
აივნიდან ავად  
აბრიალებს თვალებს —  
გვარად სოტკილავა  
და სახელად ალე...

აქიციანე კუდი —  
მიდი — ზარის რეკვით,  
ბატონ ალეს ხუთი  
ახვევია ლეკვი!  
შეგხედე და — მახამ

გულზე დამაჯახა  
 ცრემლი, რიგორც ღვავა:  
 დაკარგული ბიჭო...  
 ერთი სოტკილავა  
 ხუთ კარტოს მიჯობს.

და ატირდა შვიდი  
 მაფშალია ჩიტი:  
 „— ზი, რა ლამაზი  
 მეურჩები, მერჩი,  
 სიყვარულო, მასი  
 ვარდი თიშენ მერჩი?  
 სცოდავ, ცაო, სცოდავ!“  
 ყეფს უკვდავი გორის  
 ხუთი კარუზო და  
 ორი გეგეშკორი.

ქარა, ჩქარა, ჩქარა —  
 ბილიკს მივუყვებით,  
 გზას ვიმოკლებთ, შარას  
 ნაღვლიანი ყეფით.  
 შუკა-შუკა-შუკა  
 ცეკვა-სიარულით.  
 ხალხი მოგვდევს უკან,  
 მსუბუქ-მხიარული.  
 — ვიხოცებით, ვკვდებით, —  
 ხარხარებენ მთები.

ცვარი, ცვარი, ცვარი,  
 მოცხარი და ბაღბა...  
 მზეო, სადაც არი,  
 დაგბრმავდებით, ალბათ.  
 გზისპირ — გაჭყლეთილი  
 ვარდი, ბედდამწვარი,  
 ვერ მიმხვდარა: ტირის,  
 თუ იცინის ცვარი.  
 ასე ხდება, როცა  
 ცაა — უღრუბლო ცა.

გვახსენდება კერის  
 სითბო — ზამთრის დილით,  
 ესე იგი, ვმღერით,  
 ესე იგი, ვტირით,  
 ესე იგი, ღამის  
 ახლოვდება ეამი.  
 ხმები დავიბოხოთ —  
 ჯანსულო და ჰერი —  
 ქუდის თუ ბოხო-  
 ხია ქს ოხერი!..


ვშიშობ: სადაც კარი  
 იღებ-იხურება,  
 მახას ნახევარი —  
 ალე იყურება.  
 ვახ, სოფელო, რა ხარ,  
 მოგვასვენებ აღარ!  
 მხედველი თუ ბრმა ხარ,  
 ღირსი შეჩვენების,  
 საცოდავო, მახად  
 რატომ მეჩვენები...

წინ — ქალაქის ბუენი,  
 უკან ფერღობია...  
 იქაც, აქაც ჩვენი  
 ყეფით ერთობიან;  
 ცაც ერთობა, ღმერთიც,  
 შორი ვარსკვლავებიც —  
 მოკვდავთაგან ერთი  
 ბეწო განსხვავებით.  
 ნანაია, ნანა,  
 ღროა იმისთანა.

ცაიშ-ტალერ-ბანძით,  
 გზას ვიმოკლებთ, მანძილს.  
 იქით — ვატიკანი,  
 მკვიდრი ფუძე-ძირით,  
 აქეთ — რვა თიკანი,  
 ყველა შესაწირი.  
 სევდის ყინულს აღხობს,  
 დარდის ბუნავს სერავს,  
 ღვითით ნაკურთხო ხალხო,  
 შორი „ბუნასერა“:

აქ რომ ხარხარია,  
 აქ რომ სიცილია,  
 გასცდა რაბანია  
 მზიურ სიცილიას.  
 მხნე და ჭიგრიანი,  
 ხან უკან და ხან წინ,  
 მიდის, მიგრიალებს  
 ღიმოჟ-ღიმოჟ ნანსით, —  
 მოკვდებიან ჭავრით,  
 რომ არ დავენახო:  
 ჭვარზენიდან თავრიზს,  
 ლაკადიდან ლახორს.

ეიფელის თაღთან  
 ხტუნავს ეან პიერი:  
 — კოლხურია ნაღდად,



მრავალჯამიერი.  
 მაგრამ — „ორვეუარ!“  
 კაი მაგისტანა  
 ჩამოდნება, თუ არ  
 გაიპაყისტანა...  
 და, ღღემუდამ ჩუმი —  
 ღმერთმა ნუ ქნას, იკლოს! —  
 დარიალობს ჭუმი,  
 ეჭიბრება ტიგროსს.

...თქვენ კი გაიხარეთ  
 ე მაგ სიცილებით,

ხომ არ დაიღალეთ,  
 საით იცქირებით?  
 იქით მწიფობს წყავი,  
 მუშმულა და ბია;  
 ფარშევანგობს ყვაფი,  
 ქორიც კაკაბია. —  
 ნანა, ჩქიმი ცოდა,  
 ხომ არ ავცდით სენაკს?!  
 დავიბენი ცოტა.

ღმერთს მადლობა, ზენას.

## გიორგი ნარბთაღი

ცნობილ საბავშვო მწერალს გიორგი წერეთელს დაბადების 60 წელი შეუსრულდა. ეურნალ „მნათობის“ კოლექტივი და რედ-კოლეგია ელოცავს ამ ღირსშესანიშნავ თარიღს და უსურვებს ღიდ შემოქმედებით წარმატებებს.

• • •

მგოსნის  
გადასახადი  
წვა,  
წვაა და  
წვალემა,  
სანთლად გარდასახვა და  
ნათლად გარდაცვალემა.

## ზვის თვალის გამსწორებელი

კიანჭველები მიასვენებენ  
მზესუმზირას კუბოს,  
შიგ ასვენია ცოცხალი გული,  
არ აიხადო, ხუფო!  
არ დაგველუპოს.  
კუბო შეიტანეს ლაბირინთში,  
გასახსნელად დაესია ცხრა ჭოფაკი,  
ვერ გახსნეს, —


გაზაფხულზე თითონ გაიხსნა  
სარკოფაგი  
და ამოვიდა მზესუმზირა  
დაღგა და ჭიუტად მზეს უმზირა.  
მტრის ჭიბრზე ერთი ათასად იქცა  
აქ მიწა დაფარა,  
იქ — ცა!...

## საე ამბოჯან

ასე ამბობენ:  
რა ღროს შენი სიბერეაო,  
ჭაბუკად ითქმი,  
შენი სული იმფერიაო,  
გაფერე გული,  
ადრე თუ არ გიფერიაო,  
რომ გეფერება,  
არ დაკარგო ის ფერიაო.

ჩაბერე კერას,  
ადრე თუ არ გიბერიაო,  
გამრავლდი, კაცო,  
უკვდავემა სიბერეაო.  
ჰო,  
ასე,  
ასე  
არსებობდა იბერიაო.

ჩიქოვანის სათვალე



ფრაგმენტი

აგერ სათვალე,  
ფუტლიარში  
ჩასვენებული,  
ხელდაკრეფილი  
განისვენებს  
ვით სერაფიტა,

როგორ გვაკლია  
ის სათვალე  
აქ ხსენებული,  
მოირგე თვალზე,  
შემოგვხედე!  
ის მზერა გვინდა!..

მჭადელი

საბერველის ფილტვებით  
აღს ქურაში აჩენდა,  
მისი ოფლით ნაწრთობი  
მთელ ქვეყანას არჩენდა, —  
მისი ნაჭედი რკინა  
გვასმევდა და გვაჰმევდა...

ფორმა მისცა ცხელ რკინას  
დედამიწის საჭედა, —  
მარტო ურო კი არა  
ქვეყნის ბედიც გაჭედა,  
მისი ნაჭედი ნალით  
საუკუნე გაჭენდა.

დავითიანი

გურამიშვილი  
გაიტაცეს  
მთაში ლეკებმა,  
თქვეს:  
საქართველო  
ასე უფრო წაილეკება!..  
დავითს ეხვია  
ტანზე მტერი  
როგორც კალია,  
ჩასვეს ბულბული,  
მოუჩინეს ორმო გალიად.  
ბულბულს არ შვენის  
მიწის ბუდე,  
ქვეწარმავლობა,  
ამოძვრა მაშინ,  
როს ვარსკვლავი  
ზეცად მრავლობდა,  
ტყე-ღრე გალია,

შედგა წუთით,  
რა მზე დალანდა,  
გზაჯვარედინთან  
ჩრდილოეთის გზაზე დაადგა,  
უკან ლეკები,  
შინ თურქეთი და ირანია,  
ახლა დავითი  
თავდახსნილი ამირანია,  
რუსეთს დაეცა,  
როგორც ძირზე ხე მოკვეთილი,  
გავდა დავითი  
საქართველოს  
შემოფლეთილი.  
ხმალი იქნია  
და ფრთით სიტყვა დაგვიფრთიახა...  
დავითის სული  
დაგვიბრუნა  
„დავითიანიმა...“

### სად ნავიდა გუინევი?



ვით ირემი  
 წევს ბეინევი,  
 წოვენ ღრუბლის ბეინეები,  
 ისედაც წვრილს ავიწროვებს  
 გზას ბალახი მიეინებით,  
 ყრია ხავსის ბალნიანი  
 ქვები წოლა-მისჯილები,  
 ხმელი მსხლის ხეს ჩამოშლია  
 მხრებზე ფითრის ჯინჯილები,  
 ჩამოშლილან წყლისპირები  
 ნაჟურით ნაბიევენები,  
 ვინ გაკაფა ტირიფები  
 ერთმანეთზე მიჯრილები? —  
 ფეხვის ბრჭყალით რომ ეჭირათ,  
 სად წავიდა ის ბეინევი?..

როგორც ყრმობის ღროს რიყე დავლემწე  
 ხვითოს ვეძებდი შიგნი,  
 ყველა სიტყვაში მადანს დავეძებ,  
 რომ გაემდიდრო წიგნი.  
 რაც მიძებნია,  
 რაც მიმიგნია  
 მგონის წესით და რიგით,  
 მისი სალარო ჩემი წიგნია,  
 შენ რომ გიძღვენი, იგი.





გურამ სხირბლაძე

ო რ მ ო

დათვმა კოჰლი ძუნძულით ჩაირბინა ფერდობი და ლელესთან ჩუმი ბოყინით შეჩერდა. აქ, ვეება, პიტალო ლოდთან ლელე გუბდებოდა, მკვეთრად უხვევდა და ისევ სუსტი ჩხრიალით გარბოდა დაღმართში. ლოდთან ხევი ტყიდან ჩამოჩეხილს ჰგავდა, ისე, რომ მიწიდან გამოჩრჩილი ხის ფესვები ერთმანეთში იხლართებოდა და იწნებოდა. ცოტა დაბლა კი, საიდანაც დათვი გამოძუნძულდა, ფერდი დამრეცი, ლორღიანი იყო და სველ მიწას გაზაფხულის მწველ მზეზე ოხშივარი ასდიოდა. ფერდზე ყვითელი, გაქუცული ძალი იდგა და დამბული მოუთმენლობით შესცქეროდა დათვს. ჩუმი ღრენა წკმუტუნში იკარგებოდა. ძალი მიახლოებას ვერ ბედავდა.

გუბესთან დათვი წამით გაილურსა, მძიმე თავი გაასწორა და ქვეშიდან ამოხედა მიდამოს, ათრთოლებული ნესტოებით დაძებნა ხიფათი. სწრაფად შეხვრიბა წყალი, შეჩერდა, მიმოიხედა, ძალი ცქმუტავდა, გააფთრებით უმწეოდ ყვფდა შორიდან. დათვმა ისევ სწრაფად, თქაფუნით შეხვრიბა ტყის გრილი წყალი და კვლავ კოჰლი ძუნძულით მიიძალა. ძალმა ნერვიული წკმუტუნით მიირბინა გუბესთან, მანაც სწრაფად, ხმაურით დალია წყალი და დათვის კვალში ჩამდგარი, ისიც გაუჩინარდა ხშირ ტყეში.

დაუძლურებული დათვი უგზო-უკვლოდ დაბორიალებდა გაზაფხულის მშვიერ ტყეში, იქ, სადაც საკმელი ეგულებოდა, ხიფათის სუნიც იდგა და დამფრთხალი, გამძაფრებული ინსტინქტი მიარბენინებდა შორს, ისევ უღრან ტყეში, მაგრამ ხის მერქანი, რომელსაც დროდადრო ღრღნიდა, ოდნავადაც არ უოკებდა უკვე აუტანელ, ტკივილად ქცეულ შიმშილს. ერთხელ ძალს გაეკიდა, ძალი უფრო სწრაფი აღმოჩნდა და, რაკილა მიხვდა, რომ მისთვის ეს ლუკმა მიუწვდომელი იყო, ინტერესი დაკარგა. იმ წუთიდან კი ძალის გამაღიზიანებელი სუნი აღარ მოშორებია. უაზრო ბორიალში ტყე გამეჩხერდა და შორიდან, ოდნავ, ოდნავ — ასე მშვიერი და მგრძნობიარე ნესტოები თუ იპოვნიდნენ — საკმლის სუნი შეიგრძნო. ტყისპირას გაშეშებული დათვი ხარბად იყნოსავდა იმ სუნს. ნიავე მოვიდა და ხიფათის მძაფრი სუნი მოიტანა, მიშმა და ბოლმამ ერთად გაუარა სხეულში, ერთიანად დაიძაგრა, ქელი აებურძგლა, ნელა, ქშენით დაიჭხია მძიმე თავი და ისევ ტყეში მიიძალა უძლური, სხეულში ჩაკარგული ზრიალით.

საკუთარი სხეული დალატობდა დათვს. უხმო, ფრთხილი მოძრაობა უქირდა, ნატყენ თათს ტვირთივით მიათრევდა და ხმელი ფიჩხი და შრიალა

ნეშო კვალად მისდევდა მის გზას. ტყეში გამოყოლილმა საჭმელის სუნმა შორს არ გაუშვა და ისევ ტყისპირთან მიიყვანა, აქ უფრო ძლიერი იყო ეს მომნუსხველი სუნი; ერთბაშად მოვარდა ნერწყვი, ხახამ არ დაიტია და დრუნჩხვით ჩამოეკიდა სქელ წებოვან წვეთებად, იქვე, ტყისპირთანვე, ხშირ ბუჩქნარში ჩაიმალა დათვი. მწუხრის ბინდში განაბული მშვიდი სოფელი ჩანდა. შორი ხმებიც კი ისმოდა, სუნი კი, მძაფრი, დაუოკებელი სუნი ახლოს, სულ ახლოს ტრიალებდა. დაიმორჩილა სუნმა, გაჰყვა მიწაზე გართხმული თითქმის. ფრთხილად გამოჰყო ბრტყელი, სამკუთხა თავი ბუჩქნარიდან — ტყისპირა ველზე თეთრ ლაქად ჩანდა ძროხა. თეთრი ძროხა ეულად იდგა საღამოს ბინდში, მერე ნელა აწია თავი, დრუნჩხი აიშვირა, მშვიდად, ნაღვლიანად დაიბმუვლა, გრძლად, სევდით სავესე დახილით. აუტანელი, წამლეკი ძალა ეზიდებოდა დათვს, დაძაბულ მოლოდინში შეკუმშულმა სხეულმა ახლო ხიფათი შეიგრძნო. სმენას გააფთრებული ღრენა მოსწყდა, დათვსა და ძროხას შუა ერთიანად ძაგძაგებდა ყვითელი, გაქუცული ძაღლი; ბოროტი ბრაზით მოელვარე თვალები და ყვითელი ეშვები საოცარი ძალით ანათებდნენ. ასე იდგნენ ერთხანს დათვი და ძაღლი, ერთმანეთის შიშით, ბრაზით, ზიზღით გაქვევებულნი. ისევ დაიბმუვლა ძროხამ, დათვმა წამით მოავლო თვალი. მანძილი მოზომა ძროხასა და ძაღლს შორის, ჭიუტად დაიქნია თავი და ნელა, თითქოს ზარმაცად, შეიმალა ბუჩქნარში. ძაღლმა უკანა თათებით რამდენჯერმე ღონივრად მოკაწრა მიწა, კიდევ უტრიალებდა ცოფიანი ღრენა ხახაში, ფრთხილად დაიძრა, ფრთხილი ყნოსვით მიუახლოვდა იმ ადგილს, სადაც დათვი იყო, ისევ ბრაზიანი ღრენით გახედა ტყეს. ნელა, გაზომილად შეარხია ლაქებში ამოჩრილი კუდის წვერი, სოფელს გამოხედა, ყნოსვით დატრიალდა, ხესთან მოშარდა, ისევ დატრიალდა ყნოსვით და ისიც შევიდა ტყეში.

უკვე რამდენი ხანია კვალში ედგა

დათვს. ქარს მოფარებული მისდევდა და ასე უფლიდნენ გარსკჳფელს ღრმლის დაცვა უყოყმანად დაიგებლა უპატრონო ძაღლმა. დათვი ბოროტება იყო, სოფლის ზიანი, იმ სოფლისა, სადაც ერთი ალერსიც არ ღირსებია ყვითელ, გაქუცულ ძაღლს, უანგარიშო ერთგულებამ მრავალი ხრიკი და ეშმაკობა ასწავლა, მუდამ მშვიერი, საჭმლის ძიებაში გაიწვრთნა და დახელოვნდა და ახლა, ავი წინაგრძნობით ატანილი, ჭიუტად მისდევდა მტრის კვალს. ერთხელ დაეკარგა კვალი, თითქმის ბრმად, ალაღბედზე გარბოდა და ტყეში დარჩენილ ხრიკზე პირდაპირ შეეფეთა მტერს. ორივესთვის მოულოდნელი იყო ეს შეხვედრა, ქურდობაში გაწაფული ძაღლი უფრო სწრაფი და აზრიანი აღმოჩნდა, დათვი კი შიშშილისგან დაუძლურებული იყო, მოულოდნელობისგან უკანა თათებზე ჩაჭდა, ტორები აიქნია და მუცლისხმა ამოუშვა. ძაღლი ანჩხლი ღრენით გაბტა გვერდზე, ქეციანი ბეწვი აებურძგნა, გაქუცული კუდი ლაქებში ღრმად ამოიღო და ასე გაშეშებული, შემართული, ბოროტი შერით უღრენდა. მაშინაც იბრუნა პირი დათვმა, შებრუნდა და კოჭლი ძუნძულით, ბრაზიანი ბოყინით გაიქცა ტყეში. გათამამებულმა ძაღლმა ერთხანს ახლო სდია იმავე ბოროტე ღრენით, მაგრამ ეს იკმარა, მტერი მასზე გაცილებით დიდი და ღონიერი იყო.

გაბერწებული ძროხა მის პატრონს თავისუფლად ჰყავდა მიშვებული, ვინაიდან სოფელი მშვიდი, უთავგადასავლო იყო. ჩვეულებისამებრ მიადგებოდა ხოლმე შინმოსვლის დახილით ნაცნობ ეზო-ჭიშკარს, მერე ამასაც გადაეჩვია და სადაც დაულამდებოდა იქ ათენდებოდა თეთრ, ლამაზ ძროხას, ის საღამოც სხვა საღამოთაგანი იყო, წყნარი, უამბო, ლამეც ნელა, მშვიდად მოვიდა, ჩვეული ხმები დაცურავდნენ ბნელში, სიჩუმე, მშვიდობა იდგა; კიდევ ერთხელ გრძლად, ნაღვლიანად დაიბმუვლა ძროხამ, მერე ჭერ წინა მუხლები ჩაკეცა და მიიმედა, ჩუმი ქშე-

ნით დაეშვა ნოტიო, თბილ მიწაზე. ერთიანი სიჩუმე არანაირ ხიფათს არ კარნახობდა ქვეყანაზე მარტო დარჩენილ თეთრ, ლამაზ ძროხას. ასე იწვა და იცოხნებოდა დინჯად, მშვიდად.

იმ ღამეს, იმ მყუდრო, მშვიდობიანი, კეთილი სოფლის განაპირა სახლში, ფართო აივანზე ვიჯექი. ასე ბედნიერი მარტოობა არასოდეს შემეგრძენია, სამყარო გარინდულიყო საოცარ, უსასრულო ჰარმონიაში, ჩემი ღამე ნახად მეფერებოდა, შორს უღრუბლო ბინდისფერი მთები ჩანდა, იმის იქით კავკასიონის თოვლიანი ქედი და ის თოვლიც კრიალა ლურჯი იყო, მუქლურჯ ცასთან, კაშკაშა ვარსკვლავებთან შერწყმული. ტაბით მიცურავდა ღამე, და ამ დროს გაგლიჯა სმენა საშინელმა ბლავილმა, კვილად ქცეულმა ყმულმა და ელდამ გადასერა გონება, ელდამ გამომავდო გარეთ. ყმული წყავწკავში გადავიდა. ისევ გაბმულად მოისმა უნუგუშო ბლავილი. განწირული ხმა იყო, შველას ითხოვდა, საშველად მიხმობდა მე, მხოლოდ მე და უგონოდ მიმარბენინებდა თავისკენ, ბოლო ორლობეც გავლიე და იქვე ზემოდან გამოქანებული თეთრი ძროხა შემომეფეთა, საშინელი ბლავილით, რხევით გაჩერდა. თავდალუნულმა რქები წაიწვეტა, ბლავილი შიგვე, სხეულში უტრიალებდა, ისე გულგამგმირავი, ისე გამაყრუებელი აღარ იყო ეს უმწეობისა და ტყილის ძახილი. ეი-მეთქი შევძახე იმას თუ ჩემს თავს, — ეი-მეთქი და სისხლიანი, გამოგლეჯილი ფერდი დაფუნახე, ხორცი ნაფლეთებად ეკიდა ფერდზე, მსხვილი, უწყვეტი ცრემლი სდიოდა ტანჯვითა და სევდით საგსე თვლებიდან. ბრახმა და სიბრალულმა სუნთქვა შემიკრა, მსხვილი ცრემლი სდიოდა თავი რომ მომადო, მომენდო, უკვე ჩემად, ჩივილით დაიზმულვა. — ეი-მეთქი. — ახლა მე დავიზმუვლე. არა აზრი არ იყო ჩემში შურისძიების გარდა, საღდაც ორჯერ იქუხა თოფმა და ძალა და აზრი მომცა, მეც იქით, იქითყენ...

იქიდან თოფიანი კაცი გარბოდა ტყისკენ. ო, როგორ გამებარდა, როგორი იმედით ვანთავისვდივდივდივდი, კაცი ყვიროდა: — დათვია, დათვია, — დავეწიე, უკან მივსდევდი და მივძახოდი: „აბა, სადაა, სად ხედავ... — დანახვა მინდოდა, დაჭერა და ჩემი ხელით, შიშველი ხელით დახრჩობა. — გამეჭკა, შობელძალი, კიდევ გამეჭკა. — ტყისპირთან გაჩერდა, მიიმედქმინავდა, მაგრამ მშვიდად იყო და მეც დამაწყნარა, მოვარტყამდი, უაქველად მოვარტყამდი, მიზანი მაქვს, მაგრამ ტყეში შესვლა არ შეიძლება, ჩასაფრება იცის. ეშმაკია, შარშან რო დავჭერი, ისაა...

ტყისპირზე ძალი ევდო. მკვდარი იყო უცვე ხორცის, სისხლის გუნდად ქცეული მკვდარი ძალი. ზიზლით დავცქეროდი ამ დაგლეჯილ, დაფლეთილ ხორცს, აღარასოდეს დამეიწყებია, მთვარის შუქით განათებული, უცნაურად დაგრებილი, ნაწლავებგადმოყრილი ძალი. — დათვს შებშია, ეს უპატრონო, — ჩაიციხა კაცმა. — აქამდე უთრევი. — ძალის დაკრეჭილ, ყვითელ კბილებში ბლუჯად გარჩენილიყო მუქი ბალანი. ახლა მაგის დევნას აზრი არა აქვს, — თქვა კაცმა. — თუ დაჭრილია, აქვე იქნება სადმე, დილით კვალზე დავადგები. თუ არა და, შიშით შორს გადაიხვეწება აქედან. — ფართო ნაბიჯით გაყვა ბილიკს. ერთხანს უხმოდ ვიარეთ, ერთ ადგილას გაჩერდა და ორჯერ დაცალა ტყისკენ თოფი, მოულოდნელობისგან გვერდზე გავბტი, ფეხი დამისხლტა და ჩაჩოქილს ხელი რომ არ შემეშველებია, წაიქცეოდი. კაცმა მოკლედ, ხმაშლლა გაიციხა. — რამ შეგაშინა, კაცო, — ხელი მომაწოდა და მის უხეშ მუჭში ძალა ვიგრძენი. — ფერმამდე ასე სროლით უნდა ვიაროთ, თორემ ისეა მაგი, არაფერს დაინდობს. თოფის ხმაზე გადაიხვეწება.

გათენებულზე დაებრუნდით სოფელში. საშა ერქვა. ერთად გატარებულმა ღამემ დაგვაახლოვა. ღამე ფერმაში გავატარეთ, მწყემსებთან, მწვადით და

არყით გავვიმასპინძლდნენ. ცეცხლთან, ჩვენთან ერთად, ფერმის ბრაზიანი, ღირსებით სავსე ბომბორა ძაღლებიც ისხდნენ და ყურადღებით შემოგვეცქეროდნენ უცხო კაცებს. საშა დინჯად, შეფარული იუმორით საუბრობდა და მწყემსები გულიანად უსმენდნენ, საჭირო დროს თავშეკავებულად ილიმებოდნენ და თითქოს არაფერი მომხდარიყოს, ისევ ტაატი მიცურავდა ლამე, ისევ უსასრულო სიჩუმე იდგა ქვეყანაზე და მეც, არყითა და სიჩუმით გაბრუნებული, ნეტარად ვიჭექე მზიარულად მოგზავიზე კოცონთან. უკანა გზაზე ბუზმისეულ ძაღლის ლეშთან ისევ ვაჩვენებდი. წუხანდელი ბრძოლის კვალი აჩნდა მიწას, ათიოდე ნაბიჯზე უთრევია დათვს ძაღლი, ან, ალბათ, ძაღლი ჩააფრინდა კანქში, მთელი ძალით ჩაასო ბასრი კბილები უხეშ ჭაგარში. ალბათ, ჩუმი ღმერთით მიათრევედა დათვი ამ თავგანწირულ ძაღლს, პირმოძეწული ვააფთრებით რომ იღრინებოდა, ამ დაუძინებელ შტერს, მერე მოუბრუნდა, ალბათ, აღარც თათის ტკივილს დაერიდა, აღარც მოახლოებულ საფრთხეს, ალბათ დასცხო ტორი, აი, მაშინ აყმუვლდა და მერე აქვეწკავდა ძაღლი, მაშინდა მოიხზო მშველელი, ალბათ, მთელი გული, მთელი ბოლმა ჩააყოლა დათვმა ტორის მოქნევას, დასცხო და დასცხო, გოხდაკარგული მიაგდო, ალბათ, სისხლის სუხმა გააგია, ალბათ, ჩაავლო კიდეც კბილები მუცელში, აღარაფერს დაერიდა და ამ დროს ვავარდა, ალბათ, თოფი. მოხვდა კიდეც ტყვია, ახლა უკვე ძლივს და გაათრია წელი, შეათრია წელი ტყეში, ამ ერთადერთ იმედში, ხსნაში, ეს ყველაფერი ჩანდა მიწაზე, ყველაფერი ეწერა მიწაზე. სისხლის მსხვილი წვეთები შედიოდა ხშირ ბუჩქნარში, უხეშად გადაჭევილ, აშკარად კვალდატოვებულ ნეშოს სისხლი თითქმის უწყვეტ ზოლად მიუყვებოდა. მზის ირიბი სხივებით დაისერა ტყე, დრო და ადგილი დაშეკარგა უჩვეულო, ისტერიული აზარტით შეპყრობილს. ყველა

ბუჩქის იქით, ყველა ხის იქით ველოდი ჩასაფრებულ, სისხლგამსქმულ მხეცს, საშას ერთხელაც არ შემგლომისკვლი, კვალსაც და გარემოსაც ერთდროულად ხედავდა, მერყეობაც არ დატყობია სიარულში, მსუბუქი, სწრაფი ნაბიჯით მიდიოდა, დროდადრო შეჩერდებოდა, სუო, მეტყობდა და კვლავ სწრაფად, უხმოდ მისდევდა კვალს. უცებ გათავდა ტყე, უფრო სწორად, ქვიანმა ღელემ გაჭრა ტყე, ქვა-ლორლიან მიწაზე გრძლად გამოჩნდა სისხლიანი კვალი და იქ, უზარმაზარი, სიბი ლოდის ძირში დათვი იწვა. არა, აღარ იწვა, ეგდო ხავსიანი ლოდის ძირში. წინ წასულმა საშამ ბრძანებით ასწია მარცხენა. მარჯვენათი თოფი მოიმარჯვა, კოხდაბი ილიით დაიმავრა, მოწყვეტილი ტყაცანით შემართა ჩახმახი, მარცხენა ისევ იდაყვიში მოხრილი, შემართული ჭკონდა, წამის მერე თქვა: — კვდება. — ისევ წამის მერე: — აღარაა საშიში. ახლოს მივედი.

ხროტინით, ჩქარ-ჩქარა სუნთქავდა დათვი, ღია, სევდით სავსე თვალბში ქრებოდა სიცოცხლე, აშკარად ჩანდა, როგორ ტანჯვით ილეოდა მომაკვდავი დათვის სიცოცხლე, ჩვენ აღარც დავეუნახივართ, გაჩერებული თვლით ტყეს გაჰყურებდა ტანჯული, უკან ჩაბრუნებული მზერა, გაღებულ ხახასთან მსხვილი, ყვითელი ბუზები ირეოდნენ. საშამ ილღისთან დაადო ლულა და გაისროლა. ადგილზე მკვეთრად შეხტა დათვი. მიზეზიანი ბუღილით გაიფანტნენ ბუზები. მალევე შეგროვდნენ მაინცდამაინც ღია ხახასთან, ღია, კიდეც სიცოცხლიან თვალთან. — მადლი იყო. — ჩუმად თქვა საშამ. წავიდა. მე კი ვიდექი და თვალს ვერ ვაშორებდი დათვის დაღებულ ხახასთან მორიალე საზიზღარ, მსუქან ბუზებს. სოფლამდე უხმოდ ვიარეთ, ის წინ მიდიოდა, მოულოდნელი და უცხო, მხნედ, ლალად მიაბიჯებდა. თავგამოდებით უსტვენდა რალაც გაუგებარს და უსიამოს, სტვენას აყოლილი მიაქანებდა ბექებს, ღონიერი, დაგრეხილი ფეხ-

ბით ხტოდა ქვიდან ქვაზე. სქელი, ღონიერი კისერი ჰქონდა და ბოროტი ნატვრით ვნატრობდი იმ ღონიერ, ძარღვიან კისერზე ყვითელი, მსუქანი ბუზი დასჯდომოდა.

სოფელში დიდი ზეიმი იდგა. ავზნებული, აფუსფუსებული ქალ-კაცი ირეოდა ერთმანეთში, ზოგი სახელდახელო სეფას შლიდა, ზოგი ქვაბებთან საქმიანობდა, ზოგს ღვინო და პურ-ყველი მოჰქონდა. ძროხა იმ დამესვე დაეკლათ და სოფელი საქეიფოდ ემზადებოდა. განსაკუთრებით ძროხის პატრონი ფორიაჰობდა, სარფიანი საქმე გამოუვიდა. ნახევარი ძროხის ფული სოფელმა შეუვტოვა, ნახევარიც მისი ხარჯი იყო, დანარჩენი პურმარილი საერთო, და კაი დიდი სუფრა იშლებოდა, ერთობით გაამაყებელი გლეხები იშვიათი სინაზით, რიდიტ ექცეოდნენ ერთმანეთს, დათვის მოკვლის ამბავმა საერთო სიხარული გაადიდა და ახლა რომ ეფიქრობ, მამ რა უნდა ექნათ სხვა, ვინ იყო ცუდი, კარგი? არავინ, ღმერთმანი, არავინ, და მამ რა ზიზღი იყო ის, მაშინ რომ დამაკარგვინა გონება. დიდხანს და დაწვრილებით კამათობდნენ და ვერ იხსენებდნენ, რომელი ძალღი შეება დათეს, ერთი საერთო აზრი იყო: — შეზე, ძალღი მაინც ძალღიაო. არ ვიცი, რა ძალამ, არ ვიცი, რატომ ვეძგერე გრძელ სეფას და ნახევრამდე წავაქციე. ლაწა-ლუწით წამომყვა თეფშები, ღოჭები, ზოგი მიჭერდა, ზოგი სამოსს მახვედა, ზოგი მცემდა. მყივანა, ანჩხლი ხმა მახსოვს — ე რა სიმთვრალე სცოდნია ამ შობელძალს, კაცო, ე რა სიმთვრალე. — ახლოს ყურში ნათქვამი მახსოვს, ქშენით და ჩუმად: — დაგაბარჩობ, შე ნაბიჭვარო, შენა. — მეორე დღეს საერთო ყურადღებით და შეცოდებით მოცული ჰუჭყიანი ავტობუსით მოვჯაყაყებდი ქალაქისკენ.

წინ კი მომაკვდავი დათვის თვალი მედგა — უზომო სევდაში და ტანჯვაში გაყინული და ღიად დარჩენილ, ათრთოლებულ დრუნთან მსუქანი, ყვითელი ბუზების გუნდი იქ,

ვეება ხავსიანი ლოდის ჩრდილიან მხარეს, სადაც ღელე ყოვნდებოდა. მკერედ გუბდებოდა და მერე სუსტი წარბი ალით გარბოდა დაღმართში.

II

და გავიდა ბევრი, უმეტესად მხიარული დრო.

მერე, არ ვიცი, საიდან მოვიდა ეს უმიზეზო წუხილი, პირველად რომ მხოლოდ მოწყენა მეგონა. ცუდი ხალხი არ იყო სუფრაზე. პირიქით, მშვენიერი კაცები იყვნენ, ჩემები. ქეიფიც მშვენიერი აეწყო, კარგ სიტყვა-პასუხიანი და კარგ სიმღერიათი, მაგრამ შუა სუფრაში მოვიდა უცებ ეს წუხილი, უცებ მოვარდა დიდ გრძნობად, ისე, რომ იქ აღარ ვამაჩერა. საჭიროება მოვიმიზეზე, გამოვედი და წამოვედი. მერე და მერე წუხილი საგანგაშო წინაგრძნობად გადაიქცა, ჩემი ადგილი დავკარგე ამხელა ქალაქში, ამდენ ახლობელსა და მეგობარში, ველარც მიზეზი მოვძებნე ამ წუხილისა, უმიხზოდ დავბორიალობდი კარ-კარ. უკვე სხვათა თანაგრძნობაც მალიზიანებდა, მათი შეკითხვები მაფრთხობდა და უცხო, ზერელე ურთიერთობებში ვეძებდი უმიზეზოდ. დაკარგულ სიმშვიდეს. ასე იყო იმ საღამომდე, უცებ რომ წამიღო ძილმა — თითქოს გარედან ჩამიხნელა ვილაყამ გონება — მაგრამ წუხილი ჩემს ძილშიც ბორგავდა, მატულობდა, გამთენიისას წამომავადო და სახლში აღარ ვამაჩერა. ფეხაკრეფით გამოვედი გარეთ. ფრთხილად ვჩქარობდი. მკრთალ რიყრაჟში ბუნდოვნად ისახებოდნენ ნისლში ვანაბული, უკაცრიელი ქუჩები. საკუთარი ფეხის ხმა შორეული და გასხვისებული იყო. ვზაჯვარედისთახ წამით შევჩერდი, გარინდულ ქუჩებს უნდობლად ვავხედე, და ერთიანი, სქელი ნისლი იწვა ქალაქში — ავ, ლამაზ სიზმარს ჰგავდა ეს აღრიანი დილა: ბოლოწაშლილ ქუჩებში ნისლიდან ამოზიდულიყვნენ მოტორტმანე, ბრმა სახლები. ერთ მოხედვაზე რაღაც ლანდს

გვიდგ თვალი, უფრო მო ლანდი იყო, დაბლა ცილი და ჩუმი. გულმა ჩქამი ჰქნა, უცხად შეიკუმშა და გაიყისა, უცხებზე აფრთხილდა გამალეზით, ისე ძლიერად, რომ კედლისკენ მიმავლო. კედელს მიყრდნობილმა კვლავ გავზედე. მოშორებით მომლოდინედ იდგა დაბრეცილი და უხორცო ლანდი და ესეც ავი სიზმარივით იყო — ვერც დავიყვირებდი, არც შემეძლო, თორემ ისე აბორვდა სული, რომ შემზარავად დავკვილებდი, მარტო ხმით გვაჟრობოდა და დევნებულ ლანდს, მაშინვე ბედისწერად რომ მივიღე, მაგრამ არც შეიძლებოდა და ახლა არც ღონე მქონდა შეძახებისა, პირიქით, თავისი უხორცობითა და არაფრობით, ღონე იმასა ჰქონდა და ისევე სწრაფად გავშორდი, ვითომ მხნე ნაბიჯით, ვითომ საქმეზე აჩქარებული კაცის ნაბიჯით. ჭითავას დუქანთან უბნის ლოთები შეყრილიყვნენ უკვე. ერთმა შემაჩერა კიდეც და კიდევე გავაპარე თვალი უკან, ლანდი წამით გაქრა, მაგრამ დავინახე, როგორ შეიშალა ურიების ბაღში, ხეს მოეფარა და ისევე გამოჩნდა ქუჩის ბოლოში, სახლის კედელთან ატუხული და მომლოდინე. წამოპოტივებულ ლოთს ხელი ვკარი და სწრაფად გავშორდი. იქნებ მეჩვენება-მეთქი, წამით გავიღვივრე, მაგრამ უკან აღარ მიმიხედავს, ისე გავქანდი მოედნის სინათლეებისკენ.

ბრმა აღევნებული ლანდი გაქრა, ვანგაშის ზარი გაბმულ ბეგად შიხელდა ვონებაში, მაგრამ დაკარგული სიმშვიდე უფრო და უფრო მაჩქარებდა სადღაც, გაუცნობიერებელი მიზნისკენ. სახლსა და სამსახურს დაშორებული უმიზნოდ დავხეტიალობდი ქუჩა-ქუჩა, დიდხანს ვიარე, დღე საღამოსკენ მოდგა, შიმშილმა და დაღლილობამ სახლის სიმყუდროვე გამახსენა, მაგრამ გაუცნობიერებელ სინქარეში გახსენებამ გადაიარა, გაქრა, უკვე საღამოც ჩაქრა. უკვე ფერი გამოქდა, სიმსუბუქე ვიგრძენი, წიწვისა და მიწის სურნელი ვიყნოსე და სიმშვიდეც მობრძანდა ვონე-

ბაში, გარემოც აღვიჭვივ, მესიამოვნა — ტყეში ვაჭრილ გზასკენ მოვუყვებოდი. მყუდრო, სუფთა ასფალტის მიუყვებოდა ტყიან აღმართს, აქედან ზეიმივით ჩანდა ქალაქის მოციმციმე სინათლეები, თითქოს ირმის ნახტომი გადმოშობილიყოს დედამიწაზე. თითქოს ჩემთვის გაეჭრათ ეს გზა ტყეში, ის იყო გავიფიქრე, აქედან კუჩიაზე. გადავალ-მეთქი და ისევე დავინახე დილანდელი ლანდი. მაშინვე აფეთქდა სულში ვანგაშის ზარი, მაშინვე გადავხტი გზიდან ტყეში, ტყეში, გზიდან შორს, ხშირ თხმელნართან ჩავიმაღე წამით; სიჩუმეში უცხო სუნთქვა მომესმა — სადღაც ზურგს უკან შეკავებულად ქმინავდა ვიღაც. ახლა კი გავიჭეცი, ჭერარგანცდილი ძალა ჩადგა სხეულში, ძალას ატანილი სხეული თავდაღმართში მიმერეკებოდა. წიწვიანი ტოტები სახეში მცემდა, მწარედ გავორებული ხის ძირს მივეწარცხე. მაშინვე წამომაგლო იმ ძალამ და ისევე გამაქანა წარმოუდგენელი სინქარით. მერე კი დიდი, მოქნეული ნაბიჯი გადავდგი სიცარიელეში. გავყვივი, გავფრინდი სიცარიელეში და მორჩა.

დიდ ღამეში, უცებ გაწყვეტილ ყოფაში, ნელა, შორიდან დაბრუნდა ცნობიერება. პირველად ვარდნის დროს შეგრძნობილი აღტკინება აღიდგინა ვონებამ. მერე სიჩუმე, ისეთი სიჩუმე, ყურებში რო წიოდა. მერე ტკივილი მოვიდა. თუმცა, ალბათ, ერთდროული იყო ეს ყველაფერი. აუტანლად მტკიოდა ფეხი, ფრთხილად მოვისინჯე ბარძაყი. თითქოს არაფერი. წამოვჭექე და განძრევსას ტკივილმა კოჭში მოიყარა თავი. არა, მოტეხილვ არ იყო, არც ტკივილი დარჩა ისე, პირველი აღქმისას რომ მოვარდა, ფეხზე წამოდგომაც კი მოვახერხე, მაგრამ შევებარბაციდი და თავს ხელი შევეაშველე. ფხეიერი მიწა მომხვდა ხელში. თხრილში ჩავვარდი ალბათ, ამ უკუნ ღამეში ხელის ფათურით გავყვივი თხრილს. დიდხანს ვიარე რბილ, ნესტიან მიწაზე, ნატკენ ფეხს ქუსლით ვადგამდი და ისე მივიდიოდი. ნელა, სვენებ-სვენებით, ალაგ-ალაგ ხე-

თა ფესვები მხედებოდა ხელში. ზემოთ, შველურჯ ცაზე ვარსკვლავები ციმციმებდნენ. ისევ გავეყვი თხრილს, ერთ ადგილას ფიცარს მოხვდა ხელი. სამი ფართე ფიცარი ჩაეტანებიათ თხრილში. ეს კაცის ნახელავი იყო და სიმშვიდე მომიტანა. დაქანცულმა ფიცრებთან ჩავიმუხლე, ჩამოვკექი. კოკი მტეხდა, ტკივილი გამოზომილად ფეტქავდა კოკში, მაგრამ ეხლა ესეც უფრო სიმშვიდის მომტანი იყო, ვიდრე ტკივილის. სახეზე მოვისივი ხელი და ყვრიმალთანაც ვიგრძენი ტკივილი. დავიქანცე. გაქრა ძალაც და ფიჭრიც, გონება შველას აღარ ეძებდა. ისე ფიცრებთან მიყუყულს დამეძინა.

\*\*\*

ფერდში უხეშმა ჩხვლეტამ გამადვიცა და უცებ დავჭყიტე თვალი. თხრილის თავზე კალის სილუეტი აღმართულიყო და გრძელი ჭოკით მიფხანჯინდა გვერდს. სუფთა, ლაქვარდად განათებულ ცაში თეთრად ანთებულმა ღრუბელმა თვალს მომჭრა. დასვენებულმა და ძალამოკრეფილმა ხალისით წავატანე ხელი ჭოკს და წამოდგომაში მოვიშველიე. ფეხის ტკივილმა ჩემს ყოფაში დამაბრუნა და დავინახე, რომ ორმოსი ჩავარდნილვარ. ღრმა ორმო იყო, გრძელი და ვიწრო. ზემოთ, განათებულ ცის ფონზე, შავად ჩანდა ფეხგაჩაჩხული, ფეხებით დიდი, ტანით მცირე, კაცის სილუეტი. სიხარული და უხერხულობა ერთად მოვიდა გონებაში, მაგრამ არა უშავს, გავიფიქრე, ვის არ მოსვლია. ჭოკი კარგად მოვიმარჯვე და მაშინვე მივხვდი — მტკივანი ფეხით ამ ღრმა ორმოდან ვერ ავძვრებოდი და ეს ჭოკიც ვერ მიშველიდა.

— ამ ჭოკით ვერ მიშველი, ძმობილო, — ავძახე უხერხული ღიმილით, — მყესი მაქვს დაჭიმული მარცხენა კოკში. ესეც არ იყოს, მთელი ტანი დამებეჭა წუხელ. კიბე უნდა იშოვნო, ან თოკი. თოკი ჯობია. ოღონდ მაგარი თოკია საჭირო და გრძელი, წელზე რა

შემოვიკრა. ორი კაცი თავისუფლად ამომიყვანთ.

— ამოსვლა გინდა, — შორიდან თქვა კაცმა. ვიფიქრე ხუმრობს-მეთქი, კაი კაცი. ხმაც მეცნაურა ძალიან, ჩემიანია, ალბათ-მეთქი, ვიფიქრე და გამხიარულებულმა, ვიფიქრე, ერთად გავიციანებთ-მეთქი, შევძახე:

— რომელი ხარ, ბიჭო?

— ამოსვლა გინდა. — გაიმეორა ისე, რომ ხუმრობას აღარ ჰგავდა, მაგრამ მე მაინც ხუმრობად ჩათვალე. სხვა რა გზა მქონდა ჩემს ყოფაში ჩავარდნილს: — არა, ბიჭო, აქ დავსახლდი.

ამის თქმა ვერ მოვასწარი, უცებ მოქაჩა ჭოკი და წამგლიჯა ხელიდან. ხიწვიც კი შემესო ხელისგულში. გახვევებული იდგა ორმოს თავზე და ისე მიეზიდებოდა ჭოკს, ხელის წავლებაც კი დავაპირე, ცოტა შევხტი კიდევაც, რომ მიეწვდომოდი. სისაცილო და უშნო ვიყავი, ალბათ, ვერ შევწვდი, ფეხი კი ვიტკინე ისევ, კედელს მივეყუდე და უხმოდ შევეცქეროდი გაჭიმულ სილუეტს. გონებაში სწრაფი ციმციმი დაიწყო მოუხელთებელმა ფიქრმა — ვინ, ვინ არის, ნეტა, ვისი ხმა არის, ნეტა. სილუეტი გაქრა. წავიდა. კარგახანს ვიყავი გარინდული, სმენად ქცეული. სრული, საყოველთაო სიჩუმე იდგა.

— ეე ი, მიშველეთ! — რაც ძალი გამაჩნდა, დავიძახე. გამაყრუებელი ხმა იყო, მესიამოვნა ხმის სიძლიერე, აქედან, ზემოთ ატყორცნილი მთელ არემარეს მოედებოდა ალბათ. — ეჰა-იი, ეჰეე, ეე-ი, ე-ი! — გავაბი ერთ ძლიერ ხმად. სანამ ყელი არ მომეკაწრა და არ გაიბზარა. ყური მიეუღდე და როცა ბოლო ბგერა მიწყდა, ერთი დიდი, მძიმე სიჩუმე ჩამოვარდა. — ნეტა ვინ იყო. — გავიფიქრე. ახლა ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, თუ ვინ იყო, ან სად ვიყავი. ან უფრო სწორად, მწარე ირონიით შევეუსწრე ჩემს თავს, სად და ვის გაეთხარა ეს ორმო. ახლა ეს იყო მთავარი. ვინ იყო! ვინ იზამდა, ვინ ააწყო და აქედან გამოძლიხარე, რამდენ ხანს ვაგრძელებოდა ეს

ჩლუნგი, უაზრო ანგლობა. იმ პანიკური ყვირილის შემრცხვა, ალბათ, უნდადღათ ქალივით მეკივლა — მიშველეთო. ვერც დრო გავიხსენე, რამდენ ხანს გავბოლოდი გზიდან ტყეში, საით მხარეს გავბოლოდი. ხუდადოვიდან კუვიანზე გადადის ის კაი გზა. მაინც რამდენი უნდა მერბინა, ალბათ, შუაგზაზე ვიყავი, ასფალტიდან რო ტყეში გადავხტი და მერე დავეშვი თავქვე. საით? რამდენი უნდა მერბინა. ხუთი წუთი? ხუთ წუთს ვერ ვირბენდი. წუთი არც კი. რის წუთი, წუთს რას ვირბენდი, რომელი სპორტსმენი მე ვარ. რამდენს გავირბენდი, ასი, ასორმოცდაათი მეტრი, სულ ბევრი, მაგრამ საით, დაღმართში, ნახალოვკისკენ. აქვე ვარ, გზასთან, ორ ნაბიჯში. ვინ იყო ის ნაბიჯვარი, ვისი ხმა იყო. — ეეეი, ეეეი, ეპეი-იი — მოულოდნელად ამოვარდა ხმა. სიჩუმეში თანდათან ყრუ, შორეული, ძალიან შორეული გუგუნე მოისმა. გარეშე, ერთიანი გუგუნე დადგა, და მივხვდი, ეს ქალაქი იყო. — ეეეი, ეპეი-იი — თავისთავად გამიბოლოდა ხმა და უცებ გაწყდა. შემეშინდა. ამ ყოფაში ხმა ჩემი ერთადერთი იარაღი იყო. — მოვლენ, კაცო, მალე მოვლენ. — ჩქარ-ჩქარა დახტოდა ფიქრი, მაგრამ იმედი არ ჰქონდა ფიქრს, სიცარიელეში ფათურობდა, ისევ დაიგრიალა შიშის ზარმა. დაბრეცილი, უხმოდ დადევნებული ლანდი გამახსენდა. მოვლენ. მოვლენ. ისევ ვებრძოდი ფიქრს. ნუ გეშინია. ჩემები არა, სხვები მოვლეს. გზაა აქ, ხალხი მიდი-მოდის, უფროსო. — ეეეი — ისევ გამეძევა ხმა, მაგრამ გაიბზარა და იქვე ჩარჩა, ჩემს გვერდით. დროც გასულიყო. მზის ცალი სუსტი სხივი ჩამოძვრა ორმოს შუამდე. მუქი-ლურჯი ცა კრიალებდა. სულ მართო ვეგდე ბნელი და ღრმა ორმოს ფსკერზე, მარტოობამ გული ამიჩუყა და დაჰიმული ფეხის ტკივილი გამახსენა, ნელა ჩავჭექი, კედელს მივეყრდენი და ისევ ავხედე ცას. სუფთა ლურჯი იდგა ზემოთ. არც ისე ღრმაა ორმო, ღრმა რომ იყოს, ვარსკვლავები

უნდა გამოჩნდეს, ხო ასეა, დღისით-მზისით ჭიდან ვარსკვლავებზე დაჯვირვებებიც კი წარმოებდა თვალსაღწერზე, ესე იგი, ბოლო-ბოლო, ჩემით ავალდედისმაგენისამ. აქ დავიხრჩობი, ავალდა ხო ყველაფერს გავიგებ. მოვუვლი ყველაფერს. რამ შემამინა. ლანდმა? შიშს დიდი თვალეები აქვს, თორე რა ლანდი იყო, ვინ იყო ამ დილით, ვისი ხმა იყო ღმერთო გამახსენე, რა უნდა აქ ასელას, ვილაცა, ვინც ამოთხარა, ხომ ავიდა ბოლოს და ბოლოს, ისიც ხომ არ დარჩა აქ. ვისი ხმა იყო ასე ნაცნობი. არა, ავად ვარ ნალდად, უკვე რამდენი ხანია, ასე ვარ და არ მივხედე თავს. იმ ვილაცას კიბე ექნებოდა. ვინ უნდა ყოფილიყო. საშინლად მომწყურდა. გამშრალი ენა სასაზე მეწებებოდა. — ეეეი — დავიძახე, მაგრამ ეს ხმა აღარ იყო, ზრიალი იქვე გაიფანტა. ეტყობა ჩამძინებოდა, რადგან ისევ უკუნ ღამეში გავახლოე თვალე. პირველად მეგონა ისევ მძინავს-მეთქი, მერე სინათლე აკიაფდა ზემოთ. წამოდგომა დავაპირე, მაგრამ დაბუყებულები სხეული ერთიანად დამეწიწვნა და მარცხენა კოჭში ტკივილმა იფეთქა. სინათლე ორმოში ჩამოეკიდა და ნელა დაეშვა დაბლა, ორმოს თავზე ყვითლად განათდა ვილაცის ვალესილი, ვაღლაბნილი სახე. — აქა ვარ, — მომესმა ისევ ნაცნობი ხმა, სინათლე დაბლა ეშვებოდა, სახე მშორდებოდა, იკარგებოდა და შავი ცის ფონზე ყვითელ, ჭუჭყიან ლაქად რჩებოდა. — ვინ ხარ, კაცო. — ჩემთვის ვთქვი, ვთქვი კი არა, დავიხრიალე, მზერა კი სინათლემ წამართვა და შიშაქაქვა, ტატიოთ ეშვებოდა, თან მოიყოლებოდა სინათლის სიფრთხიანა ქოლგას და მკრთალად ანათებდა ორმოს დაქნძილ კედლებში გველის წიწილებივით ჩაწნულ ფესვებს. — რომელი ხარ-მეთქი, ბიჭო, — გავუთქორე. — ამოვალ და რას აპირებ მერე.

ჩემს წინ წვრილ თოკზე ჩამოკიდებული ლამაზა ქანაობდა და ჩემი ხელის ჩრდილი ორმოს კედლებზე დინჯად

ადი-ჩადიოდა. ლამპა მარცხენა ხელის-  
გულზე დავისვი, მარჯვენათი ფრთხი-  
ლად დავიჭირე, სახეზე სინათლის სით-  
ბო მომედო, მკლავზე მსუბუქად ჩამო-  
სრიალდა წვრილი თოკი. ნერწყვი გა-  
დაველაპე და ვიგრძენი, როგორ ჩიწ-  
მინდა ყელი. — ეი-მეთქი. — ხმას ძა-  
ლა მიეცა და მუქარად მომესმა, მაგრამ  
მაშინვე მივხვდი, რომ აქ აღარავინ  
ყო, წასულიყო. — წასულა, — ვთქვი,  
უცებ სიცილი წამსკდა, მთელი სხეუ-  
ლი მოიკცა სიცილმა და გამაცოფა. —  
ეი-მეთქი — კიდევ დავაპირე, მაგრამ  
ამის ნაცვლად დანჯღრეული ხითხითი  
მომესმა. უცებ დავსუსტდი, ისე მომ-  
წყურდა, მუცლის გვრემა დამეწყო.  
ჩაუცქეულს ფეხი დამბუტებოდა და  
წამოდგომისას უნებურად შტკივასს  
დავეყრდენი. ისევ იფეთქა ტკივილმა,  
უნებურად დამაკენესა და ამ საწყალმა  
ხმამ თითქოს სიცოცხლე დამიბრუნა,  
სიბნელეს მიჩვეული თვალი ლამპის  
შუქზე კარგად ხედავდა, მწყურდა.  
ტკივილმა გაიარა. სიმეტრიული, მრგვა-  
ლი ორმო იყო, სუფთა, საგულდაგუ-  
ლოდ გათხრილი და გასუფთავებული.  
სივანეში, ალბათ, ხუთ-ექვს ნაბიჯს და-  
იჭერდა, მაგრამ ეს არაფერი. კედელ-  
ში დატანებულმა ფიცრებმა წამართვა  
გონება. უხეში, გაურანდავი ფიცრები  
მჭიდროდ შეეკრათ ორი ღონიერი, ირი-  
ბი ხარიხით. ახლა სხვა არაფერი იყო  
ქვეყანაზე ამ ფიცრების გარდა, ეს  
უაზრობა რალაც იღვამალეხას შპირდე-  
ბოდა. კედელ-კედელ მივუახლოვდი  
ფრთხილად, კარი აღმოჩნდა, თითქოს  
უცხო მახინჯი სამყაროს კარი შევალე,  
ისე ზარმაცი ღრჭიალით შეიღო კარი.  
შევეყვი და პატარა მღვიმეში შევედი,  
სინათლე შემომყვია და სრულიად გაა-  
ნათა იჭაურობა, მყუდრო მღვიმე იყო,  
მშრალი, თაღიანი. ლამპა მიწაზე დავ-  
დე და მრუდე ჭერს ლამპის მრგვალი  
სხივი მივბჭინა. ლამპა იქ დავტოვე და  
ისევ ორმოში გამოვედი. კარი ღია და-  
რჩა, სინათლე გამომყვია და გამელიმა,  
ეზო განათდა-მეთქი. გავიფიქრე.

მთვარე არ ჩანდა, მაგრამ ცას ფერი

მისცემოდა. მუჭი ღრუბელი ცალ მხა-  
რეს შევერცხლილიყო. ქალაქში შემო-  
სული მატარებლის დაგუბებული  
დუღი და ელმავლის შორი ზღვილი  
მოისმა და გულისცემა აიყოლა. ლამე-  
ული მთის ძირში რკალად გაწოლილი,  
ფანჯრებადღვრიალებული მატარებე-  
ლი დღდა თვალწინ და ისევ აციმციმ-  
და ფიქრი: — ვინ, ვინ იყო, ნეტა? ვი-  
სი ხმა იყო, ნეტა გამახსენე, ვისი ხმა?  
ვისი? — არა. ვერავინ გავიხსენე. ასეთ  
ყოფაში ვიყავი: არავის სახე არ ამოსულა  
გულის სიღრმეიდან. ვერავინ გავიხსენე  
გამორჩეულად, ერთიანი გრძნობა მჭო-  
ნდა სიმშვიდისა და ბრაზის, დროც ერ-  
თი იყო, ლამეც — მთლიანი და უძრა-  
ვი. ერთხელ, ერთადერთხელ გადაამი-  
რა, მახსოვს, ამ შეგრძნებამ, დიდი ხნის  
წინათ. ორმოს კედელს მიყრდნობილი  
და ცაში მომზიარალი ნელა ვიხსენებდი  
იმ შორეულ დროს: რა გზამ მიგვიყვან-  
ა ფუნქიულიორის პლანეტარიუმში,  
არ ვიცი. მახსოვს ყავარჯნიანი, წვერ-  
გაუპარსავი მებილეთე პლანეტარიუმის  
წინ სელის სკამზე იჯდა, ჭუჭყიანი, სა-  
ილიეში ბამბა-ამოჩრილი ყავარჯვები  
ამოედო ბარძაყებშუა და ხელში ბი-  
ლეთების რულონი ეჭირა, — მოდი,  
მოდი, — ბრაზიანად თქვა რატომღაც,  
პატარა კარში შევედი და პატარა, მა-  
ლალთაღიან დარბაზში აღმოვჩნდი.  
მახსოვს, ცუდად შედებილი, დალაქა-  
ვებული და დანახაზილი კედლები და  
ცარცი თეთერებული ჭერი. სასწაუ-  
ლი იყო, როგორ ჩაიტია ამ ციციქნა და-  
რბაზმა უცებ ჩამოვარდნილ სიბნელეში  
იმხელა სამყარო. უცბადვე ანთო ცა-  
სავით ჭერი. უკუნ ლამეს მთელ უსას-  
რულო სივრცეში სერავდა ირმის ნახ-  
ტომი და თავს ზემოთ ენთო დიდი  
დათვის კაშკაშა თანავარსკვლავედი.  
უცებ სულ მარტო დავრჩი. აღარავინ  
დარჩა იმ უსასრულობაში და მაშინაც,  
მახსოვს, ერთიანი, სრული, დაუნახავი  
და შეუცნობელი შიში ჩადგა სხეულში  
და დიდხანს, მას მერე დიდხანს, ველარ  
დავბრუნდი ჩემს ჩვეულ ყოფაში, სანამ  
არ გამიარა მთლიანად იმ მარტობამ,

პლანეტარიუმის ციკქნა დარბაზში რომ შევიგრძენი.

დავილაღე. მღვიმეში შევედი და რბილ მიწაზე გავიშოტე ლამპის გვერდით. ერთხანს ასე ვიწეკი გარინდული. უცებ, აუნუსხავი ჩქამით მივხვდი, მართო არ ვიყავი. თავგები, თავგები იყვნენ ორმოში. საზიზლარი წრიბინი მომესმა. ბევრი, ბევრნი იყვნენ. უცებ წამოვიჩოქე, ტკივილმა საღდაც, გონგარეშე გამკრა, სუნთქვაშეკრულმა დავინახე — იქვე, შემოსასვლელთან ახლოს ორი პატარა თავგი, ერთი დაყურსული, ჩქარ-ჩქარა ყნოსავდა მიწას, მეორე მოკლე-მოკლეზე გაიკუნცულბდა, გაჩერდებოდა, სწრაფად ატრიალებდა აქეთ-იქით ერთ ბეწო თავს და ისევ გავარდებოდა ცუნცულთ. ტაში შემოგყარი და ორივე მყის გაქრა თავზარდაცემული, მებხის გრგვინვას ჰგავდა, ალბათ, ჩემი ტაში, გამეცინა. მაგრამ შიში ჩარჩა გონებაში.

— რა ზდება, — გავიფიქრე, — რა მჭირს, ვზივარ აქ, თითქოს არაფერი, და ვერთობი გიყვივით. ვინ მოვა და ამოგიყვანს, ან ვინ რად მინდა, ან, იქნებ, დაავიწყდათ კიდევაც, ან იქნებ, ფიქრობენ, ამოსულია და გაბრაზებულნი არ გვეკარებოთ, მე კი ვზივარ და ველოდები. — ამ ფიქრით ისევ გარეთ გაბოვები და ცას ავხედე. თეთრ ღრუბელს ვარდისფრად შეფაცლოდა მადლა ასული ქულა, იისფრად განათებულ ცაზე ვარსკვლავები ბუტბუტდნენ. — თენდება — გავიფიქრე. — მეორეჯერ თენდება და ისევ აქა ვარ. რამსიმალღეა, ნეტა? — სამი თუ არა, ორზე მეტი მაინც ჩემსიმალღე იქნებოდა. — არა, კედლით ასვლა წარმოუდგენელია. — უნუგეშოდ ვთქვი, მაგრამ კარი გამახსენდა, საკმაოდ იოლად მოვგლიჯე კარი, შუა ორმოში თუ საყრდენს ამოვთხრიდი, დამრეცი კარი კაი გვარიან სიმალღეს მომცემდა. საკმაოდ მძიმე აღმოჩნდა ნედლი ფიცრებით შეკრული კარი, მაშინ, კიდეც ცალი ფიცრის აგლეჯაც მოვიფიქრე, მაგრამ საგულდაგულოდ დაეჭიდებოდა და ჯერ იქნებ ეს

მეყოს მეთქი, გავიფიქრე. დიდი დრო არ დასჭირდა საყრდენის მოჩიქვნას, ფეხი საშინლად მტეხდა. მაგრამ იმედმა არ გამაჩერა. საკმაოდ ძყარად გაიჭედა კარი, სიმალღეც კაი ჰქონდა. ზედა ხარისას დავებლაუქე და იოლად, თითქმის მხნედ ავბობლდი ციცაბოდ დაყულებულ კარზე. ხარისაზე ფეხის წვერით მოჭიდებული წონასწორობას და საყრდენს ვეძებდი, ჯერ ცალი ხელით, მერე უკვე იდაყვით კარს ვეკიდე, მეორეთი ფეხიერ კედელზე ღონიერ ფესვს ვეძებდი ტანის ასაზიდად, ესეც რო მექნა, მტკივან ფეხს კარის ზედა კიდეზე დავდგამდი, გავუძლებდი, საღლით კი ზემოთ, უკვე მიწაში, რბილი იყო, საყრდენს ამოვჩიქნიდი, წვერს ჩავასობდი და რალა, ასულიც ვიქნებოდი. თავის აწევა დავაპირე და კარი ოღნავ შექანდა. — მთავარია, არ შემეშინდეს. — გავიფიქრე. — ესაი მთავარი. ხელმა იპოვნა რალაც, მოვჭიდა რალაცას, — ფესვია ალბათ, ღონიერი ფესვია. ალბინისტი ვარ, ნაღლი. — მზიარულად გამოელვა თავში და ამოყირავდა კარი. წამით შევყოვნე, მხოლოდ წამის მესადლით და მეც მოვწყუდი, მაგრამ ამ წამის მესადღში მოვახერხე კარის ძგადეს არ დავნარცხებოდი და მტკივანი ფეხიც მოვარიდე. რბილად დავეცი აყირავებული კარის გვერდზე, თავი კი მაინც მწარედ შივარტყი ქიმს. ნელა, ჩუმი, ოხვრით წამოვდექი, ხელმა თავისით, მაშინვე მიაგნო თხემზე ამოსულ კოპს და ასე თავხელწავლებულმა ავხედე ორმოს. იქ ის კაცი დავინახე, უფრო სწორად, თავი, გავრძელებული კისერი და ვიწრო მხრები. ალბათ იწვა პირდაღმა, იდაყვებს ეყრდნობოდა და ისე მიყურებდა ცნობისმოყვარედ. ასე იცქირებოდა, იცქირებოდა და უხმოდ გაქრა. უყურა ჩემს წვალებას და რო გაძღა სანახაობით, წავიდა. — ეი-ი, — ვიკივლე. — ეი-იი! — რა თქმა უნდა, წავიდა, — რა უნდა უყოს კაცმა იმ ნაბიჭვარს, — უღონო, უმწარესმა ფიქრმა დაწვა ტვინი. არც სიტყვა არსებობდა, არც ფიქრი, არც

არაფერი. უზარმაზარი, დაუძლეველი სიძულვილის დასანთხევად, გულის მოსაოხებლად. კარი უშნოდ ჩახერგილიყო ორმოში, კარს რას ვერჩოდი, მაგრამ ფეხი მოვუქნიე და უცებ აფეთქებული ტყვილისაგან იქვე ჩავიკეცი. — უუხ, შე ნაბიჭვარო. — ბოლმამ მთლად ამოიღო, ამოფხრიწა ყელი. თან ხელებით ფეხს ვეფერებოდი, ჩქარ-ჩქარა, ნახად ვესვამდი ხელს. ცოტა დაწყნარდა ტყვილი, გამიშვა, ისევ დავეჭიდე კარს, ამოვატრიალე, ოფლად ვაღვრილმა და ილაჯგაწყვეტილმა, როგორც იქნა, ავაგლოჯე ცალი ფიცარი, ისევ ჩავარტყე კარი ძველ საყრდენში, იმ ფიცარს გრძელი, ბასრი ლურსმნები ამოყვა და იმ ლურსმნებით საგულდაგულოდ დავამაგრე ირიბ ხარისხაზე, რომ არ აცურებულიყო. კიბესავით გამოვიდა, ზედა კიდეც იმ გრძელი ლურსმნებით ჩავარტყე მიწაში, საშვილიშვილოა, — გავიფიქრე კმაყოფილად; კარზე იოლად ავედი, მხნედ და იოლად; ფიცარმა ერთხანს გამიძლო, მერე კი ზამბარასავით ასხლტა, გვერდზე შეხტა და ბრახუნით გადავარდა, ვარდნისას კარს ჩაბლაუჭებულმა ფიცრის ძვიდე ძლივს ავიცდინე. ლურსმანი მაინც გამეღო ბარძაყზე, შარვალი ვადამიფხრიწა და კანი გადასერა; რო არ ძეგახა, ვერ გადავჩინებოდი, კარზე ცერად მიყუდებული ორმოს ნახევრამდე ვაღწევდი და ველარ გავჩერდი: — ეეიი-ი, ხალხო, ეიი-ი მიშველეთ. — ველარ გავჩერდი მანამ, სანამ სულ არ გაქრა ხმა, სანამ ჩურჩული არ დაგუწყე საკუთარ თავს, ვჭურჩულეზი და ამ უმწეობამ, ამ სრულმა მიუსაფრობამ წუხანდელი ყოფა დამიბრუნა, ქანცი გამწყდა. მხოლოდ ისევ ის, ერთი აბეზარი ფიქრი ხტოდა თავში:—ვინაა ნეტა, ვინ, ვინ უნდა იყოს, ნეტა? — ცრემლი გვიან შევიგრძენი, ტუჩის კუთხეში დაგროვილიყო და ენაზე სიმლაშე მომხვდა. ცრემლი დააღუპით მდიოდა, ცრემლის გზაც აღვიჭვი. — პირის ნაოჭთან ირიბად მილოდავდა, ტუჩის კუთხესთან გროვდებოდა და იქ წყდებოდა. ხელის-

გული შევუშვირე — დიდი წვეთები მძიმედ დამეცა, ორი თითით ღუნევირად მოვიზოცე ცხვირი და ველარტყე შეშვა. ჩამობნელდა. ცას ავხედე. მძიმე, შავი ღრუბელი იდგა. — გაწყვიძდება — მექანიკურად გაიარა ფიქრმა და მაშინვე ვიგრძენი ვახურებული კეფით, კისრით, წვიმის წვეთები. მღვიმეში მიტოვებული ლამბა ეულად ანათებდა, — ეხლა ორნი ვართ — ვთქვი მე, ლამბა გამოვაჩოჩე და გვერდით მოვუწექი. — ეგ არაფერი — ესეც ვთქვი. — ეგ ჭერ არაფერი, ჭერ ენახოთ. სიჩუმეში წვიმის ხმა გამოიკვეთა. — დიდი წვიმა რომ მოვიდეს, წყალი ხო დაგუბდება ამ ორმოში. — არ ვიცი, ვფიქრობდი თუ ვამბობდი კედელთან მივარდნილი ერთიანად, შიგნიდან დალილი ვიყავი, ძვლებამდე დალილი, — წყალი ამოავსებს ორმოს და რას ვწვალობ, თავისთავად ასული არ ვიქნები? მოცდაა საჭირო და მეტი არაფერი. — ფიქრი ნელა ქრებოდა, ქრებოდა, არ ვიცი რატომ მოვიდა წვიმის თანაბარ წაკაუნში ეს გახსენება. თვითონ ნაღირობა კი არა, იქიდან დაბრუნება გამახსენდა, ბაზრის შესასვლელთან დამაყენა მამაჩემმა, ორი მამალო მიყიდა, გამყიდველს დაუბარა, მიმიხედეთო, თვითონ ბაზარში შევიდა. მხარზე ორლულიანი თოფი ეკიდა, წელზე დამრეცად პატრონტაში ერტყა და მალალი, მუხლებზე გადმოკეცილი ჩექმები ეცვა. სხვა, მამაჩემის გარდა, არავინ ჩანდა ამხელა ბაზარში. მალე გამოვიდა. თქმოსთან, პატრონტაშზე, მწყერების აცმა ჩამოკეიდა, არ შემომხედა, ისე დამადო კისერზე ხელი. დიდი, ცხელი ხელი ჰქონდა და წამოვედით. სახლში ბევრი ხალხი იყო, არ მახსოვს, ზეიმი იყო თუ რა, უამრავი ხალხი ირეოდა, ისე კარგი იყო, ისე კარგი, ახლაც გამებერა გული რაღაც დიდის მოლოდინში. მერე დიდ ოთახში ვისხედით ყველანი გემრიელ სუფრასთან, ყველა რაღაცას ამბობდა, ყველა იცინოდა, კარგი იყო, ძალიან კარგი და მეც ხმამაღლა ვთქვი: — იცი, ჩვენ მწყერი ბაზარში ვიყი-

დეთ. — უცებ გაჩუმდა ყველა. — რაო, რაო, — დამეკითხა ბიძაჩემი და მე გავიმეორე. კარგად მახსოვს ბიძაჩემის გემრიელი ხითხითი. — ო, შენ რა გითხარი, შენა, ო, შენ რა გითხარი, შენა, — იმეორებდა წამდაუწყუმ და კვდებოდა სიცილით. მეც ვიციინოდი, მაგრამ რაღაც იყო ისეთი, ახლა არ მახსოვს რაღაც მოხდა ისეთი, რომ ჩაქრა დღეთვალის გავახილეთ, უკუნ დამეში მარტო ერთო ლამა და მღვიმის ჭერს მრგვალად ებჯინებოდა ლამპის სხივი. გარეთ, ზემოთ წვიმდა. სამგზავროდ დიდი ხნით ადრე ვემზადებოდით და ყოველთვის ბოლო მომენტში, რაღაც გვაგიწყდებოდა. დედაჩემი მეუბნებოდა: — აბა, შეილო, შენ ყველაზე ჰკვიანი ხარ და აბა შენ იცი, არ დაგავიწყდეს, — და რაღაცას მომბარებდა, მერე იყო უამრავი, ძალიან მნიშვნელოვანი საქმეები — მატარებელზე არ დაგვიანება, გზაში არ დაკარგვა, ვაგონში ასვლა და კიდევ ფორიაქი, ხომ არავინ გვაკლიათ, მერე ბარგის დაბინავება და დამახსოვრება — სად რა იყო, მერე საქმელიანი ჩანთის ძებნა, როგორც წესი, საპოვნელი იყო ყოველთვის, მერე სუფრის გაშლა, მატარებელი კი მირაკუნებდა უკვე გემრიელად, ტკაც-ტკაც-ტკაც, ტკაც-ტკაც-ტკაც, მოკლე დაბალმოაჭირიან ხილს წაშლი ვადაიგრილებდა. ნელა მოახლოებული ბოძები უცებ გარბოდნენ უკან და რა გემრიელი იყო მიხარული კვერცხი, ვახეთის ნაფლეთში გახვეული მარლი, ოთხად გაჭრილი პამიდორი და მოხარული დედლის ბარკალი. ფანჯარასთან ბავშვები ვისხედით, იქით ბედნიერი მშობლები, შორს, ფანჯრის ვადალმა ნელა დატრიალებული ველ-მინდვრები, უფრო შორს გაჩერებული მთები... ერთი კონდუქტორი მახსოვს, დღესაც თვალწინ მიდგას, სქელი, ლურჯკიტელიანი რუსის ქალი, სავსე, გაბერილი ლოყები და უწარბო, წვრილი თვალები ჰქონდა, ჰქვიმოდან რომ შევეცქეროდი, ვეება ძუძუები უფარავდა ნახევარ სხეულს და როცა ჩამომხედა, მზერა ზედ ლოყებზე ჩაშოა-

ცურა, თავი არ დაუღუნავს, ისე, გაჩერებებზე, ბაქანზე, მუდამ დიდო ვაწამაწია იყო და მე ამ დროს ზედათა-როზე ვძვრებოდი და იქიდან შევეცქეროდი ხოლმე. სწორედ მაშინ დავინახე სარკმელში თავგაყოფილმა — სანახაობა ის იყო, მატარებელი რომ დიძრებოდა, როგორ მიესვოდა ხალხი ვაგონებს, როგორი ზედახორა კეთდებოდა ყველა კიბესთან — მაშინ დავინახე, როგორ შემოახტა ჩვენს ვაგონს ვიღაც ტელეგრაფიკიანი კაცი, მატარებელი კარგა წასული იყო. სანამ მე ჩამოვხტი ჩემი თაროდან, ფაციფუციით მივირბინე კონდუქტორთან, თან შეშინებული რაღაცით, თან ამაყი, — მოვალეობის შესრულებით შორიდან ვყვიროდი, კარგად მახსოვს: Тетенька, Тетенька, там кто-то висит — ბრაზიანი ქალი იყო, სწრაფი, უცებ გავარდა ტამბურში, მე უკან მივსდევდი, უცებ გაალო კარი. Ну-ко, Ну-ко, марш — დაიყვირა და ყვითელაღმიანი ხელი ჭერ მოუღერა, მერე მაჯაში ჩაარტყა ორჯერ და ჩაავდო დაძრული მატარებლიდან, მახსოვს კაცის ბოროტი, დამეჭილი სახე: — Сукаблядь — მახსოვს, დაიყვირა ხრინწიანად, სქლად შეაფურთხა და მოხერხებულად, ირიბად ჩაბტა. — Вот Шалава — ამბობდა ქალი და მკერდზე სახელოთი ფურთხს იწმენდა. მახსოვს — ყოჩაღ! — მეუბნებოდა მაშაჩემი და რაღაც ცუდი, ძალიან ცუდი იყო ამაში, მახსოვს, როგორ დაიკარგა მგზავრობის ხიბლი, და მახსოვს, კარგად მახსოვს, ძილში რომ ვტიროდი, თუ სიზმარი იყო ეგეთი. გარეთ გამოვედი. ერთიანად, წვიმდა, წვიმა სავსედ ჩამოდოდა ორმოში და მსუბუქი ნისლი ჩამოჰქონდა. ასე ვიდექი, სანამ უცებ არ გადაიღო. თქემის შეწყვეტილმა ხმამ გამომარკვია, ნისლი ზედ ორმოს თავზე იდგა, ორმოში ჩამოსულიყო და ყველაფრის საზღვარი წაეშალა. დილით იმ კონდუქტორს ზედაც არ შემოუხედავს ჩემთვის, არც დავუნახივარ. უფიქროდ შევეცქეროდი კიდევწაშლილ ორმოს, ნისლი ნელა ირე-

ოდა, ორმოში ხრჩოლავდა. არა, ამ სისველეში აქედან ასვლაზე ფიჭრიც კი ზედმეტი იყო. უშფოთველი გრძნობა დამეუფლა, ისე შევბრუნდი ჩემს მღვიმეში. აქ წყნარად, უხმოდ იწვოდა ლამა.

• • •

დროის შეგრძნება გაქრა. უფრო სწორად, მივინებდი ლამის შექის უშფოთველობას, ჩემ, ნაცრისფერ დღეს, კანტიკენტ, ალბათ, ხის ტოტებიდან ჩამოვარდნილ წვიმის წვეთების დინჯ წკაპუნს. აღარ მეფიქრებოდა ჩემს ყოფაზე და დროსა და სივრცეში გაშობილი გახსენებათა ბუნდოვან დინებას მივყვებოდი, ხოლო წარსული იმ წვეთებივით ნელა გროვდებოდა და მძიმედ იღვენებებოდა უკან, სადღაც...

საიდან გაჩნდა ეს ორი, ციკქნა თავვი. დედალ-მამალი თუა, ვფიქრობდი ზანტად, განმარტობებს თუ ეძებენ ამ ორმოში. დაეწურუპუნე და უცებ გაშეშდნენ ადგილზე, ბიძგივით მოატრიალეს თავები ჩემკენ, პრიალა, შავი ლილებივით თვალებით მომჩერებოდნენ, მერე უცებ მოწყდნენ და გავარდნენ გარეთ. შორეული, მზიანი დღე გამახსენდა და ჭერ რომ არ ვიციოდი, რას მკარანახობდა გონება, დამეში თეთრი, ლამაზი ძროხა დავინახე, დათვს დაეგლიჯა ძროხა, მხეცს გამოკეცოდა და ჩემზე მონდობილი, ტკივილისა და შიშისაგან აკრემლებული საწყლად ზმეოდა. საოცრად გამყვა ეს სურათი მზიან დღეში, თავაწყვეტილ ბრბოს ღრეობაში, როგორც კომპარული, გახმოვანებული ნახატი, ერთი-მეორეზე მიყოლებული ქონიანი, მოხითხითე სახეები, არშიყა, მსუქანი დედაკაცები, შეფარვით, შემთხვევით რომ აჩენდხეხ სხეულს. ლეშის ყვითელი ბუზებივით მიზუნინი და ჭიუტი დედაკაცები; იქვე, სუფრასთან ახლოს, მიწაზე მიგდებულ ითეთრი ძროხის მოკვეთილი, სისხლში მოთხვრილი, ჭუჭყიანი თავი. უცებ გაქრა ხატება, ჩაქრა სურათი. ისევ გამოვვდი მღვიმედან, ორმოში ისევ ისევ ეკიდა ნაცრისფერი, მუქი ნაცრისფერი,

ნისლი და ჩუმად ტრიალებდა თავის თავში; გაუსამლისი იყო ეს სიჩუმე, ეს შუშისგადაღმა, ეს სინჯარაში მომწყვდილებული სამყარო. — ეი, დავიძახე სიჩუმის ჩინაზე. — ეი, იქნებ ეხლაც ღრეობთ იმ, თქვენთან საშველად გამოკეცულ ძროხაზე. იმ თქვენი სიმართლით და ძალით გალაღებულნი. ალბათ ახლაც გუგუნებს თქვენი სიმღერა. — ასე უგუნურად ავძახოდი ორმოს, საკუთარი უმწეობის დასათრგუნავად გავძახოდი ჩემსავე თავს, რადგან ერთიანად გამინათდა მას მერე ცხოვრება, ბავშვობიდან, ჭაბუკობიდან მოწყვეტილი და იმ ბრბოს ღრეობაში ათქვეფილი. ნისლი ზანტად ხრჩოლავდა და ნაცრისფერი შექდებოდა. — საოცარია, — ვფიქრობდი ორმოს კედელს მიყრდნობილი. შუბლსა და ლოყებზე მძიმე წვეთები მეცემოდა, თვალგაშტერებული შევკეტილი ზანტად მორიალე ნისლს, — ნეტა სად გაილია ის წუხილი, ასე რომ მტანჯავდა. ნეტა სად ვარ. — ვფიქრობდი, — ნეტა ვის დავემალე ამ ყრუ, ნეტარ ორმოში, ნეტა რომელ მხეცს გამოვექეცი. — გაჩნდა და მაშინვე გაწყდა ეს ფიჭრი და უკვე მღვიმეში მოკალათებულმა, ასე ვუთხარი ჩემს თავს: — მადლობა გამჩენს, მადლისთვის, მადლობა გამჩენს.

და კრილოსანივით დაიწყო ცვენა ნათელმა, მუქმა სურათებმა — მალა, მუქ კამოდზე თავდახრილი, წითელი პატეფონი დგას, ქვემოდან შევკეტი, პატეფონის სახურავის შავხავერდიან შიდა ზედაპირზე ოქროსფერი რომბი ხატია. ვდგევარ აღმოჩენით გაოგნებულნი: დღევანდელი დღე გუშინდელის გაგრძელებაა. დღეები ცალ-ცალკე არ არსებობენ, ერთი მეორეს მისდევენ. მზით გაჭედნილ ოთახში ბუმბულივით მსუბუქი მუსიკა დაფარფატებს და ამ მუსიკაში, ერთიანად მზის სხივში გახვეული, უხმოდ გაცინებული ჩემი დედამა ტრიალებს. მახსოვს, ისე ლამაზები იყვნენ, ისე მსუბუქები და ლამაზები, ცრემლი წამომივიდა, გული ახლაც გაიბერა და ყელში მომაწვა, მახსოვს

ვერა მასწავლებლის მუქ არშიანი, სევდიანი თვალები, განწირული, ლამაზი ძროხის შავი, ცრემლით საესე თვალები. უორიკა გუკასოვმა თვალი ჩამოლურჯა და, ამხანაგს ხომ არ გავცემდი, მე ვერა მასწავლებელს დავაბრალე — მე, შვილო? ნამდვილად მე? მეკითხებოდა იმედით, შიშით. ვერა მასწავლებელი გივი გაბლიანის დედა იყო და, ამის გამო, მისი ყოფნა-არყოფნა ბეწვზე ეკიდა. ეხლაც მეკითხება იმედით, შიშით და მახსოვს, ატირებული, თავჩალუნული რომ ვიქნევდი თავს, კიმეთქი. და ჭიბუტი მახსოვს. ტყიბულელი ჭიბუტი, ზორბა შწითური კაცი. ლაქლაქა ლოყები და წითელი, ხორციანი ცხვირი ჰქონდა, ვაღელილ პერანგზე იტალიური ლურჯი პლაში ეცვა და გახსნილი გულისპირიდან ჰაღარა ბანჯგვლები მოუჩანდა. ნასვამი იყო და ლორწოიანი ტუჩებით მკოცნიდა; კარგა ბლომად ფული ამოვაცალე ჭიბიდან, ეპვატანილი მეუბნებოდა: — არაფერი შეგეშალოს, ბიძიკო, ჭიბუტი ვარ მე, ტყიბულიდან, — ახლაც მომესმა მისი ხრინწიანი ხმა.

\*\*\*

— ამოსვლა გინდა.

— ვინა ხარ, ნეტა, შე დალოცვილო, რად არ მკარნახობ ამოსასვლელ გზას. — კვენსით, ვედრებით ვამბობდი, სამყაროს სიბნელე ჩამოძვრა ორმოში. თითქოს დაბრუნდა დრო, ან არც წასულა, ლამაზა გამოვიტანე მღვიმედან და ისევ ისე, მარცხენა ხელისგულზე ფრთხილებდა სუსტი, ეული ალი, ნაზი და მსუბუქი, როგორც დედის ალერსი, მკრთალი და მგრძნობიარე, როგორც სიყვარული. გამახსენდა, როგორ ეშვებოდა მკრთალი სინათლე ორმოში. თითქოს თოკი ეშვებოდა ხსნის, სამყაროს მისაზღვრავდა ირგვლივ და აქვე ჩნდებოდა მიჯნა ჩემსა და ქვეყანას შორის. ამ გამძაფრებულ, გაშიშვლებულ ყოფაში არაჩვეულებრივი სიცხადით დავინახე სიონის ტაძარში ბავშვი ნათია. იმ აღდგომის კვირას ზაფ-

ხულივით თბილი და ღონიერი დღე იდგა. მძლავრი იყო სიონის ტაძარი, ნათელი იყო ქვეყანაც და ტაძარზეც ერთიანი გალობა იდგა ყველგას და იქ, კუთხეში, ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატთან კელაპტარს ანთებდა ხათია, ერთხანს ვერ დაამაგრა დიდი კელაპტარი შანდალზე, მონღომებისგან შუბლი შეკვროდა ნათიას, თავისთავზე გაჯავრებულს ტუჩები ებრუცებოდა; ცისფერი ჩითის კაბა ეცვა, თეთრკოკრებიანი, ვიწრო, თხელი მხრები უმწეოდ ეწურებოდა და ძალიან ცდილობდა: როგორც იქნა დაამაგრა კელაპტარი შანდალზე, ღონიერ აღს მიაპყრო დიდი გოცეხული თვალები და უხმო ბუტბუტით გაშეშდა, კელაპტარის ალი ზეიმად უგზავნივდა გოცეხულ თვალებში, რა უნდა ენატრა, რაზე უნდა ელოცა პატარა ნათიას — ეე-იი, — უნებურად, ისე, რომ მევე შემაშინა ჩემმა ხმამ. — ეიი! — ვიყვირე უცებ. — სადაა ნათია, სადაა ლოცვით მოსული და ყელგამოღადრული ნათია! — ხმა გაწყდა და ბოლო სიტყვა ყვილივით გაისმა, მაგრამ ეგ არაფერი, რადღაც ლამაზა გამივარდა ხელიდან, ლამაზა, სინათლის ნაზი, სუსტი სხივი გაჭრა და სრულ წყვილიდში გამოვეკიდე. — ეე, — ეეე — ვბლაოდი, ვეხეთქებოდი ფხვიერ, ნოტიო კედელს, — ეიი, ეეიი. — გამეტებით ვურტყამდი მუშტებს კედელზე. წარუმართავ ბრძოლაში ფეხით ლამპის შუშა გავსრისე და ამ ხმამ გამომაფხიზლა წამით. — მორჩა, ვთქვი ჩემად. — გათავდა ყველაფერი.

\*\*\*

დაქანცვამდეც და მერეც, ჩლუნგი სიჯიუტით ვებრძოლე კედელს. ისევ გაჭრა დროც, სივრცეც, ყველაფერი შემოიფარგლა ჩემს წინ აღმართული ყრუ, ნესტიანი კედლით. გარშემო კი წყვილიდი იდგა. ახლა ამ ერთბეწო ადგილს ვებლაუებოდი ხმადაკარგული, კრიკაშეკრული, ისლა მაკავშირებდა ქვეყანასთან. სხვა აღარაფერი. იქვე ჩავეუწყდი, ჩავყვი კედელს სულის მოსათქმელად, გონებით, კაცური ლო-

გიკით ვიცოდი, რომ ღამეს დღე უნდა მოჰყოლოდა. სიმშვიდეს ვკარნახობდი, მოთმინებასა და სიმშვიდეს ვუკარნახებდი თავს, მაგრამ აღარ მემორჩილებოდა სხეული, აღარ სჭეროდა ჩემი და მაწუხებდა, გულს მიღონებდა უმწეო ფართხალით.

მაშინ გავეყავი ორად, თითქოს განათდა ნაწილი ჩემში და იმ სინათლიდან შევხედე ჩემს თავს: მოკუნტული ვიჭეპი ღრმა, სველი ორმოს ფსკერზე და ამოდ ვაცეცებდი ხელებს რაიმე საყრდენის ძებნაში. საცოდავი, უიმე-

დო სანახაობა იყო, მაგრამ ამ წუთიდან სრულად დავინახე თითქოს სადღაც, სხვაგან, ჩემგან დამოუკიდებლად ხდებოდა ეს, მე არ მეხებოდა სრულებით და ისევ მომესმა ხმა, ასე ნაცნობი და ახლობელი, შორიდან მოსული, ისე შორიდან მოფრენილი, რომ სმენადქცეული ფეხაკრეფით გაჰყოლოდი უნდა. უნდა ფრთხილად, ფრთხილად მიპარვოდი და სმენადქცეულს ერთიანად აღგეჰვა.

• • •

იმ წვიმიან დილით უქმე დღეები დამთავრდა.

## გოგი მაისურაძე

• • •

მირკანის თვეში, იგრიკას თვეში,  
წამიყვან საღმე ყვავილთ საკრეფად,  
ჯერ კი წინ გვიძევეს ყინვა და თოში  
და ველოდებით გამოზამთრებას.  
ყვავილთ დაზაფრვას ვანიცდი  
მძაფრად,  
მოგენატრება შზისა თაკარა.  
შენი მშვენიების ლექსად, საქებრად,  
ჩემი ცხოვრების დღენი არ კმარა.  
ხარ დედოფალი, მწყემსი პირიმზე!  
უვლი, აცოცხლებ ყვავილთ ფერობას.  
მალე დათბება, ზაფხულის პირზე,  
წავალთ ზედაზენს, რკონის დღეობას.

მაგრამ რას გვარგებს ბუნების დაცვა,  
ან ლექსის წერა, ბრწყინვა მთიებთა,  
ერი უშვილოდ რომ იძარცვება,  
ყველა დარჩება გადამთიელთა.  
მირკანის თვეში, თვესა იგრიკას,  
წავალთ დღეობად რკონს, ან ზედაზენს;  
თუ დღეთა სრბოლა არ გადიდრიკა  
და თუ შევეშვი გრძნობას ამაზრზენს.  
ამ ლექსს შენ საძღვნოდ, როდესაც  
ვწერდი,  
ვნახე გაზეთში ხატება შენი,  
ვირწმუნე კვლავაც მე ბედისწერა,  
შენი არსობა მშვენიერთ მშვენი.

• • •

შინ თბილა ცვილის სანთლის ოდენად,  
ვარეთ ყინვაა, ქარი ბოგინობს.  
საღლაც ახლოდან ისმის გოდება,  
მეზობლის ქალი, თუ მელოგინობს.  
წუთი წუთს, როგორც წვეთი წვეთს  
მისდევს.  
აღარ ივსება ის საწყაული.  
იქნებ ამ ქვეყნად სიცოცხლე ღირდეს,  
თუ გამეორდა კვლავ სასწაული.  
იქნებ ჭვარს ეცვას ჩემ თვალწინ  
ქრისტე,

ან ანტიქრისტე გამომეცხადოს.  
მე კათაკმეველს, თუკი მომკლავენ,  
ვინ იცის, მაშინ, იქნებ ვეცხოვნო.  
და დამაკლდება ლოცვები შენი,  
ღმრთიული მადლი და მირონცხება,  
შენი ღიმილი ესოდენ მშვენი,  
ჩემი ნატვრა და ჩემი ოცნება.  
წავცისის ხევში თბილა შენ ტიტებს  
და ზამთრის ძილში შენ ელანდები,  
აქ ცივი ქარი ხეებს ატიტვლებს  
ახლა იწყება დიდი ავდრები.



მე ეს დღეები ვარ უთავბოლოდ,  
 არ ვიცი რას ვიქმ, ანდა რას ვჩმახავ.  
 იქნებ ეს ლექსიც არის უგონო,  
 ტყუილი განცდა, ბრყვეული ზრახვა.  
 ის ლექსი ყველა შენ შთამაგონე,  
 რომელსაც აწიც ვიტყვი და დავწერ.  
 მე რა ხანია ასე მგონია,  
 რომ უსათუოდ გავუძლებ ამ წელს.  
 ამა წლის სასტიკ ყინვას და ნეფხვას,  
 მწარე წუხილით სულის ავსებას.

თუმცა არ ძალმიძს, რომ ვაქცე ვეფხად,  
 მყის სამხეცეში მომათაყებენ.  
 მე ხომ ძნელად ვწერ, მიჯრს გართმვა,  
 თითებზე ვითვლი სიტყვების  
 მარცვლებს.

ჩემმა სვე-ბედმა შენ ჩნეს გამრიდა  
 და გამიჩინა მძიმე განცდები.  
 იქნებ ეს თქმულიც არის უგონო,  
 ტყუილი განცდა, ბრყვეული ზრახვა.  
 მე ეს დღეები ვარ უთავბოლოდ,  
 არ ვიცი რას ვიქმ, ანდა რას ვჩმახავ.



გგონია მხოლოდ მიყვარხარ ლექსად  
 და არა მხიბლავს შენი არსება?  
 მე გაეთავდები შენდა აღერსად,  
 აღარ ვინატრებ სხვა აღსრულებას.  
 ხარ სიყვარულის ჩემი ასული,  
 შენ ველარ დაგთმო, თუნდაც რომ  
 მემტრონ,  
 თუნდაც დამესხას ასი ავსული  
 და ხერხემალი გადამიმტვრიონ.

არ მინატრია ლხინი საამო,  
 არც ნაღვინები არ მაქვს ბოდვები.  
 ყოველდღე ნატვრით, დილა-საღამოს,  
 ისევე ქუჩაში დაგელოდები.  
 და აღვინთები შენდა აღერსად,  
 აღარ ვინატრებ სხვა აღსრულებას.  
 გგონია, მხოლოდ მიყვარხარ ლექსად  
 და არა მხიბლავს შენი არსება?



ტიტა ქარვა და ძოწის ფერები,  
 შენი ტიტები, შენ ლამარია!  
 მე მაგ ყვავილებს მივეფერები...  
 ნეტავ ეს ფერნი რალამ არია?  
 შენ აცვლევიწე ფერი — სხვა ფერად,  
 შენ შთაუნერგე მზე და ლაყვარდი,  
 ააყვავილე უცხო ზღაპრებად,  
 ეგ მებრიოკე ჩირგვარ-ბარლებიც.

ამიტომ გრაცხავ ყვავილი ღვთაებად,  
 ჰქმნი შთაგონებით ფერადებს აზლებს.  
 ველარ გავუძლებ ასეთ სიყვარულს,  
 დაუნდობლად რომ გაღმომახალე.  
 ველარ გავუძლებ, ველარ დავიტევ,  
 ბობოქარ გრძნობას რომ გადამრია.  
 ...წაგყისის ხეეში ხარობს ტიტები,  
 შენი ტიტები, შენ ლამარია!



## ვაჟა ჰერცელი

### დაბადება

დღე შემოვიდა სოფელში  
ოქროსტუჩება, მზიანი,  
ცის სიცილივით გაისმა  
ზანზალაკების წკრიალი,

გალობს მაისის ჰაერი  
უნისლო, ალერსიანი...  
წინაპრის სუნთქვა მგონია  
შენი ვენახის შრიალი.

### ვინ იცის...

საარაგოზე დიდი თოვლი  
მოსულა თურმე —  
აივებს სწვდება,  
ზვიანებს ფარავს,  
გზა ჩაკეტილია...  
ვინ იცის, ახლა  
ჩვენს სახლს როგორ უჭირს,  
უჩვენო დარჩენილს...  
დგას, აღბათ, იმ მგზავრით,  
დიდი ტვირთი რომ მოუგდია,  
ველარც წინ მიდის

და ველარც უკან  
და, სადაც არის, დაიკვნესებს  
და ჩაიმუხლებს...

საარაგოზე თოვლი მოსულა  
მაღალი... თურმე აივებს სწვდება.  
ვინ იცის, ახლა  
ჩვენს სახლს როგორ უჭირს  
ობლად, უმეზობლოდ  
ტყის პირას დარჩენილს  
და თანაც დაბერებულს.

### გადარჩენა

ჭაობებს გვერდი ავუარე  
და გაღმა გავედო...  
მართალია,  
ხელები დამეკაწრა,  
და ღორღისაგან დამეძევა  
ფეხისგულები;  
მართალია,

უფსკრულის ქარმა დამიბერა  
და სადღაც ეკლიან ტოტებს შერჩათ  
ჩემი თმის ღერები,  
მაგრამ მე ჭაობებს გვერდი ავუარე  
და გაღმა,  
მეორე ნაპირზე გავედო!

• • •

მე დღესაც გენდობი,  
როგორც დედამიწას ენდობა ოკეანე,  
როგორც ოკეანეს ენდობა მდინარე,  
როგორც მდინარეს ენდობა ყვავილი  
ჩამოვარდნილი ნიავის ტალღიდან...

### რკინის აბლაგუდა

განა სადმე შორს,  
აქვე, ორ ნაბიჯზე,  
ბებერმა ვაშლებმა  
წელსაც ისე ჩაიყვავილეს,  
რომ ჩვენ ერთხელაც  
ვერ დავდებოთ  
მათ სინათლეში...

### მონათღილი ცა

ბედნიერი ხარ, ღრუბელო,  
უფალმა ასე ინება,  
სივრცის მხარეებს მოივლი  
და მთაზე ჩაგეძინება  
ვარსკვლავებს ნახავ სიზმარში,  
ბავშვივით გაგელიმება.

— — —

## პივი სულაიაური

### ნატიალი

• • •

— ეს ჩემია!..  
აი პირველი დალი  
ბავშვობის.  
ამის მერე მთელი ცხოვრება  
საკუთარ თავს ემსახურები.

• • •

რა დარჩა ჩვენში  
მამინდელი, ყოველდღიური  
სპექტაკლებიდან?  
კმაყოფილება, სიმშვიდე  
თუ მომავლისთვის მომზადებული  
კოშმარები?  
იქნებ ლექსები, სიყვარული  
ან ნიკოტინი?  
(თუმცა შენივე ბინაც ასეა:  
ვერ გაიგებ,  
ვერ გაიხსენებ შინ რა დატოვე  
და მობრუნებულს  
ვინ დაგხვდება  
შენს ლოგინში შემოწოლილი)...  
ყოველდღიური წარმოდგენები:  
რომელშიც ისე გამოვიწვი,  
გამოვიბრძმედე,  
როგორც თიხის ჯამი  
ქურაში.

• • •

საბოლოოდ რა რჩება ჩვენში  
წინაპრების პროგრამისაგან,  
როცა დღეები და საათები,  
წელიწადები,  
საუკეთესო თვისებების

ფლანგვაში გადის?  
ყველაფერი განიავდება,  
დაგვრჩება მხოლოდ მორთმეული,  
მოტანილი,  
საიდანაც წამოღებული ბუჩო,  
ნაგავი...

• • •

სევდას უცნაურ სიამოვნებით  
გაჰყავს ტვინზე  
ახალი და ღრმა არხები...

• • •

ზოგჯერ ისიც მოგეჩვენება,  
რომ მზე უაზროდ იხარჩება —  
სხვის კი არ გზავნის,  
სიმბურვალისგან დამსკდარ კეცივით  
ახურავს ქალაქს —  
კიპარისიც კი ვერ გახვრიტავს...

• • •

ბოშა ქალმა  
თავის მხურვალე,  
უზარმაზარი ძუძუებიდან  
ჩემი ტვინივით ადუღებულ  
ლუდის ქილა ამოაძვრინა...  
...შემთხვევით ვნახე ბავშვობაში  
როგორი მკერდი ჰქონდა  
დედაბერს —  
დამჰკნარი და მომჩვარული.  
ახლა ხანდახან მესიზმრება —  
იმ ძველი ჩვრით  
ვიწმენდ ხოლმე სახეს  
სიცხეში...



• • •

...ქარისკაცი ბინძურ ოთახში  
დარჩენილი დროის პირისპირა:  
სადაც კუთხეში მოსროლილი  
ჩერის თოჯინა,  
მივიწყებულნი...

• • •

როგორ ვკრთებოდი, ვიწამლებოდი  
ბავშვობაში,  
გზებზე დანთხლეულ და გასწორებულ  
ბედშვებ ცხოველებს რომ შევხედავდი.  
ახლა სრულიად გულგრილი ვარ.  
ისე ვუყურებ,  
როგორც მთვრალი კაცი  
თავისავე სისხლს...

• • •

ფეთქავს,  
ცემს შაჟა,  
როგორც საათი  
დამალულ ნაღმზე...

• • •

მახსოვს ოდესღაც  
ვენდობოდით მგონი  
ერთმანეთს.  
რა გამოვიდა,  
რა გვაპოვნინა  
გრძნობების და ემოციების,  
სიყვარულის  
ტრანსპლანტაციამ?...  
სავსეა  
ჩვენი ტვინის ამბარი —  
ვერ შეაშინებს  
ხანგრძლივი და მკაცრი ზამთარი.  
მთავარი კი არ ახსენდება:  
— არ იჭმევა ადამიანი..

• • •

წვეთი დაეცა მტვრიან  
ფოთოლს.  
მერე დაგორდა  
და ხასხასა კვალი დატოვა...

• • •

კაცი ამბობდა:  
პოეზიაზე ვილაპარაკოთ.  
დრო შეიცვალა.  
ახლა ამბობს:  
პოეზიაზე ნუ ვისაუბრებთ!

• • •

როცა წარსულში იქეპები,  
იკვებები როცა წარსულით,  
აწმყო და მერე,  
შენი ძმები აღარ არიან.  
ნახევრად სავსე  
დარჩა წარსული.  
მომავალი  
ზებგერითი სიჩქარით მოდის...

• • •

ქარი უეცრად ვიგრძენი,  
მერე,  
როცა ხეები დავინახე  
მოულოდნელად...

• • •

ძმაო,  
გავიდეთ სამალავიდან.  
შუადღისაგან დადუღებულ ქალაქის  
ხვატში  
შევეგებოთ ქარსაც, წვიმასაც,  
ვიხეტილოთ.  
სულ ერთი არის —  
ქუჩის დღეები დათვლილია,  
თუ მე და შენ არ გავიარეთ  
და თან წვიმამ თუ არ  
მოგვისწრო...

• • •

დიდი ქალაქი:  
ეკლესიის პატარა ეზო.  
მკედარი ჩიტი —  
წვიმის გუბეში.  
ნეონის შუქი.  
მძაფრი სიცივე.  
ელექტრონის ხმა.  
ელექტრო-სევდა.  
„გაუზრდელი“  
ახალგაზრდები...



\* \* \*

ცივა-  
ვხედავ დაძაბულ ძალს  
შიშველ ხეებთან.  
ვხედავ მის თვალებს —  
სასოწარკვეთის  
ორ ნაპერწკალს  
შიშის ბუდეში...

\* \* \*

მარტი წინ მიღევს,  
მაგრამ თებერვალს  
მინდა შევაჭებ,  
მინდა ვაძაგებ...  
დაგვარგე ისიც,  
რაც დავაძინე,  
და ჩემი აზრით  
უკეთეს დღეებს  
გადავუნერგე...

\* \* \*

მე ამ საღამოს  
სხვისი თვალებით შევხედავ  
თბილისს  
და ეს იქნება  
ჩემი სასჯელი.

— — —

• • •

ვინ მაჩერებდა ამდენი ხანი,  
თავქუდმოგლეჯილ, უგონო მწვევარს;  
ვინ ამიტანა ამდენჯერ მთვრალი,  
ვინ ამიკრძალა ამდენჯერ წერა.  
ტრფობის საბანი გადამახურა,  
ახლად წვერაშლილ დაუღლელ მხედარს,  
როგორ გავუძლო ჰერს და სახურავს,  
როცა ამ ცაში ვარსკვლავებს ვხედავ.  
მე რომ მხატვარი ვყოფილიყავი,  
ვერ დავხატავდი სულ ერთი ფერით  
და დარჩებოდა დროთა სიყალბე,  
მოსაფერებლად გამოწვდილ ხელებს.  
შენ ჩემი ერთი ფერი იყავი,  
მიკრული ნახატს მზისფერი ლაქა  
და პალიტრაზე სადღაც დაკარგულს  
მე ვერასოდეს შენ ველარ გნახავ.  
რა დამრჩენია, ვარსკვლავებს ვეძებ  
ათას ფერში თუ ათას სახელში,  
ვიღაცის ქურქი ალბათ მოსძებნის,  
ადგილს ამ სულის ცივ წასახდელში.

• • •

დღეს მეცხრამეტე თოვლია  
და მეცხრამეტე ლექსი,  
ისევ წარსულის ტოლი ვარ.  
გავდგი ცხრამეტი ფესვი.  
სტუმრები ჩემი, ძველი წლებია,  
დღესასწაული ცხრამეტი ლანდის  
და ავსებს გვერდებს ჩუმს და სევდიანს  
ეს უსასრულო ცხრამეტი დარდი.



ეროვნული  
ბიბლიოთეკა

• • •

ვუსმენდი შოპენს,  
მერე ათოვდა ქაშვეტს,  
ალბათ ზამთარმა შემაყვარა მარტო დარჩენა,  
ცოცხით დასდევდა შეეზოვე თოვლიან ბავშვებს,  
ცოცხით, რომელიც ჰგავდა ფარშევანგს.

• • •

ქარვისფერ ყანათა ლელვა დარჩება,  
მეწამული მზის წვა, მღუმარება,  
ფრთამოტეხილი მერცხლის საშველად, მე მარტო წავალ!  
გაკურთხოთ ღმერთმა და დამივიწყეთ,  
დაე სხვა გემები მორეკოს წყალმა,  
გემუდარებით იცინე, იცინეთ,  
როცა მე წავალ....

• • •

თოვლიან ქართა დევნით დაღლილი,  
გადაუქროლებს ჩემს ქანდაკებას მერცხალთა გუნდი,  
მე ისევ მოვალ, მხოლოდ არავის არ გაუმხილო,  
რომ მე ღაებრუნდი.

— — —

# სამი მოთხრობა ერთი მკვლელის შესახებ

## 1. მთელი დღე წვიმდა...

ისე გულდაჭერებით წვიმდა სოფელ ჭუბუ-  
ჩიშში, თითქოს არც არასოდეს აპირებდა გა-  
დადგებას. დახლა ჩამოწოლილი ღრუბლები ევ-  
კალიტებისა და ალფათა კენწეროებზე გაერ-  
ხიანენ და ადგილიდან ვერ აძროდნენ. სხვა  
საწველი არ ჩანდა, ალბათ აქვე უნდა დაცლი-  
ლიყვნენ ბოლომდე. უბნის რწმუნებული ჭო-  
ტო გვიღავა ცხრაქერ მაინც გავიდა აივანზე,  
იქნებ გადაისარკოსო, მაგრამ წვიმის სვეტს  
შავად ჩაბოებურა დღენათელი და ჭურის იქით  
ჩამწკრივებული ეწო-სახლები ისე მკრთალად  
ჩანდა, თითქოს არანამდვილი ვეგები არანამდ-  
ვილ ზღვაში აუჩქარებლად შიტორტმანებდნენ  
და უოველივე ზმანებას უფრო ჰგავდა, ვიდრე  
სანამდვილეს. უცოლოდ რაღაც უნდა მომხდა-  
რიყო და ცუდი წინათგარძნობით გულგახიებუ-  
ლი ჭოტო გვიღავა გემრიელად შეფუტრთსავდა  
ხოლმე მადლა ცას, დახლა თავის ბედი-იღბალს  
და კვლავ კაბინეტში ბრუნდებოდა, სადაც მა-  
გიღაზე უაშრავი გადასაზულ-გადმოხაზული და  
დაჭმუჭნილი ქაღალდი ეყარა. დილას აქით წი-  
რდა კვარტლის ანგარიშს და უკვე ყელში ამო-  
სვლოდა. მაინცდამაინც შარქვედ ვერ ხმარობდა  
კალამს, წინადადება მჭიმედ, კრატუნით ლაგ-  
დებოდა თერო ქაღალდზე და ეს მოსაწვენი  
ზოზინი გუნებას უფრო უმყავებდა. მისდაში  
რწმუნებულ უბანში ამ ხნის მანძილზე მნიშვ-  
ნელოვანი არაფერი მომხდარა, თუ არ ჩავთვ-  
ლით კვრივი ფუნთოლას ბიჭის, ქვათიას და-  
ნაშაულს. ეს ქვათია დიდი უბედური ვანში  
ჰუავედა გაშჩენს. შავისი გამოსწორება არ იქნე-  
ბოდა. ღაშით, ასეთ წვიმასა და მერტბში, თუ-  
რამე ხიდან ჩამოგხსნა. ტოტებზე მოუტუტუტებ  
დედლები და ტომარაში ჩაიჭრათა. მაგ ტუ-  
ტუსს ფრანველი გზაზევე გაგუღავა და იძუ-

ლებული გამხდარა, ტომარაან სანწალეში გა-  
დაეგდო. სანწალე ახა რისი სანწალე იქნებოდა  
(ჭოტო გვიღავამ სმენა დაძაბა, თავსხმას ავად  
აეგუგუნებინა სოფლის მდინარე), ტომარა  
ბრანით მოუგდია უკან. აქ წაასწრეს თურმე  
ფუნთოლას ბიჭს. ეს იყო და ეს! ჭოტო გვი-  
ღავა კი აქდა ახლა თავის ცივ კაბინეტში და  
ცდილობდა სხარტად და ლიტერატურულად გა-  
დმოეცა ეს ბითურული ამბავი.

უბნის რწმუნებულმა ხმადახლა შეიგინა. ფა-  
ნჯარიდან გაიხედა. მაგნოლიის ჩამუჭებულ ფო-  
თლებზე დედრონი წვეთები ეცადა და სათი-  
თიოდ წყააწყუბით სხლტებოდა. ტოტებს მი-  
ღმა სოფლის შარა გამოიკვთა. იქ, იმ წვიმაში  
ამაჟად გაიარა თინიყო კელაპტრიშვილმა, მთა-  
ვარი აგრონომის გოგომ. უკვე შედრებულ  
და ტანაურილი იყო სველი სასკოლო ფორმა  
ეტმანებოდა, მაგრამ ისე აუჩქარებლად მიიბ-  
ხეოდა, თითქოს წვიმაში კი არა, შვის სხივებში  
ბანაობდა.

ჭოტო გვიღავამ ამოიოხრა. დაჭმუჭნილი ქა-  
ღალდები მაგიდადან გადაფრთხა, კალამი დაა-  
გდო და ბელიგულეზი სახეზე აიფარა, თვალი  
დახუტა, წვიმის თანახარ ხმაურს მიუგდო უუ-  
რი. შიტი არაფერი ისმიდა. წვიმა შხულოდა ტო-  
ტებში, წყარაწყური, წკრილია გაქქონდა წვე-  
თებს. შორიდან კი გუგუნებდა მოძალდებული  
სანწალე და ამ ხმაში რაღაც საშიშროება იმა-  
ლებოდა. წაშით ეშმანა კიდეც, სადაცაა წყალი  
გადმოხეთქავს და წაგულეკავსო. შეფოთებუ-  
ლმა თავი ასწია, თვალი გაახილა. შიშმა გა-  
ქეწწლა. წყლის გაუთავებელ ხმაურში სხვა  
ხმებიც გარეულიყო. სადაც სოფელში წიო-  
კობდნენ. „ალბათ წყალმა წაიღო ვინმე!“ —  
პირველად ეს გაიფიქრა და აივანზე გაეარდა.

დაცარილებულ შარაზე თანდი ჩიმაკაქემ ვაიარა ფეხჩქარებით.

— რა მოხდა თუ იცო? — მიადევნა ჭოტო გვილაჟამ, მაგრამ თანდომ დახნეულად მოიხედა და ვაა განაგრძო.

ჭოტო გვილაჟა კაბინეტში შებრუნდა. კუდსა და ლაზადას ხელი დასტაცა და კვლავ აივანზე გავიდა.

წვიმის ფარდებიდან აწოწილი ბიჭი გამოხსლტა, თავქუდი მოგლეჭილი მორბოდა.

— ზაზა? — კიბზე რომ მოაღწია, მაშინდა იცნო თანდი ჩიმაკაქის ბიჭი.

— ჭოტო ძია! — საფეხურებზე შექანდა ზაზა ჩიმაკაქე, წაიფორბადა. ტალახში იყო ამოგანგლული, სველ საფეხურზე ფეხი უსხლტებოდა.

ჭოტო გვილაჟა ჩაეგება, შარაზე ხელი გამოსდო, კაბინეტში შეიფურანა და სკამი გამოუწია.

ბიჭი მოწყვეტილ დაქდა, თავით მაგიდას დაეშხო.

ჭოტო გვილაჟამ კარი მიხურა. სავარძელს დაუბრუნდა. „იე, ამის თავს რაღაც უბედურებაა!“ — სევდიანად გაოფიქრა და ქალღმრთლები შეუმჩნევლად განწე ვაიაროა, ბიჭის თმებიდან ჩაშოკურებულმა წვეთებმა არ დამისვდესო. ზაზა ჩიმაკაქემ თავი ასწია, შეეცადა პირდაპირ შეეხედა, მაგრამ ახურებულნი სახე უმაღლანზე მიასრუნა.

— შე მოკვალა... შე მოკვალა მამუჯა!

სულ რაღაც ორიოდ წლის წინ დიმიტრი ფარცვანია ძმაცაცებში მიტოვდ იწოდებოდა და იურიდიულ მეცნიერებებს ჩაუთხავდა. რაიონში საკუთარი სურვილით ჩამოვიდა, თუმცა აფრთხილებდნენ, სამსახურის შოვნა იოლი არააო. თვითონ უკეთ იცოდა თავისი საქმე. იქნებ სხვათათვის შეუმჩნეველი მზარეული ანგელოზი მასაც ჰყავდა, იქნებ იღბლიან უფრო იყო, მაგრამ იტყობა აქეთ არც თუ უსაფუძვლო იმედებით მოემართებოდა. ყოველ შემთხვევაში, გაუმართლა. ახალგაზრდა სპეციალისტს გულთხილად შეხედნენ, რაიონის ცენტრში პატარა ოთახი მოუხერხეს, დროებით უმნიშვნელო სამსახური შესთავაზეს, მაგრამ როგორც კი გამოცდილი იურისტი შერაზადაშვილი პენსიაზე გავიდა, უმაღვე დიმიტრი დინიშნა გათავისუფლებულ ადვოკატად.

თავდაპირველად რამდენიმე იოლი საქმე გამოიძია, როგორც წესი, მცირეწლოვან დამნაშავეთა ერთმა ახალგაზრდამ „უფიჯულიდან“ იპროსურია მაგნიტოფონი მოიპარა, მეორე — სხვის ბინაში შევიდნა და ორასი მანეთის ობლიგაცია გამოაყოლა ბელს, მესამე — დანით დაუბჯდა გაშვებულს, საფულე წაართვა, შვიკი მხოლოდ სამი მანეთი და ორმოცდახუთი კაპიკი აღმოჩნდა. შერაზადაშვილისათვის ასე-

თი წვრილმანი საქმეებიც სარფიანი იქნებოდა ალბათ, მაგრამ დიმიტრი ფარცვანია ჭრჭერობით თავისი ციციკა ხელდასით, პირბედა არსებობას და ეს უმარჯულები, მათი შრომლების მდებლობის მიუხედავად, ერთი შეიკრის მიყოლებით ავტომატის მცირეწლოვანი დამნაშავეთა კოლონიაში აღმოჩნდნენ, რამაც ახალბედა გამომძიებელს უშეღავათო და შოუსუიდევილი მუშაის სახელი დაუგდო...

სოფელ კრებურიში მომხდარი მკვლელობისთვის პირველი სერიალული საქმე იყო. შარათალია, თავდაპირველად ამ შემთხვევას შერაზადაშვილი იძიებდა, მაგრამ პენსიაზე გასვლამ შოუსწრო. დიმიტრის ენაყუბოდა ახალი როლი, თითქოს რამდენიმე საფეხურით აიწიო უცაბედად. წინასწარი გამოძიების მასალებიდან მარტივი და ნათელი სურათი იყვითებოდა. ჭრებუნის რწმუნებულს, მერე კი შერაზადაშვილს ყოველი წვრილმანი აღწერსათ. ერთადერთი, რაც დამნაშავეს ვერ ათქმევინეს, ეს იყო მიზეზი... ბიჭი უსასრულოდ იმერებდა, მამუჯამ მე მოკვალაო, მაგრამ რატომ და რისთვის, ამას არ ამბობდა. „თუმცა ახლანდელ ახალგაზრდებს მიზეზი რაღ უნდათ! — ხმაშლია იტყუაო დიმიტრი. — უოჩებოვით დადიან, პატარა წაიყენავენბა და დანას გაგიყრიან მუცილში!“ თვითონ კი გუნებაში არაერთი ვერსია ჰქონდა ჩამოწიყებულნი და, რა თქმა უნდა, პირველმა თითქმის ნაღვ მიზეზად გოგო მოაჩნდა.

დამნაშავესთან შეხვედრამ ამის რწმენა განუშტაცა გაღივული, ყვრიმალამორბილი ბიჭი ისეთი უბედურა ჩანდა, ისე უსასოოდ მოშვებული იქდა სკამზე, იყო და არც იყო ცოცხლებს შორის. ხანდებან, თითქოს გამოფხიზლდაო, საკუთარ თავს გარდებ შეხედდაო, მხარებს გაშლიდა, ამ დროს ფარულ სიყრპებს ააშარაკებდა და დიმიტრიმ წაშიერ გაღვებულნი სიბრალულის ვრძნობა უმაღ განაგდო.

— რა ვქნათ ახლა ჩვენ? — ხეწმით იცითბა. ზაზა ჩიმაკაქემ თავი ასწია. თვალბში მუდარა იდგა და ამ შემოხედვამ დიმიტრის სიფიცხე შეინადა.

— წუალი ხომ არ ვინდა? — თანავრძნობით შეეცობა.

ზაზამ თავი დაუქნია. დიმიტრი უკან გადაიხარა, სურას მისწვდა, წუალი დაუხსა და მიაწოდა.

ბიჭი ხარხად სვამდა, ნერვულობისაგან ტუჩები დაშარბოდა.

— სიხიანი ხარ?

ბიჭმა უარის ნიშნად თავი გააქნია.

— ერთი ეს მითხარა, თინიყო კელატრნიშვილი რა ამხანაგა შენი?

ზაზას თითქოს უბიძგესო, მოიბუზა, იატაკს დააშტურდა.

დიდბანს უყურა დიმიტრიმ, მიხვდა, პასუხს ვერ მიიღებდა...

მერე შიელი ის დღე სხვა ვერაფერს დაუდო გული. ნაშუადღევს ჭოტო გვილავას დაურჯა კუბურშიში, ჭერაც უმანქანო კაცი ვარ, თუ არ წყურხლებს, მანქანით გამოიბარე, ადგილზე მიწად საქმის გავეცილო ვარ გამოიკეტა და შინსაკენ აუჩქარებლად გასწია. წვიმიანობა ახლახან მიილია და შინა ჭერ კიდევ ნესტიით იყო გაჭრებული ცდილობდა, ტალახან გუბეს შორიდებოდა, თან კი „საქმეზე“ ფიქრობდა. კარიერის დიდ გზაზე პირველ ნახებებს დგამდა და ყველაფერი უნდა გამოეწომა, აეწონ-დაეწონა. სიმართლე აღმასის თვალთვითა, უამრავი წახნაგი აქვს, რამდენაირად შეაბრუნებს, ამდენაირად აბრკველიდებოდა. სასწორი ხელში ეტორა და პინას, საითაც სურდა, იქით გადახრიდა. ეს რომ გაიფიქრა, გუბეში მანქანა ჩაქრა ფეხი და შიელი ის ხალაო ერთადერთი ფეხსაქმლისა და ერთადერთი შარვლის წმენდას მოახშარა.

ლოგინში გვიან ჩაწვა. უცხოური დეტექტივების კრებული გახსნა. „ეს შეგებები, ერსკენი პუაროები და შერლოკ ჰოლმისი ზღაპრის გმირებია, — ფიქრობდა ზანტად, — ცხოვრებაში ყველაფერი ბევრად რთულია... ყველაზე მარტივი საქმე უფრო რთულია, ვიდრე ყველაზე დაზარალებული დეტექტივი!“ შინც სიაშოვნებით ერთობოდა დეტექტივებით, თუმცა ახლა დაღლა იგრძნო, გული ვერ დაუდო წიგნი გადადო, შუკი ჩაქრო და სიხნელეს მოაშტერდა. „დაშენცივან ახლა მაგ ჩიმიკის ახლობლებს!“ აზრი არ გაუგრძელებია, ბალახს ჩაეხუტა. სინამ თვალს დახუჭავდა, ანგაღმა ფიქრმა გაუფიქრა: „მა, როგორია ეს თინიყო კელაბატაშვილი?“

დაღას კი მადვიძარამ უშტყუნა და, მანქანის პიბინმა რომ გამოადვიდა, შუე საქმიოდ წევით იდგა...

გზა მოულოდნელად ძირს დაქანდა. იმ ადგილიდან მგზავრების თვალწინ უცხად გადაიშალა სანწალეს ჰალაში ხალვათად ვანფინილი კუბურშიში. ხეხილი იტალღებოდა ვერცხლისფერი სანწალეს ვაგა-გაშოლმა. სოფლის კიდეიდან იწყებოდა ჩაის პლანტაციები, შავად გადაწვნილი ნახშირბერი, ქარსაკავის სწორი მჭკრებობა... ერთადერთი მოახფადებელი ქუჩა ისარივით კვეთდა კუბურშის და მის გასწვრივ ჩამჭკრებულ მაღალ ოდებზე თუნუქის სახურავები ბრწყინავდა.

ჭოტო მანქანა გააჩერა. მცირე ხანს ჩუმად ასხდენდ.

— იტყვიან ახლა წინათგრძნობა არ არისო! — ამოიხენემა უბნის რწმუნებულმა. — შიელი ის დღე შუავე გუნებაზე ვიყავი „ნახვაში იქნებოდა“, — გაიფიქრა დიმიტრიმ. ჭოტო გვილავა ტანხსვილი კაცი იყო, მანქანაში ძლივს იტვიოდა, მომრგვალებული

შუტელი საკეზე მიედო. მილიციის ფორმა ისე იცვა, სკვია შეშოასკლებოდა. იმის გვერდით დიმიტრი პატარა კაცუნად ჩანდა და უბნის რწმუნებულს ეს უპირატესობა არაფრად ეპატანებოდა.

— იქ, მაგალითად, სკოლა! — ხმადახლა, თითქოს თავისთვისო, თქვა ჭოტომ.

ამას უსიტყვოდაც მიხვდებოდა კაცი. ახლად აშენებული ოთხხართულიანი სკოლა თითორად დაქატოათებდა სოფელს.

— აქ კი სასფლაო! — ჭოტომ ჩუმი ტყვილი ამოუყოლა ამ სიტყვებს.

ჭვითკობის კედელი ვარს ერტვა ბუმბერაზ ჰადრებს; და მათს ჩრდილში სიწყარე და სიგრილდ სუფივდა.

დიმიტრი მანქანიდან გადმოვიდა, თითქოს ფეხის გასამართადო, ფეხებმა კი თავისით წაიყვანეს სასფლაოსკენ. ჭოტოც მიჰყვა ხენეშით. ძველდურ, დახავებულ საყდარს აუარტეს გვერდო. ხმის ამოუდებლად მიდიდნენ საფლავებს შორის და დიმიტრის შერა ვადაურბოდა გვარებსა და თარიღებზე.

სევდა შემოაწვა. პატარა ბიჭის სკედილი მხოლოდ ამ წუთას გაიცილობიერა. ახლდა იგრძნო ბოლომდე არცთუ იოლი საქმე ჰქონდა დაკისრებული და რატომღაც შერაზადვილზე გაბრაზდა, თითქმის ყველაფერი გამოიბოდა და რაღა ბოლო წერტილის დასმა დაეწარა.

განაპირას, ვადასახებზე, ჰადრის ჩრდილში ახლადდურთილ ვორაკს მიადგნენ. უბრალო პალოზე ფიცარი მიეკრათ და წედ ღურჭი სელნით იწერა: „მამუჯა ლევაჯა“.

— იმ, ბებია აქ ვერც ამოხობდება, საწუღი... მაგას არაფერი ეშველება აწი — ყრუდ ჩაილაპარაკა ჭოტომ.

არც მამუჯა ლევაჯას ეშველებოდა რამე, არც მის მოხუც ბებიას... მაშ, რა რაღა ეცისბრე ბოდა დიმიტრი ფარცვანას ამ ტრაგეკული კვანძის ვახსნაში? პასუხი ერთი იყო, როგორც ამას პროფესია ანწავლიდა: კეშმარტივებას თავისთავადი ღირებულება აქვს... არაფერიც რომ არ შეიცვალოს, სიმართლე მაინც ფასეულია.

სასფლაოს ამ მდღეობაში დიმიტრის აშკარად ენაშობა საკუთარი გულის ბავახუცი. ჰადრების შრიალი, სოფლიდან მოდწეული შორული ხმები, ჭოტო გვილავას ისტმორი ხენეშა ვერ ფარავდა დიმიტრის გულის რიტმულ ცემას და უცებ ზარმა დარეკა — ძინ-ძინ-ძინ... ეს სკოლის ზარი რეკავდა. ამ მანუში იწვა მამუჯა ლევაჯა, მისი გული არავითარ ხმას არ გამოსცემდა. იწვა და უფრს უფდებდა ერთადერთ ხმას: ძინ-ძინ-ძინ..

სოფლის ცენტრი გადაკეთეს. მოსახვევთან თეთრი ხომალდვით გამოკურდა ორსართულიანი, ხალვათი სახლი. კიშკართან შავი „ვოლგა“ იდგა. მანქანის კამოტს ტანსრული კაცი

დაურდნობოდა და ვიღაცას ელოდებოდა. ჭოტო გვიღვავ ხელის აწევით მივიხალა. კაცმა უპასუხა, შერე კი სახლისავე გასძახა:

— აქვარ, ნუ შეგვიანები! — შთავარი ავრონიძის, კელაპატრიშვილის — ჭოტომ სიჩქარეს მოუმატა.

დამიტრიაშ უკან მიიხედა, იქნებ თინათო გამოვიდესო, მაგრამ ჭოტომ, თითქოს ჭახტეო, სხვა გზაზე გადაუვლია და კელაპატრიშვილების სახლი თვალთახედიდან დაიკარგა.

— ა, ეგერაა ჩამაკვების სახლი! — გაახედა უბნის რწმუნებულმა.

ღურჯაღ შედეგილი ჭიშკრის მიღმა ასეთივე თითო ხომალდი წამოიშარათა. არცთუ დიდი ხნის გადაბურული ჩანდა, ზედ კუწუზზე თავმოჭოწონედ წამოშართული ვარსკვლავიანი კოშკი ვერცხლისფრად ლაპლაპებდა.

— კარგად ცხოვრობენ! — დაასკვნა დიმიტრი.

— თანდი ჩამაკვებ მშრომელი კაცია! — ფარულ ეჭვს შეეპასუხა ჭოტო — უბრალო ტრაქტორისტი არ გვიგონოს, რაიონის მანჭების კაცია! ქალბატონი ღუბა პედეგოგია და...

დამიტრიაშ ამაზე არაფერი თქვა. „მოსკვიჩმა“ მტრთან ირღობეში ბული დააუნა და იმასდა ფიქრობდა, წაღრევის დროს თავი არაფერს მივარტყაო.

ღუბანების სახლი განაპირას იდგა. ეზოს სიღრმეზე ჩვეულებრივი, დაბალ ბოძებზე შემდგარი ფიკრული ჩანდა. მწვანე მდელო სახლის წინ ტრიფოლიატის ღობე, ციკუნა ვენახი, პაწია ბოსტანი, — ათასი ასეთი ეზო-კარი ენახა ადრე დიმიტრის. ახლა ზღბი გაკეთდა, ბატონი, ასეთ ოღაში ვინ იცხოვრებსო, ფიქრობდა თავისთვის.

ეზოში ძებორციელი არაყინ იყო საშაღის ლაფაროში ორი დედალი იქექებოდა ზანტად და ეს გახლდათ იდილიური სურათის ბოლო შტრიხი, სურათს კი უნდა რჩებოდა „მდეშარება“, დიხ, „სრული მდეშარება“.

— ძაღლიც არა შევას? — დამიტრიაშ უხერხულობა იგრძნო, მასპინძლის გამოხმობისა მოერიდა. ჭიშკრის საგდული რომ გადასწია, ხელი ოდნავ უთრთოდა და საკუთარ თავს შემოსწერა, რა გაჭვს ნეტა მოსარიდებელიო.

უჭურბად გადაკვეთეს ეზო.

ხის სუსტმა კიბემ ჭრატუნე გაიღო.

— არავინა ხართ შენი? — ათიოდე წლის ბურძღლა გოგომ გამოიხედა. სტუმრების დანახაზე დაფრთხა, სადღაც სიღრმეში მიიკარგა.

ჭოტომ დიად დარჩენილ კარში შეყო თავი.

— ხართ ვინ? — კუთხიდან ბებრული ჩიფჩიფი მოიხმა. ნიკელისურჩიან საწოლზე, მაღალ ზღბიშებს ჩიტავით პაწია ქალი მიურდნობოდა.

სტირზე სათვალე ეკეთა და სტუმრებს ზერე თვალბათ შემოსკეროდა.

— მოხმანდით! — წამოწევა მოინდომა, ღონე არ ეყო და ზღბიზე მიეწევა.

— ნუ შეწუხდებით, ქალბატონო ცინტო, ჩვენ წამით შემოვიხინით! — დიმიტრი შეეცადა დაუვავებით ელაპარაკა, სკამები შეწაურულად გამოაჩინა, ერთი ჭოტოს დაუთმო, მეორეზე თვითონ დაქდა და აღერსით დაუმატა: — უბნის რწმუნებულს ალბათ იცნობთ, მე კი გამოძიებელი ვახლავარ!

ამას რომ ამბობდა, ცდილობდა შინაგანი თრთოლვა დაეფარა.

— ისევ გამოძიებელი? — დედაბრის ხმაში დამცინაო კილო გაქრათა.

— ჩემს წინ ვინც იყო, პენსიაზე ვავიდა — თავი იმართლა დიმიტრი. — დამერწმუნეთ, უველაფერს ობიექტურად გამოვიძიებ და თქვენს სურვილებსაც ვავითვალისწინებ!

— არაფრის სურვილი მე არა მაქვს! — ზეღი ჩაიქნია დედაბერმა. — მამუკა რომ შეავდა, მანინ შქონდა სურვილები. ახალი გამოძიებარას მომიტანს ვითომ, გამოცხადებს შეილი-შეილს?

დამიტრიაშ ვერაფერი თქვა. ჭოტომ კი ამოიხენემა და შებრაბებულად ჩაუთო:

— სიმათლე ხომ უნდა დადგინდეს, ქალბატონო ცინტო?

— ახლავარდები ხართ ჭერ, ამიტომ გეჩვენებთ, რომ ეგრე იოლია სიმათლის დადგენა. იმ წუთას აქ რომ უოფილიუაო, მაინც ვერ დაადგენდით სიმათლეს. ასეთ დროს საკუთარი თვალი და გული გატყუებს. კარდაკარ სიარულით ან რა სიმათლეს მოიძიებთ?

— მამ რაგორ მოვიკეთ?

— წადით სახლებში, მიხედეთ თქვენს ოქახებს! მე კი მაცალეთ სიკვდილი. მალე წავად ჩემს მამუკასთან და სიმათლეს აქ გავიგებ! დედაბერმა ტურნები მაგრად მოკუნა და თავალები დახუჭა.

კაციბი უხერხულად ისხდნენ, ხმის ამოდება ვერ გაებედათ.

ზოლოს ჭოტომ ამოიხრა და წამოდგა.

აწრაილდა დამიტრი ფარცვანია. ტანში კიანკველები შევისვენეთო თითქოს. ნერვებს უშლიდა ეს უნდებლობა, ეძნელებოდა უთქმელად წასვლა.

— რაშე დახმარება ხომ არ გჭირდებათ? დედაბერმა დაკვირვებით შემოხედა.

— თქვენვან?.. არაფერი! — ეწყინა დამიტრის, ფარ-ხმალი მაინც არ დაყარა.

— როგორა ძღბეთ აქ... მარტო?

— მარტო რატომ?... შეწოლები შევანან, აგერ მეწობლის გოგო იყო ამ წუთას! ცინტო კვირკველიას აშკარად არ ეწადა საუბარი და დამიტრი დაფაქურდა, რადაც-რადა-

ცემა კიდევ უკვე, შერე თვითონაც ვერ გაიხსენა, რა სიტუაციით ცდილობდა დედაბრის გულის მოგებას, თვითონაც ვერ მიმხვდარაიყო, რატომ ებოფებოდა, რა ჰქონდა სახადისო, რაში უნდა დაედანაშაულებოდა საკუთარი თავი. კარში ჩამდგარა ქროთ აუღელვებლად უსურებდა გამოშვების ფაიფუსებს.

უკვე წლებზე წამოვიწია დიმიტრის დედაბრის სიტუაცია:

— თავი არ მოიკლას მაგ ბიჭმა, ჩემმა არ გამხარებულმა!

აივანზე გამოუსვლებმა შევებით ამოისუნთქებს. მხოლოდ მანქანაში ამოიღო ქროთ ხმა:

— კერძო ქალია ცინტუ კვირკველზე, დიდხანს ვერ გაძლებს საწყალო!

„ან რისთვის უნდა ვაძლოს?“ — გაიფიქრა დიმიტრმა.

საკუთარი თავით უკმაყოფილო იყო გრძნობდა, ქროს თვალში მარცხი რომ ვანიცადა და ეს აღიზიანებდა...

უბედურება სკოლის ნაკვეთზე მოხდა. წაწა ჩიმაკაძე აი, აქ, კურსიდან ამოხეტილ ატამთან იდგა. ვახსნილი დანა ეტირა ზელში, საშენობი, დედაშ რომ შეხვედნებაზე გამოატანა ბოლოვების კახინტიდან (ასე იწერა ოქმში). მამუცა ლევანა აი, იმ კარიდან შემოიკრა. ნაკვეთი ახალი გადაბარული იყო, მიწა წვაშამ გააფიქრა და მამუცას შეეფიქრა ეფიქრობდა. ბიჭები აი, აქ შეუარაყნენ. დანარჩენი კი წაშლი მოხდა...

დიმიტრი ფარცვანამ ფეხსაცმელებზე დაიხედა. ტალახი ქუთლებზე აჯდესოდა. ბევრი ცნობისმოყვარე მოდიდა და ნახარავი ისე აეწილაო, აღზაო ზალახიც ვერ გაიხარებდა. ახალგაზრდა გამოშვებულმა ამოიხვეწა. ეს ტალახი არ იყო უზრატო ტალახი. მასში მამუცა ლევანას სისხლიც ერია და ამ აზრმა რამდენიმე უსიამოვნო წამი ვანაცდევინა. ნაკვეთიდან სწრაფად გააღწია და შერე მდელიწვე დიდხანს იწმენდა ფეხსაცმელებს.

სკოლის პარამლისკვე გეგმარტონენ.

დირექტორი კიბეზე იცდიდა. მისაღმებოას ორივე ზელი დახვეწულად შეგება სტუმრებს, მობრძანდით, მობრძანდითო, დახვეწილი ხმით გაიფიქრა რამდენიმეჯერ და კახინტისაკენ წარუძღვა. დაბალი, ჩაბუჭებული კაცი იყო, თითქოს მივარავდა, თან ხროტიანო სუნთქავდა, თლხათ პოლიპები აწუხებდა.

კახინტის ორი დიდი ფანქრიდან შვე უხვად აფენდა სხივებს და დიმიტრის თვლი მოკუტდა. საქაღალდე გახსნა. სუთვა ქაღალდის თავზე ღამაში კალიგრაფიით გამოიყვანა: „ახეხალომ ფალავანდოვილი, სოფ. ჭუბურისშის საშ. სკოლის დირექტორი“.

ქროთ მოხერხებულად მოკლათადა. კიტრის წვედა ღილი შეიხსნა. სახეზე ზეღისგულები ისე მოიხსნა, თითქოს თავს იფხივლებსო. იცოდა

უბნის რწმუნებულმა, ეს აუცილებელი, მაგრამ ფორმალური საუბარი ჭეშმარიტებას იოტობოდიდაც ვერ მოხვდენდა ნათელი

— ახა, რა ვიცი! — მოკლე პასუხით ახეხალომ ფალავანდოვილი. — ზუთი წელია ამ სკოლის დირექტორი ვარ. მეთვას კლასი უკველოვის მოწინავე იყო, ახა, შეცხარეში არიან უკვე, დაიზარდენ... შერე როგორი პედაგოგები ჰყავთ, პეტრე კუჭუხიძე, უზუტევი მათემატიკოსი, იოსებ დიდმელაშვილი, ჩენი შესანაშნავი ისტორიკოსი... ყველაფერს ვიფიქრებდი, მაგრამ წაწა ჩიმაკაძე ამას თუ ჩაიდენდა... — ცოტა ხანს იყუნა, შერე კვლავ სწრაფად აღაპარავდა: — მივდა პირუთენელი ვიყო ცხადია, ასეთ დროს პირველ დარტყმას სკოლა იღებს. უპირველესი დამანაშავი უკველოვის სკოლაა... კი ბატონო, ამაზე კამათს არ დავიწყებში თუმცა შეგველო ბევრი რამ სხვისთვისაც გადავეცხარალებინა — ოქაბი, ბატონო, ქურჩა, ბატონო, თვითონ ბავშვი, ბატონო... გენებიც ზომ რადაცა ნიშნავს... პირდაპირ უნდა ვითხრაო, თავდაცვას არ შევუდგები, შე ვიბრძოლებ წაწა ჩიმაკისათვის... მთელი პასუხისმგებლობით ვიფიქრებ, ეს შე შერაზადაშვილსაც ვუთხარა, წაწა ჩიმაკაძე, რაც მას ვცნობ, შესანიშნავი, ზრდაელი, გონებრივად ხალხი ბავშვი იყო ბრწყინვალედ იცოდა მათემატიკა, ამაზე პეტრე კუჭუხიძის ჰქონებო...

— მიუხედავად ამისა, ის დღეს მკვლელია! — უკმაყოფილოდ გააწყვეტინა დიმიტრმა.

ახესლომ ფალავანდოვილი სავარძელს წურავით მიიწვია, ზელი ფანქარს აწვალებდა, სახეზე კი სიშფიცი ეხატა.

— ვინ იცის, ჩემო კარგებო, უკველ ჩვენგანში სად მიმალულა მკვლელი!

— მამო — წაიბურტყუნა ქროთ გვილავამ და დიმიტრის ვერ გაიგო, ვის უპერდა მხარს უბნის რწმუნებულმა.

— დაწარალებულზე რას მტყურო, მამუცა ლევანა როგორი უმწველი იყო?

დირექტორმა უბეში ზელი ჩაიყო, ეტყობა მკერდი მოისრისა, იქნებ გული აწუხებდა.

— როგორი სიტყვაა, მამო. დაწარალებული... დაწარალებული კი არა, უნებლიე მსხვერპლი, შე ასე ვიტყვოდი. მამუცა ლევანა როდელი მოვლენა გახლდათ ჩვენს პედაგოგურ პრაქტიკაში. ასე მოხდა, რაც არ უნდა ვთქვა, ვაქო თუ არ ვაქო, არც ერთი ექნება სწორი და არც მეორე. ობოლი აზრდებოდა, მოგებხენებო, უფრო სწორად, ბებია ზრდადა, ცინტუ ლევანა — ქალიშვილობაში, მგონი, კვირკველია... კვირკველზე, თუ არ ვცდები... მეტად ღირსებული მანდილოსანი, მაგრამ შე ვიტყვოდი — ჭველის გადმონაშთი... მამუცა მკვარცხლი ბავშვი იყო, არცთუ ურჩავოდ სწავლობდა, თუმცა უკველოვის ერთნაირად ვერა... საქმიოდ გონიერი,

ქუასხარტი... ახლეს რაზე კი გამოვიდოდა მი-  
სჯან... აწი რას ვუშველით, ჩემო კარგებო...  
მე თუ მკითხავენ, თუმცა უხერხული კია ამაზე  
ლაპარაკი, მაგრამ პირდაპირი კაცი ვარ მე, უმ-  
ჯობნია ცოცხალს ვუშველომ რაზე...

ჭოტომ პირზე მუშტი მიიღო და ხმაურით  
ჩაახველა. დიმიტრი უხერხულად შეიშმუშნა.

— არსებობს სამართლიანობა!

— რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა! — ნაჩ-  
ქარევად გააწვევინებ დირექტორმა. — უპი-  
კველესად სამართლიანობის მხარეს უნდა და-  
ვდეთ... თუმცა კი ათჯო კანონიც სამართლი-  
ანია მოწარმის მიმართ... ახლა კი, — წამოი-  
წია ფალავანდიშვილი, — ბოდვს მოგვხდით,  
გაკვეთილი მაქვს. თქვენ კი ალბათ წოვიერთ  
პედაგოგთან მოისურვებთ ვასაუბრებნას!

დიმიტრამ თავი დაუქნია. ფალავანდიშვილი  
რომ გავიდა, ჭოტოს მიუბრუნდა:

— რა კაცია ეს ახსნალოში?

— ჩვეულებრივი! — ჭოტომ მხრები აჩრ-  
ჩა. — ცდელიობს სკოლის პრესტიჟი ვადაარჩი-  
ნის, რა თქმა უნდა, საკუთარი. ამისათვის კი,  
მავალითად, სიყრდელ აჩაა სპირტი, წოვ  
წვრილმანზე თვალის დახუტევა კმარას..

„არც არაფერზე ვაპირებ თვალის დახუტვას!“

— გაიფიქრა დიმიტრამ.

კარი გაიღო და ფალავანდიშვილი შემოყო  
თავი.

— მივბრე კლასის დამრბეველი მოფუვა-  
ნე, მეც მალე გამოჩნდები!

თვითონ გაქრა, კაბინეტში კი ახალგაზრდა  
ქალი შემოვიდა. საზე ბავშვისას მიუგავდა, თუ  
შუბ ტანის სისრულე მის ასაკს ანდვანებდა.  
უმცად დაუტრა თავი მამაკაცებს. ბავშვ ცივი,  
უნდობლობის ამსახველი დიმიტი დაჩინდა.

დიმიტრი წამოდგა, დაელოდა, სანამ ქალი  
დაქდებოდა. ახნევდა მისი უნდობლობა, არ  
იციოდა საუბარი როგორ წამოეწყო.

ჭოტომ ისევ ჩაახველა, ხმა ჩაიწმინდა და  
ოთხი სიტყვა ისე ამოთქვა, თითქოს ლაპარაკი  
ენარებოა.

— ზაირა მუავია, ლიტერატურის მასწავლე-  
ბელი!

— იქნებ თქვენნი აზრი გავიზიაროთ, ქალ-  
ბატონო ზაირა! — დიმიტრი ქაღალდზე, დი-  
რექტორის სახელის ქვემოთ, პატარა ეშმაკუ-  
ნების ბატვას შეუდგა.

— ჩემი აზრი ვის რაში აინტერესებს, — ზა-  
ირა მუავიას დახალი, შედლოდური ხმა აღმოჩ-  
ნდა, — ალბათ დირექტორისა უკვე გაიკეთი!

— თქვენ რა, არ ეთანხმებით დირექტორს?

— იცით, რა ბავშვი აუო მამუცა ლეფავა? —  
კითხვა შეუბრუნა ზაირა მუავიამ. — როგორ  
აგობსნათ, სიტყვა ვერ მომიძებნია... ის ისეთი  
ბავშვი იყო, თითქოს შიგნიდან ანათებსო. წა-  
მსოვიდგენიათ? თითქოს თავის მეგობარს და-  
ტარებდა სინათლის და სინათლე ჩაქრას...

— ლიტერატურას როგორ სწავლობდა? —  
არყოფდ იკითხა დიმიტრამ და მიხვედა... შეც-  
დომა დაუწვა.

ზაირა მუავიამ მხრები წიწვით შეაჩინა, ტან-  
ქვის კვალმა ბავშვურ სახეზე ასაკის ღარები  
დააჩინდა.

— მამაკითი, იქნებ ასე არ უნდა მკითხაი  
— იცით რა, — ხმა შეურბილდა ქალს, — მე

ალბათ მკაცრი, უშედეგოო მასწავლებელი ვარ,  
ყოველ შემთხვევაში, ასეთი სახელი დამიგდეს  
ზარბაიო ბავშვების შშობლებმა. დერეფანში  
რომ გავივლი, ხმადახალი წუწუნის მისხის —  
„წწწ!“ ეს ბავშვები აფრთხილებენ ერთმანეთს,  
ზაირა მასწ მოდისო!... ჩემი გულს მოგება  
იოლი არ არის. კლასში რომ შევდივარ, თავი  
ჭარბსკაცი მგონია, რომელმაც შორივი ომი უნ-  
და გადაიბადოს. არ ციცი, პედაგოგურად რა-  
მდენად გამართლებულია ეს, მაგრამ ბავშვებს  
ადვილად ვიმორჩილებ. ჩემს გაკვეთილზე ბუწის  
გაფრენას გავგონებს კაცო. ერთადერთი, მამუცა  
ლეფავა მიშობდა სისხლს. აქაც აუო და არც  
იყო, სადღაც ფაქრებს მიღმა შიფრინავდა თი-  
თქოს... როგორმე უნდა დამეორჩილებინა, მა-  
გრამ ვერაფერს ვავბდი, ვჭიდი, პასუხად კი  
ისეთ ნათელ დიმიტს შემომადუნდა, გულს ვას-  
კდებოდა. გარეგნულად, ცხადია, არაფერი მე-  
ტუბოდა, მაგრამ ხანდახან ისე გამოიხეცვანდა  
წონისწორობიდან... თქვენ გავცინებთო მე კი  
თავს განიარაღებულად ვტარებოდა... ერთხელ  
გაკვეთილი არ მომიშნადა. განა არ შეეძლო?  
თავისნება იყო, არ უნდოდა და არ ისწავლა...  
წარმოადგინეთ, დგას და მიუბრებს, მე კი არ  
ციცი რა ვქნა. მიხვებდი, ვერაფერს ვახდებდი,  
სიმწრისხავა ღამის ცრემლი მომადგეს, თქმით  
კი არაფერს ვამბობ, ჩუმად შეეუბრებ... უცებ  
ბავშვი ჩემკენ წამოვიდა, გახზარული ხმით, ახ-  
ნეულად მითხრა: „ზაირა მასწ... მამაკითი!“ ოდ-  
ნავ აიწია, ღოუაზე მკაცრად და კლასიდან გა-  
ვიდა...

ზაირა მუავიამ თვალზე ცხვირსახოცი აიფარა.

— წარმოადგინეთ, კლასში სამარისებური  
სიჩუმიცა, უბრში კი ისევ ჩამესხის — „ზაირა  
მასწ... მამაკითი!“ ომ წუთის მე მისთვის,  
ობოლი ბიჭისთვის, განაწერებულად დედა ვიყა-  
ვი... და უცებ, ამ სიწყნარეში ხმადახალი, თი-  
თქოს უბრალო, მაგრამ დანასავით — „ცირკია  
რა!“

— ზაზა ჩიმაკაძის ხმა იყო?

ქალი უცებ წამოხტა, ხელი გაახავსავა, არ  
შემიძლია, არ შემიძლიო, — ჩაიხურჩულა და  
კაბინეტიდან გავიდა.

ჭოტო გვილავამ თითები ერთმანეთს შეკე-  
დო და შუბლით ზედ ჩამოეყრდნო. დიმიტ-  
რამ ეშმაკუნებთან ფურცელი ჭებნი ჩაიყუტა.  
გულში უსასველო სიყარბელე იგდნო. „კანო-  
ნი კანონია, გული აქ არაფერ შუაშია!“ —



თავი გაიზინებდა, მაგრამ ამ აზრმა შეება ვერ მოჰყვარა.

კარგა ხანს ისხდნენ ჩუმად. დრო წელა მი-  
ზოზინებდა. წარი მოულოდნელად დაიკცა, ისე  
შეათოდ და გამაურებლად, კაცები შეაერთო,  
თითქოს არც მოულოდნელ ოდესმე ვაკცეთოლის  
დამთავრებას. სადაც კარი მიხებოქა და წამში  
დერტყენები გაივსო წრიალით, სიცილ-კისკისით,  
ფეხების ბრავაბრუგით...

კლასში დამახული სიჩუმეა. ჭოტო გვი-  
ლავა მოუსვენრად აქრატუნებს სკამს. დიმიტ-  
რი ფარცვანია ფანქარს აწვალებს, მდუმარედ  
ათვლიერებს მის წინ მსხდომ გოგო-ბიჭებს,  
რომელთა ნაწილი „საკმეში“ მოწმედ გადის.  
ვევლანი აქ არიან, შიღლი კლასა, გარდა იმ  
ორისა, ვერასოდეს აქ რომ ვერ დაბრუნდუ-  
ნიან ამიერდიან. დრამის კიდევ ერთი მონაწი-  
ლე, თინკო კელაბრიაშვილი პარალელურ  
კლასში სწავლობს, ბოლო დროს თურმე თავის  
ტყვილებს უჩივებს და გაყვითლებს აცდინს.

წარს მუგია ფანქარასთან დვას და ეწოს  
გაქურლებს. იმთავითვე არ მოეწონა დიმიტრას  
ეს ქელი, განზე გამდგარა, გულში ჩუმი პრო-  
ტესტი ჩაუდგია და ვინ იცის, მომავალში, სად  
ჩას იტყვის.

დიმიტრის ეურნალი მოიჩინა და სიას ჩამო-  
ხვტა. ხმადაბლა კითხულობდა, თვალს შეაქლე-  
ბდა შექრთად მოწაფეს, თავს დაუქნევდა, და-  
ჭქიო. ზოგიერთი ბავშვის სახელი და გვარი  
წინასწარი კვლევის მასალებიდან ახსოვდა.  
ამათ უფრო ხანგრძლივად აკვირდებოდა, თუ-  
ნა იცოდა, რაც შერასადაშვილს უთხრდა, ამის  
ვეტაფერს დამატებდნენ. ხანგრძლივად, ჩაფი-  
ქრებთა შეხედავდა მინც, თითქოს ცდილობდა  
უხმო კითხვაზე მიეღო პასუხი. ბავშვების შე-  
მოხედვასი შათი სული ირცლებოდა. ისინი  
მართლაც პასუხობდნენ უხმო. ოღონდ მათ  
პასუხებში სულ სხვა რამ ტვიტივებდა: როდის  
მომთავრდება უკვლივაც ეს? თავს რატომ არ  
დაგვანებებთ? ეს თქვენი საქმიანა ფაციფუსო  
აჩაფერს ნინწავს, ვერაფერსა გჯერებს, ვერ გვა-  
მწუხრებებს... თვალისათვის უჩინარა, გამჭვირ-  
ვალ ფარად ცვიდა გამომჩივლებსა და კლასს  
წორის, ამ მხარეს თვითონ იქდა, დანარჩენები  
იმ ფარდის შიღმა ისხდნენ და ვეღა ერთად,  
სამამოუდებლად საუბრობდა, თუმცა ერთმანე-  
თისა არა ესმოდათ რა. მოეჩვენა კიდევ, კლასი  
კი არა, ერთი ვიღაცა იქდა მის წინ, ოღონდ  
მრავალსაზოვანი, ეს მრავალი სახე ერთ სახეში  
გაერთიანებულყო, კლასის სახეში, წინ რომ  
აღუდგა გამომჩივლის მოძალებს და არ ამო-  
ჩებდა ჩარაზული კარის გაღებას.

დიმიტრი შეეცადა დაერდნა ეს ჭიუტო  
მთლიანობა. ისხებდა წინასწარი კვლევის მა-  
სალებს და ვიხაც რაიმე ეტყვა იმ დღის ტრა-

გედიანზე, იმთ უფრო აკვირდებოდა, რაც  
მხარეზე გადაბარებულად თვლიდა...

აგრ, ავთანდო ბებია, დაქუთუღი, მისე-  
ვერავით ბიჭი, სანწალეს გაღმა მთაში მსხდ-  
რობს, კლასს უკვდილედ იგვიანებს, ტუ-  
ლების გუდაა, თავის გასაპართლებლად ხან ბე-  
ბიას ავადმყოფობას მოაგონებს, ხან დედ-მა-  
მისას, არ დაუტოვებია აბლობლო, ვინც ერ-  
თხელ მინც არ ჩააწვინა ავადმყოფის ლოკინ-  
ში... უყვლივ ადრე ავთანდო ბებია მხა იმ  
დელით მამუა ლევაა. სანწალეს პირას გადა-  
აწვდა, სახანაოსთან რომ მუხაა, იმის ქვეშ  
წვიმა საკვარცვლად ახხადა, მამუა წიწილასა-  
ვით გაწწული იღვა. სახე ისეთი ჰქონდაო  
მსგავსი შიგლოდ კინოში მინახავსო, არ, შეყ-  
ვარებულნი დარდს რომ ასკდებინანო. სკოლაში  
რატომ იგვიანებო, ჰკითხა თურმე ავთან. წაწა  
უნდა მოსულიყო და იმას ველოდებო, მამუ-  
კას უპასუხებია... „კი შექანებულა, აა!“ —  
მეტს, აბა, რას იფიქრებდა ავთანდო ბებია! —

დავით ქანთარას მწიფური თმები შუბლზე  
ჩამოხარებულა, მოკვნიტად ფრჩხილებს ათვა-  
ლიერებს. წაწა ჩიშკაქე არ მიუყარსო, პირდა-  
პირ განუსხადებია, მაგრამ სულ მავისგან ვი-  
წერდი და ცუდს ვერაფერს ვტყუიო. მინც  
რატომ არ გუყარსო, შერასადაშვილს უცო-  
ხავს. საზოგადო რვევა შექონა ჩიშკაქემ. და-  
ვლივებს კი გადაგწერინებდა, მაგრამ დაგი-  
დებოდა ამ დროს ცხვირწინ და თვალმოუშო-  
რებლად მოგაშტერდებოდა. შერასადაშვილი  
ჩასძიებია, მარტო ამის გამო ხომ არ შეიძუ-  
ლებდა კაცსო. დათო გამოტყუდობა: ხომ იცო,ო  
ბიჭები მშირად ვჩხუბობთო. ერთადერთი წაწა  
ჩიშკაქემ არ გაერეოდა ჩვენს მარაქაში და  
გულდებალი მეგონაო. იმ დროს თავი გშირად  
მოქმონდა, ბუჭტი მექაეებოდა და მამუკას და-  
ბრიყვება განფორსებო. ხან მხარს ვაქანებდი,  
ხან რაიმე საშარო სიტყვას ჩაუვრთავდიო...  
მოკვლედ, ხელთათმანს ვუწვდიდიო. შემატო.  
არ მოვეშვებოდი და მოიბრა, რახან ეგერა, ხა-  
წწალეს პირას დავარტყაო. დაუქვით დრო,  
როგორც წესია, დაეფაციფო, ვინც არ მოვი-  
დეს, მხდალი იყოო... თავი კი მეგობრად მადლა,  
მაგრამ უველაფერი სხვაანარად შებრუნდაო.  
ბოლო გაყვითლის შემდეგ, წაწამ მეგობრუ-  
ლად გამიწვია განზე, შერთან სალაპარაკო მაქ-  
ვსო, გამოყვანა უკანა ეზოში, მუხიად დადო  
ჩანთა და უხაში მლეწო... იქვე ჩაუკცე და  
კარგა ხანს გუნს ვერ მოვდიო... რატომ გაარ-  
ტყა?.. მშაკაცები იყვნენ წაწა და მამუკა... ახ-  
ლაც ის უხა ეწვის დათო ქანთარას, კლასშიც  
არ მომაცლონ ეგ ახმავიო და თავი ზევით  
იმიტომ ვეღარ აუწვიაო.

ციცილო წარს მასწავლებლის შვილია. ჰგავს  
კიდევ, სიმადლით ცოტად აკლა, მადე დე-  
დას გაუტოლდება ალბათ. სახე მწყაწარი აქვს,  
უხინკო, მის მწერასი ფარული სიჩუტე იმა-

დილი ამისრულდა! დავარდეთ დაბრუნებლი წესრიგი, დავაფეთე ქისათა დამეფხებულ საკრებულო!

მე უკვე ხმა-კრინტი აღარ დამიძრავს, ბატონი კრატერი კი განაგრძობდა:

— თვითონ მოხუცისგან მჭონდა ვაგონილი, ჩვეულებად მქონია, კვირამ ერთხელ თურმე თვალი უნდა შეველო თავისი განძისთვის და ამ საქმეს ერთობ გულმოდგინედაც ვეკიდებოდა. ჰოდა, ქისების შემოწმების ედამ რომ ვანვლო, ბატონი კოილი ევლავ მოვინახულე. არ დავიშალავთ, საოცრად ვლელავდი; მოხუცი ხომ აუცილებლად შეამჩნევდა, მენჯიდმეტე ქისა მეორედან მესამე თაროზე რომ იყო გადასკლებული და ოცდამეათის შავიერად იქნა?! მივდიოდი მასთან და გზადაგზა სინდისს ჭეწყნა მოსვენებას არ მძალედა. საშინლად მეცოდებოდა მოხუცი და გუნებაში ამას-ლა ეამზობდი: „დემეტრე ნუ ქნას, მაგრამ ვი თუ თავში სისხლი ჩაქცევს-მეთქი?“ მთელი გზა ამაზე ეფიქრობდი, შიშისგან ცივი ოფლი მასხამდა, თვალბში ცრემლი მაწველობდა.

მაგრამ თქვენც არ მომიცვლეთ! ბებერი საღსალამათად იყო და აღელვებდასაც კი ვერ შეატყობდი. დიას, ეს საძაგელი პარპავონი ჩემთვის აღლებელ ციხე-სიმაგრედ ქვეულოცა! საგონებელში ჩავვარდა, ნუთუ ვერ დაინახა, მენჯიდმეტე ქისა ახლა ოცდამეათის ადგილას რომაა წამოსკლებული, და თუ შეამჩნია, ნეტა რა გუნებაზე დადგა-მეთქი? ბოლოს კი მთლად ავიღე სინდის-ნამუსზე ხელი და მოხუცს ჩაქურ ვკითხე: „რაო, ბატონო კოილი, ამ ბოლო ხანებში თქვენს განძს არ მოინახულებთ-მეთქი?“ წარმოვიგეგნათა, აღულვებლად მომიგო: „კი, როგორ არა, სწორედ გუშინ შევაღვე თვალი. თქვენ მაინც ხომ ყარგად მოგვესვენებათ, სიბერეში სხვა ნუგეში რომ არ დამჩნენიაო!“

ახლა კი დრო იყო გადაჭრით შემოქმედა. ერთხანს შევიცადე, მინდოდა ცოტა დრო გასულიყო, მერე კი ევლავ ვავეეთ საქმეს: ოცდამექვსედან დაწყებული ოცდამეცხრემდე ყველა ქისა ეამბულა...

— მანატრე, მაგრამ ვერ გამოვიდა, რას ნიშნავს „ეამბულეო“ რომ ბრძანებთ? — ვკითხე ცოტა არ იყოს გაღიზიანებულმა.

— ბატონო ჩემო, ამით იმის თქმა მსურს, რომ ეს პაწიები ვამბულე თავისი საბრძანებლიდან აბარებულყვენენ და ქვედა თაროზე პირველი — ხუთი ქისის ადგილი დეკავებინათ. მერე აშკარად დავინახე, დაუდევრად რომ ჩამოსხდნენ და ფხების ქნევას მოაკყენენ.

ამოვიობრე.

— ერთხელ, ბატონ კოილსა, სტუმრობა რომ დავპირე (რა თქმა უნდა, ევლავ შევცადე, რომ დრო გამეყვანა, მაგრამ მართალი ვითბრათ, მოთმინება დამელია), მსახურს ეებ-



ბუხარს შეეკუროდი. ცეცხლის ენები აღარ როკედნენ; მისი ჩამცხრალი სიმბურავლე სახეზე მელამუნებოდა და გავარჯარებული ნაკვერჩხლები წითელ ხავერდს მაგონებდა.

— მოგვხსენებთ, მეორე დღეს, საღამო ხანს, ბატონი კოილი გულის დამბლით გარდაიცვალა.

— ბატონო კროტერ, ალბათ მართლა აქოზებდა, მღვდელთან წაბრძანებულყოფით, — ვუთხარი მე.

— თქვენ გგონიათ, ჩვენი პტიცემული მოძღვარი გამოიგებს, ეს ყველაფერი რომ აუხსნას? პირადად მე არა მგონია.

— ბატონო კროტერი! საესებით სწორი ბრძანებით, რამეთუ, მამატიეთ, ამის ვერც ერთი კუთთამყოფელი ადამიანი ვერ გაიგებს. მაგრამ, იქნება მღვდელს ვნუგეშებინეთ და სინდისის ქვენქნას აღარ...

— აი, როგორც იქნა ბოლოში გავედით, საიდანაც საერთოდ უნდა დაგვეყო ეს ყველაფერი! — ერთობ ცოცხლად და აღელვებული ხმითაც კი წამოიძახა ბატონმა კროტერმა, რამაშ უსიამოდ გამაოცა, — სინდისო; არა? აი, სწორედ ეს გაბლავთ ყველაფრის თავი და თავი! ვერც კი წარმოიდგენთ, როგორ მაწუხებს სინდისი მოხუცის გარდაცვალების შემდეგ. გული საოცრად დამძიმებული მაქვს; ენას ცილის ვაჭვრ, მეშინია, არ წამომცდეს ის საშინელი სიტყვა, ჩემს საქციელს რომ შეიძლება დაარქვას კაცმა. ისე კი, სულ ერთთავად ენის წვერზე მადგას და ყოველ წუთს ამოთქმას ლამობს. როგორც იტყვიან, შავილი წრიდან გამოსული ყმაწვილი ბრძანდებით და სწორედ იმიტომ გვეწვიეთ, რომ თქვენი შეხედულებების ფართო თვალსწიერა... ეჰ, ჩვენს მოხუც მოძღვარს კი ამა ჩითი შეუძლია ნუგეში მცეს?!

სტუმარი შთაგონებით ლაპარაკობდა. ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, სინდისის ქვენქნით მოგვარილი ტანჯვა ნეტარებით აღავსებდა და ბავშვივით აღაფრთოვანებდა.

— ბატონო კროტერ, წუღან მოგახსენეთ და აღარ მინდა ცვლავ გაგიმეოროთ, რადგან ჩემმა ნათქვამმა ერთობ აღელვდათ, — ვუთხარი მე, — მაგრამ თავიდაც მშვენივრად იცით, რას ვთვლი თქვენი ამგვარი საქციელის ქეშმარიტ მიზეზად. დიახ, რაკილა ყოველნაირად ცდილობდით კოილს ელდა სცემოდა, ჩემი აზრით, სწორედ ეს გაბლავთ თქვენი დანაშაული. დიახ, ეს დანაშაულია მაშინაც კი, თუ ვიფიქრებთ, რომ ბატონი კოილი თავიდანვე მოიხედით ოინებს, იცოდა, თქვენ რომ ბრძანდებოდით ამ სცენების რეჟისორი და სწორედ იმიტომ არც უღარდა და არც შესწინებულა, ერთი სიტყვით, ეს გამოხდომა უწყინარ, ბავშვურ ცუტკობად ჩაეთვალოთ. ამ ვარაუდის სასარგებლოდ ზოგიერთი ფაქტაც მებტყველებს: აი,

თუნდაც ის, რომ ყარგა ხანს თქვენს ნებზე ჰყავდით მიშვეებელი და ამის დაფიხვებ, მარჯვს არ დაუძრავს ხმა-კინტი.

— კი მაგრამ, ბოლოს და ბოლოს რომ შინც დაუცა დამბლა — გაოცდებოდით, რა საზეიმო კოილი წარმოთქვა ბატონმა კოილმა ეს სიტყვები, მაგრამ მყისვე წაუბდა საქციელი და ახლა უკვე საწყალობელი ხმით განავარძო: — ნუთუ შეიძლება კაცმა ეს ამბავი ირწმუნოს? არა და, მხოლოდ და მხოლოდ მაშინ დაემშვიდდებით, თუ შეეცდინება, რომ ეს მართლაც ასეა: ესლა თუ გამოჩნდებს ესოდენ მტანჯველ სინდისის ქვენქნას! მაშასადამე, ფიქრობთ, რომ მოხუცს დამბლა ისედაც შეიძლებოდა დასცემოდა, ბოლო ის ამბავი, რომ იგი მეორე დღეს გარდაიცვალა, უბრალოდ დამთბვევია მხოლოდ? ესე იგი, თქვენ ამბობთ, მოხუცის სიყვდილი მეჩვიდმეტეს უსასო მდგომარეობით არ შეიძლებოდა ყოფილიყო გამოწვეულიო, არა? ამ პაწია ტუციანმ ზომ მთელი ღამე გაიტე ყინვაში გაატარა? ისიც ხომ შეიძლება ვიფიქროთ, რომ კოილი მეორე დღეს საერთოდ არ შესულა იმ ოთახში და არც არაფერი შეუძწინევა? არა მგონია, დიახ, ვერ ვხედავ დეაქერო თავი, რომ მოხუცმა თავიდანვე იცოდა რაში იყო საქმე. მაშინ ხომ ყველაფერ ამას აზრი ვეარგება! მაგრამ ისიც არაა გამართლებელი, რომ კოილი აღკრევე კი მიხვდა ყველაფერს, მაგრამ ჩემმა უჯანასკნელმა გამოხდომამ თავზარი დასცა. დიახ, შესაძლოა გული სწორედ იმან გაუხეტეა, რომ ასეთი სისასტიკის მიწმე გახდა?! თქვენ როგორ გგონიათ, თითქოს ჩემი საქციელი კოილის წინააღმდეგ გამოჩნული ბოროტმოქმედება იყო? როგორ ცდებთ! ნუთუ მართლა ფიქრობთ, რომ საბრლო მოხუცის ვინი მჭირაბ? ღმერთმა დამითვაროს! მე მხოლოდ იმ უბედურ, რუტუშავანმა ქისებს მივეც თავისუფლად ცხოვრების უფლება, ასე ვთქვათ, სული შთავებრე შათ უაზრო არსებობას! ეს არააოიბანი კი თურმე უნდაღრუც ნივთებსა და საკუთოვანი წარმოდამდებნი მხოლოდ! დიახ, ასეთი ვახლავთ ჩემი აზრი. პოდა, ხომ ხედავთ, რა მოხდა? მოხდა ის, რომ ერთმანეთში ავურიე სუბიექტისა და ობიექტის ცნებები! ისე, კაცმა რომ თქვას, დანაშაული კი არაფერი მიმიძღვის, მაგრამ შინც ვერა და ველარ ვიოვე სულის სიმშვედ, მეც და ჩემი საბრლო მგვობარაც მსხვერპლი გავხდით ფილოსოფიური შეცდომისა, ჩემი შეცდომისა... მაგრამ ესეც დიდი ვერაჯერი ნუგეშია ჩემთვის.

ყარზე დააკეთეს. ჩემმა მსახურმა ოთახში ნოტარიუსის შიკრიკი შემოუშვა. მახ ბატონ კროტერს საშუალო ზომის დაღუძული კონვერტი გადასცა და ამ უჯანასკნელმაც ხელი მო-

უწერა, რომ წერილი ჩაიბარა: მარტონი და-  
რჩით თუ არა, ჩემს სტუმარსა სასწრაფოდ  
ააბრო კონვერტს ლეშ.

აღბათ წარმოიდგენო, როგორცა ცნობისმო-  
ყვარობამ შემიპყრო, მაგრამ შემდეგ რაც მო-  
ხდა, იმის განკურება უკვე ჩემს ძალ-ღონეს  
აღემატებოდა. ისეთი ვარძობა დამეუფლა, თი-  
თქის ცივი წყალი გადაასხესო ჩემს ყველა  
მოლოდინსა თუ ვარაუდს.

ბატონმა კროტერმა კონვერტიდან ვამოაგე-  
ბით რაღაც ნოთი ამოაძრო. მუსივე ვიცანი: ეს  
ცარიელი, დაზღუდილი ნატის ქისა გახლდათ,  
„პირიდან“ ენასავით რომ ვაღმყოციდებოდა  
გრძელი ბარათი.

ბატონი კროტერი ერთხანს არ განძრუელა  
და ბარათს ჩამოტერებოდა; ცოტა ხნის შემდეგ  
კი ზეზე წამოვარდა, ზედ მომავლად ბარათიცა  
და ცარიელი ქისაც და სიბზარისაგან სახეაღე-  
წილი ოთახში ბოლოს ცემას მოჰყვა. შერე-  
უეცრად ამოიხენემა და შედგა.

ჩემს მუხლებზე დაგდებული ცარიელი ქისა  
ავიღე და თვალთერება დაეწევე. ზედ „ჩვიდ-  
მეტი“ რიცხვი იყო შექად ამოტვიფრული, ბა-  
რათში ორიად სიტყვა ეწერა მხოლოდ, მაგრამ  
ამ სიტყვებმა შემაძრუნა. უფრო მეტიც,  
კითხვა რომ დავიწყე, საშინელმა სიცივემ და  
ძრწოლამ ამიტანა. „I am cold. I am getting  
very cold...“ ბარათი აქ წყდებოდა.

— ბატონო კროტერი! — ჩემად ვთქვი მე,  
— ეტყობა მოხუცმა კოლიმა სიცოცხლის უკი-  
ნისაგელ წუთებში წერილის მიწერა დააბირა  
თქვენთან. ამ სიტყვებს რომ ვწერდით, აღბათ  
სიკვდილის სიცივემ თუ შეიპყრო...

და უეცრად ეგარბენი, ჩემს ზურგს უკან  
ჭარიშხალი რომ ატყდა...

— რაო, რაო, რა ბრძანეთ? სიკვდილის სი-  
ცივემ შეიპყრო! სისულელეა, მტკნარი სისუ-  
ლელე! არაფერი არ გავგებათ. ამ სიტყვებს  
ხომ ეს რუხთაშვიანი ქისა წარმოთქვამს! დიას,  
დიას, ეგ ამ ნაცრისფერი ტყინას სიტყვებითი  
პა, შამ მცოცავო, არა? აბა, ამბარზუნო ვირთხე,  
ცოტა მაძროვე, ახლავ გავათბობ!

ბატონი კროტერი ჩემთან მოიჭრა, ქისა ხე-  
ლდან გამომგლიჯა და ზუხარში შეუძახა.

— ესეც შენ, საზიზღარო მათხოფო! — და-  
იყვრა მან, — აბა პა, მიდი, გათბი ახლა წი-  
თელ ხავერდზე! შე საცოდავო რუხთაშვიანი

ნაძირალე. შენა! აი, ახლა კი დაგეწვივა და  
დაგებურებია ეგ თუხები!

ქისას ცეცხლი კიდევებთან მოეწი, მოეწი  
ნელა დაიკრუნჩხა, შერე ისე გაიშვრა, იტი-  
რებდით; ეს-ესაა გასეგდებო...

ბატონი კროტერი კი ბოძოქრობდა და ბო-  
ბოქრობდა.

— მ, ზედავთ, ბებერს თურმე ყველაფერი  
სცოდნია და ჩემი გაამბეულება სდომებია მხო-  
ლოდ! ო, ის გაიძვრა ისა! ქოგობეთის ცეცხ-  
ლში უნდა დაბრტყოს ყველა ძენწი და წუწუ-  
რაქი. წარმოვიდგენიათ, იმ ყინვაში რის ვაი-  
კავალაბით გადავბობლდი თანჯარაში, ის კი თუ-  
რამე სიარს უყურებდა! აბა, დამაცადე! აი, ესეც  
შენ, ესეც შენ! — წამოიძახა ჩემმა სტუმარმა  
და ჩემის ქესლი ისე ჩაქრა გავარაგებულ  
ნაღვერდლებს, რომ თვთვ ფერფლიად ქცეული  
ნატის ქისა მთლიანად შოგ ჩამარბა.

— მ, ყველაფერი სცოდნია იმ გაიძვრას...  
— ერთბელ კიდევ ჩაიკაქანა მან და არაქათ-  
გამოლეული სავარძელში ჩაესვენა.

ოთახში კარგა ხნით სიჩუმე ჩამოვარდა. მე-  
რე ბატონმა კროტერმა ჩემი ხმით მკითხა:

— აბა, ყმაწვილო, თქვენ რას იტყობით  
ყოველზე ამის თაობაზე?

პატუცეპული მკითხველის მოთმინება მე-  
ტიღმეტად ბორბლად რომ არ გამოვიყენო, გა-  
მოგიტყდებით, ამ წუთიდან მთელი ეს ამბავი  
საოცრად მოსაწვენი მეჩვენა, ამიტომაც სტუ-  
მარს ცივად მივუგე, ბატონო ჩემო, აბა რაღა  
შეუთქმის! ვფიქრობ, როგორც თქვენს რწმუნე-  
ბულს, ამ საქმესთან საერთო არაფერი მამქს  
და ამიტომ ჩემს უფლებამოვალეობებიც არ  
შემოდის-მეთქი.

შევაძინე, ბატონი კროტერი ერთობ გაქა-  
რებული წავიდა ჩემგან.

ამ ამბიდან ერთი თვის თავზე კი მისგან უწყ-  
ყება მივიღე. მატუბონებდა, ამიერიდან უარს  
ვაცხადებ, ჩემი რწმუნებული იყოთო. ეტყობა  
მეტისმეტად გადავამლავე, რაჯოდა საქციელი  
არ მოუეწონე და ნუგეშის ცემაც არ მოეინ-  
დომე მისთვის. ბატონ კროტერისთან შეშლე-  
ბული კლიენტის დაკარგვამ გარკვეული მზარი  
დამჩნია ჩემს შემოსავალს და აღბათ მარტო  
ესეც ვპაროდა მიზნად, რომ გონებაში ღრმად  
ჩამბეჭდოდა ამბავი ნატის ქისების წამებისა.

გერმანულიდან თარგმნა  
ნანა გოგოლაშვილი

1 მცევა, სულ უფრო მეტად მცევა (იხვლ).

## ჯუმაჯარ თითმარია

### „მცირე პროზის“ მასშტაბები

„მცირე პროზა“ აღსარებაა.

ეს იმდენად ცხადი და ნათელია, რომ მისთვის შეგვიძლო გვეწოდებინა „აღსარება ანუ პროფესორი ბუაჩიძე“, ანუ უბრალოდ: „აღსარება ანუ თენგიზ ბუაჩიძე“.

აი, ერთგან რას წერს ავტორი:

„ჩემში ბავშვობიდანვე თანაარსებობს ორი ადამიანი, ერთმანეთს დაპირისპირებული ორი ადამიანური საწყისი:

დღდაჩემის სულიერი არისტოკრატიულობა, ლირიზმი, ხანტიმენტალობა, ზოგჯერ პასიური მჭკრეტელობა, მეოცნებეობა, თავდადება, ალტრუიზმი — არსებობა სხვისათვის, როგორც საკუთარი თავისათვის

და

მაშინგის გლეხური სიჭიქტე, შეუპოვრობა, შრომისუნარიანობა, მიწანწრაფულობა, პრაქტიციზმი — არსებობა თავისათვის, როგორც სხვისი არსებობის პირობა.

უმთავრესად პირველის შედეგია: ოცნების წინაგანი სამყარო ბავშვობაში, პოეზია ახალგაზრდობაში, ლირიკული პროზა ცხოვრების მეორე ნახევარში, ერთგვარი ეპიკურიზმი უოფაში, აქქმის ესთეტიზმი, საერთოდ — გრძნობის პრიმატი;

უმთავრესად მეორის შედეგია: ბავშვობიდან თანდაყოლილი უსამართლო შერისხულობის დაძლევის შეცნობილი წყურვილი, დღდაძმის გასწორება მიზნის მიხედვით, მეცნიერების ლოდის შეუნელებელი ღრღნა, სისტემატურობა შრომაში, თანამდებობები; საერთოდ — გონების პრიმატი.

ეს სქემა, ცხადია, გაუბრალოებულია — ორი საწყისი არაა ერთმანეთისგან მკვეთრად გამოყნული, — მაგრამ არსებითად სწორი უნდა იყოს. აღზნათ, ამით აიხსნება ჩემი ცხოვრებისეული გზის თითქოს შეუთავსებელი კონტრასტები. ძნელია ასეთი კაცის ცხოვრება?

ვისი ცხოვრებაა ადვილი?“


ეს გრძელი ციტატა იმისთვის მოვიტანე, რომ კიდევ ერთხელ გამესვა ზაზა — „მცირე პროზა“ წიგნია იმ კაცისა, რომელსაც არა მარტო იმთავითვე პოეზიით ანთებული გული უფეთქავს და „მეცნიერების ლოდი უღრღნია შეუნელებლად“, არამედ ცხოვრების მკაცრი უნივერსალიტეტების გამოცდები უზარებია, აღმართ-დაღმართ უვლია, საინტერესო, რთული, ძნელი ცხოვრებით უცხოვრია.

სწორედ ასეთი ცხოვრებით ნაცხოვრები კაცის აღსარებას აქვს მნიშვნელობა. ამითაა „მცირე პროზა“ მნიშვნელოვანი. მნიშვნელოვანია იმით, რომ უაღრესად დღევანდელი წიგნია, იმდენად დღევანდელი, რომ მისი (თუ მოლიანად არიან, საგრძნობი ნაწილისა მაინც) დაწერა ამ ათი-თხუთმეტი წლის წინათ შეუძლებლადაც შესახება. ასევე შეუძლებელი იყო ჩვენში ამ ათი-თხუთმეტი წლის წინათ დაწერილიყო ვრცელი მოთხრობა „აღსარება ანუ პროფესორი სორდია“. თუ რატომ, ამის პასუხს თვით ეს წიგნები იძლევა. შევეცდებით, შესაძლებლობის მიხედვით, მეც ვუპასუხო ამ კითხვას.

მაშ ასე: წიგნები დღეს, სადღეისოდ დაწერილი წიგნებია, მაგრამ ისინი ათეული წლების რთული, მძიმე ტყველისმომგვრელი ფიქრების, განცდების, განწყობილებების ლოკაჟური, სუშარული ნაყოფია.

ეს წიგნები იმიტომ დაიწერა, რომ წარსულის ანალიზის შედეგად მიღებული დასკვნებით ჩვენს პირად ცხოვრებაში, ადამიანებთან დამოკიდებულებაში არა მარტო აწმყოში ვიხელებდვანდეთ, არამედ — მომავალშიც.

ჩვენი „უსწორმასწორო წუთისოფელი“ როგორც ილია იტყვია, რასაკვირველია, ჭერ კიდევ ბევრ „საპირობოტო და წვედლა-კრულვინას საკიხხავს“ წამოჭრის და მწერლობის



უპირველესი ამოცანა ამ კითხვებზე პასუხის გაცემაა.

თუნდაც ბუჩქის „მცირე პაროზა“ კიდევ ერთხელ ნათელყოფს, რომ ნებისმიერი ადამიანი დღენიადაც, უყოველდღე, უყოველ წუთს დგას არჩევანის წინაშე: ან — ან!

„შეუვნიებელი წინებობობა ფიქციაა. წინებობობა სინდისის განსაკუთრებული წვრთნაა.

არჩევანის წინაშე ადამიანი უყოველთვის დგას, დიდი იქნება ეს არჩევანი თუ მცირე.

არჩევანი პასუხობს კითხვაზე: წინებობობია ადამიანი თუ...?!

ვამერტბე, მთელი წიგნია ამ კითხვის პასუხი, მაგრამ ერთ ადგილს მაინც გამოვყოფდი:

„...ცხოვრებაში ასარჩევია მხოლოდ ორი გზა, არსებობის ორი ფორმა შესახებოდა.

ერთი იმგვარი, რომელიც ვარტყულად მაინც შეეფერებოდა არცთუ დრამად ჩანერგვით, მაგრამ საესტეტიკო ნათელ და გასაგებ ცხოვრებისეულ იდეალს, მაშინდელ მწვერთხელთა მაშინდელი აზრით იმ ფართო გზაზე რომ გამოქვანდა, რომელზეც, მათი ვარტყულით, თითქმის არ იქნებოდა აუნაზღაურებელი დანაკლებები, უმინოდ დახარჯული დრო და ენერჯია, ურვეული პიროვნული ძალისხმევა შესაფერის შედეგსაც გამოიღებდა და ჩემი ზოგრა თავი (ბავშვობის გახსენება — ჟ. თ.) ძირითადად დაუფასდებოდა იმის მიხედვით, თუ რამდენად სინკრონულად და ზუსტად მოერგებოდა მასში გაჩენილი აზრები და მისწრაფებანი სწორედ ამ გზის არჩევით გაპირობებულ მიზანსა და იდეალს...

...უპრისთვის თითქმის სულ ერთი უნდა ურთიყო, რომელ გზას დაადგებოდა, პირველსა თუ მეორეს, რომელიც, პირველის დახასიათების შემდეგ, აღარც საქიროებს განსაკუთრებულ დახასიათებას...“

და ეს წიგნი გულწრფელი საუბარია იმაზე, თუ ვვება შემთხვევაში როგორი მძაფრი ტექილებითაა აღბეჭდილი ამ წუთისოფელში საკუთარი გზის, საკუთარი სახის ძიება (გახსოვთ, ოთარ კილაძე: „მერე ჩვენ ვძერწავთ საკუთარ სახეს იმ დღისთვის, როცა აღარ ვიქნებით“).

ჩემთვის ნათელია, რომელი გზაც აირჩია კაცმა, ვინც ეს დაწერა:

„მწერლის გაბედულება მისი სურვილით არაა გამოწვეული — მას სხვაანაირად არ შეუძლია:

მწერლური გაბედულება უყოველთვის როდი ემთხვევა მის გაბედულებას პიროვნულ ცხოვრებაში.

მწერალი უნდა მოკლა, რომ მისი გაბედულება შეწყდეს.

მაგრამ, თუ რამე დარჩა ქალაქზე მწერლური, მისი მოკვლა შეუძლებელია.

ეს დარჩენილი თავის დროზე აუცილებლად იფეთქებს ნელი მოქმედების ნაღვივით...

სრული უაზრობაა მწერლის ისტორიულად „ამოღება“.

ამოიღებ თუ განდევნი, იგი მსხინვეს მასზე ზობს...

ნელი მოქმედების ნაღვივით“.

თ. ბუჩქიძე გვიჩვენებს, რომ ბევრი გააბრიყვა შეგონებამ „სჯობს სახელის მოხვევა...“

— გააბრიყვა ისინი, ვისაც ამისთვის მხოლოდ სურვილი ეგონათ საკმაისი. მიუხედავად ავტორის ფიქრობდინარებას:

„1918 წელს ახალგაზრდა კონსტანტინე გამსახურდია ერთ ლექსში წერდა:

ჭერ სახელისთვის მათხოვრობა არ დამიწყია, თავს არ ვიტყუებ არც ოცნებით, არც მოჩვენებით...

ამას ამბობდა დიდი შემოქმედებითი პოეტების ადამიანი.

მართლაც, რა ზუსტადაა ნათქვამი — „სახელისთვის მათხოვრობა“.

ვაი, რომ ბევრს ექცა ეს პროფესიად.

„თავს არ ვიტყუებ“ — რამდენი იტყუებს თავს!

...ამგვარ ადამიანთა სიჭარბე ეროვნულ ტრაგედიადა შეიძლება იქცეს.

...ნუ გამოთხოვრებები სახელისათვის...“

ექვავთ, რამდენი გვიფიქრია თითოეულ ჩვენთავანს ცინიზმის, ეგოიზმის ბუნებაზე. ერთ-ზეც და მეორეზეც ჩვენ, მრავალნი და მრავალნი, დაახლოებით ერთნაირი აზრისა ვართ. თ. ბუჩქიძე არა მარტო აანალიზებს ამ ცნებებს, არა მარტო აწივებებს მათ არსს, არამედ, თითქმის ცინიკოსებთან და ეგოისტებთან სამკედრო-სასიცოცხლო დუელში გახული, ზარებს არისხებს:

„რა არის ცინიზმი? მისი საფუძველი უსიარტყვილობა — უტორობაა.

ცინიკოსი თავზედა (თუმცა, ამავე დროს, შინაგანად მხდელია); მას ეწივდება საყოველთაოდ აღიარებულ წესები, სხვის სიუყარულში მხოლოდ სიბილწე სურს დაინახოს, სხვის თავდადებაში — კუთამოღებობა, სხვის სიკეთეში — მხოლოდ გამორჩენის სურვილი, სხვის საზოგადოებრივ საქმიანობაში — მხოლოდ სახელისაღმი მისწრაფება.

...ხომ არ არის დღევანდელი ცინიზმის საფუძველი უტორობა?

თვით რას ჰქმნის ცინიკოსი? არაფერს.

ცინიზმის ბუნება უყოველად უნაყოფოა, ბერწია...

მაგრამ „ნაყოფიერია“ იმ თვალსაზრისით, რომ უნაყოფობას თვხავს...“

\* \* \*

თ. ბუჩქიძის ზოგიერთ ესსეს პირობითად პუბლიცისტურ-პარობლემური ესსე შეიძლება

ვუწოდო. მითით დგას რადიკალურ კონკრეტული პრობლემა, წამოყენებულია რამე სანტიტრესო, საზოგადოებრივად მნიშვნელოვანი წინადადება. ასეთია, ვთქვათ, ესეუ „ბროსენ ძეგლი“. აი, რომ შეგვახსენებს ავტორთ: ამა წლის წინათ ქრისტეფორე შამაძეშვილს მიუწერია „ბროსენის“ რედაქციისთვის:

„...ბროსენს გულითა და სულით ვუვარდით და ამისათვის ჩვენ მოვალენი ვართ, არ დაევიწყეთ ის... ჩვენ რომ სხვადა სხვა მიზეზებით გაღარბებული არ ვიყვნეთ, ჩვენი პირდაპირი მოვალეობა იქნებოდა, ავემართა მარი ბროსენსათვის ძეგლი, მაგრამ რადგანაც ჩვენი სიღარიბე ამის ნებას არ ვუძლევს, ამისათვის ეს მივანდით ჩვენს შთამომავლობას, რომელიც იქნება, ჩვენზე მდიდარი და ბედნიერი შეიქმნეს...“

ამის შემდეგ ავტორი შეგვახსენებს ილია ჭავჭავაძის მიერ საფრანგეთის საერო განათლების მაშინდელი მინისტრისადმი ბ.ნ. ფორე ლეგაციადმი მარი ბროსენს დაბადების ამა წლის-თებურ (1802 წ.) ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მიერ სადღესასწაულო წიკვისა და ქართველთა ხალხის ერთგული მეგობრის სულის მოსახსენებლად პანაშვიდის გადახდის თაობაზე გაგზავნილ დეპეშას, აგრეთვე, საფრანგეთის მინისტრის და მარი ბროსენს ვაფიშვილს, ბარსელონაში რუსეთის ელჩის, ლორან ბროსენს საპასუხო დეპეშებს და ასე ამოაერთებს თავის ამ ესსებს:

„სრულდება მარი ბროსენს დაბადების 180 წელი“.

წინაპრების მიერ ჩვენზე მოწოდებია ვალი კვლავ კისრად გვადგეს.

ქიდეგ გადავდით 20 წლით

ქართველებო, ვალს გადახდა უნდა...“

მართლაც, ჩვენზე უნდა შეგახსენოთ ერთმანეთს, რომ ვალს გადახდა უნდა, ვიდრე სხვები შეგვახსენებდნენ... უმაღლესობა არავის ამ შეენებს...“

გაუწვავადებლად შეიძლება ითქვას, რომ თ. ბუაჩიძის ვრცელი მოთხრობა „აღსარება ანუ პროფესორის სორდია“ ბოლო წლების ქართული პროზის ერთ-ერთი თვალსაჩინო მოვლენაა. რამდენადაც ვიცო, ასე შეიფასა ეს ნაწარმოები მკითხველმა. იღონდა, პროფესორულ კრიტიკას ქვე არ მოუტოვა ამ მნიშვნელოვანი და საურაღდებო ნაწარმოების საფუძვლიანი ანალიზი, ეს მოთხრობა კი კამათი, დავის სახაბს წამდელიად იძლევა. ამას, უდაოდ, ავტორიც გრძნობდა და უბეჭველად ამან დააწერინა მას „აღსარება „აღსარების“ გამო (პასუხი მკითხველს ერთ პირად წერილზე)“. ვფიქრობ, ეს „ერთი პირადი წერილი“ აქ მხოლოდ პირობითობაა, მაგრამ აშკრად ამის მნიშვნელობა არა აქვს. მთავარი ისაა, რომ ავტორი აქ თავის

ნაწარმოებს შეხასურობს ტექნიკურ ანალიზებს და მკითხველს მისი შექმნის კრიტიკულ მხარეს უჩვენებს. კერძოდ, მკითხველს ვუწოდებ, რომ ამ ნაწარმოებში „თავისუფლად“ გენეტის საკითხები არაა, რადგან „გენეტის საკითხების კვლევა არ შეიძლება მხატვრული ნაწარმოების ობიექტი იყოს. მხატვრული კვლევის ობიექტი შეიძლება იყოს ადამიანები, გენეტის საკითხებს რომ იკვლევდნენ. გენეტის მაგივრად შეიძლებაოდ სულ სხვა დარგი აშკრია: ბირთვული ფიზიკა, კიბერნეტიკა, ფილოსოფია და სხვა, რომელთა განვითარება არსაყლები დრამატული იყო აღბეჭდილი. გენეტია თუ ავტორი (უფრო სწორად — გენეტის), ალბათ იმით, რომ იგი უშუალოდ უკავშირდება სიცოცხლის აღმოცენების, მიმდინარეობის, განვითარების, პერსპექტივის საკითხებს, ამდენად — ადამიანსა და ადამიანურს.“

...მოთხრობა რამდენადმე დოკუმენტურია. გენეტისათა კამათი ნამდვილი ციტატებისაა ჩართული. ამას მკითხველი ადვილად შეამჩნევს. ნამდვილია აგრეთვე მოსკოვისათვის ბრძოლის ფრაგმენტები, მარშალ კ. როკოსოვსკის ეპიგრაფი“.

ამის შემდეგ ავტორი მკითხველს მოახსენებს, რომ მისი „უღმობელობა“ თავისი გმირების მიმართ მათი ცხოვრებისა და მოღვაწეობის წლების უღმობელობა ატმოსფეროში განაპარობა.

ამ ეხსიერე იმითომ გავამახვილე ურრადებო, რომ ვარკვეული პარალელი ვავალო ორ ნაწარმოებს შორის: ესენია თენჯინ ბუაჩიძის მოთხრობა „აღსარება ანუ პროფესორის სორდია“ და ვლადიმერ ამლინსკის ვრცელი მოთხრობა „გამართლებდა ყოველი საათი...“ („იურისტა“, № 10, 11, 1988 წ.) აქ არ ამის ვ. ამლინსკის ამ მოთხრობის საფუძვლიანად, საგანგებოდ განაწილებების დრო და ადგილი, მაგრამ ერთნაირი ტრაგული განცდებით, ერთნაირი ეპოქალური ტრედიციით აღბეჭდილი თხზულებებია. მოვლან რამდენიმე ადგილს ვლ. ამლინსკის ამ ნაწარმოებიდან, რათა წარმოვადგინო შეგვემნეთ მის საერთო პათოსზე, იმ კატაკლიზმებზე, რომელია პიროვნულმა, მოკალექობრებმა განცდამ ვეიან, მაგრამ მაინც ათქმევიან ამ ავტორს სიმართლედ.

მოვუწინათო:

„ასეც ხდება, რომ მეცნიერებისა და ტექნიკის ახალ გზებს ზოგჯერ კვალევენ არა მეცნიერებაში საყოველთაოდ ცნობილი, არამედ მეცნიერულ სამუაროში სახეებით უცნობი, ჩვეულებრივი ადამიანები, პრაქტიკოსები, საქმის ნოვატორები“, — თქვა სტალინმა 1938 წლის 17 მაის კრებლში უმაღლესი სკოლის მუშაკთა მიღებაზე.

აი, ასეთი „პრაქტიკოსისა და საქმის ნოვატორის“ ტ. ლინსკის ერთ-ერთი თეორიული გა-

ნცხადება: „ჩვენს საბჭოთა კავშირში ადამიანები არ იზადებიან. იზადებიან ორგანიზმები. ჩვენთან კეთდებიან ადამიანები — ტრაქტორისტები, მოტორისტები, მეცნიერები, აკადემიკოსები და ასე შედეგ და ეს ზღბა უკვლევარი ადგილადიური თხრობის — გენტილის, მეცნიერობითობის მიხა რეპკაული თერაიის გარეშე“.

უკვლივე ამან ის გამოიწვია, წერს ვლადიმერ ამლინსკი, რომ „გენი ლინსკოსა და მის მიმდევრებს ეჩვენებოდათ ხელოვნურ, იღუ-ზორულ, ზიანის მომტან, ემპირიულ ცდას დაუკვედებარებულ დიფინიციად. ეს უზილავო, მლოდვი, მაწაწინებულა გენი ხელს უშლიდა ნებისმიერი საბჭოთა ადამიანისთვის ვასაგებ და ცხად ცდას, რომელსაც კვეთისთვის დაუყოვნებლად მოჰყავდა მმლარბი, თითქმის ორმეტრიანი ზორბალი. ამასთან, მეურნეობრიობას და მეცნიერებას ხელს უშლიდნენ და ეღობებოდნენ ზურფუზიული სოციოლოგია, კერძოდ, დემოგრაფია, კიბერნეტიკაც, აკადემიკოს მარის „შედეგებიანი“, პროკოფივისა და შოსტაკოვიჩის მუსიკაც“.

შემდეგ: „ზოგიერთი მეცნიერება ჩანასახივე მოაშთეს“, „დღეს ტ. ლინსკო ან, ვთქვათ, რ. ლევეინსკიაა მათი ბავშვური „ცდებით“ საფრთხობელა ანაქრონიზმები ჩანან, მაგრამ იმ დროს ისინი თვლებოდნენ ჰუმბრაიტების, ჰუმბრაიტად მატერიალისტური კლასობრივი მეცნიერების სახელით მოდალადე ერთადერთ ავტორიტეტებად“.

კიდევ: „თავის დროზე სტალინმა თქვა, უფრო ზუსტად, გორკის ზღაპრის, „ქალიშვილი და სიკვდილის“ ხელნაწერს დაადო პირადი ისტორიული რუსოლუცია: „ეს ნაწარმოები გოეთეს „ფაუსტზე“ ძლიერაა (სიკაცხლე ამარცხებს სიკვდილს)“. გორკიმ სტალინსა და შეზვედრაზე მიწვეულთ თვითონ წაუთხრა ეს ზღაპარი. ერთი მწერალი შემდგომში ჰყვებოდა, რომ ამ სიტყვებმა გორკი კი არ ვაახარა, არამედ სარცხვილით აღწერა და შეაცუნა. მან ზომ იკლდა, რაც იყო „ფაუსტი“ პირადად მის ცხოვრებაშიც და მსოფლიო კულტურაშიც. ამასთან, ის თავის თავსაც საქაოად დიდ მხატვრად თვლიდა იმისთვის, რომ არ მიეთვისებინა ის, რაც არ ეუთვნოდა და ესმოდა, რომ ამ ზღაპრის შედარება მსოფლიო ლიტერატურის ერთ-ერთ უღაადეს კმნალებასთან დირექტივულად, მაგრამ ისტორიისა და კულტურის თვალსაზრისით, რბილად რომ ვთქვათ, არადაშვარებლად და ტრაგეკომიკურადაც კი ედერდა“.

ვაინსენოთ, რას წერს ამავე საკითხებზე თ. ბუაჩიძე: „უფლების მქონე პირთა უშუალო ჩარევას

ამა თუ იმ მეცნიერების განვითარების პროცესში ზოგჯერ სამწუხარო შედეგი მოჰყოლია.

თუ თითქმის უკველთვის დადებითი ყოფილა ამგვარ პირთა ხელშეწყობა მეცნიერების ამ მისი რომელიმე დარგის ორგანიზაციის გაუმჯობესების საქმეში, უშუალოდ კვლევის პროცესში მათ ჩარევას, მიმართულების არჩევას და პერსპექტიულობის შეფასებას, ვიმეორებ, ზნაირად უარყოფითი შედეგი მქონია.

ამის მაგალითები უკვლასათვის ცნობილია: კიბერნეტიკა, გენეტიკა, ბირთვული ფიზიკა...“ როგორც ვხედავთ, საქართველოსა და რუსეთის თავზე გადავლილმა ავადმოსაგონარმა ქარბორამ ბოჭი მისცა აქაც და იქაც ერთნაირი ტრაგეკული მოვლენების ერთნაირი მოქალაქეობრივი პათოსი ასახვას. შეიძლება კმე-უყოფილებას გრძნობით აღინაშნოს, რომ მართალი, გახედული სიტყვა ამჭერად ჰერ ჩვენში ითქვა: თ. ბუაჩიძის „აღსარება ანუ პროფესორი სორდია“ უკვე 1984 წელს გამოქვეყნდა (რაც თურნალ „მნათობის“ რედაქციასა და სარედაქციო კოლეგიას კიდევ ერთ დასახურებად ჩაუთვალა ჩვენმა მკითხველმა საზოგადოებრიობამ), ვლ. ამლინსკის „გამართლდება უკველი საათი...“ კი 1983-88 წლებში დაიწერა.

\* \* \*

თენგიზ ბუაჩიძე ცნობილი სლავისტი ვახლავთ, მოგხსენებათ, ამ სფეროში მის კვლევით შედეგებს რუსული ლიტერატურის ისტორიის შემსწავლელ სამეცნიერო ცენტრებშიც უწევდა ანგარიშს. ჩვენ ჰერ კიდევ არ გავიმახვილებთ სათანადოდ უტრადლება ძველი რუსული მწერლობის ნიმუშების თენგიზ ბუაჩიძისეულ ჩინებულ თარგმანებზე. აქ ვანსახილველ კრებულში შეესულია შესანიშნავი ესსეები, რომლებიც ახალი ასპექტებით, ახალი წანაგებობით წარმოვიჩინენ ტოლსტოის, დოსტოევსკის, ტურგენივის, ესენინის შემოქმედებას („წერილი იმპერატორს“, „პროზის დიდება“, „დიდი მწერლობა“, „სერგეი ესენინი“).

ამ ესსეებს მხოლოდ მეცნიერი, თუნდაც მაღალი რანგისა, ვერ დაწერდა. ესენი დახვეწილი ლიტერატორის, ერთ პაროვნებაში შერწყმული მწერლისა და მეცნიერის მიერ შექმნილი ნატიფი მუშალონებია.

\* \* \*

თ. ბუაჩიძე მოითხოვს, რომ პირდაპირ, გულახდილად ითქვას სრული სიმართლე ჩვენი ცხოვრების იმ ნეგატიურ მოვლენებზე, რომლებიც აშკარად ხელს გვიშლიან წინსვლაში. მისი აზრით, საქაროდ, ხმაშაღლა უნდა ვილაპარაკოთ „ჩვენი საზოგადოებრივი წყობის ჰერჩერობით არსებულ ობიექტურ სისუსტეებზე, რომელთა არც მიფურჩინება და არც გა-

წვადება არა ხატობს. მაგრამ მათი არაღნიშვნა და არგამოვლინება ისევ ჩვენთვისაა სახიანო, ისევ ჩვენივე სისუსტის ნიშანი იქნება", უნდა გვახსოვდეს, რომ „ნეგატიური მხოლოდ მაშინ გამოდის ასპარეზზე აქტიურად, მაშინ ამოტივტივდება ზედამარტე, როცა მისთვის ხელსაყრელი გარემო იქმნება. ამას უნდა დაუქრება“.

გარკვეული ხნის წინათ ამგვარ „საბოთირო“ თემებზე, საერთო-სახელმწიფოებრივ სატყეარზე ხმადაღმა ცოტანიღა ღაპარაკობდნენ.

ახლა ამაზე მთელი ჩვენი საზოგადოებრიობა ფიქრობს. ეს ჩვენი უფუნა-არყოფნის საკითხია. და თ. ბუაჩიძის ამ წიგნის სხვა გვერდებზეც ხშირად ისმის განჯაშის ბიები, რითაც მისი აქტიური მოქალაქობრივი პოზიცია კვლავ დაკვივ იკვეთება.

თ. ბუაჩიძის შეუძლია სულგრძელად განაცხადოს, რომ „უველას აქვს თავისი ესთეტიკური იდეალის ძიების უფლება“, ოღონდ, ერთი პირობით — „მეც მაქვს“.

ვთქვათ, უველას აქვს უფლება ჰყავდეს „თავისი ილია“, მაგრამ, ამასთანავე, უველას უნდა ახსოვდეს, რომ ილია მთელი ერის სულიერი მამაა და იგი თანახმად უველასის ჩვენს წარსულსაც, აწმყოსაც და მომავალსაც. ამიტომ, დიდი ილიას პოლიტიკურ, სოციალურ, ფილოსოფიურ, ესთეტიკურ და ა. შ. შეზღუდულობებზე არქმენით წერა კი გვმართებს, მაგრამ კეთილი ვინებოთ და წუ ვაქნებოთ კატეგორიული, — წუ მოვაქცევთ მას ერთი რომელიმე მიმართულებას თუ ჩვეულის ფარგლებში, თორემ, ან გამოდის.

ერთნი ილიას რევოლუციონერ-დემოკრატად ნათლავენ;

მეორენი ცდილობენ კადეტად წარმოგვისახონ;

მესამენი — სოციალ-დემოკრატობად;

მეოთხენი — ეროვნული ბურჟუაზიის ლიდერად;

მეხუთენი — კლასთა ბრძოლის იდეოლოგად;

მეექვსენი — ლიბერალური მოძრაობის მეთავე;

მეშვიდენი — პროლეტარიატის მოძრაობის თანამგრძობად...

ილია არ იყო არც პირველი, არც მესამე, არც მეექვსე, არც მეთვე...

არ უნდა დაგვაიწყუდეს:

პოლიტიკურად ილია იყო საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ბელადი.

მსოფლმხედველობრივად ილია იყო დიდი განმანათლებელი, დიდი მუშანისტი, აღჭურვილი განმანათლებლობისათვის დაშახიანებელი მთელი საზოგადოებრივ-პოლიტიკური და კულტურულ-ლიტერატურული კომპლექსით, რო-

მლის სპექტრი არჩევულებრივად მდიდარია. ლიტერატურაში ილია იყო ახალი ქართული ტრადიციური მხატვრული აზროვნების ფუძემდებელი, ახალი ქართული კრიტიკის მეთავე, ახალი ქართული პუბლიცისტური სკოლის შემქმნელი, ახალი ქართული პერიოდული პრესის დამაარსებელი...

...ილიას არ სჭირდება არც ზედმეტი გარე-ვლუციონერება, არც გარეპაციონერება.

ქართულმა საზოგადოებრიობამ, ქართულმა მწერლობამ, რომელიც ილიას უშუალო მემკვიდრეა, ამის უფლება არავის არ უნდა მისცეს“.

ამის გათვალისწინება უფაოდ გვმართებს ახლა, როცა კარზე გვადგას დიდი ილია დაბადების 150 წლისთავის იუბილე. რომელიც არამედარამც არ უნდა იქცეს მორიგი კალენდარული თარიღის აღნიშვნად — ამ იუბილემ ერთხელ და სამუდამოდ უნდა გააჩქაროს, ვინ არის ილია ჭავჭავაძე არა მარტო თავისი დროის, არამედ დღევანდელი და, რაც მთავარია, მომავალი საქართველოსთვის.

ამ წიგნში შესული მასალის დიდი ნაწილი დიალოგური ხასიათისაა, თანაც, ეს, არსებითად, პოლემიკური დიალოგებია. გარკვეულ ხიზლს ჰქმნის ის, რომ ატორი ხშირად საკუთარ თავს, თავის „მეორე მეს“ ეკამთება, ეჭვებს, სწორის არაღმეტყულება და კონტრარგუმენტებს, და ამის შემდეგლა ვგთავაზობს ამათუ ამ რთულ პირობებზე გარკვეულ თვალსაზრისს, მაგრამ ვგთავაზობს არა კატეგორიულად, „ვთქვი და ვგთავაჯ“ პრინციპით, არა. მედ ასე, რომ მკითხველს უტოვებს დიალოგის გაგრძელების უფლებას. გარგნულად, ფორმით ეს კითხვები ზოგი ესსეს დასასრულს ატორი კითხვებს უსვამს მკითხველს, მაგრამ აშკარა: ამ კითხვების პასუხებს ქერ თვით ატორიც ეძიებს, მაშასადამე, ამ კონკრეტულ პირობებზეც კემშარბებებს ძიების პროცესს ატორისთვისაც გრძელდება...

სულ ახლახან გამოსული შეხანაწიწი გამოკვლევის „ქართული ლიტერატურული ესსეს“ ატორი, მანანა ზღლია, წერს:

„ესსეების მიზანი ობიექტისადმი მიმართებაში თავისი შინაგანი, სულის მოძრაობის წარმოჩენაა“. ეს დებულება ზედგამოჭრით ესადაგება თ. ბუაჩიძის, როგორც ესსესიტს. ის, ხშირ შემთხვევაში, უადრესად სუბიექტური ინდივიდუალურია, რაც პიროვნულობის მკვეთრი ბეჭედი აბეჭდავს მის ზეღწერას.

მოკვლევან ერთ ადგილასც მ. ზღლიას დასახელებული ნაშრომიდან.

„ესსეს დიალოგური ბუნება, აზროვნების ესთეტიკური წესი, არადიატიკური ხასიათი მისი სტილის ინტიმურობას განაპირობებს. სწორედ სტილის ინტიმურობა განაუფლებს მკითხველს ესსეს არა როგორც „წიგნს, რომელ-

საც კითხულობ, არამედ როგორც საუბარს, რომლის მონაწილეც ხარ“.

თ. ბუაჩიძის ესტეების სტილი სწორედ ამ ინტიმურობითაა აღბეჭდილი. ესაა სადა, მკვირვალ საუბარი რთულ მატერიალზე. ოღონდ, არა უოველთვის. ზოგჯერ მას „ზელი გაეკვივა“, „ძველი ცოდვები“ (ზემით აღნიშნული — „პოეზია ახალგაზრდობაში“) ახსენებს თავს და ჩნდება „პოეტაზმები“, რიტმული მონოლოგები, ქაბილის ნიშნები (ამ მხრივ, განსაკუთრებით გამოირჩევა ესხეს „გუსინ, დღეს და ოდესმე“ მეორე ნაწილი, კიდევ — „ანაკო, დაო!“ (მარამ ეს ადამიანურად გასაგებია — აქ „მასალა“ მოერია ავტორს!)

ვატუბ, „კრიტიკულად განვიწყვე“. ამ წიგნის გაცხრილვა შეიძლება. შეიძლება ზოგიერთი ესხეს საერთოდ ამოღება, ზოგიერთებისა კი — ტრავიალურ მონაზრება-დებულებათაგან გათავისუფლება. მხედველობაში შექვს, ვოქვათ, ესხე „ხავში და ხავშური“

მისი რამდენადმე მიაზიტური დამაჯიკრავინებელი შეგონებით: „წუ ჩაკლავთ ხავშში ხავშურს. მას უველაფერი მომავალში აქვს“ და ცხოვრება, ხომ იცით, ისედაც თავისავე გაატანს...“

\* \* \*

როგორც მოგახსენეთ, თენგიზ ბუაჩიძის ეს წიგნი საინტერესო, პოლემიკური, ფაქტების აღმძვრელი წიგნია. მასში ბევრი რამაა საკამათო და ეს მისი ღირსებაა — ესხეისტი თუ დამაფიქრებელს, საკამათოს, მხარდასაჭერსა თუ დასაპირისპირებელს არაფერს ამბობს, გამოდის, რომ ამაოდ გარჩილა.

თ. ბუაჩიძემ ახალი ესხეისტური ჩანაწერები ამ წიგნის გამოსვლის შემდეგაც გამოაქვეყნა, ცხოვრება გრძელდება და ჩვენც დაველოდოთ მწერლისა და მცენიერის ახალ ნაშრომებს. მოთმინებით და ინტერესით დაველოდოთ.



# მიგრუნება წარსულისაკენ

ჩვენი საუკუნის დასაწყისში, უფრო ზუსტად, ოცნას წლებში დიდი ძალით იფეთქა კამათი ეროვნული ხასიათისა და ჩვენი ერის თვითმყოფობის შესახებ. მასში მრავალმა მწერალმა და მოღვაწემ მიიღო მონაწილეობა. ინტერესი ერის წარსულისა და ქართული ხასიათის მიმართ 20-30-იანი წლების ქართულ პროზაშიც ნათლად აისახა (მხატვრული პროზა ზომ მუდამ ირველავს ინტელექტუალური საზოგადოების ინტერესთა სფეროს).

ჩვენს დროში, სულ რამდენიმე წლის წინ, ისევ გამოცოცხლდა ერთ დროს წამოწყებული და მალევე მიწიღებულ კამათი ეროვნული ხასიათისა და მშობლიური ძირების შესახებ. საზოგადოებრივი აზრის ამ ერთგვარ გამოცოცხლებას უთუოდ შეუწყო ხელი გურამ ასათიანის წიგნის — „სთავეებთან“ — გამოცემა. ქართულ მხატვრულ საისტორიო პროზაშიც უწყველად აღმავლობა დაიკეთა.

როგორც ჩანს, ერის ცხოვრებაში დგება ხოლმე მომენტები, როდესაც აუცილებელია მიბრუნება წარსულისაკენ, ჩადრწევება საკუთარ თავში და მშობელი ხალხისათვის დამახასიათებელ ნიშან-თვისებათა განსჯა და ანალიზი. საკუთარი წარსულის შეფასებისაკენ ასეთ სწრაფვას, როგორც წესი, აწმუში ვარკვევს და მართებული ორიენტაციის სურვილიც განაპირობებს. სწორედ თანამედროვე ცხოვრების შეფასებისა და გააზრების დაუკლებელმა ვადამა მამათა ვასული საუკუნის ერის სახელოვანი შვილების ყურადღება წარსულისაკენ. არც რომანტიკოსებთან და, მით უმეტეს, არც თერგდალეულებთან საქართველოს წარსული დამოუკიდებლად არ არსებობდა — იგი მუდამ თანამედროვეობასთან მჭიდრო კავშირში მოიპარებოდა.

გასულ საუკუნეშიც და დღესაც მშობელი ქვეყნის წარსულის აღქმას მუდამ მოუშუშებელი ტკივილის განცდა ახლდა თან. საინტე-

რესო იქნებოდა იმის გარკვევა, თუ რა განაპირობებდა ამ ტკივილის გრძნობას — მხოლოდ მრავალტანჯული ერის წარსულის გახსენება თუ გარკვეულად მოწესრიგებული აწმუის შინაგანი წინააღმდეგობების მხილების სურვილი?

მრავალ ასეთ კითხვას აღჭრავს დღევანდელი ქართული ისტორიული პროზა, რომლის შესანიშნავ ნიმუშებსაც წარმოადგენს ჭეშალ ქარჩხაძის ბოლო წლებში გამოქვეყნებული მოთხრობები.

ძნელაა იმის განსაზღვრა, თუ რას ისახავს უპირველეს მიზნად ეს მოთხრობები — საქართველოს წარსულის სურათების გაცოცხლებას, თუ ჩვენს თანამედროვეობაზე დაფიქრებას. ვერც ერთ მათგანზე ვერ ვიტყვით გადაჭრით, რომ სწორედ ის არის უმთავრესი თემა და მოთხრობებისთვის. ჩვენი ხალხის წარსული და აწმუი ჭეშალ ქარჩხაძის პროზაში ერთად არსებობს, ერთმანეთშია გადახლართული და მათი გამოყოფა და დაყოფა შეუძლებელი ჩანს. ეს მოთხრობები ერთდროულად ეხება ჩვენს წინაპრებსაც და ჩვენს — მწერლის თანამედროვეებს, გარდასული ეპოქებისა და თანამედროვე ცხოვრების წესს. ამ თვალსაზრისით „ზეზულონის ციკლის“ ან „ანტონიო და დავითის“ ავტორი სწორედ თერგდალეულების საქმის გამგრძელებლად და ლიტერატურულ მიმკვიდრედ უნდა ჩათვალოს.

ჭეშალ ქარჩხაძის საერთოდ ახასიათებს მოქმედების ვაშლისა და ლიტერატურული ხასიათების გახსნიანთვის კრიზისული სიტუაციების არჩევა. ბოლო წლებში გამოქვეყნებულ მოთხრობებში მწერალს თავისი სათქმელის გადმოსაცემად უკიდურესად დაძაბული ისტორიული ვითარება აქვს ფონად გამოყენებული: ...ქვეყანა გაჩინაგდა, ხალხი შიშშია დაზაურა და იმის მაიფრად, რომ მხარში ამოუდგებს ერთმანეთს და თავი დაიცვას, კიდევ უფრო

გათიშა, სასოწარკვეთამ დაბნინა და დაფანტა, უვრელა მარტო თავის თავზე და თავის ოჯახზე წარუხვას და როგორც მოუხერხდება, ისე გააქვს თავი. შინაწინაში სიძულვილი მოიტანა თან, გაუტანაღები და დაუნდობლები გაეხდით, ამას აღარ ვიციტ და ნათესავი. ყოველი კაცი იმას ფიქრობს, ოღონდ მე ვადგინე და თუნდ ქვა ქვაზე ნუ დარჩენილაო, იმას ვეღარ ვხედვებით, რომ მოყვასმა თუ მოყვასი გაქარა, მაღე მართლა ქვა ქვაზე არ დარჩება". — ეს მთავრის სიტყვებია მოთხრობიდან „ანტონო და დავითა“. ვინ არის ეს მთავარი, რისი მთავარია ის, ან კონკრეტულად ვა დროა ამ ისტორიულ მოთხრობაში ასახული — ამაზე ნაწარმოებში არაფერია ნათქვამი. ის, რაც ქვემოთ ქარჩხაძის ისტორიულ პროზაშია აღწერილი, არ შეიძლება კონკრეტული სპეციალად და დროით შემოვსაზღვროთ (თუმცე გვიან შუასაუკუნეებისათვის დამახასიათებელი ისტორიული ვითარება აშკარად იჭრებოდა). შეიძლება ითქვას, რომ ეს მოთხრობები წოვადქართულის ძიებას წარმოადგენს და ამიტომ შეუძლებელია და არის გაფიქრებული დროის. სივრცეში კი წოვადად საქართველოს საზღვრებით არის შემოფარგლული და რომელი კუთხის რომელი მთავარზეა საუბარი, ამას, რასაკვირველია, არსებითი მნიშვნელობა არა აქვს. პირიქით, სწორედ ეს განწოვადებაა აწმყოთა და წარსულის ურთველი კავშირის ჩვენების აუცილებელი პირობა.

გურამ ასათიანი წიგნში „სათაყვებთან“ ისევ და ისევ ქართველი კაცის პოზიციიდან ეძებს შრომობიერ ლიტერატურასა და ფოლკლორში ერთს ძირითად, უმთავრეს ნიშან-თვისებებს. ქვემოთ ქარჩხაძის კი წოვადქართულის ძიებაში გაცილებით უფრო რთული და სახიფათო გზა აურჩევია. მისი მხატვრული მეთოდი იმაში მდგომარეობს, რომ იგი თითქოს ერთგვარად „განეყენება“ საკუთარი ხალხს და ხან უცხოელი მისიონერის და ხან დაუძინებელი მტრის თვალით ცდილობს, ასე ეთქვას, „გარედან“ დაინახოს თავისი თავი და თავისი საშრობლოც. უადრესად დახვეწილი მხატვრული ოსტატობაა იმისთვის საჭირო, რომ კეთილშობილი ბართოლომეო საკარნავალო წილად კი არ ექცეს, არამედ გაცოცხლდეს, ხორცი შეიხსან და ჩამოყალიბებულ ლიტერატურულ ხასიათად მოგვეცნოს. ასევე დიდი ფანტაზიაა საჭირო, რომ შრომელი ხალხი მტრის პოზიციიდან დაინახოს და დამყარების თვალთ შეხედოს მის ხასიათს.

მოთხრობა „რამათ-ლუხუში“ მისწინადა და გაბოროტებული მოსულის — სულეიმანის — მონოლოგს წარმოადგენს. რამათ-ლუხუშის ბებერი გამყოფელი თურქეთში ჩასულ უცხოელს (ქართველ მოგზაურს) გულსატკბავლითა და სიძულვილით უუკება მოღალატე „გურჯერ-

ბის“ ამბავს, საეპიხის და ლუარსაბის „შენახეთობას“, გზად შეხვედრული უცხოელი მღვდლის გაუგებარ თავგანწირვას.

განსაკუთრებით უჩვეულო და სახტერქონო ქართველი მკითხველისათვის მტრის თვალთ დაწაული ქართველები, მათ დადებისა თუ უარყოფით მხარეებზე მსჭვებოდა. მოხუცი სულეიმანი იფრინებს, როგორ გააცნო „გურჯების“ ხასიათი მათზე უფრო გამოცდილმა და მრავლისმნახველმა ალი-მირზამ: „შურანიები არიანო, გვიფრთ და, ვინც მათ ამ თვისებას ბრძუნლად გამოიყენებს, როცა დასპირდება, ერთმანეთის ოლად ვადაკიდებსო... გურჯების უფუნრობა უველაზე უკეთ მათ ამპარტახობაში ხანსო, თვითონ ურიცხე ნაქოს ისე სასოებით მღაღენ, თითქოს ერთი რამ ძვირფასი საგანჭური იყოს, უველაფერი შეიძლება გაპატონ, მაგრამ მათი ნაქლი თუ შეამჩნიე, ამას არამც და არამც არ გაპატონენო...“

თითქოს „ზუსტად“ და „ამომწურავად“ დაუხასიათა ქართველები ალი-მირზამ თანამემამულეებს, მაგრამ მას ერთი, უადრესად მნიშვნელოვანი რამ გამოჩნა; გამოჩნა ის, რისი დანახვეც არ შეუძლია მტრის სიძულვილით დაბნელებულ გონებას. სწორედ ამ უგულისხმრობამ დაღუბა თურქების ქარი.

ახალციხიდან წამოსულ გზაბნეულ თურქთა ლაშქარს გზაში ქარზე ამხედრებული ქართველი მღვდელი შეეჩება. თურქები ჩქარობდნენ, რომ ლუარსაბ მეფეს მოულოდნელად დასხმოდნენ თავს და მღვდელს საწრაფოდ უბრძანეს გზის ჩვენება. საქართველოს ისტორიამ გმირობისა და თავდადების მრავალი მაგალითი შემოგვიჩინა, — თვედორე მღვდლის თავგანწირვაც გამორჩეული ფურცელია ჩვენი ერის ცხოვრებაში. დიდა ოსტატობაა იმისთვის საჭირო, რომ მცირე ზომის მოთხრობაში ერთვნილი სახეი მატყობლდეს და მისი მხატვრული განხე შედგებოს ბეროკითა და პოტიკით არ შეიფეროს. ქვემოთ ქარჩხაძის მოთხრობაში არაფერია ნათქვამი მღვდლის სულიერ განუდებზე, მაგრამ მისი გმირობა თვით მტრისაც უსწრებს და რაღაც არჩემისა და მარადიულის დანახვებს მის საკუთლში. „მღვდელმა ფერდობი აათვა, ქარი ზედ კლდის შირას შეაყენა, ჩამოდა და ჩვენკენ მოტრიალდა. ჩვენც შევდგეთო. ლაშქარიც შედგა. კლდე რაღაც უცხო ბრვევალებით ირცელავდა დაცემულ სხეებს, სხვადასხვა ფერის ათინათი თვალსმომჩერელად ირცელდა ერთმანეთში და — ო, აღაპი წამით მომჩვენა, თითქოს მზის მერყამულ შუქში გაბეული მღვდელი თავადაც მზეხავით აფრქვედა სხივებს...“

სწორედ ეს გამორჩათ თურქებს მხედველობიდან — ქართველებიდან უველა არ იყიდებოდა, ამ ხალხს კიდევ ჰქონდა შერჩენილი

თავგანწირვის უნარი. მტერი არ იცნობდა ქართველებს ნამდვილ ბუნებას და ამიტომ მღვდლის თავდადება ზორიტი სულეიანის თვალში სსწავული იყო: „...და იმ დროს, როცა შე კვლავ შეაფიქრე და ვინაზე მღვდლის შვესაეთი მოღვაწე ხარ, და თვალი დაეხუტე, რათა ეს საწინააღმდეგო წყალობით მომეშორებინა, გვერდით ისმილ ფაშას გაკვირვებული და ცოტა შეშინებული ხმა მოგესმა: „მღვდლა დაბნე თვალი შეტყუებს, თუ ამ გურჯს თეთრი ანაფორა აცვიო?!“

მღვდელი კემშარბატი მოწამებრივ სიმშვიდით შეხვდა თავის აღსასრულს და ამ ბოლო წამს თითქოს მართლაც მოხდა სსწავული: „ეღუპე დაკვესა და თითქოს დაავიწყდა, რომ ისევ უნდა ნაშქრალყო, დიდხანს ერთი ცაზე“.

მტერი სულიერად გატყუებოდა და დამარცხებული იყო. იმ ზღაბთან ბრძოლა, ვსაც ასეთი სიყვარული შეუძლია, იოლი ნამდვილად არ ჩანდა. „მოვდიოდით უკუნ დაშეშო, — უყვება სულეიანი, — ლევის რისხვასათვის ჭებდა და ელაგვდა. ცა ლამის მიწაზე ჩამოსულყო. მოვდიოდით და უკან, როგორც საკუთარი ჩრდილი, ფეხდაფეხ მოგვდევდა ბედისწერა — იმ წყურთი მღვდლის სული, რომელიც ვერ მოკვალათ...“

მართლაც რომ ჩინებულია ამ მოთხრობაში მწერლის გარდასახვის უნარი, მაგრამ რა მიზანი აქვს ამ გარდასახვას? რაღა მიანცდამაინც უცხო თვალთ დანახული საქართველო უნდოდა ეჩვენებინა მწერალს? „საქმე ისა, — კეთილხერობა მოთხრობაში „ანტონიო და დავითი“, — რომ ეს ხალხი უცხოელებს რაღაც განსაკუთრებული მოწინააღმდეგობით უფურცებს. ერთი უცხოელის აზრს მტე ფასს ადებენ, ვიდრე ახი თავისიანისას, თუნდაც ასივე ბრძენი და საქმეში კარგად ჩაბედული იყოს“.

შეიძლება ამის გამოც არის, რომ მწერალი არსად არ ჩანს ამ ნაწარმოებებში. არ გავწუხებებს და თავს არ გვახუტებს თავის მსჯელობებს. ქვემო ქარჩხაძე საოცრად ენდობა შეიძლება, ენდობა მის წარმოსახვასა და ფანტაზიას და ნახევარბატონით ხატავს ზებულონს, ისხარს, იოველ ბატონიშვილს.

ზებულონის გამოჩენას ქართულ მწერლობაში ახალი ლიტერატურული გმირის დაბადება მოჰყვა. ზებულონის მხატვრულ სახეში გაერთიანებულია ქართველთა ეროვნული გმირის ძლიერებაც და ცოდვით დამძიმებულა, ტყვიადობა და დღლილი სულის სიძაბუნე. წიგნს — „ზებულონი: შურისძიება. სიყვარული. სიკვდილი“ — კარგად მოწესრიგებული სიუჟეტი და ჩანაფიქრის საერთო მიზანდასახულობა იხე ამოღიანებს, რომ იგი დიდ ეფექტს ახდენს, როგორც ერთი მთლიანი ნაწარმოები და აუცილებელია, რომ შეიძლება ასეც მიიღოს — ერთ მთლიან წიგნად. ამ აუცილებლობას იხილ განაპირობებს,

რომ წიგნის დასაწყისიც და უნაღვიც, ძალზე ინტაქტურად რომ კრავს მთელ ნაწარმოებს, ერთი და იგივე მისტიური სტენა. „მრავალი წლის შემდეგ, როდესაც ნაშრომის ბეატიალითა და უთვალავი ფართობით დაღლილ-დაქანებული როგორც იქნა გასცდა ვიწროსა და ბნელ, შშორის სუნით გაუღწეოლ ზვრელს და კაშკაშა სინათლენი მოხვდა, ზებულონმა დაიწახა ცისფერი სიკვდილი, რომელიც აუვაკებული ნუშისა და ტყემლის თორ ტვერს გამოეყო, ტრელ მინდორზე დაეშვა და მიჰკენ გამოეშურა“. ასე იწყება ზებულონის ციკლის პირველი მოთხრობა — „შურისძიება“ — და სიკვდილისა და ზებულონის შერთობის წინ, თითქოს ზებულონის თვალწინ წამის ერთ შეასედში კინოფირიით გატრიალდებოდა და კიდევ ერთხელ გათამაშდებოდა მთელი მისი ცხოვრებისეული დრამა.

მთელი ცხოვრების მანძილზე ზებულონის გვერდით, თითქოს ზღლის ერთ გავქვედნაზე, არსებობს რაღაც ისეთი რეალობა, რაც ამ ცხოვრების კანონებს არ ემორჩილება — ეს ზღაპრის რეალობაა, ბედნიერების საუფლოა, რომელიც ისე ახლია ზებულონთან, თითქოს უოველთვის შეიძლება მასში გადახვალა. იოველ ბატონიშვილი თვითონ მობრძანდება წყაროს. თვალში, ზებულონს სხვეში გამოარჩევს და თავის ტაძარში დაიბარებს. თან სახარებასაც აწუქებს. ბედნიერება ზღლის ერთ გავქვედნაზე.

მაგრამ, როგორც ჩანს, ეს შეგრძნება მოჩვენებითია, ილუზორულია. იმ რეალობიდან, რომელშიც ზებულონი ცხოვრობს, გზა არც იოველ ბატონიშვილის ცოდვით განათებული ტარისკენ მიდის და არც იხევე ერისთავის ამაუი ქალის სიყვარულისკენ. ზებულონს ერთადერთი, ეკლიანი და დაუფასებელი გზელიის წინ, — მან ტანჯვა-წვალებით უნდა იცხოვროს და უსახელო გმირად უნდა მოკვდეს. მაგრამ „უნი შესულა ისე ნათელში, რომ სატანჯველი არ გაველო — თუნებუა ისხარს იოველ ბატონიშვილი, — უნდა დაეიტანყოთ, ისხარს, ძალიან უნდა დაეიტანყოთ. ბედნიერ ქვეყანაში რომ ვცხოვრობდეთ, იქნებ მე და შენ ზღელიც კი ჩაგვექნია და გვეტყუა: რაღა ჩვენ, სხვამ იფიქროს და სხვამ იმტვიროს თუ ვი? მაგრამ ვაი რომ ისეთ ქვეყანაში ვცხოვრობთ, უყელამ თუ არ ვიფიქრეთ და უყელამ თუ არ ვიზრუნეთ, მუდამ ბნელ ხაროში ვისხედებოთ და შშის სინათლენე ვერასოდეს ამოვალთ“.

შრავალმხრივი, საქმიად რთული და მტკილ საინტერესოა ზებულონის სახე. იგი მამინე შეეჩება რეალურ ცხოვრებას, როცა დარბაშვილები მამამისს ნაწახებით აკუწავენ და ზებულონს ისღა დარჩენია, რომ შურისძიების და შეშდეგ, საზარელი მკვდილობით დამძიმებული სული მთელი ცხოვრება ახიის და ჩუმაღ

ტანჯის... განა ეწადა დარბაზილების დაბო-  
ცვა? მაგრამ დაბოცა, ვინაიდან სოფელმა ჩუმი-  
რისხეთი უბრძანა, დაბოცო“ („ზებულონის  
სიკვდილი“). მან სწინელი, საზარელი მკვლე-  
ლობით მოკლა დარბაზილები. თითქმის მამის  
ნაქებით დაფლეთილი სხეულის ნახვამ ზე-  
ბულონის არსებში ის მხეცი გააღვიძა, რომ-  
ლის არსებობაც თვით ზებულონსაც არ იცო-  
და. ამას კი განსაცვიფრებელი სისასტყე და,  
გარკვეული აზრით, სრულიად გაუგებარი საქ-  
ციელი მოხუცა. ზებულონს შეეძლო მხოლოდ  
მამამისის მკვლელები — ძმები — დაეხოსა,  
მაგრამ მან ეს არ იკამარა და როცა მკვლელე-  
ბი თავის ცოლშვილთან ერთად გამოქვაბულში  
ემალეობდნენ მდევარს, ზებულონმა გამოქვა-  
ბულის ერთადერთ გამოსასვლელს ისეთი დო-  
ბა დაუყო, რომლის ამოღებაც შეიძინა შეუ-  
ძლებელი იყო. შემდეგ წვიმის წყალს ჭრა გა-  
ყვალა ლოდით დაგმარული გამოქვაბულის  
ყელისკენ და მთელი ოჯახი, ქალებიან-ბავშვე-  
ბიანად ამ ხაფანგში გამოაბრკო.

ამ შემზარავმა მკვლელობამ თავისებურად  
განსაზღვრა ზებულონის ცხოვრება. ეს ცოფვა-  
მუდამ თან სდევდა ზებულონს. თითქმის მთე-  
ლი მისი შემდგომი ცხოვრება — ერთგულად  
გმირის ტანჯვა-წვალებით დასერილი ჭრა —  
სწორედ ამ ცოდვის მოსაწინებლად განვლო.  
მან ერთხელ ისიც კი იფიქრა, „რომ საკუთარი  
თავის ბატონ-პატრონი თვითონ არ იყო, რა-  
დაც უცხო ძალა განაგებდა, რადაც უცხო ძალა  
მზრძანებლობდა. შერე და შერე თითქმის იცნო  
კიდევ ეს უცხო ძალა: დარბაზილები იყვნენ-  
დარბაზილები უსზღდენ გულ-გაწმში და ისი-  
ნი ატარებდნენ თავიანთ ნებაზე. თითქმის მას  
კი არ დაუბოცავს დარბაზილები, დარბაზი-  
ლებმა თავიანთი სიცოცხლის ფასად იყიდეს  
იგი და ახლა მათი უმა და მონა იყო, მათ ნე-  
ბას ასრულებდა, და რაც არ უნდა ჩაედინა,  
ყველაფერი მათი კარნახით უნდა ჩაედინა“  
 („ზებულონის სიყვარული“).

ზებულონმა მთელი სიცოცხლე ზურგით ათ-  
რია იმ ლოდის სიმძიმე, რომელიც ოდესღაც  
სახედისწერო გამოქვაბულს დაუყო.

მწერლის სათქმელი ზებულონის ციკლში  
უარესად მძაფრი და დრამატული მოქმედე-  
ბის საშუალებით იშლება.

ამ სათქმელის გამოსახატავად ჟ. ქარჩხაძე  
ფორმის სფეროშიც ეძებს სიახლეებს, თუმც  
ე. წ. „ტრადიციული“, „კლასიკური“ სტილს,  
როგორც წესი, არ დაღატობს. უფრო მეტიც,  
ჟ. ქარჩხაძის პროზა კიდევ ერთხელ ამტკი-  
ვებს იმ კომპარატივებს, რომ ე. წ. კლასიკური  
სტილის შესაძლებლობები ფაქტობრივად ამოუ-  
წურავია და გამოსახვეს ტრადიციული ფორ-  
მები ალბათ არც არანდროს დაძველდება. ეს  
კია, რომ დღეს მწერალს მართლაც რაღაც არ-  
სებითი უნდა ჰქონდეს სათქმელი, რომ კლა-

სიურის მწერლობისთვის დამახასიათებელი მხა-  
ტრული სისტემით აგებულმა ნაწარმოებმა  
მთლიანად გაიტაცოს და ჩაიბრუნოს მკვლევარ-  
ი. „ნაწარმოების საფორმალური მიმართულები-  
ყოველთვის გარკვეულ, ცხადად გამოკვეთილ  
იდეა-პრობლემას დებს. იდეა შეაკრავს აწესრი-  
გებს მხატვრულ სტრუქტურას, კომპოზიციას,  
სტილს. მოქმედებს ზედმწივენითი მომჭარბეო-  
ბის, ზუსტი გათვლის, მიზანშეწონის პრინცი-  
პი: არც ერთი სიტყვა, ფრაზა, შტრიხი ან პა-  
საფი, რომელიც მთავარი აზრის, ძირითადი სა-  
თქმელის ნათელსაყოფად არ იქნება მიმართუ-  
ლი“ (თ. ვახაძე, „სახეები და პრობლემები“,  
გვ. 29).

ყოველი პერსონაჟი, შეიძლება ითქვას, იდეა-  
ხასიათით ერთი საერთო კონცეფციის გახსნა-  
კენ არის მიმართული. ამ თვალსაზრისით ზე-  
ბულონის ციკლი ბევრ ამოღებურის სახის მხა-  
ტვრული ფუნქციის გააზრებას ძალზე დიდი  
მნიშვნელობა აქვს.

ბექას ხასიათის უშუალოდ მოქმედება და  
დილოჯი კმნის საერთოდ ჟ. ქარჩხაძე თავის  
პერსონაჟებს ძირითადად ამ ხერხით ხატავს.  
იგი მკითხველს უშუალოდ მოქმედებაში უხ-  
სნის, გარე სინამდვილესთან ურთიერთობაში  
უხსნისათვის გმირს, საკუთარ შეხედულებებსა  
და სიმატია-ანტიპათიებს კი მას თავს არ ახ-  
ვევს.

ამოღებური ყველას იმეტებს და ყველაფერი  
წირავს (მათ შორის საკუთარ სიყვარულსაც)  
ერთი მიზნის მისაღწევად — ქართლის გადამა-  
რჩენად. „მხოლოდ ქვეყანაზე ზრუნავდა, სხვა  
ყველაფერი არაა მიანდა, და ქვეყანას რომ  
დასჭირებოდა, ერთს არ შეუყოფანდებოდა, ისე  
გავწირავდა დაუფიქრებლად და დაუეთხოვავდა,  
თითქმის სიცოცხლე მისგან ვკონდა ნაბოძა-  
რი“. ბექას შემუდლი უყვანდა დაიბოძა, შოლა-  
ლდის ნიღაბიც მოიჭროს, რადღენ მწარტე არ  
უნდა იყოს იმის შეგნება, რომ ერთ მშვენიერ  
დღეს შეიძლება სრულიად უსახელოდ დაიღუ-  
პოს და მშობელი ქვეყნისა და ერისათვის სა-  
მუდამოდ მოალატედ დაჩრქვს. ზებულონი კი  
ხსნის მხოლოდ ერთ გზას იცნობს — ბრძო-  
ლას. ბექა უფრო მოქნილია და შორს იყურე-  
ლას: „ზოგჯერ გამკლავებამზე უფრო მეტად გა-  
დაჩრქენა საჭირო, — ეუბნება იგი ზებულონს,  
— ქართლი განა მიწაა ქართლი ხალხია. ხალ-  
ხს თუ აღარ იქნა, ცარიელ მიწას ზვალ ევებ  
საარსებო დაფრქვას. ეხლა მორჩილება საჭი-  
რო. როდემდე, არ ვიცი“.

ეს არც თავის მართლებია, არც ბრმა მორ-  
ჩილება და არც შეგუების სამარცხენო სურ-  
ვილი. ბექა ამოღებურის მორჩილება დიდი კვი-  
ქუბილის წინ ჩამოვარდნილ დუმილს წააგავს.  
იგი ფრთხილად, დიდი ოსტატობით ქსოვს შე-  
თქმულების ბადეს, რომელშიც ისკანდერ-ხანი  
უნდა გააბას და სამშობლოს ტახტს ღირსეული

შევიკიდრე — მანუჩარ ბატონიშვილი დაუბრუნოს. ამ შეთქმულებას მომზადებას კი ბევრია რამ ეწიარება. მათ შორის ნესტანისა და ზებულონის ტრაგიკული სიყვარულიც. „კაცო რომ იხადება მარტო თავისთვის არ იხადება“ — ეს არის ბექას სამოქმედო პრინციპი და იგი სხვებსაც აიძულებს, რომ ამ პრინციპით იცხოვრონ. ხოლო „ზებულონი, ჩანს, მარტო სხვათათვის იაიხადება, რადგან თავისი ყველაფერი წააგოს“.

უცნაურ დროში ცხოვრობენ ზებულონი და ბექა. საქართველოს ისტორიამ იყოს მავალთები, როდესაც ქართველი შეთქმულები ქვეყნის ათავისუფლებდნენ, სახალხო გმირებად ქვეყნელები კი სიკვდილით ისჯებოდნენ. ისამაინის დიდ მოედანზე მოქვეყნეს თავი ენამოსწრებულსა და პოლიტიკური ინტრიგების დიდოსტატს, ბექა ამილახვარსაც.

ამდენი რამ ეწიარება ქ. ქარჩხაძის მოთბრობებში ამ დროებით გამარჯვებებსა და საქართველოს ჩამოვარდნად დროებით ხიშვიდებს, რომ უნებლედ ეტყუა კი ჩნდება: ამართლებს თუ არა მიღწეული მიზანი ამდენ მსხვერპლებს? „დიდი ამბები დატრიალდა ქართლში. დიდი ამბები დატრიალდა ზებულონის ვულშოც და არაფერ უწყის, ამ ამბებთაგან რომელი უფრო დიდი იყო“.

ზებულონის ცუკლის („ზებულონი: შურისძიება. სიყვარული. სიკვდილი“) უდავო ღირსება იხიცი, რომ იგი არა მარტო ქვეყნის, არამედ პიროვნების ათავისუფლებაც მოვლითობროს. ქვეყნის უბედურება სწორედ იმაშია ჩანს, რომ პიროვნებას ათავისუფალი არჩევანი ვერ გაუძლეობია. ზებულონს მიიღი ცხოვრება მწიგნობრობა იზიდავდა, მაგრამ ხმლის ტრიალში გალია ცხოვრება და იხე მოკვდა, რომ წერაკილხა ვერ ისწავლა.

საშინელია რეალობა. სადაც არც ერთ ოცნებას ასრულება არ უწერია. ზებულონი ერთხელ მართლაც იდგა ბედნიერების კართან, მაგრამ იგი ზღაპრის გმირი არ იყო, რომ უკუდაფერი ბედნიერი სიყვარულით დამთავრებულყო. მისი სიყვარულის ამბავი შემადარწუნებელი ტკივილით დამთავრდა. მოთბრობის — „ზებულონის სიყვარული“ — ფინალური სცენა სიკვდილად დაკონურა, მაფერი და ემოციურად დაძულებული ფრანგებით არის აგებული.

გამოქცეულმა ზებულონმა და ნესტანმა და მათ დასაბრუნებლად გამოდევნებულმა ბექამ ამილახვარმა სადავო, დაბურულ ტყეში, მიუვალ ტაძარში უნდა გადაწყვიტონ: დაბრუნდება ნესტანი და ქართლის გამამადაინებულ მეფეს — ესკანდერ-ხანს გაპყვება ცოლად, თუ ბექა გააპარებს შეყვარებულებს და ქართლს კიდევ ერთხელ აოხრდება გამამანავარებული ესკანდერ-ხანის ბრძანებით. არჩევანის შესაძლებლობა ფაქტიურად მოჩვენებითია. სამივემ კა-

რდად იყოს, რომ ქართველთა ზაფხულები ხაზგანეწევი ვერ ააგებენ: საკუთარ ბედნიერებას (ქალკაცი ქვრ სიყვარულშიც არ გამოტყდომიან) ითმანენას).

აი, სწორედ ასეთი უაღრესად დამაბული და დრამატული სცენის დროს შედავდება ქ. ქარჩხაძის მწერლური ოსტატობა.

დავით აღმაშენებლის განსაკუთრებულ ღვაწლს ქართული სახელმწიფოს ისტორიაში ილია ხედავდა მეფის დიდებულებოვნებაშიც.

ერთი მხრივ, მას უყვარდა თავისი ეროვნება და მართლმადიდებლური სარწმუნოება, რომლის წარმატებისთვისაც დღენიადავ ზრუნავდა და ამათიანევე დიდი პატივისცემით ეცემოდა სხვათა ეროვნებასა და სარწმუნოებასაც.

ი. ჭავჭავაძე აღფრთოვანებული იყო იმით, რომ დავით აღმაშენებელმა შესძლო უცხო სარწმუნოებისა და ეროვნების ხალხებთან ურთიერთობაში იმგვარი წესრიგი შეეტანა, რომ მათი დიდი პატივისცემა დაიშასკრა. ილიას თქმით, „ამისთანა სხვა ერის ღირებების თაყვანისმცემელი იმ დროსა, როცა კაცს კაცს ეხსებებოდა ანა შოგავადა, ამისთანა კაცთმყოფარული პატივისცემა სხვა ეროვნებისა, სხვის სარწმუნოებისა, ნუთუ საკვირველი და საოცარი შავალით არ არის მეთორმეტე საუკუნის კაცისაგან!“

მეტი-და დიდ-ბუნებოვნება მოეთხოვება განა მეთორმეტე საუკუნის კაცს მაშინ, როცა დღეს, მეტყბარამეტე საუკუნის დასასრულს, საკვირველმადა მიგვანჩია გლადსტონი, რომ ირლანდიის ეროვნებას და სარწმუნოებას ესარჩლება იმავე კაცთმყოფარობით, რა კაცთმყოფარობითაც დავით აღმაშენებელი სხვა ერს პატივს სცემდა“ (ტ. 4, გვ. 181).

დავით აღმაშენებლის საშინაო პოლიტიკის ამგვარი ნიშანტულების შემჩნევა ილიას მიერ, როგორი გათანამედროვებული სახითაც არ უნდა წარმოედგინა მას იგი, ახალ საფეხურს ქმნიდა ქართულ საისტორიო აზროვნებაში, სადაც სწორედ ილიას შემდეგ იწყება დავითის ტოლერანტული სარწმუნოებრივი და საეროვნებათაშორისი პოლიტიკის კვლევა და მასზე აქცენტობება.

ილია ვრცლად ახასიათებდა თამარის ეპოქის საქართველოს პოლიტიკურ ვითარებასაც. მან რეალისტურად გააგო ამ ეპოქის საქართველოს სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის არსი. მას შემდეგ, რაც სომხეთი შეიმისლა — წერდა ილია — სამხრეთი ჩვენი ღია დარჩა მტერთათვის შესამუსსრავად. ამიტომ, უყვლა მიფე, ვინც მოწოდების სიმაღლეზე იდგა, ცდილობდა სამხრეთის საზღვრების მოწესრიგებას, მისს, რაც შეიძლება უფრო ხაზრტოში ვადატანას და ამით საკუთარი ქვეყნის უშიშროების უზრუნველყოფას. უყვლა მათგანს ცდილობდა „ჩვენი მიქნა სამხრეთისა საქართველოზედ შორს გაედგა მოსვენებისა და უშიშროებისათვის, ან მტრისათვის ისეთი ზარი დაეცა, რომ დიდხანს აღარა შემოებდინარა საქართველოსათვის. ეს იყო პოლიტიკური საჭიროება, რომელიც ეთავადებებოდა ჩვენს მშვიდობით ყოფნასა და არსებობას“ (ტ. 4, გვ. 87).

ილიას აზრით, ამგვარი პოლიტიკური კურსის გამომატკლებია იყო არა მარტო კარბს დაშქრობა, რომელიც 1266-8 წწ. მოეწყო ქა-

რთველთა მიერ, არამედ, შამქორის ომსაც განქისაკენ ესევე აზრი ჰქონდა და საჭიროება, ამ მხრით ვალაშქრება და განუდგა ჩვენი — დიდი ხანია ერის უპირველესს საქმეს შეადგენდა ჩვენი ისტორიისას. განა სულელიბი იყვნენ დავით აღმაშენებელი და მისი შემდგომნი თამარადე და თამარის შემდეგ სხვა მიფენიც, რომ სულ აქეთ იწყედნენ საომრად? ქართველებს ამ მხრით გაზავრება რომ მოეწროთ, — ვინ იცის, — საქართველოს ბედი როგორ დატრიალებულიყო“ — (ტ. 4, გვ. 87-88).

ილიას ეს გამოხატუებები ვეჩვენებენ, რომ მას ხავხებით სწორად ესმოდა XII ს. და XIII ს. ბოლო პირველი მეოთხედების საქართველოს საგარეო ომების მნიშვნელობა, ის, რომ ამ აქტებით ხდებოდა ქვეყნის სამხრეთი და სამხრეთ-აღმოსავლეთი საზღვრების გაფართოება პოლიტიკური ჰეგემონობის დამუარებას მიზნით. თანამედროვე ქართულმა ისტორიოგრაფიამ ამ ასექტს მხოლოდ ის დებულებადა შესძინა, რომ თამარის ეპოქის ქართველთა ომებში ამოიკვეთა ცენტრალური შინაარსი — ომების მიზანი იყო საქართველოს ვაბატონება სამხრეთ კავკასიისა და ახლო აღმოსავლეთის სავაჭრო შავსტრატლებზე (ნ. ბერძენიშვილი, ვ. ვაბაშვილი...).

დებულებათა ამავე წყებაშია ი. ჭავჭავაძის მიერ შენახსენავად გაგებული ის აზრი, თუ რა უარყოფითი როლი შეასრულა საქართველოს პოლიტიკური ცხოვრებისათვის სომხური სახელმწიფოებრიობის მოშლამ, რაც, ცნობილია, XI ს-დან დაიწყო. ი. ჭავჭავაძე წერდა: „...წინააღმდეგ საქართველოს უძღვრება დაიწყო იმ უბედურ დღეთაგან, როცა-კი პარქვე დაემხო სომხეთი — ეგ ჩვენი წინააღმდეგი ზღუდე სამხრეთით. ჩვენ ჩრდილოეთით ვინახავდით სომხეთს და სომხები ჩვენ ვინახავდნენ სამხრეთით. მას აქეთ, რაც ვაბტანე ვორგასლანსა ჩრდილოეთით უშიშარ და უზრუნველყო მამინდელი საქართველო, მთელი ჩვენი ისტორია მიიშარა იმაზე, რომ სამხრეთით გაგვევავრებინა ჩვენი თავი. მანამ სომხეთი იყო, საქართველოს რომ თათრობა მოეცოდა, ქარ სომხეთი უნდა გადმოეღება. ამიტომაც ჩვენნი უდიდესნი მეფენი და სამეფოს კაცნი არაფერს არა შოგავდნენ, რომ ეშველნათ სომხეთისათვის, როცა-კი გაუქიერდებოდათ. სამწუხაროდ, ზოგიერთს ჩვენს მეფეებს არ ესმოდათ-რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქართველეთისათვის სომხეთის არსებობას. დაეცა სომხეთი და სამხრეთის კარი ღია დარჩა საქართველოში შემოსასევად. თუმცა სომხეთის დაეცემის შემდეგ მთელი თითქმის შვიდი საუკუნე კიდევ მაინც გაუფქვლით თათქარ ჩვენზე ძლიერს მტრებსა, მაგრამ მთელი ჩვენი ისტორიული დღენი მოედლებთ და შევადიეთ სამ-

ხრეთის კარის დაკეტას და ვერა გავაწუთო-  
რა“ (ტ. 8, გვ. 193-194).

XIII ს. თამარის შემდგომი ხანა, ილიას წა-  
რმოადგენით, საქართველოს ისტორიის დიდი  
ძნელბედობის ხანაა, ვინაიდან ამ დროს დამ-  
ყარდა თათარ-მონღოლთა გამაჩანაგებელი ბა-  
ტრიონობა. ქვეყანამ დაჰყარა პოლიტიკური და-  
შორუადებლობა. იგი ეყონოშეყრი და მორა-  
ღური გამარტახების გზას დაადგა.

ილიას, ცხადია, უველა ქართველითა აინ-  
ტერესებდა გავაზრებინა, თუ როგორ და რა  
ძალით შეძლო შაიყ ამ ხანებში არსებობის  
შენარჩუნება დამორყეადებლობადეარგულმა სა-  
ქართველომ, რომელიც მონღოლ დამპყრობთა  
ტერორისტულ ჩაგვრაში მოიქცა.

ამ კითხვაზე თავისებური პასუხი აქვს გაცე-  
მული ილიას თავის ადრინდელ პოემაში „მეფე  
დომიტრი თავდადებულნი“, რომლის სიუჟეტური  
ქარაყ ავტორმა აღო XIV ს. ანონიმი ქართ-  
ველი ავტორის, ფაშთაადმწერლის, თხზულები-  
დან, სადაც ვრცელადაა გადმოცემული საქართ-  
ველოს მეფის დომიტრი II (1271-1289) მოღ-  
ვაწეობის და სამშობლოსათვის თავდადების ამ-  
ბავი.

დომიტრი II ფრთხილ, რეალისტურ პოლი-  
ტიკას ატარებდა, გარეგნულად ესაქმებოდა კი-  
დედაც მონღოლებს შათი კეთილგანწყობილე-  
ბას მოსპოვებლად, რათა საკუთარი ტახტისა  
და ქვეყნისათვის მშვიდობა უზრუნველყო.  
მაგრამ დამპყრობლის წყალობა არასოდეს მუ-  
დმივი არაა და იგი პოლიტიკური ვითარების  
შესაბამისად ხშირად იცვლება კიდედაც. ასე  
მოხდა ახლაც, 1289 წ., როცა უაღრესად  
დომიტრი მეფეს დასწამა მის საწინააღმდეგო  
ღალატში გარეჯა და თავის სამართლებლად  
ურდოში დაიბარა.

ამასთან დაკავშირებით საქართველოს სამე-  
ფო კარზე შედგა თათბირი, რომლის მონაწი-  
ლეებშიც მეფეს დუინებით ურჩიეს არ წა-  
სვლიყო მონღოლებთან, მთიულეთში გახიზ-  
ნულიყო და იქიდან თავდაცვითი ბრძოლა და-  
ეწყო, მაგრამ მეფემ ეს წინადადება უარყო,  
რადგანაც, მისი აზრით, მის ურდოში წუსულ-  
ედელობას მონღოლები საქართველოში მორაიგი  
შემოტრის საბაზად გამოაფენებდნენ. დომიტრი  
წავიდა ურდოში, სადაც მას მონღოლები ვანუ-  
კითხვად მოიქცნენ და 1289 წ. სიკვდილითაც  
დასაჯეს — თავი მოჰკვეთეს.

ფაშთაადმწერელი, რომელიც ფაქტებს ქრის-  
ტიანული მორალის შექმნე წარმოგვიჩენს, უდი-  
დესი სიმათითაა განწყობილი ქვეყნისათვის  
თავდადებული მეფისადმი, რომლის ღვაწლშობ,  
პარკელ რიგში, ხედავს „საბარების“ იმ ცნო-  
ბილი აზრის გამოხატულებას, რომ არაფერია  
იმაზე დიდი ბედნიერება, ვიდრე თავის დადუ-  
ბა მოყვასისათვის. ამასთანავე, ფაშთაადმწერე-  
ლი სტრაქიონსა და სტრაქიონს შუა დუინებით

უდილობს შეგვაგვებინოს ის კანონწმირება,  
რაც მისი კონცეფციით, მონღოლთა მიერ და-  
პყრობილ ქართველებს უმძიმეს პოლიტიკურ  
და მორალურ ვითარებაშიც კი აძლებინებდა.

ისტორიკოსი ამ საკითხზე იმ აზრს გვიერ-  
გავს, რომ უადრესად მძიმე, კრიტიკულ პერი-  
ოდებს უფიციერებს შეუძლია იცოცხლოს და თავიც  
გაიტანოს, თუ მას ძალა შესწევს შეინარჩუნოს  
მორალური სიწმინდე და თავისი წრიდან წა-  
რმოშვას პარონებები, რომლებიც სულიერად  
განწმენდილები დაუპირისპირებდნენ უცხო,  
უხეშ ძალას, და, ამგვარად, მოხარბებენ ერის  
სამშვიდობოზე გაუყანას... ამ აზრით შემომ-  
ყავს ფაშთაადმწერელს თავის თხზულებაში  
ისეთი ისტორიული პერსონაჟები, როგორცაა  
ცოტნე დადიანი და დომიტრი თავდადებული,  
მორალური სიწმინდით უხვად შეშკული მოღვა-  
წეები, რომლებიც აღნიშნული თვისებების  
წყალობით ჭირში აძლებინებენ თავის ხალხს,  
სიყვითთ თრგუნავენ ბოროტებას და პოლიტი-  
კური ფაშთა სიავით გამოწვეულ ადამიანურ  
შურსა თუ გაუტანლობას.

სავსებით ბუნებრივი იყო, რომ ი. ქვეკვაძე,  
ქართველთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი-  
მოძრაობის მებრძოზე, თავისი ინტერესებიდან  
გამომდინარე, გვერდს ვერ აუვლოდა დომიტრი  
თავდადებულის წარშტაც პარონებას, რომელ-  
შიაც იგი ხედავდა ერისათვის თავდადებულ  
გმირს, ვის მაგალითსაც მხნეობა და სულიერი  
სიმტკიცე უნდა შეეშატებინა ახალი საქართ-  
ველოს შვილებისათვის. დომიტრი მეფის საქ-  
ციულის ფაშთაადმწერლისეული გავება ერთ-  
გვარად ეთხოვედა ეროვნულ გმირზე ილიას  
წარმოდგენასაც, რომლის თანახმადაც, ცარიზ-  
მის ბატონობის მძიმე პარობებშიც ქართველ-  
ების ეროვნული გადარჩენის ერთ-ერთი მთა-  
ვარი პარობა იყო ერთმანეთის გატანა და ერთ-  
მანეთისათვის თავდადებაც კი, ეს აუცილებე-  
ლი პარობა პატარა ერის სიცოცხლისათვის.  
ილია ხომ მუდამ იმ აზრისა იყო, მცირე ერმა,  
ამ შემთხვევაში ქართველობამ, საკუთარი არ-  
სებობის მიწინით ეროვნული გათიშულობა კი  
არ უნდა დაისახოს მიწინად, არამედ ვერთიან-  
ება.

ამავე თვალსაზრისის ეფუძნება ი. ქვეკვაძის  
ნარკვევი ლურასაბ II-ზე (ტ. 4, გვ. 184-188),  
რომლის თავგადასავალი ავტორის მიერ სამშო-  
ბლოს და სარწმუნოებისათვის სანიშნო თავ-  
დადებადაა შიჩნეული. ილია შენიშნავდა, რომ  
„მხოლოდ დიდ-ბუნებიათა კაცთა თვისებბაა  
ერთხელ რწმენილი და აღიარებული გაიხადონ  
თავის სიცოცხლის საგნად და მას ქვეშ დუ-  
გონ თავისი ცხოვრება, და თუ საჭიროება მო-  
ითხოვს, შესწირონ თავისი თავიცა ნიშნად  
იშისა, რომ ქვეშარტება შეტად უღირს, ვიდ-  
რე საკუთარი თავი და საკუთარი სიცოცხლე“  
(იქვე, გვ. 187).

ი. ჭავჭავაძის ისტორიოგრაფიულ ნაწარვეში უკველი ადგილი უკავია მის შეხედულებებს ისტორიული საქართველოს სამხრეთი მიწების, ანუ, როგორც XIX ს-ში წერდნენ, ოსმალთა საქართველოს, წარსულზე.

სამხრეთი მიწების პრობლემა მუდამ ადელეგებდა ქართულ ერს და მისადმი ნოსტალგია არასოდეს განელებოდა.

ქართველად ამ დიდი პრობლემის — სამხრეთი მიწების ქართულ სამუაროში დაბრუნების პრაქტიკულად განხორციელება შესაძლებელია ვახ-და მხოლოდ XIX ს-ში რუსეთისა და ამიერკავკასიის ხალხთა საერთო ძალით. ჭრ. 1828-1829 წწ. რუსეთ-თურქეთის ომის შედეგად რუსეთმა ოსმალეთს ჩამოართვა ახალციხის მხარე, 1877-1878 წწ. ომის შედეგად კი აჭარა, შავშეთი, კლარჯეთი, იმერხევი, კლდარ-ტანა და ოდიშისი, ოსმალთა შიერ წინა საუკუნეებში მიტაცებული ქართული მიწების დიდი ნაწილი, კვლავ დანარჩენ ქართულ ტერიტორიებთან, ერთ ბედში, აღმოჩნდა. დაჩქარდა მათი დანარჩენ ქართულ სამუაროსთან შერწყმისა და განვითარების პროცესი.

ქართველთა საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზრი დოცტრინულად განმარტავდა ამ აქტის უდიდეს ეროვნულ მნიშვნელობას. საამისოდ თავის სიტყვას ამზობდა ქართული ისტორიოგრაფიკი, რომელიც ქართველობას განუმარტავდა ოსმალთა საქართველოს ისტორიას, მის ადგილს და როლს საქართველოს ისტორიაში.

სამხრეთ საქართველოს მიწების ისტორიის საკითხს არაერთხელ შეხებია ილია ჭავჭავაძეც. ამ მხრივ აღსანიშნავია მისი წერილი „ოსმალთა საქართველო“, რომელიც პირველად 1877 წ. „ფურციაში“ გამოქვეყნდა და რომელშიც ნათლად ექნა განხილული „ოსმალთა საქართველოს“ თავგადასავალი, მისი ადგილი ქართველი ერის საერთო კულტურულ და პოლიტიკურ ისტორიაში.

ილია აღნიშნავდა რომ, ოსმალთა საქართველოს დიდი და სახელგანთა ღვაწლი მიუძღოდნენ იერი ერის ისტორიაში, დიდი შრომა გაუწევია, დიდი მსხვერპლი მოუტანია, მრავალი სისხლი დაუნთხევია ჩვენთან ერთად საქართველოს ერის თვით-არსებობისათვის (ტ. 4, გვ. 10-11).

ილია საგანგებოდ ჩერდებოდა ბავრაციონთა აღწევების ეპოქისდროინდელი სამხრეთის ქართული მიწების კულტურულ ვითარებაზე. იმ ეპოქიდან „უბლაც დარჩენილია მრავალი დიდ-მშვენიერი, თლილის ქვით ამოყვანილი და მხატვრობით შექმული ცუდისებები, იმ დროს აშენებული. იმავე დროს სამცხე-კლარჯეთის ქართველი მდიოდნენ საბერძნეთს სწავლის მისაღებად, ნაწილნი მოდიოდნენ უკანვე და ბუნდდნენ სწავლასა საქართველოს ხალხთა შორის. იმ დროს, როდესაც თბილისსა და ვარშემო ადგილებში მამადაიწიბის გავრცელებას

მეცადინეობდნენ... სამცხე-კლარჯეთის ქართველნი საღმრთო და საერო წიგნებს კრისტიალუხისას თარგმნიდნენ და კრისტიალობის განსტკიცებისათვის აწესებდნენ მონასტრებსა, რომლებშიც უმწველებისათვის სასწავლებელი მართავდნენ“ (იქვე, გვ. 12). ილიას მიხედვით, შუა საუკუნეების ქართული კულტურისა და მწერლობის უმთავრესი წარმომადგენლები, თვით სახელგანთი შოთა რუსთაველიც, მესხეთიდან იყვნენ. ეს მხარე ამარავებდა კულტურის მოვლადეობით დანარჩენ საქართველოს (იქვე, გვ. 11-12).

ი. ჭავჭავაძემ საგანგებოდ გადმოსცა მესხეთის მიწების პოლიტიკური თავგადასავალი საქართველოს ერთიანობის ეპოქაში, რის შემდეგაც, დაიწყო ოსმალეთის ბრძოლა სამცხე-საათაბაგოსათვის. დამპყრობელი აქტიურად ხდებოდა ქართულ კრისტიალობას და გვარტომობას. უველაფერს ამას ქართველობამ, ხანგრძლივი და შურთავარი წინააღმდეგობა გაუწია, მაგრამ 1828 წ. ბეჟა ათაბაგი იძულებული გახდა უარყოფო კრისტიალობა, ქართველობა, მიიღო ორ-თუღლიანი ფარობა-ოსმალთაგან სამცხე-საათაბაგოში, და სახელად დაიარქვა საფარ-ფაშა (იქვე, გვ. 12).

ბევრი თავად-აზნაური და გლეხი ვადმოიხვეწა მათ ქართლს, დანარჩენები კი აძულებინდა და დევნის ვითარებაში გამაშინდნენ. მათი მამაბაბული კრისტიალობა დამპყრობლებმა ძალით ჩააქრეს (იქვე).

სამხრეთის ქართული მიწების ისტორიის საკითხებიდან ილიას განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევდა ამ მხარის ეთნიკური თავგადასავალი, რაც ზოგაერთოა არმენისტულ შრომაში იმთავითვე დამაბინჭებულად შექცებოდა.

ილიას ეპოქის ქართული ეროვნულ-გამანთავისუფლებელი აზრისათვის სამხრეთ საქართველოს ეთნიკური თავგადასავლის პრობლემა ცალკე პოლიტიკური საკითხი იყო. ამიტომ, ი. ჭავჭავაძე დიდ ყურადღებას უთმობდა მას. კრიტიკულად შეაქამა რა საისტორიო წყაროების და ლიტერატურის მონაცემები, ი. ჭავჭავაძე შენიშნავდა, რომ ძველთაგანვე გოროხის ბეჟა „შეადგენდა ნაწილს შემოქართლისას, საცა ბოლო ხენებში სამცხე-საათაბაგო იყო“.

ი. ჭავჭავაძის საისტორიო ნაწარვეში სთაინადოდ გამოიყოფა მისი შეხედულება ფეოდალური საქართველოს ერთიანობაზე (XI-XV სს.). თავის დროს ეს ერთიანობა იყო ფეოდალურ ურთიერთობათა (სოციალური წყობის, კლასთა ბრძოლის, ეკონომიკისა და კულტურის, პოლიტიკური სტრუქტურის...) განვითარების შედეგად ამ პროცესის დასუსტებასა და მოშლას კი, XIII-XV სს. თანდათანობით მოხუცა ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური

დაქვეითება, რამაც გამოიწვია საქართველოს სოციალ-დემოკრატიული, პოლიტიკური და კულტურული დაქსქვა-დაჩინებლობა.

ფეოდალური საქართველოს დაშლის გამოწვევა მიზეზების ამგვარი გაზრება ქართულმა ისტორიოგრაფიამ მხოლოდ ჩვენ ეპოქაში შესძლო (ნ. ბერძენიშვილი).

თავის დროს ამ საკითხს ი. ჭავჭავაძეც შეეხო, რომელმაც, მისთვის დამახასიათებელი პუბლიცისტური სიღრმით, საქართველოს პოლიტიკური დაშლა XV ს-ში ქვეყნის უბედურებისა და გაპარტახების მიზეზად იიჩინა. „ჩვენი უბედურება მაშინ დაიწყო — ამოხდა ილია — როდესაც ჩვენი ქვეყანა დაირღვა და განაწილდა სამ სამეფოდ და ხუთ სამთავროდ. ამ დარღვევამ არამც თუ მარტო ერთობის კავშირი გასწვეტა ჩვენი სამეფოსა, არამედ საზოგადოებრივიცა, თვითონვე ჩვენგანი ერთმანეთს დაგვაშორა, ერთმანეთის გულის ტკივილსათვის გულად აგვიცურა, მოგვიღალა. მას დღეს აქეთ ვაიხარა ჩვენი ბედნიერების სამარგ. მას დღეს აქეთ თვითონვე დღე თითონ რასმე სკეთებს ხელიდან ვეცდითა. ეს საზარო უბედურება, რომელიც თანდათან უფრო და უფრო გვიქდებოდა სულსა და ზოგსა და გვხრწინდა თვითადი ფეხამდე, იგრძნენ მამინვე ჩვენმა მამა-პაპებმა და მათგან უკეთესებმა ზედ შეაკლეს თავი ჩვენ ქვეყანასა, რომ ერთობა ხელახლად ჩამოგვდოთ. ბევრმა სახელგანთქმა შეფიც დალია ამაზედ თავისი სიცოცხლი, ბევრმა თავგამოდებულმა მამულის-ველიცა დაანთხია ისტორიის სახელი, მაგრამ ვერცა ამდრამა და შიგანი უკეთურთა ზარკამ და ლაღვამ იმოღვნა ქაფა, სისხლის ღვრა, თავგანწირვა, ამაოდ ჩაუტარეს დარღვეულობით დაუძღურებულს ქვეყანასა და ესრეთ ზურგშეიკეცულს ბედს პირი ჩვენყენ ვეღარ აქწევინეს. თუ შეერთების ყოველამბხსნელი სურვილი თუყვა ვეღარ განახორციელეს, მაგრამ ანდერძად კი მისცე შერჩათ გულში ზოგიერთს ძველიაგან შთობილსა“ (ტ. 5, გვ. 75-74).

ილიას ეს სიტყვები თავისი შინაარსით ძალიან შთაშვებდავია. მან არსებითად განმარტა, თუ რა სავეფალო შედეგე ჰქონდა დაშლილობას ერთნულ ძალით ერთიანობისა და კონსერვაციისათვის. ამ თვალსაზრისით ილიას დაინტერესება, უმეტესად, ერთიანობაში მის პრაქტიკულ პოლიტიკურ შეზღუდვებებსა და ინტერესებსთან.

ერკლად შეიზო ი. ჭავჭავაძემ დაშლილობის ეპოქის საქართველოს პოლიტიკური ისტორიის საკითხებსაც.

მან ქართულ პიროვნებაში ერთ-ერთმა პირველმა გაამახვილა ყურადღება საქართველოს ისტორიის ისეთ პოპულარულ პიროვნებაზე, როგორც გიორგი სააკაძე. სინანულით შენიშნავდა ილია, გიორგი სააკაძის პიროვნება ის-

ტორიკოსთა მიერ სათანადოდ არააღ შესწავლილი და დაფასებული, ამიტომ, მისი აზრით, გიორგის პიროვნება მომავალში, პირუთქმული გამკითხველის მიერ უნდა იქნეს „სწავლეს“ (ტ. IV, გვ. 184).

ილია ეხებოდა გიორგი სააკაძის თანამედროვეებს, კერძოდ, მის ცოლისძმას, საქართველოს ისტორიაში კარგად ცნობილ ნუგზარ არაგვის ერისთავის; გიორგის დას, რომელიც ცოლად შეირთო ლუარსაბ II. ილიას აზრით, სწორედ ეს ფაქტი შეიქნა ქართლის შინაპოლიტიკური არეულობის მიზეზი, რადგანაც სააკაძეები უაზრო წარმოშობისა იყვნენ და მათი სახელშეიღის გადგომლენა გულზე ცეცხლად მოედინო დიდებულებს. დაიწყო გიორგი სააკაძისადმი მოშურნეობა ქართლის თავადები. სა, რომელთა შორისაც გამოირჩეოდა შარაიან (ასე უწოდებენ ილია შადიმანს) ბარათაშვილი. შურმა აძულა გიორგი სააკაძე სამშობლოს გასცლოდა და შეხზინდა შაჰაბას I-ს, რომელმაც შემდეგში სახელმწიფრო როლი შეასრულა ქართლისა და კახეთის მეფეების — ლუარსაბ II-ისა და თეიმურაზ I-ის წინააღმდეგ ბრძოლაში. (იქვე, გვ. 186).

აღსანიშნავია, რომ ქართულ ისტორიოგრაფიაში გიორგი სააკაძის პიროვნების ასე გამოკვეთილად წინ წამოწევა საერთოდ ილიას ეპოქის ქართული დემოკრატიული მიმართულების მოაზროვნეთა დამახასიათებელია, იმათი, ვინც ამათათვის მონად დაისახეს ხალხის წრიდან გამოსული გმირების შემოყვანა საქართველოს ისტორიულ პერსონაჟთა ვადურებაში, რათა ეწვენებინათ, რომ სწორედ ეს გმირები ქმნიდნენ პროგრესს ჩვენს ისტორიაში. ამგვარ იდეურ გარემოებაში შეიქმნა და გაერყელდა კიდევ გიორგი სააკაძის და მისი სახლის დაშლი სოციალური წარმოშობის ვერსია, რის მიხედვითაც ხსნიდნენ გიორგისა და ლუარსაბ II და თავადებს შორის წარმოშობილ კონფლიქტს, თუმცა, როგორც შემდეგში მცდნეორულმა კვლევამ აჩვენა, სინამდვილეში, თვით გიორგი და მისი სახლეკაცებიც, მათი ქართლის პოლიტიკურ არნაზე აღწევების ხანაში, თვითონვე თავადები, მსხვილი ფეოდალები იყვნენ.

გიორგი სააკაძის მიმართ კეთილდამოკიდებული თვალსაზრისი ამათათვე მკვეთრად დაუპირისპირდა ფეოდალური ქართული ისტორიოგრაფიის ტრადიციიდან მომდინარე ურყოფით შეზღუდვებებს ამ პიროვნებაზე.

ი. ჭავჭავაძის თვალსაზრისში გიორგი სააკაძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ, უმეტესად, სომხველოდაც თავისებური გაყენება მოახდინა საერთოდ ქართულ საისტორიო აზრზეც, რომელმაც ეს პიროვნება ქვეყნის პროგრესისათვის თავდადებულ მებრძოლად მიიჩნია.

ილიამ ვერკლად გადმოსცა თავისი თვალსაზრისი XVIII ს. საქართველოს პოლიტიკური ისტორიის

რის, კერძოდ, ვახტანგ VI-ის ეპოქის მოვლენებზე, რომელთაგანაც პირველ რაგში შედარებით ვრცლად ვახტანგისა და პეტრე I-ის ურთიერთობები განიხილა.

ილია მათითებდა, რომ შევეცაზე გამარჯვებისა და ნიშნების ზევის შემდეგ (1721 წ. 20 აგვისტო) პეტრე I-მა გადაწყვიტა სპარსეთზე გალაშქრება, რაშიც მას ქართველები და სომხებიც მიემხნენ. ლაშქრობის სახაზად პეტრემ გამოიყენა ლეკებისა და უაზი-ყუმუბელების თავდასხმა შამახანზე (ტ. წ. გვ. 144-145).

პეტრეს მხარეზე გამოსულ ქართველებს მეთაურობდა ვახტანგ VI. მას ჰყავდა 80 000 კაცი, რომლებიაც ლეკებზე გაილაშქრა და იბინი გააძევა, თანაც ვახტანგმა საქმე ისე მოაწყო, რომ სპარსელებმა იტყვიეს კი ვერ მიღეს მის საქციელზე და არწმუნეს, რომ იგი მხოლოდ ლეკების წინააღმდეგ იბრძოდა და არა პეტრესთან შესაერთებლად. ამის შემდეგ ვახტანგმა განაწესა დიხანაკა და ასტრახანიდან პეტრეს წამოსვლას ელოდა, მაგრამ გადაწყვიტ მომენტში პეტრე სხვა საქმიანობის გამო უნაწევად და იმედგაწყვეტად ვახტანგი აღიღებოდა ვახდა თბილისში გამობრუნებულად (იქვე, გვ. 145).

XVIII ს. საქართველოს ისტორიის ყველაზე დიდ ფაგურად ილიას მიაჩნდა ერეკლე II, რომელმაც სახელი გაითქვა მტრებზე გამარჯვებებით. მას ხარკს უხადებდნენ ერევანი და ვანა, სახანოები... ერეკლემ გაერთიანა ქართლის და კახეთის სამეფოები და ისეთ აქტიურ საგარეო პოლიტიკას ეწეოდა, რომ მას აზერბაიჯანის უწყვედნი შეზობელი დიდი სახელმწიფოები — ირანი და თურქეთიც კი (იქვე, გვ. 187) ამის დამატებლად ებრძოდა ის, რომ რუსეთმა ერეკლეს მოკავშირეობაც კი სთხოვა ოსმალეთის წინააღმდეგ 1705-1774 წწ. ომში (იქვე, გვ. 150). ილია ვრცლად გადმოსცემდა ამ ომში, რუსეთის გენერლის, წარმომხობით გერმანიის, ტოტლებინის ავანტიურისტულ საქმიანობას საქართველოში (იქვე, გვ. 150).

მოუხედავად ერეკლე II-ის წარმატებებისა, — ილიას წარმოედგინათ — საქართველო მაინც დაცვა და ამის მიწეზე იყო შინაფეოდალური აშლილობა და საგარეო პოლიტიკური ვართულებები, განსაკუთრებით ალა მამაღ-ხანის 1795 წ. ამახრებელი შემოღობვა (იქვე, გვ. 207-209).

ზუსტად და ფართო პროფესიული ცოდნით დახასიათა ი. ჭავჭავაძემ XVIII ს. მეორე ნახევრის საქართველოს მეზობელი დიდი სახელმწიფოების — რუსეთის, ირანისა და ოსმალეთის ინტერესები კავკასიაში, უჩვენა მათი ურთიერთობის რეალური მიწეში, ის, რომ კავკასიის მშვეობით მათ შვირე აზიასა და მეზობელ რეგიონებში ვახტანგობა სურდათ (ტ. 4, გვ. 204).

ამ ვითარებაში, აღნიშნავდა ილია, საქართველოს გამუდმებით უხდებოდა თავდაცვითი ბრძოლა ირან-ოსმალეთთან, რაშიც მისი დიდი და დაზიანების ზევისა ქვეყანა, მისი მთელი მთლიანობა იყო შეინარჩუნა რჩული, ენა და ეროვნული მემობა და, როცა რუსეთი ჩად, კავკასიას მოუხდოდა, ქართველობამ მასთან დაახლოება დაიწყო (იქვე). ილიას სიტყვით, „ალა-მამაღ-ხანის მოხვევა და თავდასხმა 1795 წელს — „რუსეთთან საუბრის“ გამართვამ გამოიწვია და ოსმალეთ ამ მიწეზე თავს გამოგვადენა, და ერთად და მეორედ, თუმცა ცალ-ცალკე — კი, უფრო მეტის მშენებარებით მოგვცნია“ (იქვე, გვ. 209).

ნათელია, რომ „რუსეთთან საუბრად“ ილია ჭავჭავაძის მიაჩნდა რუსეთ-საქართველოს პოლიტიკურ ურთიერთობათა გაღრმავება, 1788 წ. გეორგიევსკის ტრაქტატის დადებით რომ დასრულდა.

ერეკლე II შემდეგ, აღნიშნავდა ი. ჭავჭავაძე, ქართლ-კახეთის გააზრება „გულყეთილი, მაგრამ სუსტი მხელ ვიარგის“ (ტ. ი. გიორგი XII), რომელმაც უაღრესად რთულ საგარეო და საშინაო ვითარებაში მოუხდა მმართველობა. ქვეყანას შიგნიდან ღრღინადა ერეკლეს ჭეივის დარქვანისა და ბატონიშვილების ტახტისათვის ბრძოლა, შვიი ჭირის ეიღეშია, ვარდლან კი სპარსეთის მმართველის ბაზა-ხანისა და ოსმალეთის არაკეთილმოსურნეობა. ასეთ ვითარებაში გიორგის წინაშე დადგა საკიობი საბოლოოდ აერჩია ან სპარსეთი ან ოსმალეთი ან რუსეთი. და აი ვიარგა XII საშველად და მფარველად ერთმორწმუნე რუსეთი აირჩია, მის მშვეურებთან გააგრძელა ერეკლე II მიერ დაწყებული საქმე. ი. ჭავჭავაძის ვრცლად ჭქონდა დახასიათებული ვარსკვანე ჭავჭავაძის, რუსეთში ქართლ-კახეთის ელისი, ურთიერთობა პავლე I-თან, გიორგი XII თხოვნა რუსთ ხელმწიფისადმი საშველად და მხარეობა აღმოეჩინა მისთვის და ბოლოს რუსეთის ქარების მოხელა ტფილისში.

ი. ჭავჭავაძის საისტორიო შეხედულებათა წყებაში უაღრესად საინტერესოა საქართველოს რუსეთთან შეერთების მნიშვნელობის მისეული ინტერპრეტაცია, რომელშიც განსაკუთრებული რელიეფით გამოჩნდა დიდი ქართველი მოაზროვნის ფართო პროგრესული პოლიტიკური და მცენარული თვალსაწიერი.

ქართველობას დაუდგა ხანგრძლივად, საუკუნეებში ნანატრი პოლიტიკური სიმშვიდე. ქვეყანამ მოსივნა და მოსენდა. დასრულდა ირანულ-ოსმალურ-დაღესტნელთა და აღმოსავლეთ ამიერკავკასიის სახანოების განუწყვეტბელი თარეში ქართველთა მიწეზე. ქართველობა დიდი ენთუზიაზმით მომარწილებოდა რუსეთ-ირანის 1828-28 და რუსეთ-თურქეთის 1828-1829 წწ. ომებში, მათში გამარჯვებებით სპ-

კუთარ ისტორიულ შტრებზე ჯაყრის ამოყრას და ძველი ქართული მიწების გამოხსნას აპირებდა. ერთიც და მეორეც ნაწილობრივ რეალობად იქცა, როცა თურქეთის სამცხე-ჯავახეთის მიწები ჩამოერთვა.

ახლა რუსეთის გზით ხდებოდა შესაძლებელი ქართველთა მიერ ევროპულ ცივილიზაციასთან გაწვეტილი კონტაქტის აღდგენა.

უკვე XIX ს. შუა ხანებიდან ამ მოვლენათა ფონზე, ქართველთა შორისმეურთველი და ობიექტურად მოაზროვნე თავიკები აშკარად დადებითად აფასებდნენ რუსეთის როლს საქართველოს ბედ-იღბლის საქიზში და სამომავლოდაც იღებდნენ, ქართველებისთვის რუსეთის სახელმწიფოს შემადგენლობაში ყოფნა მათი არსებობის ერთადერთ ყველაზე გონიერულ ფორმად შიანდეთ.

ეს იყო არა ეროვნული ინტერესების დალატზე აღმოცენებული, არამედ საკუთარი ერის პოტენციალის და გარემო პოლიტიკურ ძალით განლაგების რეალისტურ შეფასებაზე დაფუძნებული თვალსაზრისი.

მოვლენათა ამგვარი დაანგარიშება და შეფასება სრულიად არ გულისხმობდა რაიმე ილუზიებს ცარიზმის მიმართ, რომელსაც სუბიექტურად არავითარი პროგრესული მიზნები არ გააჩნდა კავკასიის და სხვა დაპრობილი ზღვების, კერძოდ, ქართველობის მიმართ, მაგრამ მომავალი განვითარებისთვის იმ ხანებში რომ მხოლოდ რუსეთის შემადგენლობაში ყოფნა იყო ყველაზე მეტად გამართლებული და სხვა უკეთესი ძალა რეალურად არ ჩანდა, ამას პროგრესულად მოაზროვნე ქართველები კარგად ხედებოდნენ.

ამ საფუძველზე მიიჩნია დადებით მოვლენად რუსეთის როლი ჭერ კიდევ ნ. ბარათაშვილმა. მან ყოველმხრივ გაამართლა ერეკლე II რუსეთზე აღებული პოლიტიკური ორიენტაცია, რომლის შედეგიც დაინახა მშვიდობის, ევროპული კულტურის გავრცელებაში.

ასევე დადებითად აფასებდა რუსეთის როლს საქართველოს ისტორიაში ილია ჭავჭავაძე, რომელიც ვულფანგერბით წერდა, რომ „იმ ღირსსახოვარი დღიდან (როცა ქართულ-კახეთის ქვეყანა რუსეთის იმპერიაში მოექცა, შ. ბ.) საქართველომ მშვიდობიანობა მოიპოვა. შიში მტრისა ერთმორწმუნე ერის მფარველობამ გაუფანტა. დაშვიდდა დიდი ხნის დაუშვილებელი, დაღლილი ქვეყანა, დაწუნარდა აკ-

ლებისა და აობრებისაგან, დასცხრა ოშია და ბრძოლისაგან. დადუმდა უღერა ზღლისა და მახვილისა, მტრის ზელით მოღერებულისა-ჩვენზე და ჩვენს ცოლშვილზე, ვაჟკა-ცემსა, არა მელიც სწავდა და მხუგავდა ჩვენს მამა-პაპათა ბინას, ჩვენს საცხოვრებელს, გათავდარბევა და აკლება, მთეცა წარსულს და მარტო საშინელ და შეშამრწუნებელ სახსოვრად-და დავკრჩა. დაუდგა ახალი ხანა, ხანა მოსვენებულის, უშიშარის ცხოვრებისა, სახლდანთხუელ და ქრისტეს ჭერისათვის ჭვარცმულ საქართველოს... დაიდგა საზღვარი მშვიდობისმყოფელ ცხოვრებისა“ (ტ., 4, 216-217).

ეს აზრი ილიას აპირებდელ გამოუთქვამს სხვა დროსაც. თავის ნაწერებში, თუ საქარო გამოსვლებში.

საქართველოს ისტორიაში რუსეთის მფლობელობის დამყარების ისტორიული მნიშვნელობის ანალიზიურ შეფასებას იძლეოდნენ ილიას თანამედროვე სხვა თერგდალეულებიც (ნ. ნიკოლაძე, ი. გოგებაშვილი...), მაგრამ ილიას აზრები რუსეთის როლზე საქართველოს ისტორიაში მარტო ზემონათქვამით არ ამოიწურება. სხვა თერგდალეულთა მსგავსად, ილია, რუსეთის დადებით როლთან ერთად, შესანიშნავად ხედავდა ამ უარყოფით მოვლენებსაც, რაც ქართველთა ეროვნული განვითარებისთვის მოჰქონდა ცარიზმის პოლიტიკას. ეს პოლიტიკა დაუნდობლად სპობდა ქართველთა სახელმწიფოებრიობის ნიშნებს, ავიწროებდა მის ენას, სოციალურად და ეკონომიკურად ჩაგრავდა მას. ცარიზმის ამგვარი საქმიანობა განსაკუთრებით ვაძლიერდა XIX ს. 80-იანი წლებიდან, როცა რეაქციამ რუსეთშიაც იჩინა თავი. ილია პრინციპულად ილაშქრებდა ცარიზმის ამ საშიში კურსის წინააღმდეგ.

ქართველთა მოკავშირედ ილიას, ცხადია, რუსეთის პროგრესული საზოგადოებრიობაც მიიჩნდა, რომელიც თვითონაც ებრძოდა ცარიზმის რეაქციულ პოლიტიკას... მაგრამ ილია პრინციპულად აფრთხილებდა თანამედროვეებს, რომ არც ერთი საზოგადოებრივი იდეალი რუსული ან სხვა პოლიტიკური მოძრაობისა ბრძადა არ უნდა ყოფილიყო ვადმოღებულო, რომ საქარო იყო ყოველთვის იმის გათვალისწინება, თუ რას მოუტანდა ესა თუ ის მოძვერება ქართველთა ეროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლას...

## „ნინოს ცხოვრების“ ვრცელი რედაქციის ატრიბუცია

ქართული მაგიოგრაფიული თხზულებების კვლევისას სპეციალისტები ყოველთვის ურადღებით ეყიდებიან ატრიბუციის პრობლემას, რაც საეხებით გასაგებია. ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიაში ამ ძეგლებისათვის ადგილის გამოჩვენება თუ მათი წყაროთშეცდენობითი შეფასებისათვის, ავტორის ვინაობის გამორკვევას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს.

წინამდებარე წერილში მაგიოგრაფიული თხზულების — „მოქცევა ქართლისაჲში“ წარმოდგენილი „ნინოს ცხოვრების“ ორი რედაქციიდან ერთ-ერთის, კერძოდ, ვრცელის — ატრიბუციას ისახავს მიზნად. აღნიშნული ძეგლის ავტორი უცნობია. მიუხედავად ამისა, მისი ვინაობის პრობლემა ქართველოლოგიაში სპეციალური კვლევის საგანი არ ყოფილა. ფაქტობრივად იგი არც დასმულა, რადგან, თვით თხზულების ხასიათის შეფასებიდან გამომდინარე, შეკვლევარები ძიებებს ამ მიმართულებით უბერსექტივოდ მიიჩნევენ.

საქმე ის არის, რომ ვრცელ „ნინოს ცხოვრებას“ მოგონებათა კრებულის სახე აქვს. ნინოს ბიოგრაფიის სხვადასხვა მომენტს იგონებენ თვით ნინო და მისი მოწაფეები თუ თანამოღვაწენი (ებრაელი ქალი სიდონა, მამამისი აბათარი, საბერძნეთიდან ჩამოსული მღვდელი იაკობი, მეფე შირიანი). სწორედ ამიტომ ჩაითვალა ავტორის დასახელება ლოგიკურად შეუძლებლად: „წა ნინოს ცა უსახელო წაწარმოება: შემთხვევლის სახელი აღნიშნული არ არის. შეუძლებელიც იყო, რომ ავტორი დასახელებული ყოფილიყო, რადგან თვით თხზულება წა ნინოს ანდერძია, მისივე ნაამბობი სიტყვა-სიტყვით ჩაწერილია“... (ივ. ჯავახიშვილი).

ვრცელ „ნინოს ცხოვრებაში“, როგორც წესი, ყველა ფაქტს თავისი მხოლოედი და მთხრობელი ჰყავს. ერთადერთ გამონაკლისს წარმოადგენს შესავალი, რომლითაც იხსნება კრებული. აქ აღწერილი მოვლენების გადმოშეცემა პიროვნება დასახელებული არაა.

კრებულის ვაგებობათვის ეს ნაწილი უმნიშვნელოვანებია. სწორედ აქედან ვიცით, რომ ჩვენს ბელთ არსებული ძეგლი ქართველთა განმანათლებლის შესახებ თვითმხილველთა მოგონებების ჩანაწერების კრებულაა. ქართლის ისტორიაში ნინოს როლის დაკონურად განაზღვრის შემდეგ („წმიდამან და სანატრელმან დედუფალმან ნინო, რომელი გუეკმნა მახარებელ გულთა ჩუენთა და მღბინებელ სულთა და კორცთა ჩუენთა, ვითარ განიშორა ერთი ესე სამეფოთა ქუეყანაჲ ჩრდილოთაჲსა, მცხეთისა მეფეთა სამეფოთა, არწმუნა ყოველთა აღსარებაჲ მამისა და ძისა და წმიდისა სულთაჲსა, ნათლის-ღებითა მოსლეთა ქრისტესი და შობაჲ წმიდისაგან ქალწულისა. ნათლის-ღებამა და სიყვდილი ქრისტესი და აღდგომაჲ მუდგრეთით, შემდგომად სიყვდილისა უკუდავებამა და ცხორებამა, მორიდელ მოსლეთა ძისა დემეტრისაჲსა ქუეყნად. მართალთა ცხოვრება და მოდილთა შურისგებაჲ, რამეთუ მისა არს სუფევამა უყნითი უყუნისამედ და მერმეცა, ამე“...), აქ ურადღებია აქვს მიქცეული იმ ხალხმრავალ თავურილობას, რომელიც სასიკვდილოდ დასწელებულ ნინოსთან გამოსახობურად შემდგარა დაბა ბოდში („ვითარ მოიწია ქუეყანასა ქცოეთისასა, დაბასა ბუდს, დასწეულდა სწელებითა მით, რომლითაცა მოცაკუდა მამინ შუკრებს მეფენი ქუეყანისანი და მთავარნი დედებითურთ და სიშრავლეს ერთა ძლიერთაჲ, რამეთუ მხედვრთა ყოველი კაცი პი-

ახა ნინოსა ვითარცა ზეცისა ანგელოზისა...  
 სა. დასუეთოდეს მცირესა მას და ძუელსა ხა.  
 შოსელსა მისსა მოხუფეთა საწმუნოვებით და  
 იძულებით). ამ დროს უთხოვით ნინოსათვის  
 („ეტუოდეს დედოფალი სალომე უფარპელი და  
 პეროფავრის სივნიელი, მათ თანა ყოველი მთა-  
 ვარნი ჰქითხვიდეს“) მოუთხრო თვისი ცხოვ-  
 რების შესახებ. ნინოს ნამშობო ჩაუწერათ სა-  
 ლომესა და პეროფავრს.

როგორც ვხედავთ, შესავალი კრებულის გა-  
 საღებია. იგი აშკარად სხვა არაფერია თუ არა  
 ავტორის მოგონება, შემდგენლის წინაშეა.  
 თხულებმა ავტორის წარმომადგენლობის  
 («авторское присутствие», «writer intru-  
 sion») მაჩვენებელია რემარკების იმის შე-  
 სახებ, თუ ვინ წარმოთქვა ესა თუ ის სიტყვა,  
 ან ვისი ჩანაწერია იგი („აღწერილი მისვე სა-  
 ლომე უფარპელისაა“; „რომელი აღწერა დე-  
 დაკემან ჰურიაჰან, სახელით სიდონია, ასუ-  
 ლმან აზიათარ მდდელისაჰან“; თქმული მო-  
 სივე“ და ა. შ.). ამგვარ მითითებებს. როგორც  
 ცალკეულ თავთა სათაურებს, გზადგა ვხედე-  
 ბით თხულებმაში. ამგვარად, საპირისპიროდ  
 გავრცელებული თვალსაზრისისა ავტორისეული  
 საწუისა ვრცელ „ნინოს ცხოვრებაში“ თვალ-  
 საჩინოდაა წამოწეული.

როგორც ითქვა, განსაზღვრულ ძველში ყო-  
 ველ ფაქტს მობრობელი ჰუჯს, ყველა მობრო-  
 ბელის სახელი კი აღნიშნულია. ამგვარი „დო-  
 კუმენტურობის“ მიზნი გასაგებია: წყაროს  
 ზუსტი დასახელება ცნობებს შეტ დაშაქრებ-  
 ლობას ანიჭებს. ყველაზე გადამწვევტი მარტი-  
 ვეულ სახუთთა მთელ სისტემაში არის შესა-  
 ვაღნი მობრობელი მხალის სანდოობის ჩვენება.  
 ყველა დაწარჩენი მობრობელის ნათქვამს მკი-  
 თხველი საწმუნოდ მიიჩნევს მხოლოდ მას  
 შემდეგ. რაც დარწმუნდება, რომ ნინოს გა-  
 მოსათხოვრად ჩატარებულ თავარილობას ნამ-  
 დვილად ჰქონდა ადგილი. ამიტომ ლოგაჟურია  
 დავუშვათ, რომ შესავლის მობრობელი (ე. ი.  
 ვრცელი „ნინოს ცხოვრების“ ავტორი, ძველი-  
 სავე პოზიციით, კრებულის შემდგენელი) სა-  
 განგებოდ წარმოგვიდგინდა თავს თხულების  
 წინა ნაწილში, მაგრამ „მოკცევაჲ ქართლი-  
 სასა“ შემწინას ვრცელი „ნინოს ცხოვრების“  
 ისტორიულ კანონიკასთან მიერთებაში გამოიწ-  
 ვისა ამ დასაწყისის მოკცევა და ავტორის შე-  
 სახებ პირდაპირი ცნობაც ამიტომ დაეკარგა-  
 თუ მანცდამაინც მივიჩნევთ, რომ თხრობის  
 დასაწყისში ავტორის მიერ ახეთი საგანგებო  
 წარდგინების ტრადიცია იმ დროს, როცა ეს  
 ძველი იქმნებოდა, არ არსებობდა, მაშინ აუ-  
 ტორს თავისი სახელი გამეღაწეებული უნდა  
 ჰქონდეს ირავად, თეთ ტექსტის შიგნით. ამ  
 აუცილებლობას წარმოშობს ზემოთ გამოჩვე-  
 ული გარემოება, კერძოდ, ავტორის შემოქმე-  
 დებითი აქტუობის მაჩვენებელი ფაქტები, რო-

მღებიც მოუთითებენ, რომ თხულება მინა-  
 ნად ანონიმურ ნაწარმოებთა რიცხს, არ განე-  
 კუთვნება. მისი ანონიმურობა ან შემოთხვევითაა  
 (დაეკარგა ცნობა), ან მოჩვენებითი (აქონ  
 ცნობა, მაგრამ თანამედროვე შეათხველს არ  
 ესმის ძველი მწერლის ინფორმაციის კოდი) და  
 არა პრინციპული.

საეცალურ ლიტერატურაში კარგა ხანია  
 მიეცაა უფრადლება იმ ფაქტს, რომ ვრცელი  
 „ნინოს ცხოვრების“ თავების სათაურებში ჩა-  
 მწერად მხოლოდ სალომე დასახელებული,  
 პეროფავრის აღწერილები კი აღარსად ჩანს:  
 „თავების ზედწარწერაში პეროფავრ სივნი-  
 ლის სახელს ჩვენ ვერსად ვხედებით“  
 (ე. კეკელიძე). ამ ფაქტს, ჩვეულებრივ, იყენე-  
 ბენ „ნინოს ცხოვრების“ აღნიშნული რედაქ-  
 ციის ხარვეზიანობის საჩვენებლად, მაგრამ ეს  
 გაუგებრობაა, რომელიც აღმოცენებულია იმა-  
 ზე, რომ წყაროს ცნობა ორი ჩამწერის შესა-  
 ხებ გაგებულ იქნა, როგორც მობრობით წე-  
 რა: „მწერალი ორი ყოფილა, აღბათ, როცა  
 ერთი დაიღუბოდა, მეორე დაიწყებდა წე-  
 რას“. (ივ. ჭავჭავიძე). სინამდვილეში თხუ-  
 ლება მიგვიითთებს, რომ ერთდროულად იწე-  
 რდნენ“ („მაშინ მოხლო-იხუნეს საწერელ-  
 ნი სალომე უფარპელმან და სივნილმან პერო-  
 ფავრი. და იწუო სიტუაჲ წმიდამან ნინო, და  
 იგინი წერდეს“). და ეს სახეებით ლოგაჟურია,  
 რომ ნინოს თქმულის, როგორც ისტორიული  
 მნიშვნელობის სიტუვის, უქსიჩრებას დიდი  
 პასუხისმგებლობით მოჰკიდებოდნენ და რამ-  
 დენიმე პარალელური ჩანაწერის გაკეთების  
 საჭიროება ეგრძნოთ. ამგვარად, ავტორი ჯერ  
 გვამცნობს, რომ ნინოს ნამშობო ერთდროუ-  
 ლად ორმა პირმა ჩაიწერა, ხოლო შემდეგ, თა-  
 ვების სათაურებში მარტოოდენ სალომეს აღ-  
 ნიშნით, გვიუხსტებს თუ კონკრეტულად რო-  
 მელია შემწეილი ორი ვარიანტიდან წარმოდგე-  
 ნილია.

აღნიშნული ფაქტის დაზუსტება ზევნთვის  
 საინტერესო იყო იმიტომ, იგი წამოჭრის მრავალ-  
 მნიშვნელოვან, თავის თავში პასუხის შემე-  
 ცველ კიბუხას: რა სახეუ ძველ წე-  
 ვება უპირატესობა სალომესე-  
 ლ ტექსტს; ის, რომ ეს არ ჩვევანი  
 არაფრით არ არის დასახუთებუ-  
 ლი, ხომ არ მოუთითებს იმას,  
 რომ ზვენს ხელთ არსებული კრე-  
 ბული შემდგენლად სწორედ სა-  
 ლომე იღულისხმება და ამიტომ მათა  
 ასე ბუნებრივი ნინოს ნამშობო  
 აღნიშნულ ძველში მისი ჩანაწე-  
 რით იყო წარმოდგენილი?!

რომ მითითებული გარემოება სწორედ სა-  
 ლომეს ავტორობას მიგვანიშნებს, ამას ცხად-  
 ყოფს კრებულში შეტანილი მირიან მეფის მო-

ნათხრობის ზედწერალიც: „წიგნი, რომელი დაწერა მირიან მეფემან ქართლისამან ეპისკოპოსისა. აღწერა კელითა იაკობ მთავარებისკომისისათა და მისცა სალომეს უფარმელსა, ძის ცოლსა თესსა, რომელი მცნებარ იყო უცვლელსა ვეკუმარიატად“ (ბაზი ჩვენია, მ. ჩ.).

სალომესაგან ქართლის მოქცევის ისტორიის ასეთი განსაკუთრებული ცოდნა და, რაც მთავარია, მისთვის მირიანის მოგონების ვადაცემა, ახარაზროვნად მიუთითებს, ქართლის პირველი ქრისტიანი მეფის მირიანის ძის რვეის წიგნის აღნიშნული საქითებით საგანგებო დანიტრებებაზე, იმაზე, რომ განმანათლებლის მოღვაწეობის შესახებ მასალებს აგროვებდა სალომე.

ავტორი, ყველა სხვა მთხრობელის მსგავსად, ნინოს თანამედროვე უნდა იყოს. შესავლის მიხედვით იგი ბოდში ჩატარებული გამოსათხოვარი კრების თვითმზიდველია. სალომეს კანდიდატურა ამ მოთხოვნებს აკმაყოფილებს. ამ შემთხვევაში არ უნდა დაგვივიწყოს ტექსტში სალომეს შესამე პირში მოხსენიებამ. შუა საუკუნეების მწერლობაში ავტორთა მიერ საკუთარი სახელის აღნიშვნის, თავის წარმოდგენის ამგვარი ფორმა აშუაითაა რაღაცა. საცნებო ბუნებრივად გამოიყურება ეს მომენტი დღევანდლობის პოზიციითაც.

ზემოთ დასმულ კითხვაზე დადებითი პასუხის გაცემის საფუძვლიანობაში გვარწმუნებს ვრცელი „ნინოს ცხოვრების“ სხვა ცნობების ავთენტურობაზე, რომელთა ფონზე სალომეს ავტორობა არ ჩანს მოულოდნელ, კონტრასტულ და ამოვარდნილ ფაქტად. პირაქით, იგი ლოგიკურადაც კი გამოიყურება, თუ მხედველობაში შევიღებთ თხზულებაში წარმოდგენილი ქართლის მანდილოსნების რაღაც განსაკუთრებულ თავგამოდებას ახალი რწმენის დანერგვის საქმეში. გავიხსენოთ ვრცელი „ნინოს ცხოვრების“ პერსონაჟები: სიდონია, შროშანა, ანასტო, „დამოწყებულნი დედენი“, ნანა დედოფალი. რაც შეეხება თვით სალომეს, განსახილველი ძველის მიხედვით, მას ახანათებდა ერთგვარი „საღმრთო შური“ ქართლის მოქცევის ფაქტთან დაკავშირებული რელიკვიების, თუ შეიძლება ასე ითქვას, შეგროვებისადმი. მაგალითად, მირიანი იცნებს, რომ სამთავან ერთი ცვაბი მან სალომეს გაატანა: „... და შექმნენ მისგან სამნი ჭურანი: ერთი ენებ, რომელი ზეციო იყო სასწაული მისი, და ერთი აღმართე ადგილსა მას, სადა იგი მხილებამა უფლისაჲიერი ვიხილე, მთასა ზედა თხოთისასა, ხოლო ერთი იგი ქალაქსა უფარმას, რომელი წარადო სალომე“ (ბაზი ჩვენია, მ. ჩ.).

დავუკვირდეთ: რევმა წაიღოთ კი არ ამბობს მირიანი, ახამედ სალომემო. ეს აშკარად ბაზ-

ვასმა სალომეს განსაკუთრებული მიდრეკილება გამოსულიყო ქრისტიანობის შომაგის რაღაცა.

თუ ზემოთ მოხსენიებულ გამოცხადებულ თავგარლობაზე შევანერებთ უფარმელსა, არ შეიძლება თვალში არ მოგვხვდეს, რომ ნინოს პირველ რიგში ეკითხება სალომე, დანარჩენები კი მის ნათქვამს იმყოფებენ. აქმენება შთაბეჭდილება, რომ კრება მას მიჰყავს, მისი ასეთი აქტიურობა კი ლოგიკურია: აღნიშნული ღონისძიება ხომ უფარმელი დედოფლის სამხელობელოში — ბოდში — მიმდინარეობს. აქ უფლისწულის შეუღლება დიასახლისი, მას შეხვედრის უმასპინძლოს ქალ განმანათლებელს.

ამგვარად, ვრცელი „ნინოს ცხოვრების“ მოწივი, მისივე ავტორის საქითში, ნათელია ყველა საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ქართულთა განმანათლებლის შესახებ მოგონებათა კრებულის დაკარგულ თავფურცელზე სალომე უფარმელი უნდა ყოფილიყო წარწერა. რამდენად შესაძლებელია შევსახამებოდეს სინამდვილეს ეს ცნობა?

ქართულ მაგიოგრაფიულ თხზულებებში ხშირად ვხვდებით ავტორის შესახებ მითითებებს. სწორედ თვით ძველებსა საშუალებით ვიცით ძველი ქართული მწერლობის ისეთი ბრწყინვალე ნიმუშების ავტორთა სახელები, როგორცაა „შუშანიკის წამება“, „ახოს წამება“, „ავტოვლ ხანძთელის ცხოვრება“ და ა. შ. არავითარი ეჭვი ამ მონაცემების მიმართ სხეილადისიტებს არ გასჩენიათ. ისინი ქართველოლოგიაში უფურმანოდა ვაზარაბელი. ჩვენს შემთხვევაში ძიებანი სალომეს ავტორობის შესახებ ცნობის შესაძომებლად აუცილებელი ხდება, რადგან ქართლის პირველი ქრისტიანი მეფის ძის ცოლი IV საუკუნის მოღვაწეა, ხოლო ძველი ქართული მწერლობის სამი დიდი სპეციალისტი — ნ. მარკ, ივ. ჭავჭავაძე, კ. კეკელიძე „ნინოს ცხოვრების“ აღნიშნულ რედაქციას გვიანი ხანით ათარიღებდნენ.

ასე ეგავეება ატრიბუციის პრობლემა დათარიღების პრობლემას და ზემოთ დასმული კითხვა; შესაბამისად, ტრანსფორმირება ანუ რადეპე შესაძლებელია „ნინოს ცხოვრების“ ვრცელი რედაქცია იყოს IV საუკუნის ძველი?

1897 წელს ნ. მარკამ გამოაქვეყნა ნაშრომი «Хитон господен в книжных легендах армян, грузин и сирийцев», რომელშიც გამოთქვა ვარაუდი იმის შესახებ, რომ „ნინოს ცხოვრების“ ვრცელი რედაქცია არ უნდა იყოს IX ს-ზე ადრინდელი ძველი, რადგან მასში არის ფრაზა სპარსულ ენაზე არაბული სიტყვით: „...Эдва-ли ранее девятого столетия. В памятнике более ранней поры мы не встретили бы напр. целой фразы на новоперсидском языке с арабским словом“ (ბაზი ჩვენია, მ. თ.).

ნ. მარკ ეს არგუმენტაცია აშკარად საქმარი-

სად არ ეტყვნებოდა (არც არის საქმარისი ერთი ფრაზის საფუძველზე ძველის დათარიღება, რომელიც, როგორც ქრისტიანობის ისტორიისადმი მოძღვრებას, საუკუნეთა განმავლობაში შესაძლოა არაერთი რედაქცია გაეცუდა). ეს ჩანს არა მარტო იქიდან, რომ ზემოთ მოტანილ დასკვნას ვარაუდის ფორმა აქვს, არამედ იქიდანაც, რომ 1908 წელს გამოქვეყნებულ სხვა ნაშრომში. (Дневни трех святых близнецов мучеников Спелсина, Еласина и Меласина) „ნინოს ცხოვრების“ ვრცელი რედაქციის თარიღთან დაკავშირებით მან მითითა არა საკუთარი ზემოთ აღნიშნული შრომა, არამედ 1908 წელს გამოხული ივ. ჭავჭავაძის „ანდრია მოციქულისა და წაწი ნინოს მოღვაწეობა საქართველოში“. 5. მარს არ ავიწყდება აღნიშნოს, რომ ივ. ჭავჭავაძის დათარიღებაც ვარაუდაც: «Поветствование это появляется в том грузинском Житии св. Нины, составление которого И. Джавахов с вероятностью относит приблизительно к VIII—IX веку», (ხაზი ჩვენია, 2. 2).

რაც შეეხება ივ. ჭავჭავაძის, მას ზემოთ დასაბუთებულ წერილში არავითარი საგანგებო მსჯელობა იმის შესახებ, თუ რატომ მიანცდა-მიანც აღნიშნულ საუკუნეებს უნდა ვანუშოვდნებოდეს ეს ძეგლი, მოცემული არა აქვს თავის „ძველ ქართულ საისტორიო მწერლობაში“ კი „ნინოს ცხოვრების“ ვრცელი რედაქციის თარიღზე საუბრისას 5. მარს ნაშრომში და ის არგუმენტი აქვს მიითვებოდა, რომელიც თავის დროზე 5. მარმა საქმარისად არ მიიჩნია და არც მოიხვედია ამის გამო.

ვრცელი „ნინოს ცხოვრების“ გვიანი ხანით დამთარიღებელ ერთ-ერთ საბუთად კ. კეკელიძის მიჩნია ის გარემოება, რომ თხზულებაში ნახმარია მარტის წელიწადი, რომელიც, მისი მითითებით, IX საუკუნის ნახევარში შემოვიდა ჩვენში (მისი, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, 1). ამ არგუმენტს გამოთქმის ადგილზეც დასაბუთება არ ახლავს. კ. კეკელიძის სხვა ნაშრომთან კი უკავშირ, რომ, თურმე, ამის გარკვევას, თუ როდის შემოვიდა ჩვენში მარტის წელიწადი, მკვლევარი ახდენს თვით ვრცელი „ნინოს ცხოვრების“ საშუალებით, იმის დაშვებით, რომ იგი IX ს-ის ძველია: „უძველესი ცნობა მარტის წლის შესახებ ჩვენში მოგვეპოვება ნინოს „ცხოვრების“ კელიშურ რედაქციაში... ამრიგად, მეცხრე საუკუნის მეორე ნახევარში, როდესაც იწერებოდა და უაღიბებოდა ნინოს „ცხოვრების“ უძველესი რედაქცია, წლის დასაწყისად ჩვენში მარტი ითვლებოდა“ (ძველი ქართული წელიწადი“).

ამგვარად, გასაგები ხდება, რომ მარტის წელიწადზე მითითება არავითარი არგუმენტი არაა. საინტერესოა, რომ მარტოაყვებულ საბუ-

თად მოტანილი ფაქტაც ზუსტი არ არის. როგორც ეს ჩანდა განხილული ციტატიდან, კ. კეკელიძის ცნობა მარტის წელიწადის შესახებ ამოღებული აქვს XIV-XV სს. დასაბუთებულ „მოქცევა ქართლისას“ კელიშურა რედაქციიდან, რომელშიც მართლწერია: „რამეთუ თუე იყო მეექვსე, და დღე იყო მეექვსე თუხა მის, ვგრთოვდ ოდეს-იგი ევმანუელ თაბორს მამისა ზატი ურუნა“... ი. ი. ფერისცვალების დღე. 5 აგვისტო, აქ მიჩნეულია მეექვსე თუდე, მაშასადამე, წლის დასაწყისად ნავარაუდევია მარტი“ — მსჯელობს მეცნიერი. მაგრამ აქ ხაზგასასმელია, რომ უფრო ძველ (X ს.) შატბერდულ „მოქცევა ქართლისაში“ შეიკრებდ ის, თუ მერამდენე თუდე მინა ავტორს „მამისა ზატის რუნების“ თუე აღნიშნული არ არის: „რამეთუ დღე იყო მეექვსე თუხსამ მის, ოდეს-იგი ევმანუელ თაბორს მამისა ზატი ანუნა“...

ეს გასაგებია. სრულიად ალოგურად გამოიურება, რომ გამოსახოვარი კრების მოწოდებულების საერთო უყოფილო იმის განმარტება, თუ წლის რომელი თვეა აგვისტო (ავტორი თანამედროვეც რომ არ იყოს, ასეთი განმარტებით თავს არ ვასცემდა). ეს კომენტარი გვიანდელია და ეცუთების კელიშურა „მოქცევა ქართლისას“ რედაქტორის და არა „ნინოს ცხოვრების“ ვრცელი რედაქციის პროტოგრაფის ავტორის.

Circulus vitiosus ახასიათებს აღნიშნულ საკითხში კ. კეკელიძის სხვა არგუმენტსაც. ერთი მხრივ, მკვლევარი აღნიშნავს, რომ იხსენიება ნინოს შესახებ არ შეიძლება IX ს-ზე ადრინდელი იყოს, რადგან IX საუკუნის მოღვაწე არსენი საფარული ქართველთა განმანათლებლად გრიგოლ პართელს ასახლებს, ნინოს ღვაწლს ამ საქმიან ჭერ კადეე არ იცნობს; მეორე მხრივ, არსენის მოღვაწეობის IX ს-ით დათარიღებისას ერთ-ერთ საბუთად იგი უთითებს ნინოს შესახებ თქმულების X საუკუნეში გავრცელებას. ეს ფაქტაც არ არის ზუსტი. არსენი, როგორც შენიშნა ჭერ კადეე ივ. ჭავჭავაძელმა, როცა თბრობას აწარმოებს საეკლესიო პარტი, გრიგოლზე უყოფილების ლაპარაკობს როგორც სომეხთა განმანათლებლებზე ამასთან, გამოიკვია, რომ არსენი XI ს. შემდგომი ხანის მოღვაწეა (ზ. ალექსიძე). ამ დროს „ნინოს ცხოვრების“ არსებობაზე არავინ დაობს. ამგვარად, ნინოს შესახებ არსენის დუმალი სრულებითაც არ იხსენება იმით, რომ ამ უკანასკნელმა ქართველთა წინაშე ნინოს დამსახურების შესახებ არაერთი იყოს.

ვრცელი „ნინოს ცხოვრების“ გვიანი ხანით დამთარიღებლად სხვა არავითი არგუმენტი გამოთქმული. მითუე დაწვრილებით შეტერება წინამდებარე წერილში შეუძლებელია (ვრცლად იხ. ჩვენი 08 интерпретации некоторых сче-

дений источников по истории христианизации Грузии. Источниковедческие разыскания, 1982, Т6., 1985.

ქართული მაგიოგრაფიის წყაროსმოცდენობითი შესწავლის პრობლემები. თბ., 1987). მაგრამ ზემოთქმული აშკარაა ზღის, რომ ქართული წყაროების მიმართ მიერკრიტიკული დამოკიდებულების პარობებში „ნიმოს ცხოვრების“ ვრცელი რედაქციის გვიანი საუკუნეებით დათარიღება ზღებოდა ფაქტებზე ძალდატანებით. როგორც მსჯელობებში ლოგურნი წრის შემსველნი, ნ. მარსი, ივ. ჭავჭავაძის, ე. კეკელიძის მტკიცებანი არ შეიძლება მიღებულ იქნას არგუმენტად განსახილველი ძეგლის თარიღის გარკვევისას. დღეს სპეციალისტთა ნაწილის მიერ ვრცელი „ნიმოს ცხოვრების“ გვიან ხანაში შემქმნის შესახებ თვალსაზრისის გაზარება ემყარება მხოლოდ და მხოლოდ დასახელებულ მკვლევართა ავტორიტეტს და არა რაიმე მამტიკატებელ საბუთს.

ამგვარად, არა გვაქვს არავითარი საფუძველი არ დაუფეროთ თხზულებისავე მითითებას იმის შესახებ, რომ იგი მეოთხე საუკუნის ძეგლია. აქედან გამომდინარე, სალომე უფარმელის ავტორობასაც არაფერი ეღობება წინ.

წყაროსმოცდენობაში მიღებული წყაროს „უდასწავლობის პრეზუმიის“ პრინციპის თანახმად, ჩვენს ძეგლს აქ უნდა შევუდგეს: წყაროს „არ ვვალდება“ გვიშტაციუს, რომ სწორია. თუ ვერ ვაჩვენებთ, რომ მისი მონაცემი უაღბოა, მაშინადაც, იგი მიღებული უნდა იქნას, როგორც კრეზარტი (Лурье Я. С., О так называемой «презупмции невиновности» источника).

ზემოთქმულიდან გამომდინარე, „ნიმოს ცხოვრების“ ვრცელი რედაქციის ატორიტუტის პარობლებშია გადაპრტილად შეიძლება ჩაითვალოს. თხზულების ავტორია ქართლის პირველი ქრისტიანი მეფის მიხეიანის ძის მეუღლე სალომე უფარმელი.

მიუხედავად განსჯის პროცესის პრინციპულად დასრულებისა, „ნიმოს ცხოვრების“ საოლოო „რეაბილიტაციისთვის“ ჩვენ მივითითებთ იმ ფაქტებზეც, რომელთა გამო უნდა დაუფეროთ თხზულების მითითებას იმის შესახებ, რომ მისი შემქმნელია IV საუკუნეში მკობრები პარცენა.

IV ს. II ნახევარში ბიზანტიაში იმყოფებოდა სალომეს შვილიშვილი მაშინ ჭერ კიდევ უფლისწული, შემდგომში ქართლის მეფე ბაკურ თრდატის ძე (ამ პარცენების შესახებ იხ. ჩვენი „ფრიალად სარწმუნო ბაკური“, „მნაობა“, 1988, № 5). მან ცნობილ ბიზანტიელ ისტორიკოსებს — გელასი კესარიელსა და რუფინუსს უამბო ქართველთა გაქრისტიანების ისტორია. ეს მონათბრობი „ნიმოს ცხოვრების“

თავისებური მოდიფიკაცია. მასში ქართველთა გაქრისტიანება ტყვე ქალის მიერ სწორედ ამ ეპიზოდების საშუალებით არის წარმოდგენილი, რომლებიც ადგილობრივი რედაქციების ხელისშეწყობით შეადგენდა. თბრობა გაფორმებულია მაგიოგრაფიული სტერეოტიპების გათვალისწინებით. ის ვარშობება, რომ ბაკურის მიერ გადმოცემულ ისტორიას ლიტერატურულად დახვეწილი ფორმა აქვს, და, აგრეთვე, ის, რომ ირივე ისტორიკოსთან საუბარში მან არსებობდა ერთი და იმავეს განმეორება შეელო, მიგვანიშნებს, ბაკურს სახელდაბლოდ კი არ შეუთხზავს იბერთა მოქცევის ისტორია, არამედ წინასწარ მოფიქრებულ, საგანგებოდ შემუშავებულ ამბავს ჰყვებოდა. ამგვარად, საძიებებში ბაკურის წერტილობითი წყარო IV ს. II ნახევარზე ადრე.

ბუნებრივია, რომ ქართველი უფლისწულის მონათბრობის წყარო „ნიმოს ცხოვრების“ ციკლის ადგილობრივი ვერსიის რედაქციებში ვეძებოთ. ის შეიძლება იყოს მხოლოდ „მოქცევაჲ ქართლისაჲში“ წარმოდგენილი ორი რედაქციიდან ერთ-ერთი, რადგან „ნიმოს ცხოვრების“ ყველა სხვა რედაქციის გვიანდლობა და „მოქცევისეული“ რედაქციებიდან წარმოშობლობა ეჭვს არ იწვევს.

ბაკურის წყარო არ შეიძლება იყოს „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ისტორიულ ქრონიკაში ჩართული „ნიმოს ცხოვრების“ მცირე რედაქცია. საქმე ის არის, რომ ამ უკანასკნელში ეკლესიის მშენებლობისა და სეტვის სასწავლებლები აღმართების ეპიზოდი ორიოდ გაიტყუებოთ არის გადმოცემული („მწარფლ დაღუშენა ეკლესიაჲ ქუმოჲ საშობხესა შინა, და სუტეი იგი იყო ძელისაჲ, რომელი თუთ აღმართა“). ბაკურის მონათბრობში კი ეს ეპიზოდი დაწვრილებით არის წარმოდგენილი, ისევე, როგორც ვრცელ „ნიმოს ცხოვრებაში“.

ბაკურის წყაროს საკითხთან დაკავშირებით, იმის საჩვენებლად, რომ ეს წყარო ჩვენს მიერ ზემოთ განხილული ძეგლია, შეიძლება მოვაშველიოთ რ. საბაძის წერილაც „წმინდა ნინო და „დედა-უფალი“ („მნაობა“, 1988, № 2), რომელშიც მკვლევარი სპეციალურად განიხილავს სწორედ „ნიმოს ცხოვრების“ ვრცელი რედაქციის მასალების მიხედვით ქართველთა განმართებლის კულტურულ-ისტორიულ სახეს. ეს სახე, რომელიც მისი მითითებით, ქართული მხატვრული აზრების მნიშვნელოვან პარადიგმად უნდა ჩაითვალოს, არის ვარდაშავალი წარმართულიდან ქრისტიანულიაქენ, ნიშნში წარმართული იდეალების ქრისტიანულად მოდიფიკირებისა. აღნიშნული გამოკვლევებიდან გამომდინარე, ვრცელ „ნიმოს ცხოვრებაში“ წარმოდგენილი, ნინოს სახის შემქმნა, სწორედ ვარდაშავალ პერიოდს უკავშირდება, როცა ქართველთა ცნობიერებაში ჭერ კიდევ ძლიერი იყო წარმართული წარმოდგენები და როცა

ხდებოდა ამ წარმოდგენების ახალი რწმენით ჩანაცვლება.

მაგრამ, რომ არ არსებობდეს არავითარი ფაქტობრივი საბუთი, ლოგიკური არგუმენტაცის სახელით საქმარისი იქნებოდა „ნინოს ცხოვრების“ IV საუკუნეში შექმნის და, აქედან გამომდინარე, სალომეს ავტორობის შესახებ ცნობის ვასაწიარებლად. საქმე ის არის, რომ ქართლის გაქრისტიანება, როგორც ეს უკვე ნათქვამია სპეციალურ ლიტერატურაში, იყო არა სტიქიური მოვლენა, არამედ პოლიტიკური აქტი. წერიალობითი ფიქსაციის გარეშე მას არ ჰქონდა არავითარი მნიშვნელობა, შეიძლება ითქვას, რომ არც არსებობდა. ამიტომ შეუძლებელია ვადიარებდეთ იმას, რომ ქართლში ქრისტიანობის საბელწიფო რელიგიად გამოცხადებას IV საუკუნეში ჰქონდა ადგილი და ამავე დროს ვამტკიცებდეთ, რომ ცნობები ამ ფაქტის შესახებ მხოლოდ IX საუკუნეში ჩაიწერეს. ესეც რომ არა, როგორ შეიძლება წარმოვიდგინოთ, რომ V საუკუნეში, მაშინ როცა მართალია, ძალიან პოპულარულ, მაგრამ მაინც „რიგით“ წმინდანს შუშანიკს საქართველოში ეძღვნებოდა სპეციალური თხზულება,

ქართველთა განმანათლებლის „მოციქულთა-სწორი“ ნინოს ცხოვრება კი აღწერილი არ იყო!

P. S. ბიზანტიელმა ისტორიკოსებმა შესაძლებლად ჩათვალეს თავიანთ „საეკლესიო ისტორიებში“ ბაქურის მონათხრობით წარმოდგინათ ქართლის მოქცევის ისტორია. თან საგანგებოდ ვახაწავენ, რომ ბაქური ამ საკითხში კომპეტენტური („ფრიალ სარწმუნო“) იყო. ბაქურის მონათხრობიდან აშკარად ჩანდა, რომ იგი აღწერილი ამბების თვითმხილველი არაა. უცხოელთათვის კომპეტენტურობა რომ დაეპტკიცებინა, ცხადია, მას უნდა დაეხაზებდებინა, დაეხასიათებინა თავისი წყარო, ეჭვებებინა საკუთარი მიმართება ამ წყაროსთან. როცა ასეთი ნდობით გუბდებან გელასი და რუფინუსი ბაქურის ნაამბობს ქართველთა გაქრისტიანების შესახებ, ხომ არ ითვალისწინებენ იმას, რომ ქართველი უფლისწული ეშვარება, დიდების ჩანაწერს, რომელიც ქართველთა მოქცევის ისტორიის საკითხებში მართლაც „მეცნიერ იყო უკველსავე ქეშმარცხად“, „ფრიალ სარწმუნოს“ ამიტომ ხომ არაა მათთვის ბაქური?!

## მონღოლთა უღლის დასასრული საქართველოში

„ხოლო ამისთვის ეწოდა მეფესა ამას გიორგის  
ბრწყინვალე... რამეთუ ვითარცა აღმაშენებე-  
ლმან განავსნა და აღაშენნა ქვეყანანი, რქული  
და სამოქალაქო წესნი განაბრწყინვა...“  
ვახუშტი

მრავალ განსაცდელგამოვიღე საქართველოს  
XIII ს-ში მონღოლთა საუკუნოვანი ბატონო-  
ბა ზედა წილად.

მონღოლთა ბერი ახალი პრობლემა გაუ-  
ჩინა ქართულ საბელმწიფოს. თუნცა ფორმა-  
ლურად ქვეყანამ თავისი უწინდელი მშობვე-  
ლობითი სისტემა შეინარჩუნა, მაგრამ, მონღო-  
ლთა უცნაო ნება-სურვილის გატყვევებით, საქათ-  
ველოს მეფის უოველგვარი დამოუკიდებელი  
ქმედება გამორიცხდა. დამკვიდრდა მონღოლუ-  
რი მრავალფეროვანი და მრავალსახოვანი გა-  
დასახადები და ვალდებულებანი. აი, ზოგაერ-  
თი მათგანი: ყოფნური, შალი, ბუცი, თამა,  
ხარაჟი, ულანი, ნუზლი, საიამე და ა. შ. სულ  
მონღოლების არსენალში, სხვადასხვა დამპყრო-  
ბითი რეგიონის თავისებურების გათვალისწი-  
ნებით, 87 გადასახადი იყო.

ეკონომიკა მოიშალა. უძრავი ქონება გაუ-  
ფასურდა, ფული — გაძვირდა. ამაზე ჩივის  
XIII საუკუნის დიდი ფეოდალი კახა თორე-  
ლი: „სოფელი იფუად იუვას და ოქროს ძვი-  
რად“.

დაიწყო ქართული მრავალსაუკუნოვანი ტრა-  
დიციებისა და ეთიკური ნორმების უბეში რღვე-  
ვა და მონღოლურ წესებთან მათი „შეფარ-  
დება-ნისადაგება“ (გავიხსენოთ თუნდაც სახე-  
ლოვანი მეფის დემეტრე II შავალითი, რო-  
მელსაც სრულიად დასაშვებად მიაჩნდა მრავალ-  
კლასობიანობა).

დამკვიდრდა მონღოლთა პერიოდული დამ-  
სჯელ-ამაწყობებელი შემოსევები. მაგრამ ერთ-  
ერთი უველაზე მძიმე ტვირთი, რაც ქართვე-

ლობას დააწვა, მონღოლთა გაუთავებელ ლაშ-  
ქრობებში მონაწილეობა იყო. ამ ლაშქრობებს  
უარსოდ ეწირებოდა მრავალი ქართველის სი-  
ცოცხლე მონღოლებს კი, სალაშქროს და სა-  
ომარს რა გამოუღევდა: ხან ეგვიპტის (მის-  
რის) სულთანს ეოშებოდნენ, ხან ჩრდილო  
(ოქროს) ურდოს, ხანაც საყუთარი იმპერიის  
დაუმორჩილებელ ან ურჩ რეგიონებს აოხრე-  
ბდნენ. და უველა ამ ლაშქრობებში „უმეტეს  
სხუათა“ შემართებით ქართველები იბრძოდნენ.

მონღოლ-ილხანთა საბელმწიფოს პერმანენ-  
ტული საომარი მოქმედების მიზეზ-შედეგებზე  
საინტერესოდ აქვს ნათქვამი ივანე ჯავახიშვილი:  
სამშედრო მოქმედებისაღმა მონღოლთა ძლიერ-  
ი მიდრეკილება და წყურვილი, უკვე მოპო-  
ვებული დიდი გამარჯვებითა და მთელი ერის  
ნისა და საქართველოს აღმოსავლეთ ნაწილის  
ხელში ჩაგდება, ვერ იყო მოკლული და ამი-  
ტომაც, მოლაშქრობა, შემდეგშიც მათ მთი-  
ვარს მისწრაფებასა და მოღვაწეობას შეად-  
გენდა, მითუმეტეს, რომ ახალ-ახალი ქვეყნე-  
ბის ხელში ჩაგდება და ძარცვა-გლეჯიანა და  
დავლა-წარტყვევის დაუნდობელი სიწყაყრით  
წარმოცხადებული მონღოლური წესი, ყოველ გადა-  
ჩენილ მონღოლ მეომარს დიდძალი ქონების  
პატრონად ხდიდა“ (ივ. ჯავახიშვილის ეს სა-  
ინტერესო აზრი, რატომღაც, მისი შრომების  
არცერთ გამოცემაში არ არის შესული. იხ.  
ქ. კეკელიძის სახელ. ბელაწერთა ინსტიტუ-  
ტის ივ. ჯავახიშვილის ფონდი, № 261, ფურც-  
260-261).

ასეთი იყო ვითარება საქართველოში, რო-

დესაც 1318 წელს ტახტზე ავიდა დემეტრე II თავადებულის უმცროსი ვაჟი გიორგი, უკვე მის თანამედროვეთაგან „ბრწყინვალედ“ წოდებულია.

საშუალო ფაქტია, რომ გიორგი ბრწყინვალის თანამედროვე, მალაქიჭიერი მემატიანის მოსე ეპისკოპოსის მიხედვით თხზულების ის ნაწილი, რომელიც ქვეყნის განთავისუფლებისათვის ბრძოლის აღწერას ეძღვნებოდა, უკვალოდ დაიკარგა. შესაძლოა, ის დაწვეს 1346-1348 წწ. საქართველოში შვიტის მძიმე ვარდობისას, შესაძლოა, თემურ-ლენგის შემოსევების ემსხვერპლა; მაგრამ გამორიცხული არ არის ისიც, რომ თხზულების ბოლო, განსაკუთრებით საუბრადღებო ნაწილის დაწერა, ეპისკოპოსმა უბრალოდ ვეღარ მოასწრო და განზრახვის განხორციელებაში მოულოდნელმა სიკვდილმა შეუშალა ხელი. მათიანის მოდერული ნაწილიდანაც აშკარად ჩანს, რომ ქართველი ისტორიკოსის მთავარ მიზანს სწორედ იმის აღწერა შეადგენდა, როგორ განთავისუფლდა საქართველო მონღოლთაგან გიორგი ბრწყინვალის დროს. ამასვე იგი აზარაზაროვნად და რამდენჯერმე მიგვანიშნებს, როცა ვაპირებდა გიორგის დამსახურება „ქუდუმორე სიტყუამან ცხადუოსო“. გიორგის გამეფებას მემატიანე დილის ვარსკვლავის ამობრწყინებას ადარებს: „და იფუო შთიებმან აღმოხრებდა“—ო! აღფრთოვანებით ვვამცნობს იგი და ამ სიტყვებზე წუდება კიდევ მისი თხრობა.\*

ამგვარად, აღარ გავაჩნია თვითმზილეული ისტორიკოსის მათიანის უმნიშვნელოვანესი ნაწილი. უკიდურესად ცოტაა შემორჩენილი იმ პერიოდის სივლე-გურგების. ასე, რომ დღევანდლის ძირითადი წყარო, რომელიც გიორგი ბრწყინვალის ეპოქაზე მოგვითხრობს, ვახუშტი ბაგრატიონის თხზულებაა. უკვე ამ გარემოებაში, საქართველოს ისტორიის უცხოელ მკვლევარებში (საქმარისია დავასახელოთ დ. ლანგი) ეჭვი დაბადდა: სანდოა ვახუშტის ცნობები? ნამდვილად იყო გიორგი V — ბრწყინვალე? შესაძლოა იმ ეპოქის სურათის მტკ-ნაეღები სისრულით აღდგენა?

უცხოელ ოპონენტთა მოსაზრებებსა და არგუმენტებს აქ არ განვიხილავთ. საქმარისია ით-

\* აქვე აღვნიშნავთ, რომ უშუალოდ ამ ფრანს მისდევს მემატიანის შემდეგი სიტყვები: „და შე ენა ვერ მიჭრავს საკვირველისა და საშინელისა თქუმალ“-ო. უნდა განიპირობოს, რომ „საშინელი“, ძველ ქართულში იმპარატორა როგორც დღევანდელი მნიშვნელობით, ასევე საოცარის, საკვირველის აღმატებითი ხარისხის გამოხატულება შეად. მაგ. გამოთქმა: „ხატო საშინელი ანჩისა“-ო!, ან ვეფხისტყაოსანში ამავე მნიშვნელობით ნახმარი: „ძღვენი სამინელი“.

ქვას, რომ დ. ლანგის სტატიას გიორგი ბრწყინვალის მეფობის შესახებ, თავის დროზე გამოცხადებულა გამოჩენილი ქართველ მეცნიერი ვალ. ვაბაშვილი (1960). ბოლო დროს კი, ჩვენ კრიტიკულად მიმოვიხილეთ ინგლისელი ქართველოლოგის დასახელებული შრომა.2

ამემაღ, ვერად ვაგვიხილოთ ის სიტუაცია, რაც შეიქმნა საქართველოსა და საილხანოში საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების ეამს, იმ მასალის საფუძველზე, რაც სადღეისოდ გავაჩნია. ეს სიტუაცია ყველაზე ნათლად გასცემს პასუხს ზევით დასმულ კითხვებსაც.

1318-დან — 20-იანი წლების ბოლომდე გიორგი ბრწყინვალემ საქართველოში რიგი მნიშვნელოვანი ღონისძიება გაატარა. აღკვეთა ოსთა თარეში და ქ. გორი, რომელიც მათ მუარად ეყარათ ხელთ, „სამ წელ ბრძოლის“ შემდგომ დაიბრუნა. 1317/1318 და 1320 წწ. მანვე გააგზავნა ელჩები ეგვიპტეში, რომელთაც გიორგი შეუტს ამცნეს „კლიტენი იერუსალიმისანი“ (ქრისტეს ლეგენდარული საფლავის კლიტენი გოლგოთაზე), ქართველებს დაუბრუნდით. გიორგი V აღადგინა და, შესაძლოა, ხელახლა გამოიხსნა „ურჭმუნოთაგან“ იერუსალიმის განთქმული ჭკრის მონასტერი, რისთ. ვისაც მას ამ მონასტერში ი ადაია ვანუჩინს. მეფემ განიშტაცია პოლიცია სამცხე-საათაბაგოშიც, სადაც კიდევ უფრო შემოიჭრია თავისი ბიძები — ჭაუღები. ქვეყანა ეკონომიურადაც მომაგრდა, რადგან აღიკვეთა მონღოლთა დამსჯელი ექსპედიციები. არაბი ისტორიკოსის აღკვალაშანდის სიტყვით, ამ პერიოდში ყუენის ბრძანებები (იერალაემი) სახელმძღვანელოდ თუმც კვლავაც მოსდის ქართველთა მუტეს, მაგრამ „(სულთნის) ნაკადი (ლაშქარი) აღარ იღვრება მასში (საქართველოში) და მხედარნიც არ იჭრებიან ქვეყანაში გამაჩანაგებელი ომის საწარმოებლად“.

ასე რომ, საქართველო XIV ს. 20-იანი წლების ბოლოს საკმაოდ მოღონიერდა: მაგრამ გიორგი ბრწყინვალე მონღოლთა წინააღმდეგ აქანუებას არ ჩქარობდა. „მეფე გარემოებას აკვირდებოდა, დროების შესაფერად იქცეოდა“ (ნიკ. ურბნელი). მალე ხელისუფელი საგარეო მომხრეც დაედა.

საილხანოში მტკაი მტკაი ურთიერთობა უკვლისშემძლე, გიორგი V-ის მეგობარ ემარ ჩოხანსა და ყენ აბუ საიდ შორის. სრულწლოვანებას მიღწეულ ყენს უკვე ამჩიშებდა ჩოხან ნოინის შეუზღუდავი ხელისუფლება. აბუ-საიდ არ მოსწონდა, რომ სახელმწიფოს ყველა მნიშვნელოვან პოსტზე ჩოხანის შეიღები და ნათესავეები იყვნენ დანიშნული. ამას ისიც ემატებოდა, რომ სხვა ნოინებს შურდათ ჩოხანის ვადენისა და ხშირად ასმენდენ მას ყუენის წინაშე. მაფეზე აბრუს სიტყვით, აბუ

საიღი დიდად განაწუენა იმანაც, რომ ჩოხანმა მას არ შიათოვა თავისი ქალიშვილი ზალდა-ბათონი. მდგომარეობა ისე დაიძაბა, რომ ახუ საიღსა და ჩოხანის მომხრეთა შორის შეიარაღებულმა შეტაკებებმაც იჩინა თავი. ჩოხანის ერთ-ერთი ვაჟი — ჰასანი არწმუნებდა კიდევ მაჰას, დაუოცნებელი საერთო აჯანყება მოეწყურა უაინის წინააღმდეგ. ჰასანი დარწმუნებული ყოფილა, რომ, როდესაც ამ აჯანყების ამხავს მისი ძმები, რუმისა და საქართველოს გამგებლები—თიმურტაში და მამშუდი გაიგებდნენ, „ისინი ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ აჯანყებდნენ საქართველოს და რუმის ქარბეს.“ მაგრამ ჩოხანმა ეს წინადადება არტომდა უკუაგდო. XIV ს. შუა ხანის მტკად საინტერესო სპარსელი ავტორის ახუ ბაქრ აღ ქუტუბი აღ ამრის ცნობით, როდესაც ჩოხანმა შეიტყო, რომ ახუ საიღი მასთან შეზმას აპირებდა, განაცხადა: „მე ვიცისრე ვაღებულებმა არ აღუმართო მახველი ჭულავებს ტახტის წინააღმდეგ.“<sup>1</sup> შემდეგ ჩოხანმა თავის მოკავშირე ბერათის მფლობელ ღიას აღ დინს (ზოგიერთ წყაროში ნასირ აღ დინი) შეაფარა თავი. მაგრამ მალე ღიას აღ დინმა იგი მოღალატურად მოკლა ბერათის ციხე-სიმაგრეში. ეს მოხდა 1327 წელს. ჩოხანის თითქმის ყველა შვილმა და მახლობელმა იგივე ბედი გაიზარა. საქართველოს გამგებელი მამშუდი, მაგალითად, ოქროს ურდოს უაინთან გაიქცა, მაგრამ სიკვდილს ვერ გადაურჩა. XIV ს. უცნობი სომეხი ავტორი ამ დრამატულ ამბებს ანე გადმოგვცემს: „775/1328) წელს ბუსაიდი (ახუ საიღი, ვ. კ.) სდევნიდა ჩოხანს, რომელსაც მანამდე მთელი ქვეყნის მართვა-გამგებლობა ეყრა ზღოთ. ის (ჩოხანი, ვ. კ.) გაქცევისას მოკვდა“<sup>2</sup> გადმნიანი და ძლიერი პოლიტიკოსის სიკვდილმა საიღხანოს დაშლა დაჩქარა. ახუ საიღმა ედვარ შეძლო იღხანთა უზარმაზარი სახელმწიფოს დაშორილიება. ირანში არეულობა დაიწყო. ეს სიტუაცია შესანიშნავად აღის ვახუშტი ბატონიშვილი: „ხოლო შემგომად სიკვდილიას ჩოფან ნოინისა, აღლეს რაიმე ნოინთა მუხანთ-უეენისაგან, სიურმისათვის მიხან“<sup>3</sup> (ე. ი. ნოინები აღარ ემორჩილებოდნენ ახუ საიღ უაინს, ვ. კ.). ვახტანგ VI-ის „სწავლულ კაცთა კომისიას“ კი, იგივე ამბავი ახე გადმოყოფთ: „გვიორგი მეფის ფაშა, ჩინგიზ-უეენთა (ე. ი. მოღალატებს, ვ. კ.) მტერობა აღუჩნდათ და წახდნენ“<sup>4</sup>.

ვახუშტი ბატონიშვილი სწორად აღნიშნავს, რომ თუ ჩოხანის სიკვდილის შემდეგ ნოინები უაინს აღარ ემორჩილებოდნენ, ახუ საიღის გარდაცვალებისთანავე საიღხანო დაიშალა: „განდგნენ ნოინნი თავის-თვისად და რომილთა. მე დამიკრეს სპარსეთი, სხუამან — ზურხანნი, სხუამან — ტრაყი, სხუამან — აღრასბაგანი (სამხრეთ აზერბაიჯანი, ვ. კ.) და სხუათა — სა-

ბერძნეთი“<sup>5</sup> (არში, ვ. კ.) — წერს ვახუშტი. მათვე ახრუს სიტყვით, ახუ საიღი გარდაიცვალა იღხანთა ისტორიის ერთ-ერთ ქრისტოკულ პერიოდში, როცა ჩრდილოეთი ქვეყნებმა დაიკავეს ჩამომავლებს კვლავ შემოუტია უზბეკ უაინმა. ახუ საიღს გადმწევტილი ჰქონია თვითონ დაიწრო მოწინააღმდეგისათვის, მაგრამ იგი მოულოდნელად გარდაიცვალა უარაბადში 1335 წლის 30 ნოემბერს. ამის შემდეგ, მათვე ახრუს მოწმობით, დიდი რაოდენობის მოქიშეთა და პრეტენდენტთა ზელში უაინის ტახტი სათამაშოდ ქცეულა.

ბრძოლა უზბეკის წინააღმდეგ აწარმოვა ახალი, ფაქტობრად მართონტმა უაინმა არფამ. შეტაკებაში, რომელიც მდ. მტკვართან მოხდა, უზბეკმა მოულოდნელად მარცხი განიცადა და უაინ დაიბია. ახუ ბაქრ აღ ამრის სიტყვით, იმ წელს ძალიან ცოტა წვიმა მოვიდა და უზბეკის უაჩავე ცხენს ზალია არ ყოფნიდა მისაძრავად. გაბრაზებულ ჩრდილო ულუსის უაინს მდ. მტკვრისათვის მახვილი დაუკრავს და უთქვამს „(ამიტომ) ხართ თქვენ (იღხანები) გულდადა“<sup>6</sup>. მას განზრახული ჰქონდა კვლავ ელაშქრა ირანის მონღოლთა წინააღმდეგ, მაგრამ ეს განზრახვა ვერც განხორციელა.

იღხანთა ტახტს მართლაც ბევრი პრეტენდენტი აღმოუჩნდა, რადგანაც ახალგაზრდა ახუ საიღი უშეშევიდრედ გარდაიცვალა. დამახული ბრძოლებისა და შეზღა-შემოხლის შემდეგ, რაში აღ დინის ვაინის ღიას აღ დინ მუხამედის აქტიური მოქმედების შედეგად, 1338 წელს იღხანთა ტახტზე აღმოჩნდა არფა ხანი. იგი ჩინგიზ უაინის უმცროსი ძის შორეული ჩამომავალი იყო, მაგრამ უაინის ტახტი მუარად ვერ ეყრა ზღოთ. ის, რომ ახალი უაინის მდგომარეობა და ულფლებია საკმაოდ შეზღუდული იყო, ჩანს მისი საკუთარი სიტყვიდან, რომელიც მას გაუაინებისთანავე წარმოუთქვამს. იმ დროს, როდესაც ახუ საიღი და სხვა უაინები თავის თავს „მსოფლიო მმრძანების“ და „უდიდებისა“ და „უმაღლესის“ ემიტენტებით ამკობდნენ, არფა ხანს განუცხადებია: „მე არ მივიტყვი დიდებისაკენ, როგორც ჩემი ძლიერი წინამორბედი სულთნები. მე მინდა ოქროს ქამარი კანადო შევეცვალო, ზოლო გვირგვინის ნაცვლად მხოლოდ წითელი თავსაბურავი ვატარო“. მისი უაინობა ექვს თვეს გაგრძელდა. არფა ხანს მამიწვე აუჯანყდა ახუ საიღის ბიჭა აღი ფადიშაბი. მან მალე ჩამოაგდო ტახტიდან არფა უაინი. შემდეგშიც, მართონტი უაინები ძალიან სწრაფად იცვლებოდნენ. არფა სულ მცირე ხნით შეცვალა მუსამ; შემდეგი უაინი გაბდა ჭულავუს შორეული მემკვიდრე მუსამედი (1338-1338); ეს უაინისკნელი სათი ბეგმა (1338-1339) (ოღაითუს ქალიშვილმა) შეცვალა. შემდეგ ტახტი დაიკავა სულეიმანმა (1339-1343) და ნუსირავანმა (1343-1355). და-

მახასიათებელია, რომ ამ უკანასკნელის შესახებ ახუ ბაქრ აღ კარი დამყინავად აღნიშნავს: მელიქ აშრაფ ჩომანიანი მას ისე იწინავედა, რო- გორც „ჩიტხ ვალიშიო“. XIV ს. 30-იანი წლე- ბის ბოლოს, ოქროს ურდოს უაფენებმა გამანად- გურებელი დარტყმა მიაყენეს აღხანთა მექ- ვიდრეებს და საბოლოოდ მოსხვის მათი საზე- ლმწიფო.

30-40-იან წლებში, მარიონეტი უაფენების ზურგს უკან იდგნენ და ფაქტობრივად ქვეყანას მარ- თადუნენ მასან დიდი (ბუზურგი) ჭაღათარი, შვიბ მასან მყირე (ქურეცი) ჩომანიანი და მისი ძმა მელიქ აშრაფი. ეს უკანასკნელები ჩომან ნოინის შვილიშვილები იყვნენ, ამიტომაც აღ- ხანთა მექვიდრე სახელმწიფო წარმონაქმნს ჩომანიანთა სახელით მოიხსენიებენ. საილხანოს ტერიტორია გაუთავებელია სიხლბისმღერელი შინა ომების ასახრვად იქცა.

შეუძლებელია საქართველოს მეფეს გიორგი V არ ესარგებლა საილხანოში შექმნილი ამ სო- ტუაციით და საბოლოოდ არ აღმოედგრა მო- ნღოლთა ბატონობა საქართველოში. ნ. ურბ- ნელი მოსწრებულად შეინიშნავს, რომ გიორგი V: „ოდესმე მრისხანე მეტოქის დასუსტება, სამოროდის აღორძინების საძირკვლად ჩხ- დეა“<sup>9</sup> ვახუშტის სიტყვით, გიორგი V მონღო- ლები არა მარტო საქართველოს ტერიტორი- დან განდევნა, არამედ უოფილ უმადნაფიც ქვეყნებში, რანსა და შირვანშიც ილაშქრა და ისინიც „მოხარეე ვუხნა“. ეს ცნობა ძველი შესამოწმებელია, მაგრამ საინტერესოა, რომ ის ერთგვარ ჯამთხილს პოულობს კირიდე დონაურის ე. წ. „ანდერქში“. ამ დოკუმენტში ნათქვამია: „ოდეს ბრწყინვალემან მეფემან გი- ორგი გაიმარჯვა ავარიანთა ზედნა ვანძას და შირქანსან, მას ეახსა შინა ჩუნენი საუხრონი შექქურმუხისანნი ჩინებულად აბრძოდეს ძლე- ვად მეტროთა“<sup>10</sup>. დოკუმენტი დათარიღებულია 1333 წლის 5 მარტით.<sup>10</sup> საბუთის დედანი დღეს აღარ იძებნება, მაგრამ თავის დროზე იგი ნახა და აღწერა ისტორიკოსმა მ. ჯანუ- ვილიმა. ამ დოკუმენტის მიხედვით, თითქოს უფილოფელი ზედნა, რომ ჭარ კიდევ ახუ სოი- დის სიუცხლემში გიორგი V რანსა (განძა) და შირვანში ულაშქრია. ცნობილია გიორგი V სხვა ბრძოლაც ვანძასთან, მაგრამ ეს ბრძოლა მოე- ვინებოთ, დაახლოებით 1333 წლისთვის მოხდა მასან ქურუყის შემოჭრილი ულაშქრის წინადა- მდეგ.<sup>11</sup>

ვახუშტისა და ბერი ეგნატაშვილის კომიხიის ცნობით, გიორგი V ამ პერიოდში, დაახლოე- ბით 1327-1328 წწ.-ში, ჰერეთ-კახეთისა და სამხობის (ქვემო ქართლი) ურჩი და მონღოლთა ში მობრე ერისთავებზე სიყვდილოდ დაუტყია. მეფეს ეს ფეოდალები, „რომელნიცე ჩინგოთ მიუდუნენ“, კახეთის ცივის მთაზე (სადაც მისი ერთერთი რეზიდენცია აყო) თითქოს სადარ-

ბაზოდ მოუწყვეთა და უვრდა გაუწყვეტია.<sup>12</sup> ჩენი აზრით, გიორგი V ასეთი ჰეკური, განა- ჩენი იმან განაპრობა, რომ აღნიშნულ მხარეთ- ერისთავები მის წინააღმდეგ არაბრძოლეს გამო- ვიდნენ, იმ დროს, როდესაც მეფე მონღოლ- ბთან გადაშწყვეტ ბრძოლას აწარმოებდა.

დ. ლანგს და ზოგიერთი სხვა შეკვლევარი, გიორგი მეხუთის ამ აქციას ათარიღებს ჩომ- ნის „მფარველობის“ ხანით და მიანიჩა, რომ საქართველოს მეფემ ურჩი ფეოდალები ჩო- მანის თანადგომით დასაჯა. ასეთი დასკვნის უსაფუძვლოა ჩანს თვით წუაროს ჩვენებებიდან იმის შესახებ, რომ დასჯილი ერისთავები „ჩინ- ვიოთა“, ე. ი. მონღოლთა მომხრენი უოფილან. ამგვარად, დ. ლანგის და სხვათა მიხედვით გამოიღის, რომ გიორგი V მონღოლთა მხარდა- პტრით სწის მათივე ერთგულ ფეოდალებზე. მე- ორე მხარე, ვახუშტი ბატონიშვილი წერს, რომ მონღოლთა უღლის დასასრულამდე („ეჟამ- დენ“) გიორგი V ურჩი ერისთავების შეცვლაც კი ვერ მოახერხა: „არამედ დიდებულნი ერისთავნი ვერ ცვალნა ეჟამდინ, რიდიოთა უე- ენისათა“ (გვ. 256). არაბრძოლვად ამასვე აღნიშნავდა ეჟამთაღმწერელიც (ქართლის ცხ., ტ. II, გვ. 256).

ვახუშტის ცნობით, XIV ს. 30-იან წლებში გიორგი V მთიულთა საქმეებაც მოაწრბოდა და სპეციალურად მათთვის შეადგინა სამართ- ლის წინა: „განთილა მეფემან მთიულთა და კავკასთა საქმენი, რამეთუ მრავალნი უჭერონი (ე. ი. უკანონოხანი, უსამართლობანი, ვ. კ.) იქმნებოდნენ... ვანუჩინა მთი სამართალი და წე- დნა და დაუსხნა წონით, რათა ჰყოფდნენ წა- ლნათ ეგრეთ“, გვაქვს იგი. მართლაც, ჩვენამდე მოაღწია გიორგი V სამართლის კრე- ბულმა „ძველის დეხამ“, რომელიც სპეციალუ- რად მთიულთათვის არის შედგენილი.

30-იანი წლების მიწურულს, ვახუშტისავე სიტყვით, გიორგი V საეკლესიო კრებაც მოუ- წვევია. მონღოლთა ხანგრძლივი ბატონობის შემდეგ ასეთი კრების მოწვევა მართლაც სა- ჰეო და აუცილებელიც იქნებოდა. ამავე წუაროს მოწმობით, კრებს ორივე კათალიკო- სი (ქართლისა და აფხაზეთისა) ენჭრებოდა — „შემოიკრინნა კათალიკოსნი... იფერიისანი“ (იქვე, გვ. 258). მართალია, მათი სახელები აღნიშნული არ არის, მაგრამ ცნობილია, რომ 1333 წლამდე ქართლის კათალიკოსია ექვთი- მე,<sup>13</sup> შემდეგ კი, ბასილი (ვახუშტ., გვ. 258). რაც შეეხება დასავლეთ საქართველოს (აფ- ხაზეთის) კათალიკოსს, მისი სახელი ამ დროს არცერთ სიგელში დასახელებული არ არის. მა- გრამ ხინას მთის სულთა მატანის ერთ ჩანა- წერში ვკითხულობთ: „სულსა ქართლისა კა- თალიკოსისა ეფთცი)მეოზისა შეუნდვენ ღწერ- თმან“ და შემდეგ: „სულსა აფხაზეთისა კათა- ლიკოსისა ნიკოლოზი(ი)სა შეუნდვენ ღწერო-

მან. ექვს არ იწვევს, რომ აქ ნახსენები  
 ეფთვიშვილი, იგივე ექვთიმე კათალიკოსია  
 (მის უწინარეს დასახელებულია აბრამა კა-  
 თალიკოსი, რომელიც მართლაც მასზე ადრე  
 კათალიკოსობდა, XIII ს. მიწურულში). ექვთი-  
 მის შემდეგ მოხსენიებული ნიკოლოზი კი  
 სწორედ აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს)  
 კათალიკოსი უნდა იყოს ჩვენთვის საინტერესო  
 პერიოდში.<sup>14</sup> ასე რომ, თუ საეკლესიო  
 კრება მართლაც შედგა, მას დასწრებიან კათა-  
 ლიკოსები ხაზლი და, შესაძლოა, ნიკოლოზი.

XIV ს. 20-80-იან წლებში გიორგი V და  
 რომის პაპს ითანე XXII შორის საერთაშორისო  
 მიწერ-მოწერა სწარმოებდა. განსაკუთრებ-  
 ბით აღნიშნავთ ის ფაქტი, რომ 1329 წელს  
 პაპმა სმირანის (იშმირანს) კათალიკოსი სავის-  
 კოპოსი კათედრა თბილისში გადმოიტანა.<sup>15</sup>  
 როგორც ჩანს, პაპის ურჩაბედვ მიადრია მონ-  
 გოლთა წინააღმდეგ გიორგი V ნიერ წარმო-  
 ებული ბრძოლის ექონ. ვიქტორობ, სმირანის  
 სავისკოპოსო კათედრის გადმოტანა თბილისში  
 1329-1330 წწ.ში შემთხვევით არ უნდა იყოს.  
 ანალოგი, რომის პაპის იფამინდედ რეზოლუციაში,  
 აღბათ, უკვე იყო აღწერილი, რომ საქართველო  
 ამერიიდან დამოუკიდებელ კოლტკიურ  
 ერთეულს წარმოადგენდა და ასეთი ნაბიჯი  
 ამიტომ გადადგენ ითანე XXII თბილისს  
 უწოდებს „განთქმულს, შესანიშნავს და შესა-  
 ფერს ქალაქს“.<sup>16</sup> 1330 წელს იგივე პაპი წერდა:  
 „საქართველოს სამეფოს დიდებულ ადგილს —  
 თბილისს, ჩვენ ავამაღლებთ სავისკოპოსოს ქა-  
 ლაქის რანგაზედ, და ვესურვებთ, რათა მო-  
 შავალში იგი სამუდამოდ „სავისკოპოსოს ქა-  
 ლაქ თბილისად“ იწოდებოდეს“.<sup>17</sup>

ამგვარად, ვახუშტი ბატონიშვილისა და ბე-  
 რი ეგნატაშვილის კომისიის ჩვენებით, გიორგი  
 V კარგად შეაფასა საგარეო ზელსაყრელი ვი-  
 თარება. ვახუშტის მიხედვით, სილხანაში არე-  
 ულობის დაწვებისთანავე, ე. ი. 1327 წ. შემ-  
 ფერს „იყო ესამი ბრწყინვალემაწ შეფემაწ გი-  
 ორგი და განახსნა თათარნი საქართველოსაგან,  
 რომელნიმე გინაიერბითა, რომელნიმე ბრძო-  
 ლითა და ძლიერბითა და მოსპანა უკველინ სა-  
 ზღვართაგან თვისთა“ (ვახუშტი, გვ. 258). მო-  
 კლდე მოვეციობრობს ამ მოვლენებს შესახებ  
 ეგნატაშვილის კომისიაც: „ამის გიორგი წიფის  
 ესამი ჩინავი-ყაენთა (ე. ი. მონღოლებს) მტე-  
 რობა აღუჩნდათ და წაბდნენ... და რა დრო  
 დაიყო შეფე გიორგიმ... იმერნი და ამერნი გა-  
 ერთა და დაიპარა ნებისაებრ უკველინ საქა-  
 რთველი“ (ქართლის ცხ., ტ. II, გვ. 825).

ამჟამად, რომ XVIII ს. I ნახევრის ქართვე-  
 ლი ისტორიკოსები, იმ დროს ჭერ კიდევ არ-  
 სებულ, აღწერილ მოვლენათა თანადროულ  
 წყაროებს ეყრდნობოდნენ.

გიორგი V მონღოლთაგან სრულ დამოუკი-  
 დებლობაზე მტკუველებს, აგრეთვე, მის მიერ

მთიულთათვის შედგენილი სამართალი —  
 „ძეგლის დადება“ (შედგენილია 1334-35 წწ.)  
 ამ ძეგლის პრეამბულაში გიორგი V ბრწყინვალე  
 აცხადებს, რომ სამართალი მთიულთათვის და-  
 უდვია — „უკველინთ უკველინთ ქონებასა  
 ანა სახელსა... და უცილობლად პურობასა  
 ტახტისა და სკიპტრისა“.<sup>17</sup> ექვე შეფე დას-  
 ძენს, რომ ადრე, მის სახელთან წინაპრებს  
 მთიულთათვის სამართალი ვერ დაუდვიათ  
 „სხვის ესამს შემოსრულობის“ გამო. აქედან-  
 ნაც ის დასკვნა გამოდინარეობს, რომ ახლა,  
 მის დროს, „სხვის (უცხოელთა) ესამი“ დას-  
 რულებულა და შეფემ მთიულეთის არეული  
 საქმეებისათვისაც მოცალა. „ძეგლის დადე-  
 ბის“ ამ ადგილს ურჩადება მიაცქია და სწო-  
 რი ინტერპრეტაცია მისცა, ჭერ კიდევ 1889  
 წელს ნ. ურბნელმა მ გარდა შემოთ მოყვანი-  
 ლი არგუმენტებისა, მონღოლთა უღლის გადა-  
 გდებაზე თვალნათლვ მტკუველებს, აგრეთვე,  
 ესამაღმწერელს, გიორგი V თანამედროვე ავ-  
 ტორის შემორჩენილი ტექსტიც. როგორც აღ-  
 ნიშნა, მართლაც, ამ მტკაენს თბრობა მხო-  
 ლად 1318 წ.-მდე, გიორგი V რადურ გამე-  
 ფებაში აღწევს, მაგრამ თბულებს მთელი  
 აღწარბა და თავშეყაეებული მშობიანის მიერ  
 გიორგი V აღურთოვანებული დახასიათება —  
 „ბრწყინვალე“, „სრულიელა“, „საკვირელი და  
 უჭობესი უკველია კაცოა“, „დიდი“, „სანი-  
 ნო“ (ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 255, 294,  
 298, 304) — მოწმობს ამ წიფის ძალიან დიდ  
 ღვაწლს სამშობლოს წინაშე. გიორგი V დროს  
 კი, უკველანე მნიშვნელოვანა, რაც შეიძლება სა-  
 ქართველოში მომხდარიყო, მონღოლთაგან გან-  
 თავისუფლება იყო. ამასთან ერთად, თავისი  
 თბულების დასაწყისშივე, ესამაღმწერელი  
 გვამცნობს, რომ საქართველომ მარცხი განი-  
 ცადა მონღოლებთან ბრძოლაში XIII ს. 20-  
 იან წლებში. ამის შემდეგ, წერს იგი — „ვი-  
 თარ იქნა ცვალებდა ბედისა ქართველთა ნათე-  
 ხავისა, არადარა მიეცა (ქართველებს, ვ. კ.)  
 ძლიეა თათართა ზედა, ვი დრე ესამთამდე  
 ჩუენთა“ (ზაზი ჩენია, ვ. კ.), ე. ი. მშობ-  
 ტიანის დრომდე, საქართველომ ვეღარ მოახერ-  
 ხა მონღოლთა დამარცხება, მაგრამ გიორგი  
 V ესამ, ქართველებმა სძლიეს მტერს. სწორედ  
 ასე ესმოდა მშობტაიანის სტუეები ივ: ჭავიბი-  
 შვილს.<sup>18</sup> საინტერესოა, რომ იამინელი ქარ-  
 თველოლოგის სიჩი კიტავას უამდვის ვა-  
 მოკვეცივს მიხედვითაც, ამ დროს საქართველო-  
 ში მონღოლთა ჭარი აღარ ღვას. აღნიშნული  
 მკვლევრის დასკვნით, ეს იმის მაჩვენებელია,  
 რომ ამ პერიოდში საქართველომ მონღოლთა  
 უღელს თავი დააღწია.<sup>20</sup>

მონღოლთა უღლის გადაგდებასთან დაკავ-  
 შირებით, ჩვენი აზრით, განსაკუთრებით ხაზ  
 უნდა გაესვას შემდეგ გარემოებს: გიორგი V  
 რომ სახსენით მოწმადებული არ შეზვედროდა

1827 წ. საილხანოს პირველი წინის-ჩობანის საეპიკოსოს, ავი თოთონაც მის ზედრს გაიზარებდა. გაიხსენოთ გიორგი V შაჰის დემეტრე II (1270-1280) მაგალითი. დემეტრე თავდადებული, როგორც ცნობილია, მხოლოდ იმპერიამ დასაქვს ურდოში საეპიკოსოს, რომ მას უენისაგან შერისხული ზუღა ჩინგისანსი მომხრეობა დაბრალდა. ეს საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ დემეტრესთვის თავი მოეკეთათ. აღსანიშნავია ისიც, რომ ასეთი სიტუაცია მონღოლთა ისტორიაში გამოჩნდის არ წარმოადგენდა. ასე რომ, 1827 წელს გიორგი

V ალტრანტივა არც მქონდა. მონღოლთა წინააღმდეგ იგი ან „ქარაღმწიქს“ და გამოხსულიყო, ან თქვენი მტრული პოზიციებიდან ურდოში და ჩობანის ზედრის გარდუქალი იყო. ჩობანისა და გიორგი V ურთიერთობისა და კეთილმოუვრობის ამბები რომ იმდენად გამბეზრებულია, რომ შორეული ეგვიპტის არაბი ისტორიკოსის უურამდეს მიუღწევია.<sup>27</sup> ვფიქრობთ, ეს მომენტი, რომელსაც ისტორიოგრაფიაში ნაკლები უურადლება ექცევა, გადამწყვეტ არგუმენტს წარმოადგენს საქართველოდან მონღოლთა განდევნის დასამტკიცებლად.

### შენიშვნები:

1 ემთაღმწერლის ვინაობის შესახებ, ვ. კიკნაძე, ვინ არის ემთაღმწერელი? („მნათობი“, 1984, № 5, გვ. 148-157).

2 ვ. კიკნაძე, დ. ლანგის სტატიის „საქართველო გიორგი ბრწყინვალის მეფობისას“, კრტიკული მიმოხილვა, კრებ.: საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის საკითხები, V, თბ. 1986 გვ. 113-130.

3 ჰაფეზე აბრუ, მონღოლ მეფეთა ქრონიკა ირანში, თარგმანი სპარსულიდან და გამოცემა ხანზაბა ბაიანისა, პარიზი 1936 (ფრანგულ ენაზე), გვ. 100-101.

4 Армянские источники о монголах, перевод и издание Галстяна А. Г., М., 1962, с. 86.

5 ვახუშტი ზაგრატიონი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხ. ტ. IV, თბ. 1973, გვ. 256.

6 ქართლის ცხოვრება, ტ. II, თბ. 1959, გვ. 305 (ვახტანგ VI კომისიის ჩანაბრ-შენიშვნა).

7 ვახუშტი, დასაბ. ნაშრომი, გვ. 256; აგრეთვე, ვ. კიკნაძე, საქართველოს და ჩობანანების ურთიერთობის ერთი ფაქტის შესახებ, საქ. სსრ მეცნ. აკად. „მოამბე“ 93/2, თბ. 1979, გვ. 501-502.

8 ჰაფეზე აბრუ, დასაბ. ნაშრომი, გვ. 112.

9 ნიკ. ურბნელი (ბიზანაშვილი), გიორგი ბრწყინვალე — მეფე საქართველოსი, ტფ., 1889, გვ. 94.

10 კირილე დონაურის ანდერძი; წიგნში: მ. ჯანაშვილი, საქართველოს ისტორია, ტფ.; 1894, გვ. 206.

11. ვ. კიკნაძე, საქართველოსა და ჩობანანების..., გვ. 502-503.

12 ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 325 (ჩანაბრ-შენიშვნა).

13 ერთერთი ბერძნული საბარების მინაწერის მოწმობით, 1334 წელს ექვთიმეს შეწი-

რულება („ველოგია“) გუგუზავნი პალესტინის ქართველი ბერებისათვის.

14 ბედიელ-ყოფილი „აფხაზეთის“ კათალიკოსი ნიკოლოზი იხსენიება იერუსალიმის ჯერის მონასტრის აღაპებშიც.

15 მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, ტფ., 1902, გვ. 34-36.

16 ი. ტაბაღა, საქართველოს ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში, თბ., 1984, გვ. 213.

17 ი. დოლიძე, გიორგი ბრწყინვალის სამართალი, თბ. 1957, გვ. 103.

18 ნ. ურბნელი, დასაბ. ნაშრომი, გვ. 80.

19. ივ. ჯავახიშვილი, თბუღებანი 12 ტომად, ტ. VIII, თბ. 1977, გვ. 247. ემთაღმწერლის ეს ფრაზა სხვაგვარად ესმოდა თეოდორ დანიანის (ქრონიკები... ტ. III, თბ., 1967, დამატება I, გვ. 565), მაგრამ მისი მოსაზრება აშკარად მცდარი უნდა იყოს.

20 ს. კობახია, მონღოლთა არმიები შირვანსა და გურჯისტანში, კულტურის მეცნიერებათა დარგის წილობრი ანგარიში, № 53 (1, 1983, ჰოკაიდოს უნივერსიტეტი, გვ. 5-6) იპონურ ენაზე, რეზიუმე ინგლისურ ენაზე).

21 ჩინგისანობა — მონღოლთა კარის უველზე სამატიო წოდება იყო. ბუღას ამ წოდებით იხსენიებს ქართველი ემთაღმწერელიც (ქართლ. ცხ., ტ. II, გვ. 286). სამწუხაროა მხოლოდ, რომ ზოგიერთ ნუსხაში ეს სიტყვა გვიანდელ გადამწერთაგან დამახინჯებული ფორმით „ჩინგინ-უენობის“ სახით გვხვდება, რაც იხსნის „ქართლის ცხოვრების“ გამოცემის ტექსტშიც.

22 Тищенко В. Г., Заметка Элькаль-кашандя о грузинах. ЗВОРАОБ, т. I, вып. 3, С/пр, 1886, с. 211.

## მისიმიანთა ეთნიკური ვინაობის საკითხისათვის

ქართველი ერის ისტორიაში მისიმიანებმა სახელოვანი ფურცელი ჩაწერეს. მართალია, მათ თავიანთი ზანგრძლივი არსებობის მანძილზე მხოლოდ ერთხელ გაიღვეს ისტორიის არენაზე, მაგრამ ისეთი ძლიერი იყო ეს გაღვევა, რომ იმდროინდელი მსოფლიოს ყველაზე სახელგანთქმული ქვეყნის — ბიზანტიის ხელისუფალთა განგაში გამოიწვია.

კოდრის ზეობის მთიანეთში მცხოვრებ თავისუფლების მოყვარე მისიმიანებს ახ. წ. VI საუკუნეში ბრძოლა მოუხდათ ბიზანტიის იმპერიის მრავალრიცხოვან ქართან. მამულის შენარჩუნების წყურვილით ანთებული ღამის მთელი ტოპი ერთი კაცით შეაკვდა უზარმაზარი სახელმწიფოს ძლიერ სამხედრო ძალას. ამის უტყუო მოწმეებია მათ ნაფუძვარზე შემორჩენილი ციხე-სიმაგრეთა ნანგრევები და ძვალო-შესაღავები.

ისევ მისიმიანთა ღირსეულ შტერს უნდა ვუმადლოდეთ, რომ დაგვიტოვა ამ გვირგვინის მარჯვენა მარჯვენა უღრესად საგულბო ცნობები. სწორედ ამ უწყებებით იქცნენ მისიმიანები ისტორიის კოლენილად. სამედიკო-სახისოცებლო ბრძოლის მისიმიანთა მცირე ნაწილი გადაურჩა, რომელმაც დამოუკიდებელი ეთნიკური საბით დღემდე ვერ მოაღწია, მაგრამ, სამაგიეროდ, ვადაარჩინეს მამული, ის მიწა-წყალი, სადაც მათი სისხლით მოთავსებულ ხალხის საცოცხლე დღესაც გრძელდება. ამ კუთხის დაღ-ს უწოდებენ (აღბათ, თვით მისიმიანების აქ ბინადრობის დროიდან), ხოლო იქ მცხოვრებთ სვანები დაღარ-ს (დაღლებს) ეძახიან. იქნებ მაშინაც ასე ეძახდნენ მისიმიანებს, თუმცა ბიზანტიური წერილობითი წყაროებით მათ ფუნტლებსაც უწოდებენ. დაღ და ფუნტ ღვთაებების რწმენა დღემდე შემოინახეს სვანებმა, მაგრამ

ამაზე ცოტა ქვემოთ, ახლა კი ამის შესახებ, თუ ვინ იყვნენ მისიმიანები.

აგათია სქოლასტიკოსის (VI ს.) ცნობით, მისიმიანები, ისევე როგორც აფსილები, კოლხეთის (ე. ი. ლაზეთის) შულის ქვეშევრდომები იყვნენ, მაგრამ ამ ტომთაგან განსხვავებით სხვა ენა და ზნე-ჩვეულებები ჰქონდათ. როგორც აგათია სქოლასტიკოსი ვაყენობებს, მათ ბიზანტიელებთან ბრძოლაში დაკარგეს მათი მამაკაცი, ამაზე მეტი ქალი და ბავშვი. მისიმიანებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს VI ს. შუა წლებში ბიზანტია-ირანის, იმ დროინდელ მსოფლიოში ყველაზე უძლიერესი სახელმწიფოების ომში, რომელიც დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე მიმდინარეობდა.

მისიმიანთა აქანება ნან წელს მოხდა. მართალია, ამ ბრძოლაში მისიმიანთა ტომის უმეტესობა გაწედა და აქანება სასტიკად იქნა ჩახშობილი, სამაგიეროდ ბიზანტიელებმა ამის შემდეგ ვერ გახედეს მისიმიანთა სოფლებში რაზმების ჩაყენება, პირი იბრუნეს და ცენტრალურ ეგრისში დაბრუნდნენ. მისიმიანები კი კვლავ ძველებური ცხოვრების აღდგენა-განახლების შეუდგნენ (გეორგიკა, III, 1886, ქსე, ტ. 7, გვ. 13-14).

საუკუნეების განმავლობაში მისიმიანთა ვადარჩენილი ნაწილი ისტორიის ავანსცენიდან ისევ გაქრა, რომ არსად ამის შესახებ ერთი წერილობითი ცნობაც არ შემონახულა. VIII საუკუნის შემდეგ ისტორიულ წყაროებში მისიმიან-ფუნტლები არ მოიხსენიებიან. ამიტომ დღემდე დიდგვენელია თუ რა ხედი იქნა ამ ხალხს. შეიძლება დავუშვათ მხოლოდ შემდეგი ვარაუდები: ა. მისიმიანების ვადარჩენილი ნაწილი არაბთა შემოსევების დროს იქნა განადგურებული; ბ. არაა გამოჩენილი მათი ვადანახლება იმერ კავკასიაში, მეზობელი ვუ-

ბანის სათავეებში, რასაც ხელს უწყობდა ქლუბორის ადგილად გადასახლებული უღელტეხილი. ამასთან დაკავშირებით, საგულისხმოა, რომ ყუბანის სათავეებში სვანთა განსახლება შუა საუკუნეებში შეესაბამებოდა დადგენილ (ლ. ლავროვი, რ. ხარაძე, ალ. რიბაქიძე, თ. შიხიანი). ნაწილიც, შესაძლოა, ზემო სვანეთის ახლო მდებარე, კუბერის ხეობაში გადასახლდა; გ. არც იმის უარყოფა შეიძლება, რომ მისიმიანებს აქტური როლი არ შეესრულებინათ აფხაზი ხალხის ფორმირების პროცესში.

მისიმიანების საკითხით არაერთი ისტორიკოსი დაინტერესებულა. უძველესი მათი ეთნოგრაფიკული ვინაობის გაგებას და გარკვეული მოსაზრება გამოთქვამს, მაგრამ იგი მკვლევარებს შორის დღემდე იწვევს აზრთა სხვადასხვაობას. მკვლევართა უმეტესობა (ს. ყაუხჩიშვილი, გ. მელიქიშვილი და სხვ.) მისიმიანებს ერთ-ერთ სვანურ ტომად მიიჩნევენ. მეორე მოსაზრებით მისიმიანები აფხაზური ტომი უნდა იყოს (შ. ინალი-ფაა და სხვ.). მესამეთა აზრით მისიმიანები სვანურ-მეგრული ნარევი ტომია (პ. ინკორაია). ზ. ანაბაძე 1964 წელს გამოქვეყნულ წიგნში „ძველი აფხაზეთის ისტორია და კულტურა“ მისიმიანებს სვანურ ტომად მიჩნევს შესაძლებლად თვლის (გვ. 158). ხოლო 1978 წელს გამოქვეყნებულ წიგნში „აფხაზი ხალხის ეთნოგრაფიკული ისტორიის ნარკვევები“ წერს, რომ მისიმიანები რომელ ეთნოგრაფ ჯგუფსაც არ უნდა ეკუთვნოდნენ, ისინი საბოლოოდ აფხაზებში უნდა გაქვეყნდნენ (გვ. 45). ე. ა. ზ. ანაბაძე უფრო მისიმიანთა სვანურ წარმომავლობის თეორიას იზიარებდა.

მისიმიანების ეთნოგრაფიკული ვინაობის საკითხთან დაკავშირებითა გვიანდა მკვლევლის ურთადლება გვაქმნებდა სიფიქსით ისეთ ეთნოლოგიკურ მასალაზე, რომელიც შეესაბამებოდა მიმოკვლევაში ან არ უფიქსდა, ან კიდევ მის განსაკუთრებულ მნიშვნელობას სათანადო რეგისტრაცია არ მოჰყოლია.

დიდი ხანა გამოქვეყნდა მოსაზრება იმის თაობაზე, რომ წარსულში სვანური ტომების განსახლების არეალი ვაკლდებში მტკ ტერიტორიას მოიცავდა. ამ მოსაზრების საფუძველს ძირითადად წერიალიებითი წყაროები აძლევს. ზოგჯერ, აღნიშნული დებულების განმტკიცების მიზნით, ტომონიმიურ მასალასაც იხვედებიან, რომელიც ამ უაღრესად საჭირო შემთხვევაში ძალიან მწირადაა წარმოდგენილი. ამ დასაყვლად საკარგველი ტერიტორიაზე სვანური წარმოშობის ტომონიმების შესწავლა მნიშვნელოვანია არა მარტო წარსულში სვანთა განსახლების ტერიტორიის დადგენის მიზნით, არამედ მას გარკვეული სინათლის შეტანს შეუძლია აღნიშნული რეგიონის მოსახლეობის ზოგადი საკითხების კვლევის საქმეშიც. ისტორიული მისიმიანები, რომლებსაც სვანე-

ბი დალ-ს ეძახიან, თანამედროვე ადმინისტრაციული დაყოფით აჭარისა და ლაიის ს/სახ. კოეპების ტერიტორიებს მოიცავდა. ზედიზედ სვანების ამ გადმოსახლება ხდებოდა მნიშვნელოვან საუკუნის დასაწყისიდან. სვანებს მაშინ აქ დახვდა ისეთი სვანური წარმოშობის გეოგრაფიული სახელები, როგორცაა თვით მხარის სახელწოდება დალ. ცალკეულ ადგილთა სახელები: გენწვიშ, ლათა, ფუსტა, ლაკადა და სხვ. ამ გეოგრაფიულმა სახელებმა სხვა აფხაზურ, ენობრივ საშუაროში საუკუნეების გაუძღეს და მისიმიანების დროიდან დღემდე უმწიკვლოდ მოაღწიეს.

გინეზილით ეს ტომონიმები ცალ-ცალკე: გენწვიშ — სოფელია; აჭარის ს/სახკოეპ. ტომონიმი დაიწლება ასე: გენწვიშ. ამ გეოგრაფიულ სახელში ფუძე-სიტყვაა „გენწვი“, რომელიც „გენწვი“ სვანური სიტყვის ოდნავ სახეცვლილი ფორმაა. „გენწვი“ სვანურად ანწლს მქვია. ხოლო — ეს ცნობილი სვანური სოფელია. გენწვიში/გენწვიშ ნიშნავს ანწლიან ადგილს. სოფელ გენწვიში აწლი მართლაც გავრცელებული მცენარეა.


ხანდაზმულები ახლაც ამბობენ, სვანებმა ჯერ კიდევ აქ გადმოსახლებაზე იცოდნენ, რომ გენწვიში უნდა დასახლებულიყვნენ.

ლათა ს/სახკოეპის სახელია და მდებარეობს წლებლის ზემოთ, უფიქსი ისტორიული მისიმიანების ტერიტორიაზე. ლათაში სვანების ჩასახლება ხდება უფრო გვიან, კერძოდ, მიმდინარე საუკუნის 30-40-იან წლებში. მათ იქ დახვდა ქართული, სომხური... მოსახლეობა. სოფელს ასეთი სახელი მქონდა სვანების იქ დასახლებაამდე, ამჟამად სვანური მოსახლეობა იქ შედარებით უკლებლად წაყვებია. ლათა სვანური წარმოშობის ტომონიმი და ნიშნავს „გასაყოფ“ ან „გაყოფ“ ადგილს, ხრული ამ სიტყვის მნიშვნელობით.

ლათას ტერიტორიაზე მდებარე ერთ სოფელს კადარ მქვია. „კადარ“ სვანურად „შრადს“ ნიშნავს. საერთოდ ლათის ტერიტორია და, კერძოდ, კადარ მართლაც რომ გორაკებიაში და შრადი ადგილია.

იმხევა კითხვა: ხომ არ მომდინარეობს ამ ტომონიმთან მიდრონიმი კოდორი თუ გავითვალისწინებთ ამას, რომ ქართულ-სვანური ბუნურში (მეგრულ-სვანურში) ო-დ გადაღის (მაგ. ქართ. ასი, სვან. აშირ, მეგრ. ოში და სხვ.), მაშინ კოდორი სვანური კადარ სიტყვის წინაშეული ფორმა შეიძლება იყოს. ისტორიული თვალსაზრისით ეს ფაქტი ანგარიშგასაწევია თუნდაც იმიტომ, რომ კოდორის ხეობაში მოსახლე აფხილები და მისიმიანები ლაიის საშფოში შედიოდნენ.

და რ ე. ა. ადრეშუასაუკუნეების ბიზანტიურ წყაროებში, კერძოდ, მენანდრე პროკოპტორის ცნობის მიხედვით, სადაღაც მდ. ბუფისა და კოდორის სათავეებს შორის დასახლებულა



უღელტეხილი, რომელსაც დარენი ჰქვია. აღანთიდან (ე. ი. ჩრდილოეთ კავკასიიდან) მისიონაერთი (ე. ი. ამირ კავკასიაზე) თურქი ელჩის მოგზაურობის თაობაზე მენადრე შემდეგს წერს: „აღანიანი რომ მოვიდნენ, აღანთა წინამძღოლმა საროდში ურჩია ზემარქეს (რომელიც ბიზანტიის ელჩი იყო თურქეთში), და მის კაცებს, არ წახლდითყვენ მისი-მანთა ქვეყანაზე მიმავალი გზით, რადგან სვანეთის (ხაზგასმა ჩვენი, თ. შ.) მახლობლად სპარსელები არიან ჩახაფრებულნი“ (გეორგიკა, III, გვ. 238, 237). ამ კონტექსტში მენადრეს სიტყვები: „არ წახლდითყვენ მისი მანთა ქვეყანაზე მიმავალი გზით, რადგან სვანეთის მახლობლად სპარსელები არიან ჩახაფრებულნი“, ნიშნავს იმას, რომ მისიონაერთი იგივე სვანეთია. ე. ი. მისიონაერთის ქვეყნის ანუ იგივე სვანეთის მახლობლად სპარსელები არიან ჩახაფრებულნი, მენადრეს მოწმობით „მისიონაერთი“ და „სვანეთი“ ერთმანეთის სინონიმებია. იგი ერთ შემთხვევაში მისიონაერთს წერს, ხოლო მეორე შემთხვევაში — სვანეთს.

რაც შეეხება დარენის გზას, მენადრე იქვე განაგრძობს: „შინ დაბრუნება უმჯობესია ეგროწოდებულ დარენის გზით... ზემარქე და დარენის გზით მოვიდა ასილიაში; მისიონათა გზა მან უარჰყო, დასტავა ის მარცხნივ; ამ გზით საფიქრებელი იყო, რომ თავს დახმოდნენ სპარსელები“ (იქვე).

„მისიონათა გზა“ აღვანდელ ქალბორის უღელტეხილს უნდა გულისხმობდეს, ხოლო დარენის გზა მის დასავლეთით მდებარე რომელიღაც გადასასვლელია.

ტოპონიმი დარენი დღემდე არ არის ახსნილი. ჩვენი აზრით იგი ძველი ქართული (სვანური) სიტყვაა და ნიშნავს საგუშაგოს. ამას შემდეგი ფარემოება გვაფიქრებინებს: სვანურში არის სიტყვა „ლადრენი“, რაც ჩახაფრებულ ადგილს აღნიშნავს. ამ სიტყვაში ლა — სვანური პარეფიზაა, ქართული ხას ზადალი. ამდენად ეს ტერმინი ასე დაიწვინა: ლადრენი, სადაც ლა — პარეფიზაა, დაბოლოება ი სახელბოითი ბრუნვის ნიშანი, ხოლო ფუძე სიტყვაა „დრენი“, რომელშიაც ლა — პარეფიზის დარითვის შედეგად მოხდა დასა და რს შორის ა ხმოვის რედუქცია, შეკეცვა. თუ კ ფუძეში ამ ხმოვანს აღადგენო, გვექმნება „დარენი“. დარენი წარსულში საერთო ქართული სიტყვა უნდა ყოფილიყო. ამასთან დაკავშირებით ნიშნავდებოდა, რომ შ. რუსთაველს თავის გენიალურ პოემა „ვეფხისტყაოსანში“ ერთგან გამოყენებული აქვს სიტყვა „სადარნო“. ასე მაგალითად, ქაქეთის ციხეზე იერიშის წინ ტარიელმა, ავთანდილმა და ფრიდონმა ას-ასიკაცი იახლეს:

მას ღამით უქმნეს სადარნო, უცხო, ანჩიპირნი...  
სარქვესული

„სადარნო“ ამ კონტექსტში ადგილს ნიშნავს. სვანური ლადრენის მხაგვად სადარნო დაიწვინა ასე: სა-დარნო, სა-დაც ბარია „დარნი“, რომელშიაც ხა — პარეფიზის დარითვის შედეგად რ და ნ თანხმოვნებს შორის შეეუშუღლია ე ხმოვანი.

„ვეფხისტყაოსანის“ ტექსტის მიხედვით ტარიელი, ავთანდილი და ფრიდონი მალეღად ჩახაფრდნენ, რათა მოულოდნელად მიეტანათ მტერზე იერიში. „მას ღამით უქმნეს სადარნო“ ნიშნავს, რომ მათ ღამით დასადაჩაყებელი ადგილი მონახეს, ანუ შექმნეს სადარაქო, საგუშაგო პუნქტი.

ამგვარად, შ. რუსთაველის მიერ ნახშირი „სადარნო“ და სვანური „ლადრენი“ ერთმანეთის იდენტურია.

მაშხადაშე, ბიზანტიელი ავტორებს მიერ სადაც კოდორის სათავეებში უღელტეხილის სახელწოდება დარენი ქართული (სვანური) წარმოშობის უნდა იყოს და ნიშნავს სადარაქოს, საგუშაგოს. თუ არა ქართულ (სვანურ) ენაზე მოლაპარაკე ხალხს, სხვის ვის შეეძლო ასეთი სახელის შერქმევა ამ უღელტეხილისათვის? ეს ფაქტი ერთბაშად კიდევ მიგვანიშნებს მისიონათა სვანურენოვანობაზე. ცხადია, რომ კოდორის სათავეებში უველა უღელტეხილი მისიონათა კონტროლს ემორჩილებოდა და გეოგრაფიული სახელებიც ადგილობრივი მისახველობის მერაბა შერქმეულია.

ავთია სკოლაბატოხი (VI ს.) მისიონაერთში ასახელებს ციხესმაგრე ქახარს (О царствования Юстиниана, М., Л., 1953, с. 119). რომელსაც თავისი შეუვალობის გამო „რკინისა“ ეძახიან.

ჩვენი აზრით, აღნიშნული ტოპონიმის ბერძნულ წარმოებაში აქარად ჩანს სვანური სუფიქსი — არ, რომელიც სვანურ გეოგრაფიულ სახელებს ახლავს, ხოლო თვით ფუძე-სიტყა იმდენად დამახინჯებულიადაა [გადილიცებულია, რომ ძნელია მისი მნიშვნელობის ქართულურად გენების მეშვეობის დადგენა. შესაძლოა „ქახარ“ ის მაგვარად მას „ქახარ“ რქმეოდა. ქახარ ბერძნულში არ არის და ამიტომ მის ნაცვლად ახლათ ძ ბგერა იხმარეს (რუსულად წერენ: Тсахар). „ქახ“ სიტყვა სვანური ენის მისიონაერთი დილექტა შეიძლება იყოს (შდრ. ქართ. ქახანი, და-ქახ-ება). მაშინ „ქახარ“ ნიშნავს საბრძოლო ადგილს, სადაც მოხდა მტერთან შეჯახება. ამაზე მივანიშნებს — არ სუფიქსიც.

ამ ქახარ თუ ქახარ ტოპონიმიდან უნდა იყოს ნაწარმოები გეოგრაფიული სახელი ჩხალთა (სოფლის სახელია ისტორიულ მისიონაერთში). ჩხალთაში ერთ კლდეზე (მდ. საყენისა და აძგარას შესართავთან) ახლაც

...თანა ჰყვა კაცი სამასი, ყველაი გმირთა დარენი,

დასაქველ ცოხის ნანგრევები ჩხალთა, ამ ფორმით. აფხაზური ენის სამყაროში უნდა ჩამოკალიბებულიყო ძაბარქაბარის ნადავლები. სადაც რ შეიცვალა ლოი და სვანური — არ აფხაზურ — ადიღურთა თა—სუფუქსით.

ლაკადა ჰქვია შიის ტუიან ზოღს. მდკოდრის ხეობიდან ენურამდე. ლაკადას ეძახის შის ადიგლობრთი აფხაზი და შევტელი მოხალეობა. შათი განმარტებით „ლაკადა“ შის იმითმ ჰქვია, რომ ტუიანი შხარეა. „ლაკადა“ შართლაც არის ტუიანი შხარე და შიხი სვანური სახელწოდებაც შის გამოშხატველია. ლაკადა სვანურად ანაქაფხის ნიშნავს. იგი ახე დოაშლებს: ლაკადა, სადაც ლა — სვანურა მანარმოებელი პრეფიქსია, ხოლო კადა სვანურად „ანაქას“ ჰქვია.

სქიომარის ციხე, რომელსაც შაქსიმე აღმსარებლას „ცხოვრებაში“ თეოდოს განტრელი (VII ს.) ახაბელებს (გეორგიკა, IV, I, გვ. 42), უნდა იყოს იგივე აღანეთის მახლობლად მდებარე სხეშარისი (იქვე, გვ. 45, 46, 51, 54 სქოლიომ). სქიომარის და სხეშარისი ციხეები აღანეთის მეზობლად მდებარე ტყეებია. აღანეთის მეზობლად მდებარე უფრო მისიმიანეთი უნდა შიუჩნოთ, რადგან სწორედ შიხიმიანეთიდან ვადადიოდნენ ქლუბორის ხელსაურელი უღელტეხილით აღანეთში. სქიომარისი|სხეშარისი მდებარეობდა ან შიხიმიანეთის ტერიტორიაზე, ან უზბანის სათავეებში იმ ადგილას, სადაც ამჟამადაც ერთ აუღს ხეშარის ჰქვია (ქ. კარაჩაევსკიდან 5 კმ-ზე). ვ. ზარდალიშვილს იგი ქართული წარმოშობისად შიხიანა (თსუ შრომები, ტ. 86, 1949, გვ. 147-148). ლ. ლავროვი შის ზემო სვანეთის ერთ-ერთი სოფლის ცხუმარის სახელწოდებას უდარებს (КСИЭ, X, 1950, გვ. 78). აღსანიშნავია, რომ ნიკონოვის შატაინის მიხედვით 1562 წელს ხუმარის ტერიტორიაზე დასახლებულია „Мишанские и сонские кабаки, Перл, т. XIII, 2-я, с. 371). „შუნსკიე“ და „სონსკიე“ ეთნიკიშების ქვეშ რუსულ წარბეებში სვანები იგულისხმებიან. პირველი მომდინარეობს სვანთა სვანური სახელწოდებისაგან — „მუშუა“ და შორე — „სონა“ ტრინიდან. სონას სვანებს უწოდებენ ადიღურთა ტომები: ყაბარდოელები, ჭერქეზები (შტრ. А. Робакидзе, Сванети, Тб., 1984, с. 6).

როგორც ზემოთაც შევნიშნეთ, უზბანის სათავეებში სვანთა განსახლება ანტიკური და არარული შუა საუკუნეებიდან დასტურდება, რასაც შილიანად ეძღვნება ჰვენი მონოგრაფიული გამოკლევა (თ. მიხიჯანი, მეგობრობის სათავეებთან, თბ., 1986). აღნიშნულ ტოპონიმზე მუშაობასას ქართველური ენების ცნობილმა მეღვარეებმა, ან განხვეწებულმა შ. ქალდანიშმა დაჯვადატორმა შიხი ცხუმარ სვანური სტრუქტურად წარმოშელობა. შ. ქალდანიშ ა-

რით, საწყისი ც ზგერა უცხო ენათა გარემოცვის შედეგადაა დაკარგული, ხოლო დაბოლოება — ისი ზერწმულის გავლენითაა გარწმული. ე. ი. ხუმარის თავდაპირველი ფორმა უნდა უყოფილიყო ცხუმარ, რაც სვანურად რცხილარს ნიშნავს.

სქიომარ შეიძლება მომდინარეობდეს, აგრეთვე, შორე სვანური სიტყვისაგან „სხეშარ“, რაც შივთე წლებიან ადიგლს აღნიშნავს (სვან. „სხეშ“ — შივთე წყალი, ხოლო — არ მრავლობითობა — წარმოშელობის აღმნიშვნელი სუფიქსია). „სხეშარ“ სვანეთშიაც არაერთ ადიგლს ჰქვია.

დაღ კოდრის სათავეებში შივთე ხეობის სახელწოდებაა, ე. ი. ის შიოცავს შილიანად ისტორიულ მისიმიანეთს. მისიმიანეთიდან ზემო სვანეთში გადასახლებულს „დალია თანალს“ (დალის უღელტეხილი) და „დალია კოქარ“ (დალის კლდეები) ეწოდება. დალი სვანურ ღვთაებათა პანთეონში ნაღვრობისა და მონადირეთა შივარველ ქალღვთაებაა ცნობილი. შივღვთაება აზრით იგი შატარაქტის ხანის რელიგიური კულტების რიგს განეკუთვნება. ამდენად, ამ ხეობის სახელწოდება დაღ უძველესი დროიდან უნდა მომდინარეობდეს. დალის კულტის შატარებლები არიან დღევანდელი სვანების.

შიხიმიანებისათვისაც რომ დალი ერთ-ერთი უმაღლესი და უშთავრესი ღვთაება უნდა უყოფილიყო, ამაზე შიგანიშნებს თვით შათი განსახლების ტერიტორიის სახელწოდება, რომელსაც დღემდე მოაღწია.

დალი ეწოდებოდა ამ შხარს სვანების იქ ხელმეორედ ჩახსლებამდე, ე. ი. მიმდინარე საუკუნის დასაწყისამდე. ამაზე შივთეველებს ლილღებს ცნობაც, რომელიც XIX ს. 50-იან წლებს ეუთფინს (ЗКОРГО, 1867, IV, გვ. 181). ლილღე ამ შხარს დაღს უწოდებს. ამასთან დაკავშირებით შეიძლება სხვა წერილობითი ცნობების დამოწმებაც, შხარამ, ვფიქრობთ, ეხეც საქმარისია იმის დასახაბუთებლად, რომ ქართული (სვანური) ღვთაების დაღის სახელს ატარებს ისტორიული მისიმიანეთი არა XX საუკუნის დასაწყისიდან, როცა იქ ხელმეორედ ჩგდება სვანური მოსახლეობა, არამედ უძველესი დროიდან. ამ კუთხის ასეთი სახელი მისიმიანთა სვანურობის ხელშეუვალი არგუმენტია.

ფუსტა მისიმიანეთში ადიგლს ერქვა, აქედან — „ფუსტას ციხე“. ფუსტას მისიმიანეთში ახაბელებს თეოდოსი განტრელი (გეორგიკა, IV, I, გვ. 44-45). ეპოქანე კონსტანტინეპოლილი (VIII ს.) შის ქალაქს უწოდებს, ხოლო იმარ მცხოვრებლებს ფუსტელეზის სახელით იხსენიებს (გეორგიკა, IV, I, გვ. 57-58).

ამ ადიგლს ამჟამადაც ფუსტა ეწოდება (აფხაზები შის აფუსტას ეძახიან). ათონსა და გუ-

დაუთან შორის ერთი მდინარე, რომელიც ხა-  
მყვან ხადაც, შოების მიდამოებში იდგის,  
კერძოდ ფუსტის (ანუ აფუსტას) სახელწოდებ-  
ითაა ცნობილი.

ფუსტ-ს სწავურ ღვთაებათა პანთეონში  
ერთ-ერთი ყველაზე საპატიო ადგილი უკავია.  
კავკასიის ხალხებიდან ფუსტის სახელობის  
ეკლესიები მხოლოდ სვანეთში გვხვდება, კერ-  
ძოდ, შებტის ჩაიონის სოფელ ღებთაგში.  
უფაღში, შულაბში, ლენტეხის ჩაიონის სო-  
ფელ ფაუში და ა. შ.

ფუსტ, სვანების გაგებით, არის უფალი, ბა-  
ტონი, ქვეყნის გამგებელი, შთავარი (ხ. ჯან-  
ჭია, შრომები, ტ. III, 1959, გვ. 181, 185).  
სვანური ფუსტის წარმომავლობაზე საუბარი-  
დან მოსაზრება გამოქვამა. გ. მელიქიშვილმა.  
მისი აზრით, ძვ. წ. II ათასწლეულში შვირე  
აზიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ცენტრის  
(შეზღვრული ხეობის სამეფოს დედაქალაქის)  
ხატუსასის მმართველის ფუსტის სახელი ასო-  
ციაციას იწვევს სვანურში ღვთაება ფუს-  
ტის სახელთან (BДИ, 1985, № 1, გვ. 8-9).

აღსანიშნავია, რომ შთავარ დამეშქელიანებს  
სვანები ფუსტს ეძახდნენ. მეფის, ბატონის,  
შთავარის აღწიშვნელად სვანების მიერ ფუსტ  
ტერმინის ხმარება შესაძლოა მართლაც შეტუ-  
ველებდეს მისი ხეობრიდან მომდინარეობაზე.  
ყოველი წლის მაისში ქვემო და ზემო სვა-  
ნეთში ფუსტის სახელობის ეკლესიებში გვი-  
ანთამდე აღნიშნავდნენ ამ ღვთაებისადმი მი-  
ძღვნილ სახალხო დღესასწაულს.

მაშასადამე, მისიმიანებს გააჩნდათ ფუსტის  
სახელობის ციხე-ქალაქი, ხადაც, ცხადია, ამ  
ღვთაების სახელობის სამლოცველო უნდა არ-  
სებულყო, ე. ი. ისინი ამ კლდეის მატარებ-  
ლები იყვნენ, მსგავსად ზემო და ქვემო სვა-  
ნეთის სვანებისა.

ჩვენი აზრით, ეს ფაქტი ერთბელ კიდევ ნა-  
თელს ხდის მისიმიანთა ეთნიკური განაობის  
საკითხს და მას ანგარიში უნდა გაეწიოს. საგ-  
ნებთ მართალია პროფ. შ. ინალი-ფთა, როდ-  
ესაც წერს: «Топонимы называются языком  
земли». Его же можно назвать и архивом  
земли» (შ. ინალიფთა, აფხაზთა ეთნო-კულტუ-  
რული ისტორიის საკითხები, სოხუმი, 1978,  
გვ. 878).

თუ ეს ასეა, მაშინ ცხადი ხდება, რომ მისი-  
მიანების ენა, ეს ის ენაა, რომელზედაც დღემ-  
დე შეტყუვლებს მათი განსახლების ტერიტორი-  
აა.

რაც შეეხება მისიმიანთა ერთ-ერთ აფხაზურ  
ტომად მიჩნევის საკითხს, საამისოდ მოშველი-  
ებული არგუმენტები მეცნიერულ კრიტიკას  
ვერ უძლებს. მივმართოთ ფაქტებს: აგათია  
სქოლასტიკოსი ერთგან მითითებს, რომ აფ-  
ხილებსა და მისიმიანებს ყოფის ერთნაირი

წინები აქვოთ, თუმცა კონკრეტულად არ ვიცო-  
რან აქვს მხედველობაში ბერძენ კულტურულ  
ზოგადი ხასიათის ეს ცნობა შემტლებზე უფ-  
ციურ ნათესაობაზე მიუთითებს, როგორც ანას  
შ. ინალი-ფთა-ფიქრობს (დასახ. ნაშრ. გვ. 27).  
მაშინ როგორღა ვაევიოთ XVIII ს. იტალიელი  
მისიონერის ალ. ლამბერტის შემდეგი სიტყვები:  
«Про аланов и зихов я отделию ничего не  
скажу, потому что у них такие же обычаи  
как у их соседей сванов и абхазов»  
(СМОМПК, вып. 43, 1913). ე. ი. აღსანიშ-  
ნავია, სვანები და აფხაზები XVIII ს. ერთი და  
იგივე ხალხია? ვარდა ამისა, ბიზანტიურ წყაროებ-  
ში არის მითითება იმის შესახებ, რომ მისიმიანე-  
ბი და აფხილები სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფებს  
ეკუთვნიან (შდრ. Г. А. Меликишвили, К ис-  
тории древней Грузии, Тб., 1959, с. 200)  
შ. ინალი-ფთა გაკვირვებას გამოთქვამს იმის გა-  
მო, რომ თუ მისიმიანები სვანები იყვნენ, ასე-  
თი ძლიერი ხალხის აურა აფხაზებმა როგორ  
შესძლესო (იქვე, გვ. 288).

ქერ ერთი — არავითარი სახელი არ არსე-  
ბოდა იმის დასამტკიცებლად, რომ მისიმიანები  
თავიანთ დედა-მუდიანად აფხაზებს აეუაროთ;  
შეორე — თუ კი მისიმიანები აფხაზებმა აუა-  
რეს, მაშინ ეს ისევე მათ არააფხაზურობაზე შე-  
ტყუვლებს; მესამე — მისიმიანების უმეტესი  
ნაწილი ბიზანტიელებმა ამოწვეიტეს, ნაწილიც,  
შესაძლოა, ტოვებს შტერთა მუდმივი თავდას-  
მების ადგილს. არაა გამორიცხული, შესაძლ-  
ებლობა, რომ მისიმიანთა აურა საბოლოოდ არა-  
ბებმა გადაწვეიტეს (შდრ. შ. ანჩაბაძე, დასახ.  
ნაშრ. გვ. 50); როგორც ზემოთაც აღნიშნეთ,  
შესაძლოა მისიმიანთა გარკვეული ნაწილი აფ-  
ხაზებში იქნა ასიმილირებული. ამიტომ თუ კი  
გვარი მარშანთა მისიმიან ტერმინიდან მომ-  
დინარებოდა, ეს მისიმიანთა აფხაზურობაზე კი  
არა, მარშანის მისიმიანურ წარმომავლობაზე  
მიგვიანიშნებს (შდრ. შ. ინალი-ფთა, დასახ. ნაშ-  
რომი, გვ. 288). რაც შეეხება საკითხს, თუ რა-  
ტომ იწოდებოდნენ სვანები სხვადასხვა სატო-  
მო სახელებით, როცა მათ სტრამონის სანებებს  
უწოდებდნენ (იქვე). უნდა განვმარტოთ, რომ  
სტრამონის სოკან იგივე შოან, შონ, შუან-  
ისწავს. რამდენადაც ბერძნულში შ ბგერა არ  
არსებობს, ამდენად ბერძნები შ-ს მაგიერად  
ხმარობდნენ ს-ს. სტრამონი ისე უწოდებს სვა-  
ნებს როგორც შგერტლები შონის და აფხაზე-  
ბი ა-შანუას, ან თვით სვანები — შუშან-  
სწორედ ამ შუშან-ის ბერძნულ ნიდაგზე ოდ-  
ნავ სახეცვლილი ფორმაა მიშიმიანთა. ან რა  
გასაკვირია, თუ ბერძენმა ავტორებმა ქართუ-  
ლი სატომო სახელის არაფუსტ ტრანსკრიპცია  
მოგვეცეს? ასეთი ფაქტები განა ცოტა გაგვა-  
ჩინა? ასეთ შემთხვევაში რატომ არ უნდა გა-  
ვითვალისწინოთ ისიც, რომ იგივე სტრამო-

ნის (მკ. 64, აბ. წ. 24) ცნობით, კავკასიაში სვანები „თითქმის საუცუტესონი არიან ხაშა. მაცისა და ძალის მხრივ: ფლობენ ისინი ირგვლივ (უვალაფერს) და უპირაით კავკასიონის მწვერვალები, რომლებიც დიოსკურიის ზემოთ არის: შავთუ ბასილენი და საბუკ 2000 მაშაქ-ცისაგან შემდგარი, და, როგორც ამბობენ, ჰყრებენ ლაშქარს 2000 000 (კაცის რაოდენობით). მართლაც მთელი ზალბი შეოშარია, შავ-რამ არა ორგანიზებული... სხვა ტომები, რომლებიც კავკასიონის მახლობლად არიან, ღარიბები და მცირე მიწის მქონენი არიან“ (თ. უაუზნიშვილი, სტრახონის გეოგრაფია, 1917, გვ. 19).

სტრახონის ეს ცნობა თანდათან კოულდობს გამართლებას და იგი სულაც არ არის ზღაპრული ხასიათის, როგორც ეს ზოგიერთს აქმედებდა. ყოვლად შეუძლებელია მისი მანერით არ ვიგურობდნენ სტრახონის სიტყვებში: სვანებს „უპირაით კავკასიონის მწვერვალები, რომლებიც დიოსკურიის ზემოთ არის“.

თითქმის იგივეს წერს მენანდრე (VI ს.): „ეს (სვანეთი) ერთი იმ ტომთაგანია, რომელიც კავკასიის ვარშემო ცხოვრობს“ (გეორგია, III, გვ. 221).

რადღაც გაზვიადებულად არ უნდა გვეჩვენოს ეს ცნობები, ისინი რომელიც ისტორიულად არსებულ რეალურ სინამდვილეზე მიგვანიშნებენ, წინააღმდეგ შემთხვევაში რატომ ანალოგიურ ცნობებს არ გვაწვდიან სხვა რომელიმე ტომებზე? პირველ ბერძენი ავტორი წერს, რომ სვანებთან შედარებით „სხვა ტომები, რომლებიც კავკასიონის მახლობლად არიან, ღარიბები და მცირე მიწის მქონენი არიან“.

რაც შეეხება აფხალებისა და მისიმიანების ენას, ამის შესახებ ზემოთაღნიშნულით ბერძენული წყაროს ცნობა, რომ ისინი სხვადასხვა ენაზე ლაპარაკობდნენ, მაგრამ შ. ინალიფა ამასთან დაკავშირებით შენიშნავს, რომ მაშინ ბიზანტიელები აფხალებს რატომ აგზავნიდნენ მისიმიანებთან ელჩების სახით? ვანა ელჩები მაინცდამაინც სვანები უნდა ყოფილიყვნენ? ან რატომ არ შეიძლება მისიმიანებსა და აფხალებს ერთმანეთის ენა სყოფნოდათ, ან ორივესათვის ქართული ან მეგრული ენა ყოფილიყო საერთო. ან იქნებ ბერძენულიც იყოფნენ, რომელსაც მაშინ ფართოდ რეზონანსი მქონდა. დღევანდელი სვანების დღეა ნაწილად ჩინებული იყოს მეგრული, აფხაზული მკვიდრმა ბერძნულ სვანმა — აფხაზური და ა. შ.

პატ. მეციერი წერს, რომ მისიმიანებისათვის დამახასიათებელი იყო ხის სახლები, სვანები კი ქვის სახლებში ცხოვრობდნენ (იქვე). სვანებისათვის დამახასიათებელია როგორც ქვის, ისე ხის სახლები. ამას ბუნებრივ-გეოგ-

რაფიული პირობები და ადგილმდებარეობა განაპირობებს.

იქვე შ. ინალიფა ეხება ტომთაშორის და დასძენს, რომ აღნიშნული რაიონის მთელი ტომიმიანთა დაკავშირებულა აფხაზ აბორიგენებთან და არგუმენტად მოჰყავს ვაშლიყვანა: „მთები ეკუთვნოდათ მარშანებს“ (გვ. 234). იქვე შენიშნავს, რომ მართლაც ნიშნავს „შ. რშანიას შთას“, ზოლო „მისიმიანთა“ მისიმიან ტერმინთან ახლოს დგასო. სხვა საბუთი მისიმიანეთის აფხაზური წარმომავლობის ტომიმიანების შესახებ არ მოყვას.

მართლაც თუ მარშანიას შთას ნიშნავს და მისიმიანთა მისიმიან ტერმინთან მომდინარეობს, ეს აფხაზურში მისიმიანური ელემენტის არსებობაზე მიგვანიშნებს და არა მათ აფხაზურ-რომაზე.

ისტორიულ მისიმიანეთის ტომიმიანთა ჩვენს სპეციალურად შევისწავლეთ, რაშიც დიდი დახმარება გაგვიწია შ. ქალდანი. აქ ათეულობით გეოგრაფიული სახელი სვანურ ენაზე ახსნას ექვემდებარება. აქედან რამდენიმე ტომიმიანზე ზემოთ გვევლინა მსგავსება და უკვე ლევე ამას აღნიშნული საკითხის მკვლევარები მომავალში, ალბათ, ანგარიშს გაუწვენ.

სხვა უვალაფერს რომ თავი ავარიდოთ, თუ მისიმიანები სვანურენოვანნი არ იყვნენ, მაშინ საიდან გაჩნდა მათი განსახლების ტერიტორიაზე ის სვანური წარმოშობის გეოგრაფიული სახელები, რომლებიც უკვე მოვიხსენიეთ?

მისიმიანთა სვანობა აშკარად ჩანს იმ წერილობით წყაროებიდანაც, რომელიც ეხება VI ს. ორან-ბიზანტიის დავას სვანეთის გამო. არა გვევლინა, ორან-ბიზანტიის ბრძოლა VI ს. უკუნეში ყოფილიყო მხოლოდ ენგურისა და ცხენისწყლის სათავეებს შორის მდებარე სვანეთისათვის. ამ სვანეთს არც ტერიტორიით და არც სტრატეგიული თვალსაზრისით არ შეიძლება მიენიჭოს ის მნიშვნელობა, რასაც იმდროინდელ სვანეთს ორანი და ბიზანტია ანიჭებდნენ. ამ დიდი იმპერიების საყლოზელი უნდა ყოფილიყო ზემო და ქვემო სვანეთთან ერთად მისიმიანეთი, რომელიც წარმოადგენდა უვალაზე მნიშვნელოვან სამხედრო-სტრატეგიულ ობიექტს, რადგან ამ ტერიტორიაზე გადაი-ოდა მთავარი გზა სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ. ამიტომაც სწორედ ამ მხარისათვის ბრძოლა ღირდა თავანწირვად, რადგან მის ბელში ჩაგდებაზე დიდად იყო დამოკიდებული კავკასიაში მოქმედება ვაზატიონების შანსი.

ამგვარად, ზემოთ მოტანილ მასალას მისიმიანების ეთნიკური ვინაობის საკითხთან დაკავშირებით ვადაშეწყვეტო მნიშვნელობა ენიჭება და მისი იგნორირება ისტორიული სინამდვილის ფაქტობრივად უნდა ჩაითვალოს.

ფრანსის ოტო ვატიუნი

## როგორ უკავშირდება პოეტის აზრი მსმენელის ფარმოსახვას

მუსიკალური ტიპობის განცდა შემოქმედებით უნართან ერთად არის ნიჭი წარმოსახვისა.

კოლრაი

შემოადინიშნული შეფასება, თუ როგორ იყენებს ელიოტი მხატვრულ სახეებს და, აგრეთვე, შეფასება მისი მეთოდისა, რისი ზეობითაც აერთიანებს ამ სახეებს და ორგანულ სტრუქტურად აქცევს, უშუალოდ მიგვიძღვის იმ გზისაკენ, რომლის საშუალებითაც — მისი რწმენით — გადმოსცემს პოეტი თავის აზრს. თუმცა „გერონტიონიდან“ ცტირებულ სტრიქონებში სახეები, ძირითადად, ვიუჟალურია, ნაწევრები „ფერფლის ობზებათიდან“ გამოაკეთოს იმ ფაქტს, რომ ელიოტი მხოლოდ თავით არ აკვირდება. მას არნოდის პოეზიაში ყველაზე ძლიერ აღიზიანებს მუსიკალური თავისებურების იშვიათობა; და იმის აღნიშვნით, რომ არნოდის არსოდის აძლიერებს ამგვარ თავისებურებას, როგორც ერთ-ერთ ძირეულ თვისებას პოეტური სტილისა, ელიოტი ავითარებს ყველაზე უფრო დასაბუთებულ მსჯელობას, რასაც კი ვიცნობ, და ამას „მსმენელთა წარმოსახვის“ უწოდებს:

„ბერისა და რიტმის გრძობა აღწევს ვაცილებით ღრმა შემეცნებით ფენამდე აზროვნებისა და განცდისა, აძლიერებს თვითრეულ სიტყვას; სწვდება ყველაზე უფრო პრიმიტიულსა და დავიწყებულს, უბრუნდება საწყისს და თან რაღაც მოაქვს, ეძიებს დასაწყისსა და დასასრულს. ცხადია, ის მოქმედებს აზრთან ერთად, ანუ არ მოქმედებს ჩვეულებრივ აზრის გარეშე, და ჰქვია, გაკეთილს, ბანაღურსა და თანამედროვეს ურწყავს ახალსა და გახაოცარს,

ყველაზე უძველესსა და ყველაზე ცივილიზებულ აზროვნებას. არნოდის შეხედულება „ცხოვრებაზე“, პოეზიის თობაზე მსჯელობისას, ალბათ არც ისე ღრმაა“.

ელიოტის წარმოდგენა, რომ რიტმის გრძობა არის „აზროვნების ღრმა შემეცნებით ფენაში“, ნათელს ხდის იმას, რასაც გულისხმობდა, როცა „ღვთაებრივ კომედიათან“ დაკავშირებით შენიშნავდა, „პოეზია მანამ მოდის ჩვენამდე, სანამ მას გაიგებდეთო“. ესე იგი, ის თავისი ჭადსნური სიღრმით ახდენს შემოქმედებას ჩვენს ყურზე, გვაღიზიანებს თავისი მოძრაობით, ვიდრე ჩვენი გონება გაიგებდეს, თუ რა არის ის, რასაც ვგრძნობთ. და ელიოტისეული ჩამოთვლა ახდენი თავისებურებისა, რაც ნიშანდობლივია ბერისათვის, წარმოაჩენს, თუ რას გულისხმობს იგი, როცა ამტკიცებს, ახალი პოეტის გამოცდის საუბეთესო საშუალება ისაა, თუ რამდენად ფლობს იგი პიროვნულ რიტმსო. რადგან როგორც ღონის შემოქმედების შესწავლის შედეგად აღნიშნავს, „სტილი, რიტმი, რაც მნიშვნელოვანი უნდა იყოს და მნიშვნელოვან გონებასაც წარმოაჩენდეს, უნდა შეიქმნას ახალი შინაარსისათვის ახალი ფორმის საჭიროების გამო“. შემოთ დამოწმებული დეტალური ანალიზის დაშატებით შექმი, პოეტის რიტმი შინაშენებს აგრეთვე პოეტის განსაკუთრებულ კავშირზე წარსულსა და აწმყოსთან, ორმაგ ფლობაზე „ყველაზე უძველესი და ყველაზე ცივილიზებული აზროვნებისა“, იმაზე, რომ მან იცის ბერის პრიმიტიული ჭადსნობის არსებობა, რაც დაკავშირებულია პოეტურ იმპულსთან, თანადროული ცხოვრებიდან რომ მომდინარეობს. ამიტომ

\* თანამედროვე ამერიკელი კრიტიკოსი და ლიტერატურისმცოდნე. ავტორი გახანგრებული წიგნისა „ამერიკული რენესანსი“.

მისმა რიტმმა ხორცი უნდა შესახსნ მძაფრ გრძობას სიტყვათა მუსიკალობითაც და მათი უაღრესად მრავალფეროვანი შინაარსითაც.

ელიოტს უთქვამს, ჩემი ლექსები ხშირად ზოილა რაიმე მოდულაციისაგან, ჩემს გონებაში რომ გაურბენიაო. ერთი უმნიშვნელო, მაგრამ აღმოჩენისმადეარო შემთხვევა გვიჩვენებს, თუ როგორ მოხდა, რომ ბერისა და რიტმის მისეულმა განცდამ, თვით პარაზოცი კი თვალისმომკრელად რომ ელვარებს, განაპირობა მოძრაობა მისი „ტრიუმფალური მარში-სა“. ის, ერთგვარად, ვაკრით გვიჩვენებს ელიოტის სმენით წარმოსახვას მოქმედებაში. შარლ მორის „გონის მომავლის“ კიბხვა უფრო იმპროტომ დაიწყო, რომ ელიოტს ის მიანდა ერთ-ერთ სველაზე ფუნდამენტურ განმარტებად კლასიკური თვალსაზრისისა. იხსნება ირონიული მწყელობით, თუ როგორი პოციციებითა და აქლოდისმენტებით ზედებიან ქუჩებში თვით-ეულ ახალ მოხვენებით ფურხალისტურ ტრიუმფს. გამოყვანილა საშუალო მწერალი, აღგზნებულ რომ ლაპარაკობს.

„შეგდლიათ მოერადოთ? თქვა მან, ვიწროთვალეზიანმა სახელმწიფოს მეთაურმა. ჩვენ გვაქვს ნახევარი შინისტრთა საბჭო და გვყავს ორი პრეფექტი. ამდენი გენერალი ბაირადეზიანი ჭარბი, დროშებიანი მუსიკოსები, რომ არ ჩავთვალოთ უამრავი ხელისუფლების წარმომადგენელი მოსამართლის მოსახსამებში და პროფესორები ტოკების გარეშე, რაც სამწუხაროა. — და ჭარისკაცები, ცხენებს რომ უწრუბუნებენ? — დიახ, უწრუბუნებენ. — და ჭარბი? — თქვენ იტყვიო. — მაგრამ რას იტყვის ხალხი? — მას არა ჭყერა ამ ასი თვალისა!“

მთელი ახზავი იმისთვის მოციხმე, რათა მკითხველმაც გაიაროს ის საგარეულო გზა, როცა ელიოტს უფრო მოხვდა გამოთქმა *Tant de généraux* („ამდენი გენერალი“); და შეძლო ჩაწედომოდა არამარტო წყაროს, საიდანაც ისეხსა თავისი ფინალური, დამავგორგვიანებული სტრქონი: „და ჭარისკაცები ცხენებს რომ უწრუბუნებენ? დიახ, უწრუბუნებენ“; არამედ უფრო მნიშვნელოვანს, წყაროს, საიდანაც უფროისა გარკვეული განცდა მოძრაობისა, რაც ლექსის რიტმებად გარდაქმნა. იმის ჩამოთვლისას, თუ რა ელემენტებს ითვსებს პოეტის უფრო თავისი შთავგონების წყარობიდან, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ელიოტმა აქ კონტექსტი გარდაქმნა სხვებით ახალ, საკუთარ იმეულში, ოღონდ გამოიყენა ხარბის ამაო ფუსფუსის მინიშნება, როგორც კონტრასტო თავისი გმირის უფოთველობის წამიერა აღქმისა.

და კვლავ მსმენელთა წარმოსახვის მისეულ განხილვის შუქში, ახლა შეგვიძლია უფრო ღრმად ჩაწვდეთ, თუ რას გულისხმობს იგი,

როცა სუნიის ნაყლის ზოგადი მოხაზვიანს აცხადებდა, რომ „...ენა ობიექტს განსაღ უფდაში წარმოგვადგენს, ისე ახლოს არის ობიექტთან, რომ ორი რამ შეინიშნება“. ეს შენიშვნა კვლავ გამოქცევის განცდისა და აზროვნების კავშირს, რამაც აღმოაჩინა ელიოტს, რომ ეს სო მოტაფორიკოსთა უშთავრესი ღირსება. ამას ძალზე დიდი მნიშვნელობა ენიჭება, თუ აქვე დავიმრწებთ მეორე დაკვირვებას ენაზე მისი ცალკე გამოცემული ესეიდან:

„რა სიტყვებოც არ უნდა გამოიყენოს მწერალმა, რამდენადაც შესაძლებელია, იგი ხარგებლობს ამ სიტყვათა ისტორიის ცოდნით, იმის ცოდნით, თუ როგორ გამოიყენებიათ ეს სიტყვები. ამგვარი ცოდნა ეხმარება მის ამოცანას, მიანიჭოს სიტყვას ახალი სიციცლებუდ ენას კი ახალი იდიომი შემადტოს. არსებითი ტრადიციუა ასეთია: მისწვდუ, რამდენადაც შესაძლებელია, შეიღწეო მნიშვნელობის ენის ისტორიისა, რაც სიტყვის უკან დგას“.

ელიოტის მხრივ, სიტყვის ასეთი გრძობა არის ის, მას რომ ანიჭებს იმ თვისებას, რაც კლიავ ბელმა გამოარჩია — მის შეუფლომელ ადლოს წერისას. მან იცის, რამ სიტყვა არ არის ზუსტი აღმრიცხველი, თან რომ ატაროს სხვადასხვა ფერი ყველა ადრეთად მნიშვნელობათაგან; და თუ ზუსტად რაოდენ ფერსა და ენერგიას გამოანათებს სიტყვა ელიოტის ლექსში, დამოკიდებულა იმაზე, თუ რა მახვილს დაუსვამს სიტყვას და მის ზუსტ განლაგებას კონტექსტში. მან იცოდა, ვიდრე ჩიარადესი და ემპსონი დაიწყებდნენ ორმნიშვნელოვნობის კვლევას, რომ სიტყვა ერთდროულად შეიძლება ატარებდეს განსხვავებული მნიშვნელობის რადილებს, და რომ მისი დამატებითი მნიშვნელობა გაფართოებულა ან შეცვლილია მისი მიმართულების მიხედვით სხვა სიტყვათა მოძრავ პოციციასათან, მასზე წინ რომ იყო ან მოსდებდა. ამგვარი „გერონტოინიდან“ ციტირებულ ნაწყვეტში სრული ცვლილება შემდეგი ფრაზის მნიშვნელობისა „ურჩიულს შორის“, როცა მას დავინახავთ არამარტო მანამდელო, არამედ მომდევო სტრიქონების შუქში. ფიგურალური გამოთქმაო, „სიტყვა... ვახვეული სიხნელეში“, ქრისტეს ბავშვობის სურათიც წარმოუდგება წარმოსახვას; ასევე სიტყვა *judas* — ამ კონტექსტში ის მხოლოდ აუვავებულა ხის სახელი ვერ იქნება — აღქმულია გამოცემლობის მთელი განწყობილებით და, თავის მხრივ, ამჟავრებს მას. მკითხველს ვერ უშველის იმის მოთხოვნა, რომ მას სურს სიტყვები აუვან ისეთი, როგორნიც არიან და თვითეულს, უხრალოდ, ერთი მნიშვნელობა მქონდეს; რადგან, ისევე, როგორც ხალხს, სიტყვებსაც არ შეუძლიათ ახლო ურთიერთობა ისე, ერთმანეთზე. რომ არ იმოქმე-

დონ. და პოეტის ნიჭის ერთ-ერთი გამოცდა არის ისიც, თუ რამდენად იცის, რა მიზანი მიანება თავის სტრიქონებს, თუ რა ძალა მიანება რიტმის დინებას სიტყვებს განსაზღვრულ მხარეზე. ერთ-ერთი უველაზე ნიშანდობლივი ნიმუში ელიოტის პოეზიის სწინითი წარმოცხების ძალიან, ბგერის მშვენიერებითაც და აზრის შთამბეჭებელი სიღრმეითაც, არის „კუადრატის თამაშის“ შესანიშნავი ნაწილი:

ის იქნა სკამზე, ვით ბრწყინვალე ტახტზე  
მეფისა,  
და ლაპლაქებდა მარმარილო, ბზინავდა  
ბროლი,  
მოჩითული ვაზის ფოთლებით, ოქროცურვილი  
კუმიდონი იჭერიტებოდა ცალი თვალთ და  
(თავისსავე ფრთით დაეფარა მერე თვალ).  
შვიდტოტად ალი ბრიალებდა ოქროს  
შანდლადან,  
და ეფრქვეოდა შუქი მაგიდას,  
და შერატოვდა ელვარება ძვირფასთა

თვალთა,  
ატლანის ბუღით ამოყრილთა უხვად, უწყალოდ-  
თვლითა ჭურჭელს სპილოს ძელის თუ  
ფერად შეშთათა  
ამოეფრქვია სურნელება ნაირნაირი,  
ნელსაქებებელთა, სუნამოთა, უცხოთ,

უცნაურთ,  
გამაბრუნები, დამაბრუნებელი;  
ღია სარკმლიდან შემოჭრილი ცვლი ნიაჭი  
აიტაცებდა აღს სანთელთა ზეითი, ჭერამდე,  
აიტაცებდა, არხებდა და აწინავებდა,  
და აცეკვებდა ზეუბრთმებზე გალღებულთა,  
და ვეება აქვარიუმი  
შწვანედ და ყვითლად ლიციციებდა ფერად  
ყენებზე,  
და ფარფატებდა ბის დელფინი მღვრიე  
ნათელში.\*

შემთხვევითი არ არის, რომ იგი ლექსს აწყვებს შექსპირის კლეოპატრას აღუწიან, რადგან სურს ჩვენსანსის ბრწყინვალეებისა და ფუფუნების შთაბეჭდილება დაახვავოს. თანდათან უველა გრძნობა „უხვად, უწყალოდ“ ცურავს, არსებითად, ამ ნაწევრების გრძნობითი სისავსის შეფარება კიტის „ლამიანი“ სურნელებათა ადრეარასთან ელიოტის სტრიქონებს სუსტად სრულებითაც არ გამოაჩენს. აშკარად გვეუფლება დიდებულების მოღიანე განცდა: კვლავ რენესანსში ვგრძნობთ თავს; არაფერი არაღვეს ჩადონსურ გარემოს სიტყვამდე synthetic, რომელიც ამ კონტექსტში ნეიტრა-

ლურია, ბუნებრიობის მოკლებული და „თანაშედროვე“. ამ ადგილიდან (რადგან „სიტყვები გრძელდება ცატირებულა ნაწევრების მიხედვით“) თანდათან ნათელი ზდება ნამდვილი სიტუაცია. ეს კლეოპატრა კი არ არის, არამედ კოსმოპოლიტიური საზოგადოების წევრა ქალი, თავის ტუაღბლის მაგიდას რომ მიხედვითა. მთელი ეს ფუფუნება გარს შემორტყნია სუსტ, უაზრო არსებობას ასევე თანდათანობით ჩნდება თვით ატმოსფერო — მიმიე და დამაბრუნებელი. შეიძლება აღიძრას ნილოსში მოცურავენაგის რემინისცენცია: შეიძლება „სურნელთა მამ გავაბაროს“, „სის დელფინა“ „ნღვრიე ნათელში“ „ფარფატოს“; მაგრამ მთელი ეს მინიშნებანი ბოლოს და ბოლოს ამას ემსახურება, რომ გავაზნუნონ, ამ გადახრტულ მიწაზე მაცოცხლებელი წყალი არხად არიხთ.

სიტყვების რთული შეფარების ეს ცოდნა მხოლოდ ზედმიწევნითი დახვეწილობა არ გამოხლავთ. არ არსებობს განსხვავება ფრაზებს შორის, თუკი ის გრძნობათა განსხვავება არ წარმოშვა. უშთავრის მიწევი — თუ რატომ სჭერა ელიოტს, რომ პოეტისათვის მნიშვნელოვანია იმდენი იყოფეს ენაზე, რამდენიც შესაძლებელია — იქიდან მოდის, რომ მასსწამს, „უველა ცოცხალი განვითარება ენაში გრძნობების განვითარებასაც ნიშნავს“; ხიტყვა-აზროვნება განუყოფელია; აქედან აუცილებლად გამოიძინარებობს, რომ თუკი არსინი და ბოდღერა ორი უდიდესი ფრანგი „სიტყვის ოსტატა“, ისინი „უდიდესი ფსიქოლოგებიც არიან, სულის უველაზე ბეჭითი მკვლეეპრები“. რადგან მხოლოდ სიტყვათა მაგიერთა შესაძლებლობების განსით შერღებს პოეტი, გადმოსცეს გრძნობები, რისა მეოსებიც ჩაწვდა „უველაზე უფრო პრიმიტიულსა და მიეწყებულს“, რითაც მისი აზროვნება და ემოციები დაუბრუნდა „საწყისს“ და უკან დაიბრუნა ცხოვრების უღრმესი შერგინება.

ამგვარი დაკვირვებები, ისევე, როგორც პოეზია, რასაც ეს დაკვირვებანი გამოხატავს, აფართოებს პოეტის „საკუთარი ეპოქის განცდის“ შემოტანას და იმ ვაზს, რისი შემეველობითაც ამ განცდას ამტკუველებს. ელიოტმა იცის, რომ ხელყოფნაში არცერთი ექსპერიმენტი არაფრად არ ღირს, თუკი ის ფსიქოლოგიურად სპირო არ გახდება; რომ არცერთ დიდ ნოვატორს არ აინტერესებდა სიახლე თავისთავად, უველა დიდი ნოვატორი შექსპირივით „ნაიბნებოქ შედიოდა თავის სიახლებში შინაგანი მოთხოვნილების მეშვეობით და ფორმის სიახლე აუცილებლობამ უფრო გამოიწვია, ვიდრე გულით მოწადინებამ“. ეს ინტიმური შინაგანი მოთხოვნილება დაკვირვებულთა იმ ეპოქის ისტორიასთან, რომელშიც პოეტი ცხოვრობს, მისი აზროვნებისა და განცდის უშთავრეს მოძრაობასთან. რადგან რო-

\* „კუადრატის თამაში“ „ბერწი მიწის“ ერთ-ერთი თავია. ამ და ესენის ფინალში მოხმობილ ციტატას „ბერწი მიწიდან“ ენიშნებდა ოთარ ჩხეიძისეული თარგმანის მიხედვით (იხ. „ლიტერატურული საქართველო“, 1985 წ., 26 ივლისი).

გარკ ელიოტმა შენიშნა, პოეზიაში უორდსუ-  
რისის მერ მოხდენილი რევოლუციის თა-  
მაზე, უოველი რადიკალური ცვლილება „პოე-  
ტური ფორმისა უნდა იყოს სიმპტომი რაღაც  
ძალზე დრმა ცვლილებისა საზოგადოებასა და  
პაროვნებაში“.

ამგვარ დაშოკებულებას მიუყვართ  
თავი ელიოტის უწესრიგო ლექსის შექმნის  
მიზეზად. მან იყის, რომ ახალი პოეზიის  
უშთავრესი ნიშანი უოველოვის არის ის, „თუ  
როგორ აურდაურდეს კონვენციური ცნობი-  
რებას“, თავზარს გვცემს „უფრო მისი სინ-  
ტაქსი, ვიდრე მისი ვანქდან“, და უფრო ზუ-  
სტად რომ ვთქვათ, ვერხიფიყაყა „არსებო-  
თად, არის არევედარევა კონვენციური ენისა“.

ადრეული შეჩვიდებუტე საუყუნის პოეტების  
კითხვისას უფრო უტბობოდა „მუდმივი გადამ-  
ვევა წესრიგიდან და ამის მუდმივი აღიარება“,  
დაურდობა იამბური პენტამეტრის სტრაქონ-  
ზე და გამუდმებული ოსტატური გაქცევა მის-  
გან. უველა საგულისხმო ლექსის არსებით  
თვისებად მას მიარჩია სწორედ ეს უოშანი  
წესრიგა და უწესრიგობა შორის იმ არამყარ  
წონასწორობის თეოქოლოგიური აღქმის  
შესაბამისად, რაც ფსიხოლოგებს შეადგენს:

„სწორედ ეს კონტრასტი სიმყარესა და თბე-  
ვადობას შორის, ეს ჩაუწყდომელი გაქცევა  
მონოტონურობისაგან, არის ლექსის ცხოვრება“.  
„თავისუფალი ლექსის“ ხმახალაღმა მოთხო-  
ნამ, რაც ზოგიერთმა იმფისტმა იმ დროს წა-  
მოიწყო, როცა ელიოტი წერას იწყებდა, მისი  
სახით უველზე გამჭრიახი კრატისის ქოცა-  
რადგან მას თავდაწვე სწამდა, „რომ ხელო-  
ვნებაში თავისუფლება არ არსებობს“, რომ  
„თავისუფლება მხოლოდ მაშინ არის კუმშარი-  
ტი, როცა ხელდაუწერ შეზღუდულობას უპი-  
რისპირდება“.

ამასთან, იგი იშასაც აღიარებდა, რომ დეა-  
ლებული იყო ვერლიბრის თეორეტისკებისა-  
გან: მათი ღირსება იყო არა ის, რომ ლექსს  
ათვისუფლებდნენ, არამედ ის, რომ მიხედ-  
ნენ, ლექსის დაწერა სხვანიარადაც შეიძლება,  
გარდა მანამდე კონვენციური გეორგანული  
ხერებისა: მათ აჩვენეს, რომ რითმის გა-  
მუდმებულმა მოლოდინმა „დააბნა თანამედ-  
რებე უფრო“, და უფოთად დაუმარანენ ელიოტს  
მიხედვრითიყო, „რითმა რომ მოსკალდება, სი-  
ტუვიდან უზვად მოედინება ზეციური მუსიკა“.  
მაგრამ თუკი ისინი ამ აღმოჩენასთან შეჩერდ-  
ნენ, ელიოტი უფრო შორს წავიდა და მიაკ-  
ვლია, რომ „ეს გათავისუფლება რითმისაგან  
რითმის გათავისუფლებასაც ნიშნავს; რადგან  
როცა რითმას უკვე ისე ერთფეროვნად აღარ  
ველით, ის შეიძლება გამოვიყენოთ მოლოდ-  
ენით გამაფრებლათვის, დაგუბებელი მოთ-  
ხოვნილებისა ან განწყობილების მკვეთრი ცვა-  
ლებადობისათვის“ — ეს მიგნება უიქველად

გააძლიერა მოგვიანებით პოქსისის წაკითხვამ,  
ვინც ცვალეზად რიტმის ტექნიკაც ერთფერო-  
უმთავრესი აღმოჩენაა. უიქველად მოლოდინის  
პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ელიოტმა  
„ახალი პოეზიიდან“ შეისწავლა, რომ სუნიზ-  
რისის „განსწავლული სირთულეების“ წინააღ-  
მდე აღძრული რეაქტია უფრო მეტ ფორ-  
მამდე მოიყვანდა და არა ნაყლებამდე. ეს  
იყო ერთ-ერთი მიზეზი, რამაც უბიგა, დაწერა  
რამდენიმე ლექსი თავის 1922 წლის კრებულ-  
სათვის ვოტივებებური შვიდრო კატრენებით,  
როგორც კორექტივი ვერლიბრის შეტისმეტი  
გადამარბებისა, დაწერა კომპაქტური ლექსი,  
რომელშიც აშკარად იგრძნობოდა, რომ პოეტის  
გონება მოძრაობს.

ამგვარად, ელიოტის ტექნიკური ექსპერი-  
მენტები არასოდეს წარმოადგენს სხვა პოეტ-  
თა მიზამკას. როგორც ოსტატს, მას სჭრია,  
რომ უველზე უყუთოს ლექსი, ოდესმე დაწე-  
რული ინგლისურ ენაზე. შექსპირის გვიანდელ  
პიენებსა თუ უბსტურის ტრადიციებში ხში-  
რად „უხალღესი დამახულობის წამებში“ სუი-  
ლდება კონვენციური თეორის ლექსის საზღ-  
ვრებს, რათა მოიკვას პეტის არის მნიშვნე-  
ლოვანი მხარე, და ამ გააზრებიდან მოლოდინ-  
არობს ის ცოდნა, რომ „კაცი, ვინც ახალ რი-  
ტმებს იგონებს, არის კაცი, ვინც აფართოებს  
და ხეყვს ჩვენს გრძნობებს; და ეს მხოლოდ  
ტექნიკის საქმე არ არის“. ელიოტმა იყის,  
რომ არსებობს გამოუყვლევი რამ, და აღმათ  
ისეთი, რისი ბოლომდე გამოკვლევაც შეუძლ-  
ბელია, ბოლომდე მიუწყდომელი კავშირები  
პოეტის რიტმსა და იმას შორის, რასაც შეიძ-  
ლება მისი ეპოქის რიტმი ვუწოდოთ. ისტო-  
რისის შუქში რომ განვიხილოთ, ეს არა უბრა-  
ლო დამთხვევა, რომ სანესერული სტრატეგის  
შელოდებოდა, ექსტრავაგანტური სიმდიდრე შე-  
ქმნა როგორც ელიზაბეთის ეპოქის გამოძახი-  
ლი; არც ის არის შემთხვევითი, რომ შვირე  
ეპოქა ეხმარებოდა გააზრებულ წონასწორო-  
ბას „სევისა ადამიანზე“. არცერთ პოეტს ბო-  
ლომდე არა აქვს გააზრებულ, თუ როგორ  
ცდილობს დაამყაროს ეს კავშირები; მხოლოდ  
ის იყის, რომ მისი შინაგანი სმენა ეხმარება  
ბგერათა გარკვეულ ნიმუშებს, რაც ზუსტად  
შეესაბამება იმას, რისი გამოხატვაც სურს. ელი-  
ოტმა აღნიშნა, რომ უაზრობაა შეეცადო, იყო  
თანამედროვე იმ თერნალისტური დეტალების  
გადაწერით, რაც წარსულსა და აწმყოს ერთ-  
მანეთისაგან მყოფს; მან იყის, რომ „თანამე-  
დროვე ის კი არ არის, ვინც ბუზრის საფარე-  
ზე წერს, არც არკაული ის, ვინც ორიფლა-  
მაზე“ წერს“. გაკლებით შეტი წედობა საჭი-  
რო; მათი ბუნება ზოგადად განზილულია მსმე-  
ნელთა წარმოსახვის ელიოტისუფლ შეფასებ-  
ში. შეტი არაა მოწყვდილი მის შენიშვნაში,

\* ძველი ფრანგული აღამი წმ. დენისისა.



რომ „აღმათ თანამედროვე ცხოვრების პირობებში (დაფიქრდით, თუ რა დიდ როლს ასრულებს ჩვენს გრძნობით საწყაროში შეიგნვის მანქანა!) შეცვალა რატომღაც ჩვენეული აღქმა“. ეს პირობები მოთავსებულია „ფეიათ, მაგრამ ეფექტურ მანქანათა მხატვრული სახეების მოდულაციების მიღმა:

ისფერ საათს, როცა თვალები და ზურგი ზეამობრუნდება საწერი მაგიდიდან, როცა აღამიანური მანქანა იცლის ტაქსივით, ღელავს მოლოდინისას,

და ამგვარ ნებაყოფლობითი მქანაწაცის მიღმა:

როცა მშვენიერი ქალი ქარაფშუტულად მოიხრება, ევლავ ჩამოივლის თავის ოთახს, მარტოდმარტო, თმებს ილაგებს ავტომატურად და დებს ფორფიტას გრამაფონზე.\*

რადგან ეს არის ნაწილი იდიომისა, რისი სტიმულიც ბოდლერისაგან აღმჩა, რათა გამოეხატა მყოფე მშვენიერების მომენტები ქალქში, მაგრამ უფრო ზნორად — უკლებსომცვეელი შეეწროება მისი ტვირთისაგან. თანამედროვე ცხოვრების პირობები არამარტო მოქმედებს მანქანურ წარმოსახვაზე; ისინი თანაზრად არაან მოთავსებულნი სინკომირებული რატმების უკან „სენი ათლეტის“ და „ფერფლის ოთხზახათის“ მიდრული და დატვილი მუსიკისა.

და ბოდლის მსმენელთა წარმოსახვის ელიოტისეული კონცეფცია, მისეული მიხვედრა იმ ფაქტისა, რომ პოეტურ რატმს მომჭადოებელი ძალის წყალობით შეეძლია განახლოს აღამიანის გამოცდილების ერთ-ერთი უველავე უფრო პრიმიტიული ელემენტი და, ამასთან, გამოხატავს ცივილიზებული გრძნობის ბოდლომდე დახვეწილ ნათანებს, ამიტომ არის განსაკუთრებით საკულისხმო, რომ შუქსა მყენს ერთ-ერთ უველავე უფრო ღრმავაროვან განცხადებას, რაც ჭრჭერობით გამოუთქვამს ელიოტს თავისი, როგორც ზელოვანის, მიზნების შესახებ. ამგვარი განცხადებისაგან მას უბოძა ლორენსის ერთ-ერთ წერილში გამოთქმულმა აზრმა,

რომ „პოეტისი არის ამ ჩვენს გაყინულსა და უშოო რეალობის ეპოქაში არსის წარმომადგენელი დაპირობა ტყულის ან საითმეკ ვეღმის მარტა დილის ვარეზე, უველაფერი შეიძლება გაქარეს, მაგრამ ეს გაყინული, შიშველი პირდაპირობა ვადმოყენისა, მხოლოდ ეს ჭმენის დღეს პოეტისა“. ამ ფრაზების გამო ელიოტი შენიშნავდა:

„ეს შეუბნება იმას, რასაც დიდი ხანია მიზნად ვისახავდი პოეტისაში; ისეთი პოეტისი შექმნას, რაც არსით პოეტია იქნებოდა, მაგრამ არაფერი ეცხებოდა პოეტური, პოეტია ვაშიშველებული იდგებოდა თავის შიშველ ძალებზე, ან ისეთი გამგვირავლე პოეტისა, რომ კითხვისას პოეტია კი არ უნდა დაგვენახა, არამედ მის მიღმა გაგვენედა, ისეთი გამგვირავლე პოეტისა, რომ კითხვისას მოკულნი ვყოფილიყავით იმით, რასაც ლექსი მიგვანაიშნებს და არა პოეტით, ეს ისეთი რამედ მიმჩნია, რისი ცდაც დირს. პოეტისი მიღმა ვასველა, ისევე, როგორც ბეოპოვენი თავის გვიანდელ ნაწარმოებებში ცდილობდა მუსიკის მიღმა ვასველა. წარმტების აღმათ ვერასოდეს მივადწევთ, მაგრამ ლორენსის სიტყვები ჩემთვის ამას ნიშნავს, ჩემთვის ეს სიტყვები გამოხატავს იმას, რასაც ვუქარობ და ორმოცსა თუ ორმოცდაათ ორიგინალურ სტრიქონში, რაც დამაწერია, იმს ეცდილობ“.

ერთი ნაწევები, რაც ელიოტს მხედველობაში უნდა ჰქონდეს, როცა ამ შენიშვნებს გამოთქვამდა, არის შიშველი, მაგრამ მუსიკალური სტრიქონები „ბერწი მიწის“ ფინალური ნაწილისა, რაც აღმათ იმგვარად შეიქმნა, რომ ელიოტის გონებაში იშვა ხმა შაშვის „წულის წვეთების მსგავსი სიმღერისა“, ამით კიდევ ერთხელ შეგვანათა იმ ვჯა, რითაც მისი მსმენელის წარმოსახვა მოქმედებს:

და ვისმოდეს ჩხრალი წყალის არა ტიკინი ტიკინობლის არა შრილი ვამზმარ ბალახის ჩხრალი წყალის კლდეზე ჩხრალი ვით ვანდევალი შაშვი ვალობს ფიქვის ტოტემში წერ კრ ვრ კრ ვრ კრ ვრ ვრ მაგრამ წყალი აქ არსად არის.

ინგლისურიდან თარგმნეს პაბატ და არისტომ ჩიბიჩაიზმა.

\* ლექსებისა პუკარედები მოგვექვს.



## ქართული დღაბოძის შემკულობის სიმბოლიკის პრობლემა

სარეცენზიო წიგნის ავტორის ირაკლი სურგულაძის კვლევის ქვაკუთხედა ქართული ფერომენი — ქართული დღაბოძის დღაბოძი, საუკუნეთა მანძილზე ჩვენს წინაპართ, მათ კერას, ზატივით რომ ედგა. იგი არ იყო უბრალო სამშენებლო დეტალი, არც ელტის უბრალო ობიექტი, საკრალური ძეგლი. დღაბოძი ჩვენი წინაპრების ერთგვარი კრედი იყო — მათი მრწამსის, რწმენისა და მსოფლმხედველობის გამოხატველი, აბსტრაქტული აზროვნების ხერხებით ორნამენტზე საგულდაგულოდ და სამაჩადისოდ აღბეჭდილი.

ცნობილია — სიმბოლურ ნიშანთა ამოკითხვა უცნობი დამწერლობით შესრულებული ტექსტის გამოიყვანის ტოლფასია (ზოგჯერ — უფრო რთული). დღაბოძის ორნამენტულ სიმბოლითა დადგენა, მთელი დეკორის სტრუქტურული თუ კომპოზიციური ანალიზი, გამოიყვანის პრინციპებს ემყარება. უნდა გაიკვლიდეს, ავტოკვლადეს ორნამენტის ყოველი დეტალი, უნდა დადგინდეს მათი მნიშვნელობები, მთელს კომპოზიციაში უნდა განისაზღვროს მათი როლი, მათ საფუძველზე კი უნდა იქნეს ამოკითხული მთლიანი კონტექსტი, რამაც უნდა მოგვეცეს "წინაპართა აბსტრაქტული აზროვნების" ნიმუში, მოგვიანებით უკვე წერილობით წყაროებში რომ უნდა იყოს აღბეჭდილი. მთელი ეს სირთულე დაძლეულია ნაშრომის ავტორის დიდი რუღუნების, ნიჭიერების, უცნობის ამოცნობისაკენ დიდი ღტობის წყალობით.

ირაკლი სურგულაძე დამაჩერებლად ავალიზებს დებულუბას, რომ ქვეყნიერების ოთხი მხარის იდეა დღაბოძში წარმოდგენილია ზხოვანი, ტოლმზებანი გვრით — ქვეყნიერების ოთხი კუთხის მიაჩვენებელი საყოფიანაიკო ნიშნით, რასაც ადასტურებს პარალელური მასალა მსოფლიოს უძველესი კულტურული ხალხების, მათ შორის, ეგვიპტელთა, ტრაპოლეულთა თუ შემერათა უოფიდან (სათანალო მასალა ავტორის იქვე აქვს მოტანილი). „ჩვენს წინაპრებს, მსგავსად თაყიანით ისტორიული მეზობლებისა, ცა და ქვეყანა ოთხკუთხეიანი ეგონათ“, — დასძენს ავტორი (გვ. 37), რაც მართლაც მტკიცდება მხარეთა აღნიშნული ქართული ტრანზიენტითა თუ სხვა მრავალი მასალით. მართალია, „ისტორიული

ლი მეზობლობის“ სამაგალითოდ აქ ვერ გამოდგება ზეზოდანიშნული ძველი ხალხების ყოფიდან აღებული ნიმუშები, რადგან ეგვიპტელები, ტრიპოლიელები თუ შემერები არასოდეს არ ყოფილან ჩვენი წინაპრების უძველესი „მეზობლები“, მაგრამ ანალოგიური მასალა ქართველურ ტომთა მართლაცდა „ისტორიული მეზობლების“ — ზეთების სამყაროდან ავტორისათვის მეტად საგულდისმყო სურათს იძლევა: ზეთების წარმოდგენით, მეფე ასრულებდა რა მზის ფუნქციას, ზათის ქვეყანაში — სამყაროს მოდელში — მოგზაურობისას იმეორებდა კოსმოსურ ძალთა მოძრაობას, რითაც იგი მაძედა მზის გადაადგილებას ცის თაღზე, რაც ზეთურ „მზის საგალობელში“ ასეა აღნიშნული: „მზის დმერთო დიდებულო! მამა ენლილმა მენ ნაგაბარა ოთხივე მხარე ქვეყნისა“, „გმირო დიდებულო, მხოო სახიგრო, მენ შენი ეტლით მიმოივლი დიდამიწის ოთხივე კიდეს“, „მაგ შენი ეტლის ოთხივე ცხენსა...“ და ა. შ. (სარგმანი ზეთურიდან ნ. ბენდუქიძისა, იხ. „არმალანი“, თბ., 1982, გვ. 16-17).

როგორც ვხედავთ, მზის ღვთაება მოივლიდა ქვეყნის ოთხივე კუთხეს — სამყაროს მხარეებს (თვითონ დღაბოძი და ცის თალი ზეთებს მრგვლად ჰქონდათ წარმოდგენილი, იხ. ქვემოთაც). იგი მოგზაურობდა ოთხცხენიანი ეტლით, რასაც, აგრეთვე, კავშირი აქვს სამყაროს ოთხი მხარის მანიშნებელთან. აქვეა გასახსენებელი, აგრეთვე, მაგალითი ზეთური სამყაროდან ზეთტოტიანი ხის შესახებ, რომლის ოთხი ტოტი სამყაროს მხარეთა მიხედვითაა ორიენტირებული და რომლებსაც, შესაძლოა, შეეფარდებოდათ ოთხი ფერი: თეთრი, შავი, წითელი, მწვანე (მხარეთა სათანადო შეფარდება ფერებთან ცერაჯრობით დაუდგენელია). კერასაც ზეთებთან ოთხი კუთხე ჰქონდა (ზოგჯერ საკრთხველსაც), რასაც ავგივებენ კოსმოსის (დღაბოძის) პირიზონტულ სტრუქტურასთან („ზეთი“ ზოგჯერ განიხილებოდა ხეთებთან როგორც 4 + 1. დამწერლობით იხ. ე. გ. არძინა, რიტუალები და მითები ძველ ანატოლიაში (რუსულ ენაზე), მოსკოვი 1982, გვ. 23, 213, 215). ზხოვანი ცერების (სხვადასხვა ვარიანტით) გამოჩენა უძველესი შვირე ოზიის მატერიალური კულტურის ძეგლებზე (განსაკუთრებით, კერამიკაში) ასევე არანაკლებ საგულდისმყო დღაბოძის ცერის ორნამენტთან დაკავშირებით.

ირ. სურგულაძე, ქართული ხალხური ორნამენტის სიმბოლიკა. „მეცნიერება“, 1986.

ხაზოვანი ჯვრის გამოსახულებას დედაბოძში ავტორი (მთელ რიგ მკვლევართა მსგავსად) უკავშირებს ციფრი სხეულების (ეკრძოდ, მზის) სიმბოლოებს, ბოლო ჯვრის წვეროებზე გამოსახული ყოფილა არა ოთხი სხვადასხვა მთაობი, არამედ „ერთი ობიექტის ოთხი სხვადასხვა მდგომარეობა ქვეყნიერების ოთხ მხარესთან მიმართებაში“ (გვ. 53). მზის მოძრაობა გამოსახულია ხაზოვანი ჯვრის ბოლოებზე განლაგებული სოლარული სიმბოლოების ცალმხრივ მიდრეკის საშუალებით. ასეთი ჯვრის გვეგმით შედგენილი უძრავი სტუმების მოძრაობაში მოყვანის ცდას დასაბამი მიუტია სიმბოლოთა ახალი წყობისათვის. რომლებიც ვადმოსცემენ ბუნების მოვლენათა დინამიკას. მოკლედ, ტომობრებთან ერთად უდევს საფუძვლად სიმბოლოთა დიდი უმრავლესობის აგებულებასა და კომპოზიციურ სქემას. სწორედ ეს იწვევს ვაკეირებას, რომ იგი არ დადგა დეკორის ცენტრში — თავისი მოცულობითა და განლაგებით ხაზოვანი ჯვარი ხომ ავტორისავე აზრით, დეკორის „მეორეხარისხოვან“ ელემენტებს განეკუთვნება, ცენტრალურ ადგილს უთმობს რა მზეს (გვ. 35 სრულებით არ არის გამოკისხული, რომ უძველესი ხანების დღეობებში სწორედ იგი მდგარყოფ ცენტრში). შესაძლოა, იგი გამოიყვით ჯვრის საწყისი ფორმების აღმოცენებისა და ევოლუციის გზების გამოკვლევის შემდგომ, საერთოდ, ძალზე საგულისხმოა, რომ ჯვრის ფორმა დაედო საფუძვლად ქრისტიანული ჯვრის სიმბოლოსა და ქრისტის საგანს, რომელსაც თითქოს „ავ სულთაგან“ დაცვის მაგიური ძალა გაჩნდა (აქედან გამოძინარე სავარაუდოა, ასეთსავე მაგიურ ძალასაც ხო“ არ მიაჩნდნენ ჯვარს ძველთაგანვე?!. არანაკლებ საგულანხმოა რომ თვით დედაბოძს ხშირად T მსგავსი (მხრებიანი) ჯვრის ფორმა აქვს, როგორც ჩანს, ადრეული ხანის დედაბოძთაგან განსხვავებით, რომელთაც მხრები არ უნდა ჰქონოდათ (შემოიხანა კიდევ ასეთი დედაბოძების ნიმუშები).

ქართული დარბაზის დედაბოძის შემკულობაში შემოგვიანება მოძრაობის, განსაკუთრებით ბრუნვის იდეის ამახველი სიმბოლო — ე. წ. ბოლოებშეხრილი ჯვარი, სწორმხრებიანი ჯვრის გამოსახულებიდან წარმომდგარი. იგი მაჩვენებელია ადამიანის მიერ ბუნების მოვლენათა დინამიკის — უძრავი სტუმების მოძრაობაში გადაყვანის ცდას — შეცნობისა, რაც დიდ მოვლენად ითვლება კაცობრიობის განვითარების ისტორიაში. განუწყვეტელი მოძრაობისა და ცვლილებების, განახლებისა და განვითარების იდეის სიმბოლური გამოხატვა კი ვარდასულ ცივილიზაციათა ერთ-ერთი დიდი მონამოვარია. მათაღლა, ძველთაგანვე მოძრაობა სამყაროში თავისებურად ჰქონდათ წარმოდგენილი — უძრავი იყო დედაბოძი, რომლის გარშემო ბრუნავდნენ ციფრი სხეულები — მაგრამ თვით იდ-

ეა მოძრაობისა, ცვლილება-განვითარებისა. დიდი წინადადებული ნაბიჯი იყო სამყაროს შეცნობის რთულ პროცესში (სამყაროში მოძრაობის ნამდვილი არის ვაგებნ [ხმამ] წყურქულებზე გვიან მოხდა).

ამეამად ძნელი დასადგენია, ჩვენმა წინაპრებმა თვითონ განსაზღვრეს ბოლოებშეხრილი ჯვაროვანი ბრუნვის სიმბოლო, თუ იგი რომელიმე მეზობელი სამყაროს სინამდვილიდან ისესხეს (სარეცენზიო მონოგრაფიაში დამაჩერებლადია განხილული სათანადო პარალელური მასალა მეზობელი თუ არამეზობელი რეგიონებიდან, განსაკუთრებით ანატოლიიდან). ახლა ნათელია რომ მარადიული ბრუნვის სიმბოლო ჩვენი წინაპრებისათვის ყარგად უოფილა ცნობილი და სწორედ იგი წარმოედგენათ დედაბოძის ორნამენტის თვალსაჩინო ადგილას.

დედაბოძის შემკულობაში გასხვივსნებული მზის — კონცენტრირებული წრეებისაგან შედგენილი დისკოს ანუ ბორჯელას გამოჩენას უკუამბოდ დავსანიშნებს ჩვენს წინაპრებში ვაგარეცვლებელ მზის ექლტზე. მართალია, ასევე ბოლოებშეხრილი ჯვრისაგან განვითარებული ბორჯელა ტრიანოსა და ბრუნვის, ნათობისა და სიმბურეალის სიმბოლოდაცაა წარმოდგენილი, მაგრამ მისი ძირითადი მნიშვნელობა მაინც მზის სიმბოლური ვადმოცემაა.

ზემოაღნიშნულის კონსტატაციაც მივეანიშნებს რომ ქართველურ ტომებში უძველეს ხანებშივე მზე აღიარებული იყო ღვთაებად. მზის ღვთაებრიობა მათ გამოუფლენათ ამ ღვთაების ერთ-ერთი „წილი“ — ბორჯელის სახით, რომელიც აღნიშნული „წილის“ გრაფიკულ გამოსახულებად, მის სიმბოლო-ნიშნად უნდა მივიჩნიოთ (ცნობილი შეზღუდლება „წილად ღვთაებათა“ შესახებ სარეცენზიო შრომის ავტორი მარჯვდ და დროულად აქვს მინიშნებული) მართალია, მზის ღვთაებისათვის ზუსტი ადგილის მიჩენა ჩვენს წინაპართა პანთეონის რიგში ზემოთქმულით ვერ დადასტურდება, მაგრამ ამ პანთეონის ერთ-ერთი წევრად მზის მიჩენვა უდაყო უნდა იყოს.

ძირითად დასკვნებს მზის სიმბოლოებთან დაკავშირებით დიდ დამაჩერებლობას აძლევს ავტორის მიერ წარმოდგენილი სხვადასხვა ხასიათის მდიდარი ფაქტობრივი მასალა მსოფლიოს მრავალი რეგიონიდან. აქ შეიძლება მხოლოდ ვაგებნენოთ ჩვენს წინაპართა ზოგიერთი მეზობელი რეგიონის მცხოვრებთა, ეკრძოდ, ზეთების შეხედულებანი მზესთან დაკავშირებით. ჰყავდათ რა რამდენიმე მზის ღვთაება სხვადასხვა ფუნქციითა და სქესით ერთიერთისგან განსხვავებული, ზეთები მათ უძღვნიდნენ საგალობლებს, მიჩნებს, საიდანაც გამოსქვივის მზის ღვთაებათა დიდი ძალა და ცხოველყოფელობა. მზე გვევლინება, ვითარცა უოელისმხედველი და უოელი-სშემძლე, მართლმსაჯულების ქომავი, ადამიანთა მოწყალე. მათი დამცველი და ბორტებისაგან

განმწმენდი (შტრ. დედაბოძში ბორჯღაღა როგორც დამკველი და განმწმენდი ნიშანი), ქვეყნის მომწესრიგებელი, ღვთაებათა შორის მბრწყინავი, მიელი ცისა და დედამიწის მანათობელი (შტრ. ბორჯღაღა როგორც ნათებისა და მხურვალეების სიმბოლო), ქვეყნის მაკისკროვნებელი, ცისა და დედამიწის სიმრავლიდან გამოშვავი (შტრ. ბორჯღაღა როგორც ცენტრის ირგვლივ ტრიალის, სიმრავლის განმსახიერებელი) შვეს ემონებთან ცის შეფუფნი და დედამიწის ღმერთნი. მამრული წარმოშობის მზის ღვთაების ჰიმნში მზეს ეუბნებთან: „გარდასულ ღმერთთაუ მხოლოდ შენ ერთი დავსაზღვრავ წილს“ (იხ. ნ. ბენდუქიძის ზემოაღნიშნული სათარგმანი). ამ გამოქმნას, შესაძლოა, რაღაც საერთო ჰქონდეს სარტყენზო წიგნში აღნიშნულ „წილად ღვთაებებთან“ (გვ. 75).

მზის ღვთაების სიმბოლოს ხეთებთანაც ზოგჯერ მზის დისკოთი (ხანდამან, ფრთებანიით) გამოსახავენ. ამ ღვთაების რჩეულ ცხოველთაგან განსაკუთრებით ღომი გამოირჩეოდა (შტრ. ბორჯღაღასთან დაკავშირებით ღომის რელიგიურ-სიმბოლური მნიშვნელობა, რომლის შესახებ სარტყენზო ნაშრომში ვერცადაა მოთხრობილი, გვ. 72 და შმდ.).

დედაბოძის ორნამენტში რადიალურად განსხვავებული დისკოს გამოჩენა საფუძველს აძლევს ი. სურგულაძეს იუარაუდოს, რომ ამ დისკოს — მცირე „ვარდულის“ სახით საქმე გვაქვს მცირე მნათობთა სიმბოლიკასთან, კერძოდ, ცისკრის ვარსკვლავის — ვენერას სიმბოლისთან. ასეთი დასკვნისაკენ ავტორი მიჰყავს იმ საყოველთაოდ აღიარებულ ფაქტს, რომ ძველი სამუროს არაერთ რეგიონში, მათ შორის, ქართველურ ტომთა განსახლების მუზობლად, ჩვენთვის საინტერესო სიმბოლო დაკავშირებული იყო სწორედ ასტრალურ სიმბოლიკასთან. ერთ მეტად საველისხმო მომენტს მიგვაჩვენებს ი. სურგულაძე: ხაზოვან ან ფოთლისებურად განსხვავებულ ასეთ დისკოს ზვესერული ტერმინოლოგიით ეწოდებოდა „ხეთანი“ (ხეთი ქების აღნიშვნა?), ხოლო სვანებში მას პირდაპირ ვარსკვლავს ეძახდნენ — აშკარა დადასტურება მოსახრებისა, რომლის თანახმდაც, აღნიშნული სიმბოლო ცის მცირე სხეულის წარმომსახველი ყოფილა. როგორც ცალკეულ მკვლევართა მიერ არის დასაბუთებული მიუღ რაც მონაცემთა შეთვლისწინებით, იგი უკავშირდება ცისკრის ვარსკვლავს — პლანეტა ვენერას (ქართული ტერმინოლოგიით, „ასპირიზი“ ან „მთიები“, ხალხური ტერმინოლოგიით — „ხარპარია“ ან „ცისკარი“).

როგორც არაერთმა მკვლევარმა შენიშნა, იგივე სიმბოლო დიდ კავშირს აკლენს ცხოველებთან, განსაკუთრებით, ირემსა და ჭიხვთან, გველიანება რა ამ ცხოველთა ასტრალურ მფარველად. ამტომისა, რომ სარტყენზო ნაშრომში გატარებულია აზრი, რომლის მიხედვით

ირემი და ჭიხვი ზებუნებრივი, ღვთაებრივი ძალის მატარებელ და ღვთაების სამყაროსთან შემაერთებელი არსებებია, ამანათსავე აღნიშნული ცხოველები ბუნების ნაქონტოტებში ქალღური ძალების განმსახიერებელი არიან (ნაშანდობლივია, რომ ძველ მცირე აზიაში ირმის კულტს კავშირი ჰქონდა სწორედ მზის ქალღვთაების კულტთან). ყოველივე ეს ნათობის ხდის ნადირთა მფარველი ქალღვთაების — დანლის მიწვევას ასტრალურ ღვთაებად, რომელიც თავისი იპოსტაზით (ჭიხვი) რელიგიურ წარმოდგენათა ასტრალიზაციის პროცესში დუკავშირდა ცისკრის ვარსკვლავს. ამ დროიდან იჩვენებს მოქმედებას ექვივალენტური ღირებულების მქონე სიმბოლოთა მწკრივი საერთო სემანტიკური ველით (მცენარე — ცხოველი — ქალი — ვარსკვლავი), რომლებიც სოლარული წარმოდგენების წიაღში არიან აღმოცენებულნი“ (გვ. 115).

ზემოაღნიშნულ გარემოებათა გათვალისწინების შემდეგ დიდ დამაჯერებლობას აძენს პარალელები ძველი სამყაროს სხვადასხვა რელიგიებიდან, განსაკუთრებით, შუამდინარულიდან. ამ მხრივ საინტერესოა ქალღვთაება დანისა და შუამდინარულ ინანა-იშთარის ურთიერთშედარება, რაც გამოვლენილია წინამორბედ ქართულ მკვლევართა მიერაც. ძირითადად საქმე ეხება დანისა და იშთარის საერთო მინიშნებებს. ესაა: ასტრალური ღვთაებრიობა, კერძოდ, კავშირი ცისკრის ვარსკვლავთან (ვენერასთან), ზოგიერთი ერთნაირი იპოსტაზი (წმინდა ცხოველი) რაც ფუნქციონალურ მახასიათებელთა ერთობა (სიყვარულისა და ნაყოფიერების ფუნქცია). ამასთანავე, გასათვალისწინებელია, რომ ინანა-იშთარისათვის დამახასიათებელი ზოგიერთი ასპექტი სრულიად არ ემთხვევა ქართული წარმართული პანთეონის წარმომადგენელ ქალღვთაება დანის განმსახიერებელ ასპექტებს, მგალითად, ორბუნებოვნება (იშთარისა), ბრძოლის ასპექტი (ინანასი) და ა. შ.

დედაბოძე ასახულ ორწევრიან სიმბოლოთაგანი. სურგულაძე ცალკე გამოყოფს იმ სიმბოლურ წყვილს, რომელიც ორი დამატებითად განლაგებული სხვადასხვა სიმბოლური ნიშნისაგან შედგება და ურთიერთგადაწყვეთი ზოლის ორნამენტული სრულით „მ“-იანის მსგავს ფიგურას ქმნის. საქმე ეხება ასტრალურ სიმბოლოებს, ი. სურგულაძე რომ მზედ და მთიარედ მიიჩნევს. თუთა არქაულ კომპოზიციებში ვჭრისებური სიმბოლოები გამოხატავდნენ ციურ სხეულთა მოძრაობის ზოგად პრინციპებს (ოთხ სივრცობრივ მდგომარეობაში. იხ. ზემოთაყ), ასტრალური წყვილის მიუღს კომპოზიციებში გადმოცემული ყოფილა ციურ სხეულთა მუდმივი, მარადიული მოძრაობის იდეა. ასეთ კომპოზიციის ავტორი შუა საუკუნეების პროდუქტად, „შედარებით ახალ ხანაში აღმოცენებულად“ მიიჩნევს

(გვ. 127), მით უმეტეს, რომ „ღღემღე შემონახული დედაბოძები უახლოესი წარსლის კულტურულ დონეს ასახავს“ (გვ. 120).

მაგრამ, თუკი ზემოაღნიშნული კომპოზიცია „ძველი კონცეფციის მექანიკური გამოძახილია“ (გვ. 123), თანაც პირდაპირი მეშველებით მიღებული, მაშინ ამ „ძველ კონცეფციას“ რაღაცნაირად ვწვებოდა შემუშავებული ზემოაღნიშნული ასტრალური წყევლის იდეა, უძველესი დედაბოძის დეკორში რომ იქნებოდა აღბეჭდილი. აქვე დავსძენთ შემდეგვას: რაკი დედაბოძის შემკვლობაში აშკარადაა სიმბოლურად ასახული შუა და ცისკრის ვარსკვლავი, საეკვოა, რომ ამ შემკვლობაში ასევე სიმბოლურად არ ყოფილიყო წარმოდგენილი მთვარეც, რომელიც ცალკე ღვთაებად უნდა ყოფილიყო აღიარებული ჩვენი წინაპრების მიერ. ამდენად, ჩვენთვის საინტერესო შემკვლობაში საძებნია მთვარის ინდივიდუალურობის სიმბოლო-ნიშანი. ასტრალური ტრიადის (მზე-მთვარე-ვენერა) არსებობა სავსებით მოსალოდნელია ჩვენი წინაპრთა უძველეს რელიგიურ წარმოდგენებში. მართალია, ჩვენ შეგვიძლია გარკვეულ მოსაზრებათა გათვალისწინებით ეჭვი შევიტანოთ მთვარის ღვთაების უზენაესობაში (გვ. 141), მაგრამ მთვარის ღვთაების, როგორც წარმართული პანთეონის ერთ-ერთი წევრის, არსებობაში დაეჭვება ძალზე ძნელია.

უდავოდ ასტრალური ხასიათი შეინიშნება დედაბოძე შემორჩენილ ანთროპომორფულ გამოსახულებებში, რომლებიც უძველესი ხანების პროტოკრებებიდან უნდა განვითარებულიყვნენ. განსაკუთრებით საუურადღებოა განმეორადი გეომეტრიული გამოსახულებებით აჭრულებული ადამიანის ფიგურა, მნათობთა სიმბოლონი ნიშნით გამოსახული, წრისებური (ბორჯღაღას) ან რომისებური თავით. ანთროპომორფული ფიგურების სახით დედაბოძეში წარმოდგენილი უნდა იყოს მამრობითი სქესის რომელიღაც ღვთაებრივი პერსონაჟი (ზოგჯერ მკვეთრად გამოსახული სქესის ნიშნით — ფალოსით). ნაშრომში მართებულად ივარაუდება, რომ ისინი არიან ნაყოფიერების ძალებს ზეციური მამრობითი განსაზღვრებანი (მიწიერი ნაყოფიერება დედური საწყისით გადმოიცემოდა). ამიტომ ისინი დასაკავშირებელია ნაყოფიერებისა და გამრავლების რიტუალებთან, კერძო ირგვლივ რომ სრულდებოდა.

ღრმად გვჭერა, ღვთაებათა ანთროპომორფულობა არ არის განსახილვევი როგორც მხოლოდ მოგვიანო ხანების დედაბოძებზე ასახულ, მათ თანადროულ რელიგიურ წარმოდგენათა სიმბოლური გადმოცემა. ძველი სამყაროს მრავალხალხთა რელიგიასთვის ღვთაებათა ანთროპომორფულობა (ზომორფულობის გვერდით) საკმაოდ დამახასიათებელი მოვლენა იყო — წარმოდგენებში ადამიანები თავიანთ მსგავს ღვთაებებს ქმნიდნენ (მითოსში ასახული ვითარების

საპირისპიროდ, სადაც ღვთაებენა თუ იმისთ მსგავსი ადამიანები შექმნეს). ამ მხრივ ძალზე „ადამიანური“ იყვნენ, მაგალითად ნუტანის ღვთაებანი: ისინი იყვნენ პირდაპირად, სქესობრივად, საც განიცდიდნენ, შრომობდნენ, ავად ზღებოდნენ და გარდაიცვლებოდნენ (ოღონდ დროებით — მალე კვლავ ცოცხლდებოდნენ) და ა. შ. ანთროპომორფულობის გამოჩენა დედაბოძის ორნამენტში ჩვენი წინაპრების რელიგიურ წარმოდგენათა განვითარების უძველესი ეტაპის ერთი ასპექტის უტყუარი მანიშნებელი უნდა იყოს.

ორნამენტის ტერმინოლოგიისა და დედაბოძე გამოსახული ძირითადი ასტრალური (ისევე როგორც ანთროპომორფული) ნიშნების კონკრეტული სიმბოლური მნიშვნელობების დადგენამ (მათი არ აკლიათ სათანადო ღრმა შეტყობილნი დასაბუთება და დამაჯერებლობა) საშუალება მისცა ავტორს განესაზღვრა დედაბოძის ადგილი ქართულთა უძველეს კოსმოგონიურ შეხედულებათა ისტემაში. დედაბოძის შემკვლობა სათანადო შინაარსის ორნამენტებით — სიმბოლური გამოსახულებებით — გარკვეულ მიზანს ემსახურებოდა: ასტრალური სიმბოლოები გადმოსცემენ დედაბოძთან დაკავშირებულ წარმოდგენებს. გვეტყობს უნაშვარებოდა რა ხის კულტის უძველეს ფორმებს, დედაბოძი, კერძოდ ერთად, იყო ყველაზე უფრო ინვარიანტული სიმბოლო სიცოცხლისა და ნაყოფიერების ხისა, რომელიც კოსმოგონიურ მნიშვნელობას აძლევდა საცხოვრებლის მთელ ინტერიერს. დედაბოძის მთელი კომპლექსი განიხილებოდა როგორც ოჯახის ცენტრი და გააზრებული იყო სამყაროს ცენტრის ანალოგიით, რაც გარესამყაროს მარადიულობის შეშვეცხებაზე იყო დაფუძნებული.

დედაბოძის, როგორც კულტურულ-სოციალური მნიშვნელობის ძეგლის, ინტერპრეტაციას ამავრებს ენობრივი მასალიდან აღებული ოპოზიციური წყევლების („აჟ“-„იჟ“, „ზე“-„ქვე“, „წინა“-„უკანა“ და ა. შ.) ანალიზი. სამყაროს არქაული მოვლას ფორმირების ვხსნათ დაკავშირებით უაღრესად მნიშვნელოვანია დაკვირვება ვერტიკალურ ღეროზე განლაგებული სამყაროს სამწვერიანი მწკრივების არსებობის შესახებ: „ზეცა-კა-ქვეცა“, „უანაშუა უანა-ქვეუანა“, „ზეს-კნელ-სკნელი-ქვესკნელი“. აქ გადმოცემული უნდა იყოს რელიგიური და კოსმოგონიური წარმოდგენების განვითარების ეტაპი. როდესაც კულტის ობიექტი ვაზდა სამყაროს სხვადასხვა მხარის გამგებელი ძალები. ყოველივე ამაში, როგორც ჩანს, ასახული უნდა იყოს ქართულთა ტრადიციული წარმოდგენები კოსმოსის მითოლოგიური სტრუქტურის — ციურ მიწიერ და მიწისქვეშა სამყაროთა არსებობის შესახებ.

ქართული ენობრივი მასალიდან გამომდინარე კოსმოსის ვერტიკალური სტრუქტურის სამწვერიანობასაც გარკვეულად ეხმარება ტიპოლოგიური პარალელნი, მაგალითად, ხეთურ ენობ-

რევი მასალიდან, რომლის მიხედვით კოსმოსის ვერტიკალური სტრუქტურა ასევე სამწვერიანი უნდა ყოფილიყო, მოიცავდა რა ციურ, მიწიერ და მიწისქვეშა სამყაროებს ზეთების კოსმოლოგიურ წარმოდგენებთან მიმართებაში უფრადსადგება ის, რომ აღნიშნული ვერტიკალური სტრუქტურის სამ ნაწილს შეესაბამებოდა ცოცხალი სამყაროს სამი წარმომადგენელი: არწივი, ფუტყარი და გველი. ზეთურ მითოლოგიურ წარმოდგენებში ზესენელს (ციურ სამყაროს) შეესაბამება არწივი, შესენელს (მიწიერ სამყაროს) — ფუტყარი, ხოლო ქვესენელს (მიწისქვეშეთს) — გველი. ზემოთმოყვანილ სხვა მაგალითებთან ერთად, ეს მაგალითიც ადასტურებს რაოდენ ახლოს იყო ზვენი წინაპრების რელიგიური წარმოდგენანი ისტორიული მგზობლების სათანადო წარმოდგენებთან, განსაკუთრებით, უძველესი ანატოლიის მცხოვრებლებთან.

იაკლი სერგულაძემ დედამიძი წარმოგვიდგინა როგორც მრავალმხრივი კულტურულ-სოციალური მნიშვნელობის ძეგლი. მასზე ასახულნიანთა სიმბოლია მრავლისმეტყველია, რაც აქლნათლოვ გამოჩნდა სარეცენზიო წიგნის ავ-

ტორის მიერ ჩატარებული კვლევა-ძიებით. ნაშრომში მოცემულია არაერთი საყურადღებო დაკვირვება, დასკვნა, რომელთა შესწავლა მსწკლობა ძალზე შორს წავიყვანდა მსწკლურობა და საზუსტებელი კვლევაც ბევრია. ახლო მომავალში ავტორი, ალბათ, გააჩვენებს, სხვათა შორის, ასტრალურ სიმბოლიასთან რა მიმართებაში უნდა ყოფილიყვნენ სხვა სიმბოლიური გამოსახულებანი დედამიძისა, ანდა საკითხს დედამიძის არქაული ფორმის (თუ ფორმების) აღდგენის შესახებ, რომელთა შესწავლა სპეციალური კვლევის საგანია. გვეჭრა, ავტორი პირობას შეუსრულებს მკითხველს — ცალკე ნაშრომში გააანალიზებს „დამატებით ინფორმაციას“. (გვ. 7), ე. ი. ბოლო ოცი წლის მანძილზე გამოვლენილ ახალ ფაქტობრივ მონაცემებსა და ახალ: სამეცნიერო ლიტერატურის მიღწევებს (აქა-იქ ავტორმა საკუროდ ჩათვალა კიდევ ზოგიერთი უახლესი სამეცნიერო ლიტერატურის გამოყენება). უოველივე ეს, ი. სერგულაძის სიტყვებით „ახალ პრობლემებს წამოჭრის“ (გვ. 7), რომელთა მეცნიერული შესწავლა, როგორც მიგვაჩნია, მას ფრიად ზღვენიფება.

**გაბრიელ გიორგაძე**

●  
რედაქციის მხამართი:

თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, № 12.

●  
ტელეფონები: რედაქტორის — 98-55-11,  
მთ. რედ. მოადგილის — 98-55-18, პ./შ. მდივ-  
რის და განყოფილებების — 98-55-15; 98-55-17.

გადაეცა ასაწყობად 24. 03. 87 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 12. 05. 87 წ. ასაწყობის ზომი 7<sup>1</sup>/<sub>4</sub> X 12, ქალაქის ფორმატი 70X108, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 11, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 15,5. სააღრ.-საგამომცემლო თაბაბი 16,58.

უე 09588. ტირაჟი 32.000. შეჯ. 798. საქართ-  
ველოს კა ცკ-ის გამომცემლობის სტამბა.

3360 80 333.

668/94



«М Н А Т О Б И»

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ  
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ